27	შაბათი	წმ. შობის მესამე დღე. წმ. მოციქ. პირველ მოწამისა და მთავარ-დავ. სტეფანუსი დორ. მ. ჩუენ. და ათმარე- მელისა თეოდოსიანისი. კამეწმინდისა და მმ. თეოდანე კელამათა მოქმედისა.	16	9
28	კვირა	წმ. დორთა ბერთა მაც. , ტემელისი სიკვდილის დამწმენე.	17	10
29	ღრმადათი	წმ. ხეილათი ათ-თარმეტყველისა ქრისტესთვის მოქმედარ- თა დორდისი მერ მეთოქისი, დორ. მამისა ჩუენისა მარ- კელე წინამძღვრისა, დამსენება მინასტ. წმ. გიორგი ნიკომედიელისა ქართკელისა.	18	11
30	ხაშადათი	წმ. მოწამისა ანუხათი, დორხისა სოტიკუსი.	19	12
31	ღთხშაბ.	დორხისა დედისა ჩუენისა მედანიასი.	20	13

ქართველთა ეკლესიის წმინდათა აღმსახურებანი

ი ა ნ ვ ა რ ი

- 5 წმ. დვთხიასი.
- 8 წმ. ამო სპარსისა, რომელიც იწამა ქ. ტყვილისში 790 წელსა.
- 14 წმ. მოციქ. სწორის ნინაცხი, საქართველოს განმანათლებელისა, 847 წელს. (ახალციხისა ხინაღის მარტ. მოდუმს მინასტერში, ჯგარი მისის თემებითა ინახება ხოცის ტაძარში ტყვილისს)
- 15 წმ. საღვთე და პეტროვავრასი.
- 19 დიონისა ანტონ მარტომყოფელისა ათთორმეტთაგანისა VI საუკ. (მარტყოფში ახალციხისა).
- 26 წმ. გეათლ-მხახურისა საქართველოს მეციხისა დაგით III აღმაშენებელისა 1125 წელსა.
- 29 წმ. ამოთ გურამბატისა † 828 წ.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

- 22 წმ. ყხრათა მშათა კვლავლთა ქართველთა: გურამს, ადარნასე, ბაქარ, ყახყ, მარმოს, დახი, ჯუანშერ, რახან და ფარსმანი.

შ ა რ ტ ი

- 2 წმ. აყაოფელისა ანნასი † 1388 წ.
- 12 წმ. თომიტრი თაყაადებულისა † 1289 წ.
- 19 წმ. მარტვირი სამაწმინდეელისა ქართველისა.
- 26 წმ. მოწამეთა: ბათო, ურთია, გვხტა, აგია, თეთრა, მთია, მამიკა, თიკოლა, ანთამისისა.
- 28 წმ. მამისა ივანე მანგლელისა.

ა კ რ ი ლ ი

- 5 წმ. ჟღელისა.
- 15 წმ. მესტეგეფლთა: სუქიასი, დუგიანესი, მადლიაგუტი, ვიტრატს, იკალქ, სეჭიორონ, მენა, ფიკა, სერჯოხ, დომენტრიოვს, ხელხმე, მიქტორ, თაღლეკ, იორდანე, ანასტასი, თეგადრიოვს, იაკობ და თეგვლიხოს.
- 24 წმ. მოწამ ნესტაყისა.

მ ა ი ს ა

- 1 ხუნება წმიდისა თამარ მეფისა ყოვლისა საქართველოსა.
- 7 წმ. ივანე ზედაძელებისა და ათ-თორმეტთა მასთან მოხუცთა სირითი 557 — 590 წ. შიო, ისე, აბიზოს, იახებ, ანტონ, დაგით, ზენონ, თაფეოს, ისიდორე, მისხილ, შირაზ და სუქიანე VI საუკ.
- 9 წმ. შიო მეფისმედისა VI საუკ.
- 18 წმ. ეფთიმე მთაწმიდელისა.

- 15 წმ. თეგადრე მდ. კვილოელისა † 1008 წ.
- 18 წმ. დავით და ტარიჭანისა 698 წ.
- 20 წმ. მოწ. ახციდახი.
- 23 წმ. მოციქ. სწ. ნინოხი და განათლები ქართველთა ერისა; წმ. მორიან მეფისა და ნანა დედოფლისა.
- 31 წმ. შიო ასლისა ვარტკელისა და მოყვასთა მისთა.

ი ვ ნ ი ს ი

- 12 წმ. თორნიკე მთაწმიდელისა.
- 14 წმ. ივანე მთაწმიდელისა.
- 16 წმ. ქაიხოსრო ქართველისა † 1558 წ.
- 21 წმ. მოწ. მუყეთა არხიდ და ღურასაბ II.
- 28 წმ. მოწამეთა ქვათასეგვს მოწამედართა 1394 წელს.
- 27 წმ. გიორგი მთაწმიდელისა 1086 წ.
- 30 წმ. დინარ დედოფლისა.

ი ვ ლ ი ს ი

- 1 წმ. ნერსე მთაგარ-ეზისკვამრისა.
- 3 წმ. მოწამისა გურნადუნტისა.
- 5 წმ. ათანასე ათონელისა.
- 8 წმ. მეფისა მირდატისა † 110 წ. ბაიდადრი.
- 9 მოციქ. სწ. ბაგრატ პეტროელისა.
- 12 დიონისა მამათა ივანე და გაბრიელ ათონელთა.
- 15 წმ. მოწ. კვირიკე და ივლიტასი.
- 24 წმ. მოწამისა ბიძისა ქართველისა.
- 26 წმ. ივანე შალავრელისა.
- 27 წმ. გაბრიელ ქართველისა.
- 28 წმ. ივანე ზედაძელებისა და 12 მოწამეთა მისთა.
- 29 წმ. ევსტატი მესეთელისა 588 წელს.
- 30 წმ. მოწამ. ისიდორიტიისა.
- 31 წმ. მეფისა ცხვეყელისა და წმ. ხატისა ოქციისა დახადარისა.

ა გ ვ ი ს ტ ო

- 8 წმ. მოწ. რაფაელის, სიყველს წრამს (ქართლში) წამებულისა 557 წ. (სიგელის ეგლეხიაში ახალციხისა).
- 4 წმ. მოწ. იახი.
- 6 წმ. მოციქულთა სწორისა მორიან მეფისა და ნანა დედოფლისა.
- 7 წმ. ივანე შალავრისა.
- 20 წმ. ქეთევან დედოფლის ნაწილების მოხუცება სპარსეთიდან.
- 28 წმ. თიბისა მოწამისა დედაოფელისა მეშანისისა 458 წ. (ახალციხისა მურქის ეგლეხიაში ტყვილისში).

ს ე კ ტ ე მ ბ ე რ ი

- 2 წმ. მამისა და ფინეზისა.
- 12 წმ. დღისითელს ტფილელისა † 1795 წ.
- 13 წმ. ქეთევან დედოფლისა.
- 15 წმ. იოსებ ალავერდელისა ათ-თორმეტ-თაგანისა 570 წ.
- 16 წმ. მღწამეტა ძრთა მძათა ისაკ და იოსებისა 808 წ.
- 18 წმ. ბიძინასი (ხელფყამვილი) და შალვა და ელიზბარისა (ერისთავთა) 1664 წ. აწამეს შირაზში (ახაფლავიან იგორთის მღვასტურში).
- 29 წმ. შალვა თორელისა და 10,000 მოყვასთა † 1227 წ.
- 30 წმ. მღწ. რიფხისე და გაიანესი.

ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

- 1 სვეტი-ცხვკელისა და ჯვართისა. წმ. ხოდონია და აბიათარისა.
- 2 წმ. დიდ. მღწამ არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინესი 741 წ. (ახაფლავიან მღწამეტში, ქუთაისს მას-ლობლად).
- 4 წმ. ევდომოს კათოლიკოსისა † 1642 წ.
- 5 წმ. გიორგი ხანძოქელისა. 961 წ.
- 14 წმ. მარი ქართველისა.
- 28 წმ. მღ. მღწ. ნეფდიტე ურბნისის ეპისკოპოსისა 642 წ.
- 30 წმ. ილთამისა † 1465 წ.

ნ ო ე მ ბ ე რ ი

- 4 წმ. ილია ქართველისა და წმ. სტეფანე ქართველისა. წმ. ილანე ქართველისა. 581 — 642 მღსსი.
- 10 წმ. დიდ. მღწ. გიორგისა და კონსტანტინე მთავრისა 842 წ. (საქართველოში ყოველგან დღესასწაულდენ გიორგობას).
- 13 წმ. პაპასი და მანათასი.
- 17 წმ. მღწ. ვაზრდისა (კასეთის თავადი) და 133 მისთანათა წაშებულთა 920 წ
- 19 დიზის მამის ილარიან ქართველისა 882 წ.
- 29 წმ. დიდ. მღწ. აბიბოს ნეკრესის ეპისკოპოსისა ათორმეტთაგანისა 541 — 555 წ.
- 30 წმ. მეფისა ვანტანგ გორგასლანისა.

დ ე კ ე მ ბ ე რ ი

- 2 წმ. პეტრე მაიფელისა † 512 წ. და წმ. მამისა ისე წილგნელისა.
- 10 წმ. პეტრე ქართველისა. გრიგოლის თანამწრახველისა 581 — 614 წ.
- 29 წმ. გიორგი ნიკომიდიელისა ქართველისა

ქართველთა მოძრავი დღესასწაულები

- ადღგომის მეორე დღეს — წმ. გრიგოლი.
 - ადღგომის მესამე დღეს — წმ. მღწამეტა დავით გარეჯისათა შამა არსენ არქიმანდრიტი და სსვ., ადღგომის დღეს წამებულთა შამაბაზისაგან.
 - ადღგომის შემდეგ ოთხშაბათს — წმ. დედო.
 - ამაღლების შემდეგ ხუთშაბათს — წმ. დავით გარეჯელი.
 - ხულის წმ. მოხვლის შემდეგ ოთხშაბათს — დღესასწაული ჯვარ-პატიოსნის და წმ. გრიგოლი ღვთისმშობელი.
 - ყველიერის ხულომბათს — წმ. შიო მღვიმელი.
 - ადღგომიდან მეოთხე შაბათს — წმ. გიორგი ზღუდრისა.
 - ხული წმიდის მოყენის დღეს — წმ. გიორგი გომართელი.
 - ხული წმ. მოფენის მეორე დღეს — წმ. გიორგი უხანეთელი.
 - ყოველთა წმ. კვირიაგის მეორე დღეს, ორშაბათს — მაგზვკრობა.
 - მარიაობა დღეს — წმ. თეთრი გიორგი, წმ. აწყურის ღვთის მშობელი და წმ. წილგნის ღვთის მშობელი.
 - მარიაობის შემდეგ კვირას — წმ. გიორგი არბელი.
- ათ-თორმეტი უმთავრესი დღესასწაული**
- მართლ-მადიდებელთა ხარწმუნებებში ირიცხება ათ-თორმეტი უმთავრესი დღესასწაული; ხოლო მეცამეტედ ითვლება ქრისტეს ადღგომა, რომელსაც დღესასწაულთა დღესასწაული ეწოდების.
 - 1. ხარება (უმველესი დღესასწაული),
 - 2. ქრისტეს შობა (დარსებულია წმ. მოციქულების დროს), 3. მიტქმა უფლისა (დარსებულია 542 წ. იმპერატორქოუსტინიანეს დროს), 4. ნათლისღება უფლისა (წმ. მოციქულების დროს), 5. ფერის-ცვალება (მე-III საუკუნიდინ იწყება), 6. იესო ქრისტეს შესვლა იერუსალემში ანუ ოზობა (I საუკუნიდან), 7. ამაღლება (წმ. მოციქულ-ლების დროს), 8. ხულის წმ. მოფენა (წმ. მოციქულების დროიდან), 9. შობა ღვთის-მშობლისა (დაარსებულია მე-XIII საუკუნიში), 10. ტამრად მიყვანება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა (მე-XII საუკუნიში), 11. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა (I საუკუნიდან), 12. ჯვართ ამაღლება (დარსებულია 326 წ.)

რუსეთის იმპერატორების სახელი

ამ კამად რუსეთის იმპერატორების სახელი შესდგება 61 წევრისაგან. მათი იმპ. უდიდებ. ხელმწი. იმპ. **ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე**, დაიბადა 1868 წ. 6 მაისს (სახელწ. 6 დეკემბ.). — უავგუსტოვები მშობელი ხელმწიფე იმპერატორისა, მის იმპ. უდიდ. ხელმწიფე იმპერატორიგა **მარიამ თეოდორეს ასული**, დაიბადა 1847 წ. 14 ნოემბერს (სახ. 22 ივლისს), მეუღლე იყო აწ გარდაცვალებულ იმპერატორის ალექსანდრე მე-სამისა. — უავგუსტოვები მეუღლე ხელმწიფე იმპერატორისა, მის იმპ. უდიდ. ხელმწიფე იმპერატორიგა **ალექსანდრა თეოდორეს ასული**, დაიბ. 1872 წ. 25 მაისს (სახელ. 23 აბრილს), ასული დიდი ჰერცოვისა ლიუდვიგოვ მე-IV და მშობელი მათი დიდი გერცოგინა აღისა. — მათი იმპერატ. უდიდ. ხელმწიფე შეკვიდრე გესარევიჩი და დიდი მთავარი **ალექსი ნიკოლოზის ძე**, დაიბ. 1904 წ. 30 ივლისს (სახ. 5 ოქტ.). — უავგუსტოვსნი ქალები ხელმწიფე იმპერატორისა: მის იმპ. უდიდ. დიდი კნ. **ოფლია ნიკოლოზის ასული**, დაიბ. 1895 წ. 3 ნოემბერს; მის იმპ. უდიდ. დიდი კნ. **ცაყიანა ნიკოლოზის ასული**, დაიბ. 1897 წ. 29 მაისს; მის იმპ. უ. კნ. **მარიამ ნიკოლოზის ასული**, დაიბ. 1899 წ. 14 ივნისს; მის იმპ. უ. კნ. **ანასტასია ნიკოლოზის ასული**, დაიბ. 1901 წ. 5 ივნისს; უავგუსტოვები ძმა ხელმწიფე იმპერატორისა მათი იმპ. უ. დიდი მთავარი **მიხეილ ალექსანდრეს ძე**, დაიბადა 1847 წ. 23 ნოემბერს, უმადლესად დაბტკიცებული თავმჯდომარეა იმ კომიტეტის, რომელიც ფლოტებს გზავნის. — უავგუსტოვსნი ბიძები ხელმწიფე იმპერატორისა: მათი იმპ. უ. დ. მთ. **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე**, დაიბ. 1847 წ. 10 აბრილს; მათი იმპ. უ. დ. მთ. **ალექსი ალექსანდრეს ძე**, დაიბ. 1850 წ. 2 იანვარს, დანიშნულია მთავარ უფროსად ფლოტისა და ზღვის უწყებათა; მათი იმპ. უ. დ. მთ. **კონსტანტინე კონსტანტინეს ძე**, დაიბ. 1858 წ. 10 აგვისტოს, ბრუსიდეტია საიმპერატორ-სამეცნიერო აკადემიისა და სამხედრო სასწავლებლების უმთავრეს სამმართველოდ უფროსი; მათი იმპ. უ. დ. მთ. **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე**, დაიბადა 1866 წ.

6 ნოემბერს, გენერალ-ინსპექტორია კავალერიის. უმთავრესი უმფროსი სახელმწიფო სამმართველოდსი, უმთავრესი უმფროსი სამხედრო გვარდიისა და პეტერბურგის ოლქისა; მათი იმპ. უ. დ. მთ. **პეტრე ნიკოლოზის ძე**, დაიბადა 1861 წ. 10 იანვარს, გენერალ-ინსპექტორია საინჟინერო ნაწილსა; მათი იმპ. უ. დ. მთ. **მიხეილ ნიკოლოზის ძე**, დაიბ. 1832 წ. 13 ოქტ. საბატოთავმჯდომარეა სახელმწიფო საბჭოსი და გენერალ-ფელდგენსმეისტერია უმთავრეს არტილერიის სამმართველოდსი; მათი მფილემი: მათი იმპ. უ. დიდი მთ. **ალექსი მიხეილის ძე**, დაიბადა 1866 წ. 1 აბრილს, მთავარი უმფროსია სავაჭრო ფლოტების მთავარ სამმართველოდსი; მათი იმპ. უ. დ. მთ. **სერგი მიხეილის ძე**, დაიბადა 1869 წ. 25 სექტ. გენერალ-ინსპექტორია არტილერიისა.

სახელმწიფო გვარეულობას რამდენიმე ნაირი შემოსავლიანი წყარო აქვთ საცხოვრებლად. პირველნაირი შემოსავალი, რომელიც «სახუქრად სახელმწიფო ჩაწინიდან» ემლეკად ყოველ წლობით, დაახლოვებით უდრის 1904 წ. 12.845.477 მან., ხოლო 1906 წ. უფრო მეტი—16.359.595 მან. მეორე ნაირი შემოსავლიანი წყარო საუფლისწულო ქონებაა, იმპერატორ პავლე I-ს დროიდან შექმნილი 1797 წ. სახელწოდებით: «უზრუნველ-საყოფელი სამუდამო თანსა იმპერატორების გვარეულობისათვის». ვითომც ეს ქონება ეყიდნოს მარტოდ მეფის გვარეულობას, საყურადღებოა მოვიყვანოთ ცნობები, თუ რამდენად უმატნია ამ ქონებას ახის წლის (1797 წ.—1897 წ.) განმავლობაში. რაოდენობა სხელებული მამულებისა ისე გაიზარდა, რომ ამ კამად 7.900,000 დესეტინაზე მეტი აქვთ. ამაში მარტოდ 5.720.000 დესეტინა ხულ ტყეა. ყველა ამ დიდ მიწებზე გავრცელებულია მშვენიერი ქუჩრნეობა და გამართულია აუარებული მარსანა-უაბრიკები და გაჩაღებულია დიდი ვაჭრობა-მწეწველობა. ისე რომ 1896 წლამდე, საუფლისწულო მამულებზე შემდეგი სხვა და სხვანაირი წარმოება იყო გაჩაღებული:

1500 წისკვილი ქუშაბდა, 1000 სათეკზალ გვიძი მოქმედობდა, 850 საკაჭრო დაწესებულება, 200 ფაბრიკა და ქარხანა და ბევრი კიდევ სხვა და სხვა გვარი წარმოება იყო. საუფლისწულო ქონებათა შორის, სხვათა შორის, ირიგნება იმისთანა შესანიშნავი სე-ტყის ქარხანა, რომელიც მდებარეობს ვოლოგდის გუბერნიამი (ნამუშევარია ყოველ წლივ 200,000 მან.) და იმისთანა შაქრის პლანტაციები, რომელიც წელიწადში 80,000 ფუთ ფრენილ შაქარს იძლევა და სხვ. საუფლისწულო მამულებიდანვე მოჰყავთ ყოველ წლივ საუკეთესო ღვინო; რაც ანგარიშიდანა სჩანს, რომ 1896 წელს ერთი მილიონისა და ნახევარის მანეთის მარტო ღვინო გაუყიდნიათ. უფრო დიდ შემოსავალს იღებენ იჯარით გაცემულ მიწებიდან. დაახლოებით ახი წლის განმავლობაში (1707 — 1897) 2 მილიონ დუბეტინიდან დალა შემოსვლიათ 20 მილიონამდე. ანგარიშით, ამ მამულებმა იმპერატორების წევრებს და საზოგადოდ მათ გვარეულობას 236 მილიონი მან. შესძინა. საუფლისწულო მამულების გარდა სამეფო სასლს აქვს კიდევ სხვა საკუთარი თანხა, ეს ის ფულია, რომელიც ბატონ-ყმობის განთავისუფლების დროს საზინისაგან მიიღეს ყმების გაყიდვით, რაც უდრის 48.659.000 მანეთს (იმ დროს მეფის გვარეულობას სამ-მილიონ ნახევარი ყმა ჰყვანდა). ხოლო იმ თანხიდან, რომელიც ყოველ-წლივით «საჩუქრად სახელმწიფო საზინიდან» ეძლევათ მეფის გვარეულობას, მარტო მეფის მეუღლეს ყოველ წლივრად 200 ათასი მანეთს აძლე-

ვენ. ამასვე იღებს ქვრივი იმპერატრიცა. შვილებს ხელმწიფისას უწლოვანებებს თვითოეულს ეძლევათ ყოველ წლივ 33 ათასი მან. ხოლო ხელმწიფის მეძვიდრეს 100,000 მანეთი. თუ ვინცღონა იმპერატორის ქალი ქმარს წაჰყვა, მაშინ უნდა დაახაჩუქრონ ერთდროულად ერთი მილიონი მანეთით. დანარჩენ საიმპერატორო სახასლის წევრთ ხელმწიფის გვარეულობას, საუფლისწულო მამულების შემოსავლიდან იმპერატორის ყველა შვილებს სრულ წლოვანებს თითოეულად ენიშნებად ყოველ წლივ 150.000 მან. ამ ფულის გარდა კიდევ მიეცემათ ერთ-დროულად სასლის მოწყობა-მცხართავად თითო მილიონი მანეთი. ხოლო როცა დაქორწინდებიან, მაშინ ყოველ წლივრად ეძლევათ 200.000 მანეთი და სახასლის ქონებიდან კიდევ, ყოველ წლივ 35 ათასი მანეთი თითოეულს.

მესამენაირ შემოსავლიან წყაროდ ითვლება იმპერატორების გვარეულობის წევრთა საკუთარი ქონება, მაგალითად, რომელსაც ჰქვიან საკაბინეტო მიწები. ხელმწიფე იმპერატორებს ამ გვარი ქონება აქვთ ციმბირში, რომელიც შეხდგება 42.500.000 დუბეტინისაგან. ასეთივე მამულები ეკუთვნიან ვერობის რუსეთში «ლეივადია» და სხვა. მამულები აქვთ დიდ მთავარს მისეილ ნივლოვზის ძეს საქართველოში, სახელდობრ — ბორჯომში.

ამ გვარად, რუსეთის იმპერიაში რომელიც დიდდონი, საუკეთესო და მდიდარი მამულებია, ყველა რუსეთის იმპერატორების სახლის გვარეულობას ეკუთვნიან.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ხელშეკრულების გამო.

უკვე განვლო ერთმა საუკუნემ მას აქეთ, რაც საქართველომ დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება. უკვე განვლო ასმა წელმა, რაც რუსეთის მთავრობა მაჯლაჯუნისაგით დააწვა ჩვენ ხალხსა და სწოვდა ხისხლს. ამ წნის განმავლობაში ატყავა ქართველი ხალხი; წავგართვა სამართალი, სასამართლოებსა და სასწავლებლებში მოხპო ქართული ენა. ჩვენ ენას «ძადლის ენა» უწოდა. მშრომელი ხალხი მათ გადასახადებს ვედარ აუვიდა. ქართველისთვის პირში ხულოც კი შემუშდა და ყოველთვის იმის

ცდაში იყო, რაც შეიძლება მეტი ხალხი გადმცხასლებინა შიდა რუსეთიდან ჩვენ საუკეთესო მიწა-წყალზე მაშინ, როდესაც ერთი ციდა ადგილი ჩვენც არა გვყოფნიდა. მთავრობა ყოველთვის იმის ცდაში იყო; რაც შეიძლება ისეთ ექსარხობები გამოეგზავნა, რომელთაც უფრო კარგათ გაემარცვათ და გაეყვლიათ უძველესი ივერიის ეკლესიის ქონება. ძალით აღმოვეწვრათ ქართული ენა და შემდეგ ნამარცვ ქონებითა და ფულით დაბრუნებულიყვნენ რუსეთში. ასე მოიქცა ევსევი, რომელმაც

200,000 მანეთი დაუტოვა თავის მემკვიდრეებს და შავლევ, რომელმაც გვერთხით ხელში დახსყევლა ივერიის ეკლესია და თვითონაც წყეულს ხალხის მიერ გაიქცა საქართველოდან.

სინოდმა აუწერელ ვნებისა და ბრძოლების მეტი არაფერი მისცა ქართულ ეპარქიას. მისთვის ეს ეკლესია ნამდვილი ბარბაროსული ქვეყანა იყო. სინოდის მოხელეებმა მტკავარში გადაყარეს ყველა კანონი და დადგენილებანი შესახებ ქართულ ეკლესიას, დასწევს აუარებელი უძველესი საეკლესიო დოკუმენტები; რაც დარჩა, პეტერბურგში წაიღეს და იღობს ივერიის ეკლესიასაც ავტოკეფალია წაართვა. მათ მღვდელს 25 ეპარქია, რომელთა შორის ზოგი XV საუკუნეს განსავლობაში არსებობდა, გაანადგურეს მრავალი ძველი მონასტერი და ქართული საეკლესიო მამულებიც საწინას გადასცეს.

გარყვნილი ექსარხოზი ფეოფილაქტი პირდაპირ ახრჩობდა ქართველებს და იქამდის მივიდა, რომ შეესო წმიდა ნიხლს საფლავსაც, მაგრამ ღმერთმა აღარ დააგალა და იქვე საფლავთან ამართვა სული; ექსარხოზმა ვეგენი ბაქენავმა მონასტრები და ეკლესიები დაქურდა; ისიდორემ ქართულ ეკლესიებს მამულები წაართვა; ექსარხოზმა ევსიევი სლინსკიმ, რომელიც მეტად გახრწნილი, თავაშვებული და ქალის მოყვარე ადამიანი იყო, გაყიდა ქართველ კათალიკოსთა უმჯობესესი სამოხელი, სატეხსა და სამოხლებს მვირთუასი თვლები ჩამოხსნა და მონაწილეობა მიიღო გელათის მონასტრის დატყვევებაში. ექსარხოზმა ვესევიმ რამდენიმე ახი ათას მანეთი იმევა, იმის ეგზარხოზობის დროს კი ქართულ ეკლესიას ორი მილიონ მანეთის ნივთები დაეკარგა. ამის გამო თავად-ახნაურთა წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა 8 ივნისს 1887 წელს ექსარხოზს წერილი მისწერა და შეუთვალა, ბოდიში უნდა მოისადრთ ქართველ ერის წინაშე. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა: დონდუკოვ-გორსაკოვმა ექსარხოზის თხოვნით ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლა. მალე ყიფიანი პეტერბურგში გაიწვეს საქმის გამოსაკვლევადა, მაგრამ იგი მოკლულ იქმნა. იმ სასტუმროში,

სადაც სცხოვრობდა. მოსყიდული მკვლეული ვერ აღმოაჩინეს.

1870 წლამდის გელათის მონასტერს აუარებელი სიმდიდრე ჰქონდა. იმ დროს გელათში ინახებოდა: უძველესი, მე-XI საუკუნის ქართული სასარგებო ოქროს ყდით იშვიათის და საუნესოვო მაიოლიკებით. ეს სასარგებო ეგზარხოზის ნებართვით წაიღო ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა რომელმაც ოქრო ჩამოხსნა და ვერცხლის ყდა გააკეთებინა. ესლა წინანდელი ოქროს ყდა ინახება პეტერბურგის სტროგოვოვის მუზეუმში, რომელსაც იგი გრაფმა პანინმა გადასცა.

ამ ყდაში ინგლისელები იძლეოდნენ ერთ მილიონ მანეთს. ამავე ეკლესიაში ინახებოდა იმერეთის კათალიკოსთა საპატრიარქო სამოხელი, რომელიც სტამბოლის აღებამდის იყო გაკეთებული და ძალიან ძვირად ღირდა. ამ სამოხელიდან გადაადნეს 8 გირვანქა ოქრო, სოლო მარგალიტებიდან და ფირუსებიდან ქალებს სამკერძულები დაუკეთეს. გელათის მონასტერი გასმარცხეს პანინმა და ლევაშოვმა ეგზარხოზის ნებართვით. ამავე ხანებში ამავე ეგზარხოზის ნებართვით სიონის უმჯობესეს ტაძრიდან დაიკარგა აუარებელი სიმდიდრე: ოქრო, რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუსი და სხვა ძვირფასი ქვა. ასეთივე დღე დააყენეს მცხეთისა, ალავერდისა, ბოდბისა, ნინოწმინდისა, ივანე ნათლიმღებლისა, ჯუმათისა, შეშქმედისა და სხვა მონასტრებსა და ტაძრებს.

რამდენიმე წლის წინად სიონის ტაძრიდან გრაფმა ბობრინსკიმ ეგზარხოზის ნებართვით მრავალი ძველი სელნაწერი წაიღო. გელათის მონასტრიდან დაიკარგა საპატრიარქო თვალ-მარგალიტებით შემკული მიტრა, რომელსაც ამშვენებდა მეფე ვახტანგის გვირგვინის ბრილიანტის ჯვარი. ვახტანგმა ეს იშვიათი და საუნესოვო ბრილიანტები სპარსეთთან ომის დროს იმევა. პავლეს დროს მეტეხის სობოროდან დაიკარგა სუთი ათას თუმნად ღირებული მეტეხის ხატი, რომელიც წინად სამკლიტურში ინახებოდა. 1891 წელს ეს ხატი ამავე ეკლესიის სახურავის ქვეშ იპოვეს, მაგრამ ზედ აღარაფერი ჰქონდა. იმავე ეგზარხოზის დროს სიონიდან დაიკარგა

მკორფაბი სინაქსონდის ღვთისმშობლის სატი. პალადიმ ერთ სომეხ მსატვარს ნება დართო საქართველს მინასტრები- დან მრავალი სატი წაეღო და გაეყი- და. ამიტომ მცხდა, რომ უძვირფასესი და საუკეთესო ქართული მანუსკრიპტები ღონდონსა, რუმსა, პარიზისა და ბერლი- ნის ბუნეუბებში ინახება.

ამ ეამად ქართულ საეკონარხოცოზე ინარ- ჯება 809,000 მანეთი. აქედან 200,000 მან. ინარჯება რუსისა და ბერძნების საქმდე- ლებზე და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებებზე, მაგრამ ამაზე უფრო საინ- ტერესო ის არის, თუ რამდენიმე სახალ- სო ქონება წაიდო რუსეთის მთავრობამ საქართველოდან.

ქართულ ეკლესიას რუსეთის მთავრობამ ჩამოართვა ტფილისში: არგელს აბანო, 13 ბაღი, 11 ხაზლი, 28 დუქანი, 1 სამღე- ბნო, 1 ხათეკნავო ადგილი, ქარვასლა და ადგილი წამით 437,719 ოთსკუთხი საყენი, საერთოდ ღირებული 28,910,000 მანეთად. ტფილისის გუბერნიაში: 2 სა- გაჯო ადგილი, 11 საკირე, აგურსანა, 9 სამღებნო, 2 თევსის დუქანი და 282,600 დესეტინა მიწა, სულ 79, 570,000 მანეთად ღირებული; იმერეთში: 40,475 დესეტინა მიწა 29,787,500 მანეთად ღირებული; გუ- რიაში: 356 დესეტინა 328,000 მანეთისა, საერთოდ კი მოიღოს წართმეული ქონება ღირს 137,600,000 მანეთი. ამას რომ საე- კლესიო 14147 კომლი გლეხი მივუმატოთ 140,330,000 მანეთზე მეტი გამოვსა.

ამრიგად, რუსეთის მთავრობამ ქართველ ერს ახ-ღრმადი მილიონი მ. წაართვა. მე- რე იგი, რას ნიშნავს ერთი ბუჭა ხალ- სისათვის ახ-ღრმადი მილიონი მანეთი? ამ აუარებელ ქონებას სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 15 მილიონი მანეთი წმინ- და შემოსავალი ექნებოდა.

საყურადღებო ის არის, რომ სომხებს 1905 წ. მთავრობამ უკანკე დაუბრუნა საეკლესიო მამულები; საქართველო საე- კლესიო მამულების შემოსავალი კი, რო- ძელიც წელიწადში 10 მილიონ მანეთს უდრის, დღესაც ხაზინას მიაქვს და ამ ფულიდან ქართულ ეკლესიაზე მხოლოდ 1/10-ს ხარჯავს. რომელი ერთი უნდა მოითვალდს რუსეთის მთავრობის საქმენი ხავიბრნი.

კერძო კაცის ცხოვრებაში ასი წელი- წადი დიდი მანძილია, ამ ხნის განმავლ- ბაში კაცი იზრდება, ვითარდება თანდა- თან ბერდება და კვდება კიდეც. ერის ცხოვრებაში, რაც უფრო მეტი დრო გადის მეტი გამოცდილება, მეტი სიბრძნე და აზრის სიმწიფე ემატება ხალსს. განვლილი ასი წელიწადი ამ გამოცდილების, გამჭრია- ხობის და ივითცნობიერების თავდებო- უნდა იყო. განვლილი ცხოვრება, თავისი შეცდომებით, თავის უკუღმართობით გონ- ნების გახვარჯიშებელი, გონების გამოხა- ფისწლებელი მასალა უნდა იყო.

განვლილი ერთი საუკუნე წარსული ცხოვ- რებისა გვაგალებს, რომ ჩავუფიქრდეთ ჩვენს მომავალს. რა არის ჩვენი მომავალი? ერთი კალმის მოხმით არ ითქმის, ვერ გადაწყდება. იმას დიდი მოფიქრება უნდა, წარსულის ცოდნა, წარსულ ცხოვრებას- თან თანამედროვე ცხოვრების დაკავში- რება. ამ კითხვებზე პასუხის მოცემის- თვის ერთად-ერთი უტყუარი გზაა—თვით- ცნობიერების განმტკიცება, გაღრმავება. თვით-ცნობიერების გაღვივება სულიერ წარმატების თავდება.

ერის ცხოვრებაში მიხწრაფება ციდან- კი არ უნდა ჩამოვარდეს, არამედ თვით ცხოვრებიდან წარმოხდეს, იმის საჭირო- ებიდან, მხოლოდ ეს ჩვენი საჭიროების უცადინარობა, სხვათა შორის, ჩვენი წა- რსულის უცადინარობიდან იბადება. და- ი სწორედ ამისათვის აუცილებლად სა- ჭიროა შევიძინოთ და გავითვალისწინოთ ის სანა ჩვენის ისტორიისა, როდესაც სა- ქართველო, როგორც დამოუკიდებელი, ბოლიტიკური მთელი რუსეთს უერთდებოდა და როდესაც სწყდებოდა მისი მო- მავალი სვე-ბედი.

ერთ-მორწმუნე პატარა საქართველოც ერთი შეუერთდა რუსეთის ძლიერ ერს, შეუ- ერთდა თავისი ნებით და არა ბრძოლით. როგორც ტრაქტატები მწმობენ, საქარ- თველოც მართვა-გამგეობა დამოუკიდე- ბელი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ სააქაო სამოთხე იმოვნა, როგორც იყო და არის საქართველო, ამის მაგიერ ჯილდოთ გვიძღვნა ტანჯვა-წამება; აკლე- ბა-აღსრება. რაც ამ ახ წელს დააკლდა და ვერ შეიხრულა, ეს უკანასკნელ წლებ- ში შეგვისხრულა. გაგვასხენდა შაჰ-ანა-

წის და ადა-მაჰმად-ხანის დროინდელი ხანა. ისე ააღწრა ყველაფერი საქართველოში, რომ ქვა-ქვანე აღარ გაუშვა. გაანადგურა და გვეცხლს მისცა დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლები. აღარ დაინდო მოხუცი, აღარც უხუხური ბავშვი, ყველას ნაძუსი აწნადა რუხის მხედრობამ. ხალხი ტყვეებში გაიხიზნა. რათა შვილს დედა და ქმარს — ცოლი გადაერჩინა პილწ ბაშიბუზუკების ხელიდან. ყველგან ხისხლის მორევი იდგა. საქართველოვს ქალაქებში სახრჩობელა დადგეს და ზედ დაჰკიდეს სიძარტლის მაძიებელი, წუთი-სოფელს გამოასალმეს მართლის მთქმელი. ამ უკანასკნელ ორ წელს საქართველოდან რუსეთის ცივ ქვეყნებში 200,000 კაცი გადადღებეს. აი ასეთი ჯილდო უძღვნა რუსეთმა საქართველოვს იმის შემდეგ, როცა «ბრწყინვალე თავადაზნაურობამ» დიდის ამბით იდღესასწიფლეს 1901 წელს, რუსეთთან ახი წლის ტანჯვაწამება და დიდი ქებათა-ქაბა შეასხეს რუსეთის მოღვიდულ მოხელეებს.

ჩვენმა ხალხმა და მასთან განათლებულმა საზოგადოებამ თითქმის სრულიად არაფერი იცოდნენ და არც იციან ამ დიადის პოლიტიკურის მოვლენის შესახებ და ამიტომ ურიგო არ იქნება დავებუდით მოკლეთ მანინგ ისტორიული ცნობები, რათა ჩვენმა ხალხმა გაათვალისწინოს უმთავრესი მომენტი ისტორიულის ფაქტისა. ვიდრე საქართველო საბოლოოდ შეუერთდებოდა რუსეთს, რამდენიმე ტრაქტატი იყო შეკრული რუსეთსა და საქართველოვს შუა. პირველი და უმთავრესი მომენტი არის 1783 წლის ტრაქტატი, შეკრული რუსეთის დედოფლის ეკატერინე დიდისა და საქართველოვს მეფის ერეკლე მე-II შუა. რადგან ოფიციალური ტრაქტატი ძველის ერთი არის დაწერილი და ცოტათი გაუგებარია. ამიტომ საჭიროთ ვსცანით ტრაქტატის შინაარსი მოკლედ და მარტივად გადავხედო მკითხველთ.

მუხლი 1. 1783 წლის ტრაქტატით ქართლისა და კახეთის მეფედ იცვნიეს უზენაესი ხელმწიფება და მფარველობა რუსეთის იმპერატორებისა და პირობა მისცეს მათ ერთგულებისა და სახელმწიფოს სახარგებლოდ მსახურებისა.

მუხლი 2. რუსეთის იმპერატორებმა კი

მიიღეს თავიანთ თავსე ეს უზენაესი მფარველობა ქართლისა და კახეთისა და პირობა დასდეს, რომ სეულსელებლად შეინახვენ ამ სამეფოს ტერიტორიას.

მუხლი 3. ქართლისა და კახეთის მეფეებმა მოვალეობად მიიღეს მემკვიდრეობით ტახტზე ასვლისას გამოითხოვონ იმპერატორებისგან დაძტვიცება და ინვენსტიტურა.

მუხლი 4. უცხო სასელმწიფოებთან დამოკიდებულება დაუმორჩილონ იმპერატორების კანტროლს.

მუხლი 5. რუსეთის მთავრობასთან დამოკიდებულებისათვის ქართლისა და კახეთის მეფეს უნდა ჰყოლოდა მინისტრი, ან პრეზიდენტი რუსეთის ტახტის წინაშე და რუსეთის მთავრობას — ქართლ-კახეთის მეფის ტახტის წინაშე.

მუხლი 6. რუსეთის იმპერატორებმა ვალად იდგეს: ქართლისა და კახეთის ხალხი მიიღოს, როგორც რუსეთის ახლო მოკავშირე და მათი მტერი ჩასთვალოს თავის მტრად; მეფე ირავლი და მისი მემკვიდრენი დახტოვოს განუწყვეტლივ ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე, ქვეყნის შინაგანი გამგეობა, სამართალი და ხარჯის მოკრევა ყოფილიყოს ქართლ-კახეთის მეფის სრულს უფლებებაში და რუსის არც სამხედრო. არც სამოქალაქო მოხელეთ უფლებება არ ჰქონოდათ რაიმე განკარგულება მოეხდინათ.

მუხლი 7. ქართლისა და კახეთის მეფეებმა ივალეს: თავანთ ჯარებით ყოველთვის მზად ყოფილიყვენ იმპერატორის სასამსახუროდ, დაეკმაყოფილებიათ ყველა კანონიერი მოთხოვნილება მისი (იმპერატორი) წარმომადგენლისა, დაეფარათ რუსეთის ქვემოვრდომნი ყოველგვარ შეურაცხუფისაგან და შევიწროებისაგან და მოსამსახურეს პირთა დაწინაურებისა და დაჯილდოების დროს სახეში მიიღონ ამ პირობის დამსახურება რუსეთის ტახტის წინაშე.

მუხლი 8. ქართველთა კათალიკოსი დაინშნოს უწმიდესის სინოდის წევრად.

მუხლი 9. ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას მიეცა რუსეთის თავადაზნაურობის უფლება-უპირეტესობანი.

მუხლი 10. ქართლ-კახეთის ყოველ ძვხლო-

ვრებს რუსეთში დასასლების, იგზავრობის და დაბრუნების უფლება ჰქონდეს.

მუსლი 11. ქართლისა და კახეთის ვაჭრებს რუსეთში და რუსეთისას ქართლ-კახეთში თანაბარი უფლება-უბირეტესობანი ეძლეოდეთ.

მუსლი 12. ეს ტრაქტატი სამუდამო და უცვლელია და თუ რაიმე ცვლილება ზემოდ მოყვანილ ტრაქტატში შეიძლება მდინდარიყო, მხოლოდ ორივე მხარის (ქართლ-კახეთისა და რუსეთის) თანხმობით.

გარდა ამისა, ოთხის განსაკუთრებულის მუხლის ძალით, ირაკლის ეძლეოდა რჩევა-თანხმობა დაეცვა იმერეთის მეფე სოლომონთან და ყოველი მათ შორის მდინდარი უთანხმოება უნდა გაერჩია ეკატერინე მე-II-ს. გარეშე მტრების მოხაგერებლად მეფე ირაკლისათვის უნდა მიეცათ ორი ბატალიონი ქვეითა ჯარისა ოთხის ზარბაზნით; თუ ომი ასტყდებოდა, კიდევ უნდა მოხლოდა დახმარება სასდვარსზე მდგარ უფროსისაგან და პირობა იყო, რომ რუსეთის დედოფალი ყოველ დღეს იღონებდა, რათა დაებრუნებინა ირაკლისათვის ყველა ის ადგილები, რომელნიც ეკულადგანვე ქართლ-კახეთის სამეფოს ეკუთვნოდნენ. ტრაქტატით, ირაკლის ეკუთვნოდა ტიტული «უმაღლესობა». ჩამოვიდა პეტერბურგიდან ინვესტიტურის წიგნები, დედოფლის გრამოტა ტრაქტატის სატიფიკაციით.

ეს სელ-შეკრულება ეკატერინე დიდისა და ირაკლი მეორისა დიდის აზბით გამოაგზადეს ტფილისში 20 აგვისტოს, ნოემბერში კი ირაკლის ჩამოუტანეს ეს სელ-შეკრულება ეკატერინეს სელ-მოწერილი და დამტკიცებული. ირაკლიმ ერთგულობაზე შეჰფიცა რუსეთის იმპერატორებს; თავ. გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნა ირაკლის წარმომადგენლად რუსეთის იმპერატორების ტახტის წინაშე; ნოემბერშივე ტფილისში ჩამოვიდა ორი ბატალიონი რუსის ჯარი. ორივე მხარე მეტად კმაყოფილი იყო: ირაკლი იბიტომ, რომ ეგონა — მშვიდობიანობის და სელშეუშლელის ცნოვრების და განვითარების სანა დაუდგა საქართველოზა და ეკატერინე მეორე კი იბიტომ, რომ სისხლ-დაუდგრელად, უმხზვერბლოდ ასეთი ძვირფასი განძი

შესძინა, რუსეთის იმპერიას, როგორც იყო და არის საქართველო.

ამგვარად ქართლ-კახეთის სამეფო შეიქნა რუსეთის იმპერიის პროვინციად და ამით გადაწყდა საქართველოს დანარჩენ ნაწილების ბედიც, არა თუ საქართველოს, მთელი კავკასიისა და მის მეზობლად მცხოვრებ ხალხისაგ.

ეკატერინე მეორე გარდაიცვალა და რუსეთის ტახტზე ავიდა პავლე პირველი. ქართლ-კახეთის შესახებ პავლე თავის დედის პოლიტიკას დაადგა: იგი უარს არ ამბობდა იმ უფლებაზე, რომელიც შიანი-კა 1783 წლის სელ-შეკრულებაში და რაც შეესება ამავე სელ-შეკრულებაში აღნიშნულ მოვალეობას. იგი სწერს გენერალ გუდოვიჩს: «თანახმად მეფე ირაკლისთან დადებულ სელ-შეკრულებისა, თქვენ წესისამებრ უნდა მოეცნათ ამ ძფლობელს, შეაგონოთ მას რომ კეთილ-განწყობილებაში იცხოვროს რუსეთის მეგობარ ძფლობელებთან, რათა საჭიროების დროს შეერთებულის ძალით წინააღმდეგენ ჩვენს მტერს».

მეფე ირაკლიმ გაიგო თუ არა პავლე პირველის ტახტზე ახვლა, პეტერბურგში გაგზავნა ელჩი გარსევან ჭავჭავაძე. ეს უკანასკნელი მეფის სახელით სთხოვდა რუსეთის იმპერატორს არ მოეგლო თავის მფარველობა ქართლ-კახეთისათვის, დაემტკიცებინა მეფის ტახტის შემკვიდრედ მეფის მე გიორგი და ებრძანებია რუსის ჯარებისათვის საქართველოში დარჩენა, სანამ საჭირონი იქნებოდნენ. ეს ჯარები უნდა ჩამდგარიყვნენ ქართლ-კახეთის ციხეებში, რომელნიც ამ გვარად რუსების სელში გადადიოდნენ. რამდენიმე თვის განმავლობაში იმპერატორმა პავლემ არავითარი პასუხი არ მისცა ირაკლის წარმომადგენელს. სოლო 1797 წლის ბოლოს შეატყობინა გარსევან ჭავჭავაძეს, რომ მისხ თხოვნას საქართველოში ჯარების გაგზავნის შესახებ, ესლა ვერ დააკმაყოფილებო. მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენელმა პირდაპირ წამოაყენა კითხვა—ძალაშია, თუ არა 1783 წლის ტრაქტატი? თუ ძალაშია. ელჩი თხოვლობს აღთქმულ დახმარებას; თუ არა და, მაშინ რუსეთმა უარი უნდა სთქვას თავის სელ-მწიფობაზე. აგრეთვე გარსევან ჭავჭავაძე

სთხოვდა რუსეთის მეფეს, თუ შემწეობის ადმცხენა არა სურდა რუსეთის შთავრძობას, ნება მიეცათ ირაკლისთვის საშეფოხათვის საჭირო განწყობილება მოეწყო ქართლ-კახეთის სამეფოს მესობლებთან.

პაგრამ საქართველოს მეფე ირაკლის არ დახვალდა კიდევ ერთხელ თავის სამეფოსათვის. 11 იანვარს 1798 წელს იგი გარდაიცვალა თელავში.

ირაკლის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფედ აღიარებულ იქმნა ირაკლის ძე გიორგი მე-XIII-ე. გიორგი მეფე მოკვლემული იყო როგორც გონების გამჭრიახობას, ისე შტკიცე და გაბედულ ხასიათსაც. გიორგის შეეძლო მსოფლიდ გატკეპნილ გზასზე სიარული. ახალ გზას იგი ვერ გამოანახავდა, თუნდა ეს გზა ხალხისთვის სახიროდ და სახარგებლო ყოფილიყო. ტახტზე ასვლისათანავე გიორგიმ წერილი მიხწერა რუსეთის იმპერატორს პავლეს და სთხოვა, თანახმად 1783 წლის ტრაქტატისა, დაემტკიცებინა იგი ქართლ-კახეთის მეფედ და შვილი მისი დავითი მის შემკვიდრეთ. 1799 წლის ნოემბერში გიორგი მეფეს მოუვიდა პეტერბურგიდან დამტკიცების ქაღალდი და ინვენტიტურის ნიმუშები და თვითონაც მიიღო ფიცი რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე.

1709 წლის ტრაქტატით, ქართლ-კახეთის სამეფო იყო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ, მისი ტერიტორია არა თუ ხელ-უსვლელი უნდა დარჩენილიყო, მკვლად დაკარგული ადგილებიც კი შემდეგის დაგვარად უნდა შემოერთებოდა მას; გარდა ამისა სამეფოს მართვა-გამგეობა მუდამ ეროვნულ დინარტიის წარმომადგენელთა ხელში უნდა ყოფილიყო. რადგან მესობელ ერებს სძულდათ რუსების საქართველოში გაბატონება, და ძალიანაც აირია შინაური საქმეები, ამიტომ მოიხურვა გიორგი მეფემ, რაც შეიძლება შეეზღუდა ქართლ-კახეთის მეფის უფლებანი და გარდაეცა რუსეთის იმპერატორისათვის. გიორგი მეფე სწერს თავის ელჩებს პეტერბურგში:

«წელსა ჩდთ, სექტემბრის 5 ჩვენ მიერ მიცემულნი მათისა იმპერატორების დიდებულების წინაშე წარსაყენებულნი ჰაზრნი მღხსენებანი, რომელიცა ჩვენგან წარვლი-

ნებულთა ჩვენს ერთგულთა ყმათა უფალთა დებსანთა მოგუცათ.

«უმსხვერბლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი უზაკველითა და ქრისტიანობრითა ჭეშმარიტებითა მსხვერბლებითა და დაგდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესს დიდსა რუსეთისა საიმპერატორსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულს ნებასა და მსრუნველობასა მათსა, რათა ამიერიდან დაიდვას სამეფო ქართლსიანთა საიმპერიოდ რუსეთისა და წესითა შით, ვითარცა სხვაგან იგი რუსეთსა შინა ბყრობილი პრავინციანი ჰსარგებლობენ.

«შემდეგობად მსხვერბლებისა ყოველად უმდაბლესად წარუდგინეთ იმპერატორსა დიდსა რუსეთისასა, რათა ყაშხა მისგან საქართველოსა სრულსა ძალსა და ნებასა შინა თვისსა მიდებისასა განაძნობს პუნქტსა ამახს შინა თხოველი ჩემის ყოველად უმცირეყალესათა აღთქმითა წერილითა ვითარმედ სახელსა შინა ჩემსა არა აყენოს მეფენი გარდა ოდენ ამეფოს შემკვიდრითი შემკვიდრე ვითარცა წინაპარნი ჩემნი.

«ისეთივე ითხოვეთ ყოველად მოწყალისა ხელმწიფისაგან ყოველად უმდაბლესად თქვენ მიერ შირთქეულითა წერილითა ყოველისა რუსეთისა იმპერიისა შინა სამესამამო ვრავნი. ჩემთვის და ძეთა ჩემთვის საბოლოოდ და, სამკვიდროთ, რომლისაგა ბომება იქმნების ჩემთვის უმწვერვალესი შეკრულობის ნიშნად.

«ეგრეთვე ითხოვეთ ჯამაგირისაგა ჩვენთვის, სამესამამოსა წმითა. უკეთუ ჰაზრნი ესე არ მიდებულ იქმნას, მაშინ ყოველი დამოკიდებულება ჩვენი იქმნების დახსნილი თვინიერ ურთიერთისადმი მკლობლურისა ქეკვისა.

მეფე სრულიად საქართველოში გიორგია. 1800 წლის 23 ნოემბერს ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩების მკვადინგებოთ უკვე დაიწერა და ხელ-მოწერილი იქმნა რწმუნებულთაგან ხელ-შეკრულება გიორგი მეფისა და პავლე პირველისა.

აი თვით პირი ხელ-შეკრულობისა:

მუხლი 1. მისი დიდებულება იმპერატორი ყოველისა რუსეთისა მიიღებს ტიტულსა «მეფე საქართველოსა» და შემდეგნი მისი შემკვიდრენი.

მუხლი 2. ძე მეფისა გიორგბას დავით

ტირულსა «გამკე საქართვეოცისა» და გარდაკალს ესე შთამომავლობით პირმშობდას პირმშობდის.

მუხლი 3. საქართველოცს ერი და მუნ მსახლობელნი 12 წლისა განკრძობაზა არ გაიყუბენ არა რა სარჯთა, რათა დაეწყვიეს თვისსა მდგომარეობაზა შეხდგვ ესოდენთა ბრძოლათა. განსკე საქართველოცს მიიდეგბს რუსეთიდან 12 წელსა მისთვის და სამეფოზა სასლისა წესთათვის 20,000 თუმანს (200,000 მ.).

მუხლი 4. ისა მადანი იქროცისა და ვერცხლისა ახტალასა და მისხანს (მიმხანს) შევა რუსთა განკეპამი და იმითი აივსება ზემო თქმული ჯაში ფულისა.

მუხლი 5. 6000 რუსის ქვეითა ჯარი სრულს კომპლექტითა იდეგება საქართველოში. ქართველნი გამოვლენ ცხენოსნად ამა ქვეითისა ჯარისათვის.

მუხლი 6. ქართველნი შეაგროვებენ ჯარსა ესოდენსა, რავდენიც საჭირო იქნების დასაცველად ხაშდვრებისა.

მუხლი 7. რუსნი წარგზავნიან ინჟინერთა აღსაშენებლად და განსაასლებლად რისეთა მათ ადგილთა. ზედა, სადაც დაისასება საჭიროდ.

მუხლი 8. ფულსა ჩიჭორილსა ტუილისში გქნება ერთსა მსარესა დერბი რუსეთისა და მერვს საქართველოცისა.

მუხლი 9. საზრდოდ რუსეთისა ჯარისთვის მოიყუდება იმავე ფასითა, რამეღოცა იქნება დანიშნული ადგილობრივთა მცხვრებთათვის.

მუხლი 10. რადეცაგ მოხდება აღწერა ხალხისა, უნდა იქნეს კომპლულად და არა თვითო სულათ.

რუსეთის მხრით **როსტოფინი დრაფი.**
საქართველოცისა მხრით **ავალოვი,**
ფაღლავანდოვი.

ამ ხელ შეკრულობას წინ უძღვოდა გიორგი მეფის ელჩების ნიუტა, სადაც უფრო დაწვრილებით იყო ახსნილი თუ რას ითხოვდა ქართლ-გახეთის მეფე და როგორის გავშირის მსურველი იყო იგი. ქართლ-გახეთის სამეფო რუსეთის სრულს დამოკიდებულებაშია და ემორჩილება ყველაფერში რუსეთის იმპერატორს. ბაგრატიონების სამეფო გვარი რჩება სამეფოს მმართველად, მემკვიდრეობით, მაგრამ ამ

მმართველის შერჩენია მხოლოდ აღსასრულს ელჩების უფლება; რაც შეეხება საგანონ-მადებლო უფლებას, იგი საგსებით გადაეცა რუსეთის მთავრობას; ბაგრატიონი მართავს ქვეყანას რუსეთის განიონის საშუალებით, იგი მხოლოდ იმპერატორის მოადგილეა. მას ჰყავს თანაშემწე რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული პირი, რომლის ზედმოწერლად არც ერთს აქვს ძალა არ უნდა შექნებოდა. გამოდის რომ აღმასრულებელი უფლებაც არ უნდა შექნებოდა ბაგრატიონს საგსებით.

სამეფოს მთელი შემოსავალიც რუსეთის მთავრობის ხელში უნდა ყოფილიყო და სამეფოს გამკეშულ ბაგრატიონს განსაზღვრული ჯაზავირი უნდა შექნებოდა. ელჩების ნიუტაში აღსანიშნავია კიდევ ის, რომ ამინისტრაციის ყველა მაღალი თანამდებობანი ქართველების ხელში უნდა ყოფილიყო.

გიორგი მეფის ელჩები დამტკიცებულნი ტრაქტატით და ნიუტით ვაგეშავრენ საქართველოზაკენ—ამათ თავიანთი მისია შეასრულეს და მოვიდნენ მეფესთან.

1800 წლის 15 ნოემბერს, ე. ი. ჯერ იმ დღეს, როცა გიორგის ელჩებს იფიციალურად წარდგენილიც ვი არ შექონდათ პრიეტო ზემოდ მოყვანილ ხელშეკრულებისა, ვაგეშავრა გენერალ გიორგის («ლიონის» ჯარების უფროსს) შეამდეგი უმაღლესი რეკრამბო.

«მეფემ ქართველთა გიორგი ირაგლის მემ, შევიწროვებულსა გარეშე მტრებით და, შეიძლება, უფრო კიდევ საგოთარ მისს ოთახში არსებულ განხეთქილებით ტახტის შემევიდრეობის ვამო, მთანდო თავის ელჩებს, რამეღნიც აქ იმყოფებიან, გამოგვიგზავდეს ჩვენ მისი სერვილი ქართლ-გახეთის მიწების ჩვენ ქვეშევრდომთ ყოფნისა; ეს საქმე მეტად საყურადღებოა, როგორც ამ მიწებისათვის, ისე ჩვენს საზღვრების მივიდობიანობისათვის. ამიტომ გიბრძანებთ თქვენ დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ, რამდენი ჯარი შეგიძლიანთ გავზავნო საქართველოში იმ ჯარებთან ერთად, რამეღნიც ესლა იქ იმყოფებიან. მეფის უხლანდელი ავადმყოფობა ვვაფიქრიანებს, რომ იგი მალე გარდაიხვდება; თუ ვე მოხდეს, მამინგე ვავზავნეთ განცხადება ჩემის სასულითო.

რამ ხანას ჩვენი ნებართვა არ მივიღოდ-
დეს, არ შეუდგინენ საქართველოს მეფის
მემკვიდრის თანამშენახს...

ზეპირად მოყვანილი რუსგზობი დაიწერა
1800 წლის 15 ნოემბერს. ამჟამად წელს 18
დეკემბერს, გამოვიდა უმადლესი მანიფეს-
ტი, რომელშიაც საბოლოოდ არის კადაწყვე-
ტილი ქართლ-გაზეთის რუსეთთან შემიერთ-
ება. მანიფესტი ცნობისგზს გაუჭნავს
იმ განზრახვით, რომ მას იგი გამოეცხა-

დებინა მეფის სიგვდილის დღეს. ამასთან-
ნავე შეტერბურცის მთავრობა სოსიყდა
ცნობისგზს წარმოეყვინა აღწერა საქარ-
თველსი, რათა შესამდებელი გამსდარი-
ყო შესდგომოდენს ასად მმართველობის
დაწყებას.

28 დეკემბერს 1800 წელს გარდაიცვალა
ქართლ-გაზეთის უკანასგნელი მეფე გიორ-
გი მე-XIII და მას დიდად საქართველო
შეუერთდა რუსეთს.

ასტრონომიული ცნობები

ყოფა რამ ასტრონომიაზე

იმ მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის
ცის სხეულთა მდგომარეობას და მოძრაო-
ბას, ეწოდება **ასტრონომია**. ასტრონომია
ძალიან ძველი მეცნიერებაა. ადამიანს ყოვე-
ლთვის აინტერესებდა ცა და მისი მნათო-
ბნი, და რასაკვირველია, დიდი ხნისაგან მთა-
პყრო თავისი ყურადღება ამით შესწავლას-
მაგრამ ასტრონომიის გონივრულ განვითარ-
ებას დიდ ხანს ხელს უშლიდა ასტროლო-
გია. ეს იყო მოძღვრება, რომელიც ასტრო-
ნომბა, რომ ვარსკვლავთა ამა თუ იმ
მდგომარეობის მისედვით შეიძლება ად-
ამიანის ბედ-იღბლის წინ-და-წინ გაგებოდ.
პირველად ეს შეხედულება საფუძვლიანად
დაანგრია ვიძენნიკსა და ასტრონომია
კანათავისუფლა ასტროლოგიისაგან.

ასტრონომიულ დაკვირვებას და გამო-
კვლევას ახდენდნენ უკვე 5000 წლის წი-
ნად ეგვიპტეში და ჩინეთში. ხამურსარად,
ამ ძველ დაკვირვებათა და გამოკვლევებ-
ის შესახებ წერილობითი ცნობები არ
არის მენახული. ძველ ეგვიპტეში, მსწავ-
ლული ხალხი ცალკე კასტას შეადგენდა
და მუდამ იმის ცდაში იყო, რომ თავისი
ცოდნის საიყოფლებდა თავისხავე წრეში
შეენახა და უცხოებისთვის არ გაეგებინე-
ბია. სიღერ ჩინეთში დაახლოვებით 2100
წლის წინად იმპერატორმა შიანანტიმ
ყველა მეცნიერული ნაწერები მცავრდგე-
ბინა და დასწვა. ამ ხანით ძველ დაკვირ-
ვებათა შესახებ მხოლოდ სიტყვიერი გად-
მოცემბა-ლა არის დარჩენილი.

თავის-თავად საკულისხმობა, რომ ძველ
დროში ცის მნათობთა შესწავლა დიდ
ნაბიჯს ვერ წახდგამდა წინ, რადგან მა-
შინ დაკვირვებას ადამიანი ჭიარადოდ,
თავისი თვალის შემწეობით, ახდენდა. მა-
შინ არ იცოდნენ, თუ რა არის ტელესკო-
პი, ესე იგი ის დურბინდი, რომელიც
შერს მდებარე საგანს ადიდებს და ად-
ამიანის თვალს დასახანად უახლოვებს.
მხოლოდ ამ იარაღის გამოგონების შემ-
დეგ აგრეთვე სპექტრალურ ანალიზისა და
ფოტოგრაფის წყალობით ასტრონომიის
განვითარება სწრაფად წინ წავიდა და
მიადწია იმ მეცნიერულ სისწორეს, რომ-
ელიწკედაც იგი დღესა ხდვას.

მ მ ე *)

გამკამა მოწმენდილს დღეში მზე ისეთ
ნაირად იკბინება, რომ თვალის გამტყრე-
ბა არ შეიძლება; დრბულიან დღეს-კი, ან
კიდევ ჩახვლის დროს, პირიქით, თავის-
სუფლად შეგიძლიანთ უცქირათ და გარკა-
დაც დაუკვირდეთ. პირველს შესედგაწკედ
ბრტყელ, რკვალ რათმი გგგენებთ, მკვა-
ლითად, რგვორიც უფლია, მკვრამ დაკვირ-
გება-გამკვლევბა ხულ სხვას გკეუნებბა—
მზე ისეთივე რკვალბა, რგვორც ჩვენი
დედა-მბწა.

მაგრამ რა სიმრგვალეა! რამიდენა რამ

*) ეს წერილები ფლამარონის თხზულებიდან
ნათარგმნია შ. თრონიისის მიერ.

უნდა იყოს ეს უზარმაზარი გასურებული ბურთი! თქვენ იტყვიot მსე ჩვენს თვალს მაგდენად დიდად არ ეჩვენებოდა. იგი თითქმის იმოდენავე გვეჩვენება, როგორც შთკარე. თუ მსე მართლა ძალზედ დიდია, რატომ დიდად არ გვეჩვენება იგი? ეს იმიტომა ჰსდება, რომ მსე ძალიან შორს არის ჩვენსე.

არ შეგიძინევიათ, რა ნაირ პატარად გვეჩვენება საგნები, თუ შორიდან ვუხედავით. მაგალითად, თქვენ წინა ხედვს წიგნი, მაგრამ აბა გაჭმორდით რამდენსამე მანძილზე, რა პატარად გვეჩვენოთ. შორს მიმავალი ვაგი ჭიანჭველის ოდენად მცხან. ერთის სიტყვით, რამდენადაც შორს არის საგანი, იმდენად უფრო პატარად გვეჩვენება. ესევე უნდა ითქვას მსეზედაც. მერე იცით. რა ზღაპრულ სიშორესეა ჩვენგან მსე? 140 მილიონ ვერსითა გვშორავს. ჩვენი დედაძინა მსეხ ირგვლივ შემოვლის დროს ხან უახლოვდება მას და ხანკი ჰშორდება. 140 მილიონი ვერსი! შეგიძლიანთ, ცოტად მაინც არის წარმოდგენა იქონიოთ ამოდენა გაუთავებელ სიშორესე. ჯერ ერთი მილიონი ვერსი რა არის და ასლა 140 მილიონი რადა უნდა იყოს! მაგრამ ამ რიცხვით კიდევ არ განისაზღვრება მსის სიშორე. ლაპარაკი არ უნდა, უფრო კიდევ ძალზე შორს და შორს არის.

ჩვენ მაინც ვეცადოთ, ცოტად თუ ბევრად წარმოდგენა მაინც არის ვიქონიოთ ამ ზღაპრულს სიშორესეედ. ვსთქვათ, რკინის გზა არის გაყვანილი მსემდის და მატარებელი მიჰქრის დღე და ღამ შეუსვენებლივ... ამ შიკრივ მატარებელსაც კი მსემდის სრული 300 წელიწადი ძოუნდებოდა მისახვლეად. ესლა რომ წავიდეს ვინმე, იქიდან მხოლოდ 600 წლის შემდეგ დაბრუნდებოდნენ დედაძინაზე. ლაპარაკი არ უნდა, ამ საოცნებე მოგზაურობის დროს ათი-თორმეტი ჩამომავლონა დაიბადებოდა. ან კიდევ ვსთქვათ თოფი გაისროლოთ მსის პირდაპირ, ტყვია თვალის დახამსაშებაში ვერს გადის. ასე შეუჩერებლივ, რომ მიდიოდეს ხულ, მამინ ცხრა წელიწადსა და ცხრა თვეს ძოუნდებოდა—თითქმის ათ წელიწადსა. ესლა დაფიქრდით თუ მსე იმ სიშორე-

დან ამოდენად გვეჩვენება, მამ ასლო რამოდენა უნდა იყოს?

გაიგეს რა მენიერებმა მსის სიშორე, მერე ადვილად გამოიკვლიეს მისი სიდიდეც. სივრცით მსე ერთი მილიონი და 300 ათას ჯერ დიდია ჩვენს დედაძინაზე; ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საჭიროა 1,300,000 დედაძინის ტოლა ბურთი, რომ ერთი მსე გამოვიდეს. ვეცადოთ კიდევ უფრო უკეთესი შედარება მოვიყვანოთ. ერთ ჯამში ვსთქვათ, ათი-ათასი მარცვალი ხორბალია; ერთს ჩანახში ათჯერ მეტი იქნება, ე. ი. ახი-ათასი, ოცდა ათს ჩანახში სომ ოცდა ათჯერ მეტი იქნება, ე. ი. 1,300,000. მაშახადამე, წარმოვიდგინეთ, რომ ერთს მხარეს ხმევე ერთი მარცვალი ხორბლისა, მეორეს კიდევ მთელი სრავა ხორბლისა, — ოცდაათი ჩანახი და ასე უთხარით თქვენს თავს: ეს სრავა ოცდა ათი ჩანახი ხორბლისა მსე არის და ეს ერთი მარცვალი კი ჩვენი დედა-ძინა! აი, რამოდენა დედა-ძინა მსეხთან შედარებით. ერთის სიტყვით, დედა-ძინა ერთი ბეწვა კენჭია ამოტელა უზარ-მაზარ მსეხთან შედარებით. რომ ვსთქვათ, ჩვენი ძინა მოვაკლოთ მსეხ, ამითი სრულიად არაფერი არ შეეტყობა მას, ისე, როგორც ერთს ჩანახს ხორბალს ერთი მარცვლის მოკლება.

ამ რიგადვე შეიძლება მსის სიძინის გამოანგარიშება. წარმოვიდგინეთ გიგანტიური სასწორი, ერთს გვერდზე ხმევეს მსე, რომ სასწორი გასწორდეს, საჭიროა მეორე გვერდზე 324,000 დედაძინის ტოლა ბურთები დაუდოთ. აი რამოდენაა მსე, რომელიც ძველად ცაში მოცურავე ცეხსლის რგოლი ეგონათ, რომელშიაც ოთხი ცხენი ება და დაატარებდნენ. ოთხი ცხენი დაატარებდნენ 1,300,000-ჯერ დედაძინაზედ დიდს ბურთს, მაგრამ სჯობიან თავი ვანებოთ ასეთს ოცნებებს.

ცის მნათობთა გამოსაკვლევ დასანახათ ვარსკვლავ უ-მრცხველთ აქვთ შორს სათვალე, ანუ ჭოვრი, რომლებითაც საგნები ასჯერ და ათასჯერ უფრო დიდებო მოხჩანან. ამ ჭოვრებით რომ გასინჯოთ მსე, უპირველეს ყოვლისა შეამჩნევთ, რომ ყველგან თანახსწორი ნათელი არ არის. სშირად აქა-იქ მოხჩანან ხალეები,

თითქმის შავი ღრუბლები დასცურავენ მსუსხედა.

მაგრამ ეს ხალები, მართლა შავები კი არ არიან. ისინი მხოლოდ უფრო ნაკლებ გამობეჭმენ სინათლეს და მკრთალად ვკეჩვენებიან. ეს ხალები მრავალ-გვარნი და მრავალ-ნაირნი არიან სიღრმე. მაგრამ რაც გინდა მცირე ხალი იყოს, ჩვენის დედამიწის ტოლა მაინც იქნება. სოფჯერ რამდენიმე ხალი სხანს, სოფჯერ-კი არც ერთი. სხანს ამასთანავე, თუ როგორ იწრდებიან, თანდათან დიდდებიან და ბოლომდე ჰქრებიან. რამდენადაც დიდია ხალი, იმდენად უფრო დიდხანსა რჩება სიღრმე.

რადგანაც ხალები იგვლიან სახეს და ადგილს, ერთგან გაჩნდებიან და მეორეგან გაჰქრებიან. უნდა ვიგულისხმოდ, რომ ისინი ერთს ადგილს გასერებულს კუნძულს ან ზმელეთს არ წარმოადგენენ.

დღურბინდში რომ ჩავიხედოთ, მსე მღელვარე სღვასავით გვეჩვენება, ვსედავთ მასზე მოქანავე უშველებელ ზვირთებს, რომელნიც ერთმანეთს ესლებიან სღვის ტალღებსავით დელვის დროს; მაგრამ ეს ტალღები წყლისა-კი არ არის, არამედ გვესლისა. ტყუილი კი არ გვედინოთ, მსე ირგვლივ გვესლია გაჩადებული, გვესლი გვესისა, საუჯუნო, მუდმივი, ჩაუქრბელი. ყველგან გვესლია, საითაც-კი გაიხედავთ:—გვესლის ტალღები. გვესლის მორბევები, სადა ამასთანავე გვესლის ტალღები ისეთის სისწრაფით გადადგადმოადის, თითქმის სღვა ადელვებულა და კალაბოტიდან გადმოვარდნას აპირბოლ. ეს გვესლი მსის შუაგულიდან გამოდის, სკდება, სმას იღებს, ჰეჭავს, თითქმის აქეთ-იქით იბნევა და ამონავალს ადვილას ჩათხრილი რჩება ადგილი. ამ ჩათხრილ ადგილებს რომ დაუკვირდენ, აღმოჩნდა, რომ ისინი ბევრით წააგვანან დედამიწის ვულკანებს, — აი ეს ვულკანები გვეჩვენება სწორედ მსის ხალებად.

დიდხრობით რომ დაუკვირდეთ ამ ხალებს, აშკარად შეამჩნევთ, რომ ისინი სშირად იგვლიან ადგილებს და ერთიდან მეორეზე გადადიან. ისინი თითქმის რიგრიგით მისდევენ ერთმანეთს. მაგალითად, ვსთქვათ, ერთი ხალი ნაპირას არის, ცოტა სნის შემდეგ ის ნელ-ნელა შუაგულისკენ

იწევს. მიდის ბირდაბირ და შვიდის დის უკან უკვე მიაწევს შუაგულს; ხალი მერე თან და თან გლებში წავა და ბოლომდე უკვე სრულიად ჰქრება. ორი კვირის შემდეგ იგივე ხალი სელასლივ ჩნდება და ძველს გზასედე იწყებს სიარულს ისევ, თუ რამდენიმე ხალი ერთად მოგზაურბენ და არა სცილდებიან ერთმანეთს. ლაპარაკი არ უნდა, მსე დედამიწასავით ირგვლივ ტრიალებს. რომ გავიგოთ, თუ რამდენს ხანს უკან და ირგვლივ შემოიტრიალებს, საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ, რამდენ ხანს უნდა რომელიმე ხალი უკანვე დაბრუნება. დიდის ხნის დაკვირვება-გამოკვლევა ამდოაჩინა, რომ მსე 25 1/2 დღეს უნდება ირგვლივ შემოტრიალება.

ყველა ზემო ნათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მსე ერთს განუსაზღვრელ ბურთს წარმოადგენს, გასურბულს ქურის რკინასავით და მღელვარეს ვით სღვას. რა აუწერელი სიგსე უნდა ტრიალებდეს ამ გასურბულ გვესის ალთა შუა! ამავე დროს ეს გასურბული ბურთი უგზავნის თავის სიგსვლეს გარეშემორტყმულ საგნებს. ჩვენი დედა-მიწა უგლის რა გარშემო მსეს, სხვებთან ერთად იღებს სინათლეს ისე, როგორც ჩვენ გასურბულ ბურთის წინ. მიწა ისე დამორბულია მსეზე, რომ მხოლოდ სულ მცირე ნაწილს ამ სიგსისას იღებს. მაგრამ ეს სიგსე მაინც კიდევ საკმარისია ჩვენთვის. ამაზე კიდევ აწლო რომ ვიყოთ. მეტის-მეტის სიგსით გავსწყდებით. ამაზედ შორს კი რომ ვიყავთ, მსე უფრო ბატარა გამოჩნდება და, ამასთანავე, უფროც გვეჩვენება. ამაზე უფრო ძალზე დიდ მანძილზე რომ ვიყოთ დამორბული, მაშინ სომ მსეს სრულიადაც ვეღარ დავინახავდით. იგი გაჰქრბოდა გარსკვლავეთა მორის და ჩვენ ვეღარ დავინახავდით.

მერე რა მოგვივიდოდა მაშინ? როგორ გავძლებდით უმსეოთ? ამ სინათლისა და სითბოს წყაროს უქონლობას როგორ ავიტანდით? მის წყალობით ჰხდება დედა-მიწასე დღე და ღამე, წვიმა, ამინდი; მას ამოჭყავს სცენარებები, ასარებს სეხილებს, ის ადნობს თევლებს და სიციფსლეს უბრუნებს ზამთარში გაყინულს მთა-მინდორს. უამისოთ ჩენს დედა-მიწასე გაშუდებული სიციფსლის მომსახავი

სიბნელე იქნებოდა. მამინვე სამარებრივი სიცივე შეგვიძრებოდა. ყველაფერი გაწყდებოდა. ცხველებიც, მგენარეულიც და თვით ჩვენც, რადგანაც უსინათლოდ და უსითბოდ არაფერს არ შეუძლიან არსებობა. დედამიწა გადიქვოდა გაყინულ თვალ-გაღუწვდენელ უდაბნოდ და სამარებრივ ძილს მიეცემოდა.

მთვარე

წარმოდგინეთ მშვენიერი ზაფხულის სადამო. უკვე დიდი ხანია, მზე მთას ამოეფარა, სასიამოვნო გრილმა სიომ დაჰბეჭა და დღის სიგნით შესურებული სული გააგრილა. ყველგან სიჩქემა, თითქმის ყველა საუკუნო ძილს მისცემიყოცხ. მხოლოდ ცას მნათობი მთვარე მიჰკვრია და ჭახ-ჭახი გაუდის. აქა-იქ მრავალ ვარსკვლავთაც საყვარლად გაუდით ლაბლაბი. მაგრამ მთვარეს მაინც ვერ შეედრება! მთვარე მეფეა ამკვარი ღამეებისა.

ცოტასანს რომ დააკვირდეთ მთვარეს, ამკვარად შეკამჩნევთ, რომ იგი ყველგან თანაბრად არ გამოსცემს სინათლეს. ზოგიერთი ადგილები მოღურჯოთ გვეჩვენება, თითქმის საღები არისო. ეს უსწორ-მასწორო საღები, თითქმის კაცის სასკეს გვაგონებს. მაგრამ საჭიროა დურბინდში ჩავიხედოთ, რომ ნათლად წარმოვადგინოთ მთვარის მოყვანილობა. დურბინდი სამინლად დიდად დაგვანახვებს მთვარეს და მოგვიანლოვებს, რომელიც შემდეგს სურათს წარმოგვიდგენს.

მრავალ ალაგს მოხანს უზარმაზარი მთები, ზოგან კიდევ თვალ-გაღუწვდენელი ველ-მინდვრები. ყველა ეს ისე ნათლადა სჩას, რომ დაწვრილებითი შეგიძლიანთ გამოსთვალათ სად რა სეაბებია, უფსკრულები, ფოლორცი ადგილები და სხვ. მთვარე, გვინათ, 200 ვერსის სიშორეზეა. ვარსკვლავთ-მრინცვლელებმა სისრულით შეისწავლეს, სად რომელი მთა არის, რომელი ბარი, გასომეს, გამოიკვლიეს და ბოლღს, სურათები და გეგმებიც კი გადიდეს ისე, როგორც არის გადაღებული და დახატული ჩვენი დედა-მიწა. ბოლღს დროს ფოტოგრაფიითაც კი იღებდნენ მთვარის სურათებს ისე, როგორც კაცები-

სას. ესლა შეგვიძლიან თაქამადა ვსთქვათ, ისე ვიცით მთვარეს ავლა-დიდება, თითქმის იქა ვყოფილიყვეთ.

დიდათ საინტერესო იქნებოდა, რომ კაცს შეეძლოს მთვარეზე მოგზაურობა. გაიკეთოს ფრთები და გაფრინდეს იქითკენ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს შესაძლებელი არ არის. იქნებ შეიძლებოდეს იქ ჰაერლხტატიო მისვლა! მაგრამ სამწუხაროდ ესეც არ შეიძლება, რადგან ჩვენ ზევით რამდენიმე კერსის შემდეგ აღარ არის ჰაერი. ამიტომ, ვერავინ ვერასდროს ვერ მოჰხვდება მთვარეს.—ძალიან სამწუხაროა!

მთვარესე რომ წასვლა გვინდოდეს და ვსთქვათ, რკინის გზა იყვეს გაყვანილი, სრულს ითსას დღეს მოკუნდებოდით გაუჩერებელიც 36 ვერსს რომ გავდიოდეთ საათში. რომ შეიძლებოდეს ზარბაზნის ტყვიას გაყვეთ, რომელიც თვალის დახამხამებაში ვერსს გადის, მაშინ 36 საათი მოგვინდებოდა და მხოლოდ მეორე დღეს დავბრუნდებოთ უკან. ყველა ეს რასაკვირველია, ოცნებაა, მაგრამ ჩვენ ამითი გვინდა, ცოტად მაინც არის, ნათლად წარმოდგინოთ მთვარის სიშორე. თუმცა ასე შორს არის, მაგრამ ჩვენის გონებისთვის მაინც მისაწოდებია. წავიდეთ და დაგათვალიეროთ. აი კიდევაც მივედით.

ესლა ჩვენი ვართ ქვებით მოფინილს ადგილსე, ირგვლივ სულ ხალის კლდის ნამტვრევებია, თითქმის რამე შენობა დანგრეულიყვეს, აქვეა თქვენს გვერდით უზარმაზარი ბუმბერაზი მთები, რომელთა წვერები ზევას ებჯინებთან. ავიდეთ რომელსამე მთასედ. ახვალთ თუ არა წვერსედ, თვალწინ წამოგიდგებათ სულ სხვა სურათი. მთა შიგნით ჩადრმავებულია და თვალი ვერ ჩავვიწვდენია ძის ძირამდის. აქ ერთს დროს ვოლკანის ყოფილა, მერე ჩამქრალა და იმისი დანარჩენია ეს თვალჩაუწვდენელი უფსკრული.

ის მთა, რომელსედაც ჩვენ აველით; ერთი უმაღლეს მწვერვალთაგანია მთვარესედ; სიმაღლით 6 ვერსი აქვს. აქ ამ მთიდან შეგიძლიანთ დაინახოთ მთელი არემარე მთვარესე. თქვენს ასლოვგე არის დრმა დელები, კლდე-დრე, უფსკრულები. ირგვლივ სულ მთებია, ვოლკანები და უძირო თვალჩაუწვდენელი. ვოლკა-

ნები ისეთი დიდი და უსარმასრებია, რომ დედა-მიწაზე იშვიათად შეგზვდებათ მისხაირნი.

საზოგადოდ, მთვარის მთები გასაკვირვებლად მაღლებია, არა იშვიათია $4\frac{1}{2}$ — $6\frac{1}{2}$ ე. ი. მაღალი არიან თვით მიწბლანსედაც, რომელიც ყველაზე მაღლად ითვლება დედამიწაზე. მთა დორფალი (მთვარის მთებსაც სასელები უწოდებს) სიმაღლით 7 ვერსს აღემატება, მთა ნიუტონი 20,000 ფუტის სიმაღლეა. როგორც მაღალი მთებია, ეგეთივე უსარმასრნი არიან ჩამქრალი ვულკანების ნაადგილევი; ერთს, მაგალითად კლავიუსისას 200 ვერსი სიგანე აქვს. სრული ორი კვირა დაგვიჭირდებოდა მის იგრვლივ შემოსავლელად.

მთვარის მთები თეთრ ცარცის შინაგარ ქვებისაა. ამ ქვებს, მზის სხივით განათებულებს, ბრჭყვიანი გაუდით ისეთ ნაირად, რომ თვალებსა გჭრით. აი რისთვის, გვეჩვენებიან მთვარის სოვიერთი ადგილები ძალზე ბრჭყვინავი; ბარი და კელ-მინდორი კი ცოტა მქრალად. აი ეს მინდორ-ველებია მთვარის სალები.

რა ნაირი მოწყენილი, უფერული სახე ხდევს აქაურობას! ეს უსიციფლბობა იმით აისხნება, რომ მთვარეზე არც ჭაერი და არც წყალია და თუ ჭაერი და წყალი არ არის, რასაკვირვებია, არც ღრუბლები და არც წვიმა ეცოდინება. აქ არასდროს არ ჭირის ქარიც კი, რომელიც ზვეს დედამიწას ცხელს საფსულის დღეებში გულს უგრძილებს და სიცოცხლეს აძლევს. მზეს აქ ჭანჭანის გაუდის და საშინლად იკბინება და სწვავს; მაგრამ სხადეთ აბა და თავი შეაფარეთ ჩრდილს მთის გვერდით, მაშინვე ბნელში გაეხვევით და სიცივე მოგიტყვით. მზისკენ მიბრუნებულს მხარე განათებულია, იქითა გვერდი კი, პირიქით, უკუნეთ სიბნელეს მოუგვამს, მაღალს, თვალ-მეუწვდენელს მთებზედ არც თოვლია, არც ყინული, არც ჩანჩქარა პატარა ნაკადულები. არ არის აგრეთვე არც წვეები, არც თუ ტბები. თუმცა კი წინედ წდევბად ის შავი სალები მოახნდათ, რომელზედაც სვეითა გვიქრდა ლაპარაკი და, რომელნიც ველ-მინდორნი არიან. ყველგან ტიტველი მიდამა, გადახრუკული ქედები. არსად ხანს ტყე, მინდორი და არც სხვა რამ მცენარე.

ეკვი არ უნდა, მთვარეზე არა მცენარე არ არსებობს, რადგანაც ჭაერი არ არის; უჭაერობა და უწყლოდ არა მცენარეს არ შეუძლიან სარება. რაღა ლაპარაკი უნდა, სალხიც არ იქმნება, მამასადამე, თუმცა გადაწყვეტით არც ამის თქმა შეიძლება, რადგანაც ადვილად შესაძლებელია, სულ მცირე ჭაერი, მაინც არის, იყოს, რომლის შემჩნევა დედამიწიდან არ ძალგვიძს. რასაკვირვებია, თუ ჭაერია, მაშინ სალხიც იქმნება. ამ შემთხვევაში, აქაურს სალხს სულ სხვა ნაირი მოთხონილება და საზრდობა უნდა ჭქოდეს, ხანამ ჩვენ.

არა ნაკლებ გასაკვირია სხვა გასაცხარნი მოვლენანი მთვარისა: იქ არ ისმის სმაურბობა, არ ისმის ლაპარაკი. რისთვის? იმიტომ, რომ სმის გასაცხნად საჭირბა ჭაერი და მისი შენძრევა. იქ კი, სადაც არ არის ჭაერი, სმის გაგონება არ შეიძლება. ფიზიკის გაკვეთილებზე ვის არ უნახავს ერთი საყურადღებო მოვლენა. შუშის ბურთიდან გამოაქვთ ჭაერი, შიგ მერე სარბა ჭკიდებენ და რამდენიც გინდა უჩახუნოთ, სმა არ ისმის. ესევე ხდება მთვარეზედაც. რომ, ვსთქვათ, სამოგზაუროდ წავიდნენ ვინმე, ტყუილად ეცდებიან, ერთმანერთს დაელაპარაკონ. მთა რომ ჩამოიქვებს, ერთი ბეწვა სმასაცი ვერ გაიგონებთ. საუკუნო სიჩუმის ქვეყანაა.

ასლა წევისკენ ავიხედეთ მთვარიდან, რა საკვირველი შესედელობა აქვს წეცას. ჩვენ ვერ შევაძჩნევთ აქ ისეთ ლურჯცის კამარას. როგორსაც დედა-მიწიდან ვხედავთ. მშვენიერი კაშკაშა, მზიანი დღე სდგას, მაგრამ ცა მაინც ბნელად, შავად მოხჩანს და ძთლად მოტყედილია ვარსკვლავებით, რომელთაც საკვირველი ჭანჭანის გაუდის. ვარსკვლავები დღისით, მზიანს დღეში. მაგრამ ეს რაღაა, მთვარე-სავით დაღანი რომ გაუდის? დაუკვირდით. ვარეთგან ხჩანს დიდი მოყვითალო სამკუთხიანი ყვითელი სალი, იქ კიდევ სხვა რაღაც არის, ნუ თუ ვერ სცნობთ? ეს დიდი სამკუთხიანი სლმ — აფრიკაა, იქით კიდევ დახედეთ, ევროპა, აგერ რუსეთიც! აგერ დიდი წდვა-ოკეანეებიც! ეს მოჭანჭანზე თგარე ჩვენი დედა-მიწაა. ღმერთო ჩემო, დედამიწას რომ შეჭხედით

მთვარიდან, ისეთივე გეჩვენებათ, როგორც რაღაც თვით მთვარე დედამიწიდან; ამახ გარდა რადგანაც დედა-მიწა უფრო დიდია მთვარესე, იმიტომაც უფრო დიდათ გამოხსენებ სინათლეს (14 უფრო მეტად). მიწასაც, რასაკვირველია, აქვს თავისი ცვლილებანი ისე, როგორც მთვარეს, — ხან ნახევარი სჩანს, ხან მესამედი და ხან სულ მთლად.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მთვარესე საგნები უფრო მსუბუქები არიან და ცოტას იწონავენ, ხანამ დედა-მიწასე, რადგანაც ის ძალა, რომელიც იტაცებს საგნებს თავისკენ, მთვარესე უფრო მცირეა. მაგალითად ქვა, რომელიც მიწასედ 50 ფუთს იწონს, მთვარესე ისე შეგიძლიანთ აიღოთ, თითქმის უბრალო რამ ნატეხიად და, ბევრი ბევრი, სულ 15 გირფანქის სიმძიმე ჰქონდეს. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სისუბუქეს იგრძნობენ ძოგსაურები. აქ სიარულის დროს, საჭიროა ერთი ბეწვა ძალა, რომ უშველებელს სასლს თავით გადაახტე. ეს ჯერ იმი-საგანა ჰხდება, რომ მთვარე ბევრით პატარაა მიწასედ და ისეთს ნივთიერებისაგან შეხდგება, რომ ძნელად იტაცებს საგნებს.

რომ გარგად დაუკვირდეთ მთვარის ხალეებს, ყოველთვის ერთი და იგივე ადგილი უჭირავთ; მთვარის ცვლილების დროს ხან ჩრდილი დაჰტარავს და ხან კი ნათელი მიეფარებათ ხოლმე. მთვარე ჩვენ ყოველთვის ერთსა და იმავე გვერდს გვიჩვენებს. რადგანაც მთვარე 29 დღეს უნდება დედა-მიწის ირგვლივ შემოვლას და ამდენსავე ხანს შემობრუნდება თავის ირგვლივ. ამიტომ ყოველთვის ერთსა და იმავე მხარეს გვიჩვენებს.

ეს, შეიძლება ცოტა უცნაურად გვეჩვენოს და კიდევაც ვსთქვათ: «თუ მსე ყოველთვის ერთს და იმავე მხარეს გვიჩვენებს, მაშასადამე, არა ჰბრუნავს, თურმე კი ყველა მხარეს გვიჩვენებდა». პირველ შეხედულებით თითქმის მართლა ესრეა. მაგრამ საჭიროა სულ ცოტა დაუკვირდეთ საქმეს, რომ სულ სხვა დასკვას დავადგეთ.

რა არის ეს თავისს ირგვლივ ბრუნვა? ვსთქვათ, თქვენ მინდვრის შუა ხდგეხართ და სულ ერთისა და იმავე მხრისაკენ ხტრიალებთ. ამ დროს თქვენა ჰხნდავთ

საგნებს მარტო ერთის მხრიდან, ერთის გვერდიდან და თუ კინდათ მეორე მხრი-დაძაც დაინახოთ, ახლა იქიდგან უნდა შემოტრიალდეთ. მაშასადამე, მთვარე, რადგანაც სულ ერთს ა. და იმავე მხრიდან ტრიალდება, ამიტომ ჩვენ ვერას დროს ვერ დავინახავთ მეორე მხარეს.

მთვარე მზის გარემომო შემოვლას მთელი ერთი თვე უნდება, რომლის დროსაც სხვ-და-სხვა ნაირად გვეჩვენება. ამ დროს განმავლობაში ნახევარ ხანს განათებულია; ნახევარს კი ბნელად არის. ანუ უკეთ-რომა ვსთქვათ, მთვარესე, როგორც დედამიწასედაც, დღე და ღამე არის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქაური დღე არს კვირამდის ვრძელდება და ღამეც კიდევ ამ ხნობამდის. მერე რანაირი ღამეები და დღეები! მზის ამცხვლას მთელი ერთი საათი უნდება; მთვარე ისე ხელად ამოვარდება ხოლმე, რომ არც დილა არც ცისკარი იცის. ამოხვლისათანავე ნათელი მიეფინება იქაურობას. მათი მწვერვალები ლაპლაპს იწყებენ, თუმცა ბარად ჯერ ისევ უფსკრულია. დღე იმდენად ვრძელია და იმდენი სიცხე დატრიალდება ხოლმე, ისე გახურდება ქვაკლდეები რომლის მგზავსიც დედამიწასე არც კი ვაგონილა. ღამეც ასევე ხელად დახდგება ხოლმე: ღამე ბნელი, გაუმჭვრეტელი და იმავე დროს ყინულსავით ცივი და სუსხიანი. არავის არ შეუძლიან აიტანოს ასეთი უცნაური ცვლილებანი ბუნებისა, მით უმეტეს, რომ არც სუნთქვა შეიძლება და არც ჰამა რისიმე. აქედგან ამკარადა სჩანს, რომ ჩვენს კურთხეულს დედამიწასე უფრო უკეთესია და ხალხსიდა ცხოვრება, ვინემ მთვარესე.

ეარსკელაეები

ყოველი ვარსკვლავი, ცაში წყნარად მოკამკამე, ისეთივე უზარმაზარი მნათობია, როგორც არის ჩვენი მსე; მისსავით სითბოთა და სინათლით არის შემკული. სოგი ვარსკვლავი ჩვენს მსესე კიდევ უფრო დიდია: ვარსკვლავი სირუსი, კანოპუსი, ვეგა, კაბელა ძალსე დიდები და ბრწყინვალეები არიან. სოგიერთს ამ ვარსკვლავებს გარემომო უკლიან ბურთები.

ისე, როგორც ჩვენს მზეს; სოკნი კი ორ ტყუბ ვარსკვლავისაგან შესდგებიან, რომელნიც რიგ-რიგით ერთი მეორის უკან უვლიან. მრავალნი ამ ვარსკვლავთაგანნი ისეთ ფერის სინათლეს კი არ გამოხდემენ, როგორც ჩვენი მზე: არიან ისეთნი, რომელნიც ძალზე წითელს სისხლის მინაგვას სინათლეს გამოხდემენ; არიან ისეთნიც, რომელნიც იასამნისა, მწვანისა და ლურჯ ფერსაც გამოხდემენ და ამგვარადვე ანათებენ არემარეს.

ვარსკვლავთ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც ამ ორი ათასი წლის განმავლობაში ფერი იცვალეს და საუკუნოდაც გაჭქნენ. ზოგიერთ ვარსკვლავებშია კი, ბირიქით სინათლეს და ფერიც უფრო მომიმატეს და უწინდელზე უმეტესად ბრწყინავდნენ. ზოგი ვარსკვლავნი კიდევ დრო გამომშვებით გამოჩნდებიან სოლმე, რამდენიმე კვირისა და თვის განმავლობაში ბრწყინავენ და მერე ისევა ჰქრებიან. ამგვარი იყო შესანიშნავი ვარსკვლავი კასიოპეია, რომელიც 1572 წელს უეცრად აერთა და მთელი თვრამეტი თვის განმავლობაში ლაბლაბი გაჭქნდა. ეს ის ვარსკვლავია, რომელიც მოგვების გზის მახვილებლად ეგონათ. ამგვარივე იყვნენ არა ნაკლებ ბრწყინავნი ვარსკვლავები 1866 და 1867 წ. გამოჩენილნი. ასეთს ვარსკვლავებს დროებითი მნათობები ჰქვიათ; ამ ორი ათასი წლის განმავლობაში სულ ოცხოდვე ამგვარი ვარსკვლავი გამოჩენილა.

ზოგიერთს ვარსკვლავებს შუქი და ბრწყინვალეობა ემატება და ეცვლება ასე, რომ მრავალნი უჩინარნი ვარსკვლავნი ესლა მშვენივრადა სჩანან; ეს ვარსკვლავნი დრო-გამომშვებით იცვლიან სოლმე ფერს, სხვა-და-სხვა სახესა და ფერს იღებენ. ასეთი დრო-გამომშვებითი ცვლილებანი ისე რიგ-რიგად და მწყობრად მიხდებენ ერთმანერთს, რომ წინდაწინ შეუძლიან კაცს გაიგოს, თუ როგორ იცვლის ფერს ესა თუ ის ვარსკვლავი.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ეს ცვლილებადობა, უნდა შევნიშნოთ, რომ ასევე იცვლება თვით ჩვენი მზეც. ერთს ხანად ძალზე ცხარედ ლაბლაბებს და სწვამს, არე მარეს უხვადა ჰფენს ნათელსა და სითბოს, ქვეყანას სიცოცხლეს აწვდის, ხალხი მხიარულობს და კისკისებს; მაგ-

რამ გადის რამდენიმე თვე, მზეს სიცხელვლე ელევა თან-და-თან, დედაძიწას მსოლლად მკრთალს შეუქს უგზავნის, ესლა იგი თვალს ადარა სჭრის კაცს. თავისუფლად შეუძლიანთ უცქიროთ. ამ გვარად გადის რამდენიმე თვე, მზე კვალად ცოცხლდება და მასთან ერთად ხალხიც იმედს ეძლევა და გახარებული მის შეუწყდ თბება. მზე ძველებურად უხვად უგზავნის დედა-ძიწას სხვებს, იგი თან და-თან უფრო ძლიერდება და ცხოველდება და ძველებურად ძლიერი და ბუმბერაზი ჰსდება. ასევე იცვლებიან ის ზეციური მნათობები, რომელთაც ჩვენ მთვარეებს ვეძახით. ვარსკვლავი 5 — 11 იცვლება სოლმე. ვარსკვლავები ომიკრონ კიტა მრავალჯერ გამოცვლის შემდეგ სრულიად ჰქრება სოლმე და მერე ისევ ნელ-ნელა წამოცოცხლდება ხანამ სრული არ შეიქნება. ვარსკვლავი ალგოლი 24 წუთის განმავლობაში დაჰკარგავს სოლმე ფერს და ამდენივე ხნის შემდეგ ისევ სელახლივ იწყებს სოლმე ბრწყინვას.

ამ გვარად ვარსკვლავები მრავალ ნაირად იცვლებიან სოლმე, ხან ძალზე ანათებენ, ხან მიმიჭქრებიან და მკრთალი მათი სინათლე ძლივს-და გამოხდვივის სოლმე. რა საიდუმლო ძალა სვლის და ამომძავეებს ამ დიად ცის მნათობებს? ეს კითხვაჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, თუმცა კი ამბობენ, ეს სმირი ჩაქრობა ვარსკვლავებისა იმითი აისხნება, რომ ვარსკვლივებს გარემემო უვლიან შავი ბურთები, რომელნიც ყოველს შემოვლასე მოეფარებიან და დააბნელებენ სოლმე, რაც ნათლად დამტკიცდა 1890 წლის ვარსკვლავ ალგოლის შესახებ.

თვალმადიდის სამუშალებით მსწავლელებმა მრავალი დიდი ვარსკვლავები აღმოაჩინეს, რომელნიც წინად უბრალდ ვარსკვლავებად ეჩვენებოდა კაცს. მრავალი ამ ვარსკვლავთაგანნი ტყუბები არიან, ე. ი. ორ-ორი ერთი ერთმანეთის სიასლოვეს დადიან და ირგვლივ უვლიან ერთმანერთს. ზოგჯერ ერთ დიდ ვარსკვლავს გარემემო უვლის ორი ან სამი პატარა ვარსკვლავი. ესლა ეს ტყუბი ვარსკვლავების კატალოგიც კი შეადგინეს მეცნიერებმა და ქარტასედ გადაიღეს. ამასთანავე ეს ერთმანერთში გადახლართული

ტყუბი ვარსკვლავები სხვა და სხვა ფერ-
ისანი არიან და შეტად მშვენიერს ხანასა-
ვად გვეჩვენებენ.

დიდი ხნის დაკვირვებამ აღმოაჩინა,
რომ ვარსკვლავებზე ისევე ბრუნავენ, რო-
გორც ჩვენი დედამიწა, ზოგი მათგანი
შესამჩნიევი სისწრაფითა ტრიალებს, ზოგი
კი ნელა. ყველა ვარსკვლავი მოუხვეწ-
რად დახვრავენ ამ უსაზღვრო სივრცე-
ში და სივრცლით ავსებენ იმ უსაზღვრო
სივრცეს, რომელიც ძველად სამარებრივი
სიჩუმით მოცული ეგონათ. ეს ვარსკვლა-
ვები მოძრავი ცეცხლისა და სინათლის
ბურთები არიან, რომელთ ირგვლივაც
უვლიან დედამიწისებრივი ბურთები და
ვარსკვლავთაგან იღებენ სითბოსა და სი-
ნათლესა.

ჭოგრით აღმოაჩინეს ვარსკვლავების
კრებულები, რომელნიც უბრალო თვალთ
რადაც მოთეთრო ხალკბათ გუჩვენებიათ,
მაგრამ საჭიროა ჭოგრში ჩაიხდეთ, რომ
ეს მოთეთრო ხალები ისეთივე ბრწყინვა-
ლუ ვარსკვლავებთ გუჩვენებიათ. ეს ერთად
შეყრილი მნათობები ვარსკვლავთა კრე-
ბულს წარმოადგენს. რამოდენა უნდა
იყვეს ეს ვარსკვლავთა კრებული? რამო-
დენათ უნდა ჰმორავდინენ ერთმანეთს
ვარსკვლავები? ამის გაკება და გამოაჩი-
ვარშიება ჯერ ყოვლად შეუძლებელია.

ამისთანა კრებულს წარმოადგენს გერ-
კულესის მასხლოდად მდებარე ვარს-
კვლავი, რომელნიც უბრალო თვალთაც
კი ხჩანან. დევის ნამუხლი (МЛЕЧНЫЙ ПУТЬ)
რომელნიც მშვიდ მოწყმენდილ ცაზე ყო-
ველთვის ნათლად ხჩანს, ამ გვარის ვარ-
კვლავებისაგან შექმდარი. დევის ნამუხლ-
ში 18 მილიონზედ მეტი ვარსკვლავი იქ-
ნება, რომელთ შორისაც ჩვენი მზეც ურე-
ვია და შუა ადგილს არის მოქცეული, რო-
გორც შენიშნა კეპლერმა, ამ დედამიწის
ირგვლივ შემორტყმულ ზღაპრულ სარ-
ტყელში.

ეს ვარსკვლავთა კრებულები ისეთ დიდ
სიმორზე არიან ჩვენგან, რომ მათი
სინათლე, მხოლოდ რამდენიმე მილიონი
წლის შემდეგ მოასწევს თურმე, ჩვენთან.
მაგრამ ამ ვარსკვლავთა კრებულების იქით
კიდევ რადაც ბურთუბები მოხჩანან, რო-
მელნიც თვალმადიდის საშუალებით ჯერ
კიდევ დაჩამდვილებით ვერ გაუგიათ. ყო-

ველ ეჭვს გარეშეა, რომ აქ კიდევ დასა-
წყისია მხოფლიოხი, აქ ჯერ კიდევ არ
დახრულებულა ახალის დედამიწების შექ-
ნა, აქ ესლაც ამ გაზის მინაგვარ ბურთ-
უბებისგან ახალ-ახალი ბურთები კეთდება
და ვითარდება.

ახალის საუკეთესო თვალმადიდით
მსწავლულებმა ამ ვარსკვლავთა სამეფო-
ში უკვე ხისრულით დაინახეს და გაარ-
ჩიეს ყველაფერი. აღმოაჩინეს 100 მილიონ-
ზედ მეტი დიდი ვარსკვლავი. მაგრამ რა
არის ეს რიცხვი ამ განუხაზღვრელ ურიცხვ
ვარსკვლავთა შორის? ერთი წვეთია დაუ-
ლეველ ზღვაში.

გავყვეთ იმ ნათელს, რომლის ასეთ
ზღაპრულ სიმორიდაძ მოდის ჩვენამდის,
100,000 წელს გადის 280 ვერს წუთში და
ძლივს ასწევს ჩვენამდის? ვინ გაივლის
ამოდენა გზას? კურავინ! წარმოხადგენა-
თაც მხელია ამოდენა ზღაპრული სიმორე
და ის განუხაზღვრელი, თვალ-გადუწვდენ-
ნელი სივრცე ვარსკვლავთა სამეფოხი.

კუდიანი ვარსკვლავები

დრო გამომშვებით გამოჩნდებიან ზოლმე
ცაზედ ერთგვარი მნათობები, რომელთ
არა ჩვეულებრივი სიბრწყინვალე ყველას
ყურადღებას იქცევს. ხალხს უკვირთ ეს
მნათობები და ერთმანეთთან შეხვედრისა-
თანავე ეკითხებიან: «მნასეთ თქვენ ასლად
გამოჩენილი კუდიანი ვარსკვლავიო?»

მართლაც, ეს არა ჩვეულებრივი მოვლე-
ნა შეტად საინტერესოა და საკვირველი.
წარმოდგინეთ, ვარსკვლავებით მშვენივ-
რად მოჭედილს ცაზედ ვრძელი ცეცხლისა-
ვით მოელვარე კუდი გადაჭიმული. ერთს
გვერდზე ნათელი უფრო ბრწყინავს და
ლაპლაპებს—ეს თავია კუდიანი ვარსკვლა-
ვისა. თავის ქვემოდ ნათელი თან-და-თან
კლებულობს და მარაოხავით იმლებს, —
ეს არის კუდი ვარსკვლავისა.

ამ ნაირები არიან ის მნათობები, რომ-
ლებსაც ხალხი კუდიან ვარსკვლავებს ემა-
ნის. მაგრამ უნდა შეგნიშნოთ, რომ ყვე-
ლანი ერთმანეთს არა ჰგვანან და სშირად
ერთი და იგივე ვარსკვლავიც სხვა-და-
სხვა ნაირად ივლის ფერსა და ხასეს.
ბირველად კუდიანი ვარსკვლავი ბატარა

გამოჩნდება, უბრალოდ თვალის ძლიერად სჩანს და უკუდაა. მაგრამ შემდეგში თანდათან იზრდება და უფრო ბრწყინვალე ხდება, კუდი უგრძელდება და საშინლად დიდი ხდება. დღით-დღე უფრო მატულობს მის სინათლე და ყველას შეუძლიან თავისუფლად უხეიროს მას და დასტკბეს მის ტყერით. ამავე დროს თან მოძრაობს და ყოველ საღამოს ამკარად ამჩნევთ ამ მოძრაობას. მაგრამ გადის რამდენიმე საათი კუდიან ვარსკვლავის სინათლე ელვა პატარავდება, კუდი ეკარგება და ბოლოს სულაც ჰქრება ცის განუსაზღვრელს უფსკრულში.

კუდიანი ვარსკვლავები, როგორც ვსთქვით, ერთმანეთს არა ჰგვანან. ზოგიერთს მათგანს უშველებელი სიგრძის კუდები აქვთ; ზოგს კი მოკლე და მქრალი. სანდისხან ერთსა და ჰმავე ვარსკვლავს რამდენიმე კუდი აქვს, რომელნიც მართლაც ვით აქეთ-იქით არიან გახულები; მრავალთ კი სრულიად არა აქვთ კუდები და პატარა ბრწყინვალე ღრუბლებსავით დაცურავენ ცაზე. ყველაზე უფრო შესანიშნავი და დიდი კუდიანი ვარსკვლავები იყვნენ 1858, 1861 და 1862 წელს გამოჩენილი; შეიძლება, თქვენ თითონაც გენახეთ ის კუდიანი ვარსკვლავები და თქვენის ბედნიერის თვალთ დაიტკბარიყვეთ.

რისგან შესდგებიან ეს კუდიანი ვარსკვლავები? ეს ცაში მოძრავი მნათობი — ჰაერგვარია. მხოლოდ უფრო იმაზე სუბტი, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ. წარმოიდგინეთ, რომ ძალზე მსუბუქი, გასამჭვრეტი ღრუბელი დაცურავს ცის სივრცეში, სწორედ იმ გვარად, როგორც დედაძინის სიასლვეს დასცურავენ ჰაერში ღრუბლები. რასაკვირველია, ცაში რომ ჰაერი იყვას, ისინი ვეღარ იმოძრაებენ, მაგრამ საქმევ იმაში მდგომარეობს, რომ ცა სრულიად ცარიელია ჰაერისაგან. ეს ცის ჰაერგვარნი იმდენად მსუბუქები არიან, რომ საკმარისია ერთი მცირე შეებრვა მათს გასათანად. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ზოგიერთი კუდიანი ვარსკვლავი საკვირველად დიდია. ის მშვენიერი ვარსკვლავი, რომელიც 1811 წელს გამოჩნდა 6,500 ვერსის სიგრძე იყო და ბოლოს იმოდენა გაზდა, რომ 170 მილიონ სიგრძეს აღარა უკლდა-რა.

ამავე დროს კუდიანი ვარსკვლავი ერთსა და იმავე გზას კი არ ადგია, არამედ უზრ-უკლოდ დასვტიადობს, ხან მოუახლოვდება მზეს, ხან კი დაშორდება. ზოგიერთი კუდიანი ვარსკვლავი ღრმად წავა ხელმე ცის სივრცეზე და რამდენიმე ხნის შემდეგ იქვე ბრუნდება, ან არა და სრულიად ჰქრება. 1811 წელს გამოჩენილი მშვენიერი ვარსკვლავი 3,000 წლის შემდეგ დაბრუნდება ისევ. სხვა კუდიანი ვარსკვლავები კი, რომელთაც უფრო ახლოს გაუარეს ჩვენს დედაძინას, თავის დღეში აღარ დაბრუნდებიან, ჩვენ მათ საუკუნოდ უნდა გამოვხსნამოთ.

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ კუდიანი ვარსკვლავის დანახვა მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან, როცა ის მზის ახლოს გაივლის. მაშინ იგი სივრცისაგან გაგანივრდება, გადიდება, გაცხელდება და ბრწყინვას დაიწყებს, როგორც პატარა ღრუბელი ცაში ალის ფრად მოკაშკაშე.

ვარსკვლავთ-მრინგველები ყოველ წლიც ორ-სამ ახალ პატარა კუდიან ვარსკვლავს აღმოაჩენენ სივრცეში; დიდრონი კუდიანი ვარსკვლავები კი ძალიან იშვიათად ჩნდებიან.

კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენა ერთს დროს შიშა ჰგვრიდა ხალხს. ეს ვარცმლება იმის გამო ჰხდება, რომ ვარსკვლავები საიდღანდაც უეცრივ სჩნდებოდნენ. საშინელის სისწრაფით დიდდებოდნენ და ბოლოს ისევ საჩქაროდ ჰქრებოდნენ. კუდიანი ვარსკვლავები, რომელნიც ჩვენ ისე მშვენიერებად ვგვივხვებიან — საზარლად და საშიშრად მიაჩნდათ ძველად. ამბობდნენ, რომ კუდიანი ვარსკვლავები მომასწავებლები არიან დიდი უბედურებისათ: ოქიანობისა, სიმშლიისა, შავი ჭირისა... ამბობდნენ: «ძველად, აბა და ამ წელს ცაში გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი, და თან მოჰყვა საშინელი სიხსლის მღვრელი ომები, ჭირნახულის მოუხაგლობა, სიმშლი და სხ.» მაგრამ ეს არაფერსაც არა ნიშნავს. წელიწადი არ გავა, რომ კაცობრიობას რამე უბედურება არ ეწვიოს, ვითომდა მისსავე მიზეზით. ხალხი რომ უფრო გონივრულად სცხოვრობდნენ და ერთმანერთში განწყობილნი და თანახმანი იყვნენ, იმის მაგიერ, რომ ერთმანეთი სწყვიტონ და ელიტონ, მაშინ

კუდიანი ვარსკვლავებიც კარგი მანარობ-
ლები იქნებოდნენ. ჯერ ესლავ კიდევ ბევრ-
ნი არიან უბრალო ხალხში, რომელთაც
სწამთ ყველა ეს ცრუ შეხედულებანი.

ზოგნი კიდევ იმას ამბობენ, ნუ თუ არ
შეიძლება ეს ნაწი მთელს მნათობები
დედა-მიწას დაეჯახონ და დაამსხვრიონ,
ან სხვა რამე ვნება მოუტანონ? განა შე-
უძლებელია რომელიმე კუდიანი ვარს-
კვლავი დაეჯახოს დედამიწას? რა მოხ-
დება მაშინ? შეიძლება რამე უბედურობა
მოხდეს? გავისხენოთ, თუ რა განუხას-
ღვრულად დიდია ცა და რა თავისუფლად
შეუძლიანთ ყოველგვარ მნათობებს მასში
სრიალი, ისე რომ ერთმანეთს თავის დღე-
ში არ შეხვდნენ. მაგრამ, ვსთქვათ, კი-
დევაც მესვდნენ, მერე რა უბედურება
მოჰყვება? ეს ადვილი გასაგებია. ჩვენ
ზევით უკვე ვსთქვით, რომ კუდიანი ვა-
რსკვლავები ჰაერგვარს წარმოადგენენ;
ამიტომ მიწასთან დაჯახების დროს მხო-
ლოდ მძლავრად შეარყევს ჰაერს ისე,
როგორც დიდი ქარი დაჰქროლებს სოლმე
დედა-მიწას, ან კიდევ თვით ჰაერს შეუ-
ერთებდნენ და მის დაჯახებას ჩვენ ვერც
კი გავიგებთ.

ერთი ამგვარი დაჯახება კიდევაც მო-
ხდა, მიწასთან კი არა, სხვა პლანეტას-
თან, რომელიც სჩანდა ტელესკოპში, თუ
ჩაიხედავდა კაცი. თუმცა უნდა ვსთქვათ,

რომ კუდიანი ვარსკვლავი კი არ ეჯახა
პლანეტას, არამედ გვერდზე გაესაზუნა.
ეს იყო მშვენიერი დიდი კუდიანი ვარს-
კვლავი, რომელმაც ახლოს გაუარა დედა-
მიწას და შემდეგ დაუბირდაპირა იუპი-
ტერს. მერე რა მოხდა? ყოველ ეჭვს გა-
რეშეა, რომ ასეთს დიდს პლანეტას ვერა-
ფერს ზარალს მოუტანდა, მაგრამ ვარს-
კვლავთ-მრიცხველთ შინგ ეშინოდათ მისი
თანამგზავრებისა. მაგრამ სასიკეთოდ სრუ-
ლიად არათფერი ვნება არ მოჰყოლია ამ
დაჯახებას. კუდიანმა ვარსკვლავმა სრუ-
ლიად თავისუფლად გაიარა იუპიტერსა
და მის თანამგზავრთა შორის. პირიქით
თვით კუდიან ვარსკვლავს უნდა ეგვალა
თავისი გზა, როგორც მსუბუქს ჰაერგვარს.
იუპიტერმა იმდენად მიიზიდა იგი, რომ
მთლად აურთა თავგზა და ისე გაჭვანტა
ცის სივრცეში, რომ თავის დღეში კვლავ
დაბრუნდება იგი. აი კიდევ სხვაც: 1872
წელს ერთი კუდიანი ვარსკვლავი ისე
მიუახლოვდა დედამიწას, რომ იმის კუ-
დი ჩვენს ჰაერს ესაზუნებოდა. მერე რა
გამოვიდა? არაფერი, მხოლოდ შეწყვიტო-
ლი ვარსკვლავები წვიმასავით წამოვიდა
დედა-მიწასე. ნურას დროს ნუ შეგვეშინ-
დება კუდიანი ვარსკვლავებისა — ესენი
სრულიად უვნებელი მნათობები არიან,
მათ არაფერი ვნებისა და ზარალის მოტა-
ნა არ შეუძლიანთ.

ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზის ცნობები

ფოსტა

ფოსტაში იღებენ ყოველგვარ პარათებს,
ფულს და სხვა საგნებს გასაგზავნად ყო-
ველ დღე დილის 8 საათიდან 2 საათამდე
და საღამოთი 5—7 საათამდე. ტელე-
გრაფის კანტორაში ჩვეულებრივს და სა-
განგებო წერილებს დილის 8 საათიდან
საღამოს 7 საათამდე დებულბენ შეუწყ-
ვიტლივ. ზოლო ხელმწიფის და დედო-
ფლის სახელწოდების დღეს, პირველ და
მეორე დღეს აღდგომისას, ახალ-წელი-
წადს, ნათლისდებას, წმინდა სამებობას
და შობის პირველ დღეს სრულიათ არ

იღებენ ფოსტაში გორესპოდენციებს და
არც მარკებს ჰყიდიან. ამ დღეებში ფოს-
ტა ყველასთვის დაკეტილია. კვირა-უქეპე-
ში კი ფოსტა გაღებულია დილის 8—11
საათამდე. ამის შემდეგ კი ფოსტა ყვე-
ლასათვის დაკეტილია; ხოლო პრევიცი-
ებში ფოსტა გაღებულია დილის 9—11
საათამდე.

წერილი შეიძლება იყოს უბრალო, სა-
განგებო და ფულიანიც.

უბრალო წერილის დაკარგვისათვის ფოს-
ტის მმართველობა არავითარი პასუხის მკე-
ბელი არ არის. უბრალო წერილი იღრნაირია :
1. ღია წერილი, რომელიც იგზავნება უკონ-

ვერტოდ, იყიდება ყველა ფოსტის კანტონში თითო 3 კაპ. ; ხოლო ვისაც პასუხის უკანვე დაბრუნება უნდა, მაშინ 6 კაპ. უნდა იყიდას. ღია წერილს ერთ მხარეს დაბეჭდილია მარჯა, სახელმწიფო დერბი და სიტყვა: „открытое письмо“ და „здесь пишется адрес“; ხოლო მეორე მხარეს — ვარციელი ადგილია წერილის დასაწერად. — 2. დახურული წერილი იწერება, ვისაც როგორც ქაღალდსა და ხურს და კონვერტში ჩაიდება, რომელსაც მელნით რუსულად ადრეხი წაეწერება. ასეთი წერილები მხურკელს შეუძლიან იმავე ქალაქშიაგ გაიგზავნოს, სადაცა სცხოვრობს და ქალაქ გარედაც. უბრალო დახურული წერილი, რომელიც იგზავნება იმავე ქალაქში, კონვერტსე 3 კაპ. მარჯა უნდა დაეკრას; ხოლო რომელიც ქალაქ გარედაც — იმას 7 კაპ. მარჯა, რაც სამ მისხალს არ უნდა აღემატებოდეს, წიაადმდეგ შემთხვევაში, ყოველ 3 მისხალსე 7 კაპ. უნდა გადასადოს. დახურული წერილი არ შეიძლება იყოს 5 კირვანქასე მეტი, თუ რომ სხვა ქალაქში იგზავნება და თუ იმავე ქალაქში — 1 კირვანქასე მეტი. ამნაირად, ფულის გარდა, შეიძლება გაიგზავნოს ყოველგვარი საბუთის ქაღალდები და მარკები.

უბრალო წერილის კონვერტზე აღრესი ამ გვარად იწერება:

Автандилу Соломоновичу
Ретинашвили.
Для передачи въ село Ланчхути
Кутайсь.

საგანგებო წერილი შეიძლება დახურულიც იყოს და ღიაც, რომელიც პირდაპირ ფოსტის მოხელეს უნდა გადაეცეს, რასედაც გარდა 7 კაპ. მარჯისა, რომელიც უბრალო წერილებს ეკვრება, კიდევ მეორე 7 კაპ. მარჯა უნდა მიემატოს, რათა საგანგებოდ წერილათ ჩაითვალოს. ამგვარ წერილის სულ თავში წაეწერება სიტყვა: „заказное“ და შემდეგ ადრეხი, სადაც იგზავნება. ფოსტის მოხელე ამის მიღებისთანავე ბარათს იძლევა, რათა წერი-

ლის დაკარგვისათვის ბარათის წარდგენის უშუალოდ 10 მან. გადაუხადონ წერილის გამგზავნს. საგანგებოდ დახურულის წერილით ფულის გაგზავნა არ შეიძლება.

საგანგებო წერილის კონვერტზე აღრესი ამნაირად იწერება:

Заказное
Ревазу Таріеловичу
Татжаридзе.
Сигнахъ.
Для передачи въ село Веджини.

ფულიანი წერილი ფოსტას უნდა გადაეცეს განხილი პაკეტით, რათა ფოსტის მოხელემ შეიტყოს თუ შიგ რამდენი ფული დევს. კონვერტის სულ თავში ამ გვარში წარწერა ექმნება „денежное“ ამის შემდეგ იწერება, თუ რამდენი ფულია, სადა და ვის ეგზავნება; ხოლო კონვერტის ბოლოში — ვისგან იგზავნება ფული და სადა სცხოვრობს გამგზავნი. ფული იგზავნება, როგორც ქაღალდისა, ისე ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა. სპილენძის ფულის გაგზავნა 9 კაპეიკამდე შეიძლება, ვერცხლისა — 4 მ. 95 კ. და ოქროსი — 30 მან. პაკეტის წონა ოც კირვანქასე მეტი არ უნდა იყოს. ფულიანი წერილის გაგზავნისათვის გადასახდელია: ყოველ 3 მისხალსე 7 კაპ., წერილის საგანგებოდ ჩარიცხვისათვის — 7 კაპ., დასაზღვევი კიდევ ერთი მეოთხედი კაპეიკი ყოველ მანეთსე და ლაქის დავკრისთვისაც — 5 კაპ.

ფულიანი წერილის პაკეტზე აღრესი ამნაირად იწერება:

Денежное
на двадцать (20) рублей.
Андукафару Амирановичу
Дидебулидзе.
Телавъ.
Для передачи деревню Вардисубани.

ფულიანი წერილის გაგზავნისათვისაც ფოსტის მოხელე მიღებისთანავე აძლევს ბარათს, რისთვისაც თუ ვინც იძლევა დაი-

კარგა ფული, იმ შემთხვევაში, სრულიად აინაწილურად დაკარგულ ფულის რაოდენობა.

ფულის გაგზავნა კიდევ შეღწეულიადაც შეიძლება, რაც უფრო იაფად ჯდება ფულიან ბაკეტზე. რომელსაც ეგრეთ წოდებული გადაცემითი (переводъ) გაგზავნა ჰქვიათ. განსაკუთრებით, ამისთვის ბლანკები ფორტაში იყიდება. მსურველმა უნდა მოვიკითხოვს «переводный бланкъ»-ი, რაღა ღირს 15 კაბ. თუ 25 მანეთზე მეტი არ გაიგზავნება და 25 კაბ. ღირს — თუ 100 მან. სვეთ არ იგზავნება. ბლანკზე სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი: „по почте“ თუ ფორტით იგზავნება და ადრეხივ ვისა და ვისგან. თუ დებუშით გაიგზავნება. მისინ უნდა წაეწეროს „по телеграфу“. დებუშით ფულის გაგზავნისათვის კიდევ ცალკე გადასახადია დაწესებული: 1 მ. 15 კაბ. უნდა დაუმატოს თუ ეკრძაბის რუხეთში იგზავნება, სოლო თუ ციშირში — 2 მ. 15 კაბ. მოსხენებელი უნდა იყოს ისიც თუ რამდენი ფული იგზავნება. ამ ბლანკის მეორე გვერდზე, ერთს მხარეს, აქვს განსაკუთრებით ცარიელი ადგილი, რასედაც სწერია: «отрезной купонъ» — აქ წერილი უნდა მისწერონ. ვისაც ფულს უგზავნის. ეს ბლანკი ფულიანად გადაეცემა ფორტის მოხელეს, რამიან ბარათს მისცემს, რომ მიიღოს გადაცემული ფული.

პირი «переводный бланкъ»-ის ამხარად იწერება:

<p>Отрезной купонъ 20 р. 20 к. Отъ Залико Кигесонича Вардкачачაშვილი: Проживающаго Тифлисъ, Аджаметскаго ул. д. Джваріашვიли.</p>	<p>Переводъ По почтѣ или по телеграфу На сумму 20 р. 20 к. Двадцать руб. 20 к. На имя Захарія Ивановича Пахачашивили. Гори. Гүнибская ул., № 22.</p>
--	--

ამხართ, რომელიც ფორტით იგზავნება. სამგვარია: ბანდერლიანი, უფასო და ფასიანი. ბანდერლიანი ამხართით იგზავნება ყველაგვარი წიგნები, გასუთები, საჭირო ქაღალდები და საქონლების ნიმუშები. ამხართიან ბანდერლს ქვეშ უნდა წაეკრას თეთრი ქაღალდი, რომელზედაც ადრეხი დაიწერება, როგორც უბრალო წე-

რილისათვის. ბანდერლო იხე უნდა იყოს გადაკრული, რომ ფორტის მოხელეს ადვილად შეეძლოს მისი გახსნა და გახსნჯვა. ამხართით ნივთების გაგზავნაც შეიძლება. ბანდერლიან ამხართის გაგზავნისათვის საჭიროა ყველ 12 მისხლის წონისათვის 2 კაბ; საქმის ქაღალდებისთვის — 7 კაბ. ხოლო საქონლის ნიმუშების გაგზავნისათვის — 3 ხაბ. თუ ბანდერლიანი ამხართი საგანგებოთ იგზავნება, მაშინ კიდევ 7 კაბ. უნდა დაემატოს. ამხართად თუ წიგნები, ან საქმის ქაღალდები იგზავნება 4 გირვანქას არ უნდა აღემატებოდეს; ფასიანი ამხართიც და უფასოც ჩადებული უნდა იყოს ყუთში, ან ტილოში. ან დატყავში, სოლო ჯვარედინათ კი კანაფით უნდა იყოს შეკრული. ფასიან ამხართს სულ თავზე ეწერება სიტყვა: «цѣнная», შემდეგ რამდენიღა ღირს გასაგზავნი ნივთი აგრეთვე ფასიანზედა და უფასოზედა იწერება ადრეხი. როგორც მიმღების, აგრეთვე გამგზავნის.

ნიმუში ფასიანი ამხართისა:

Цѣнная на десять (10) рублей.
Луарсаву Кайхосровичу
Чинчарашვიли.
Отъ Тимота Абрамовича Хинчлашвили.
Душетъ.
Джоджохетская ул., № 13.

ნიმუში უფასო ამხართისა:

Калистрату Исидоровичу
Квинтридзе.
Отъ Теофиля Квачадзе,
Батумъ.
Тхивалская ул., № 103.

ყველა ამხართისათვის საჭიროა თითო ბლანკი, რომელიც უნდა გადაეცეს ამხართთან ერთად ფორტის მოხელეს. ასეთი ბლანკები იყიდება ფორტის ყველა კანტორებში თითო ნახევარ კაპეიკად. ბლანკი ორნაირია თეთრი, რომელსაც უფასო ამხართისთვის ხმარობენ, სოლო მოწითა-

რცხ—ფასიანისათვის. ამ ბლანკზედაც ისე იწერება. როგორც «პერეგოდზე». უფასო აქანათის დაკარგვაში ფოსტა არავითარ პასუხს არ აგებს. ამანათში ფულის, ან კონკრეტით წერილის ჩადება აკრძალულია. წერილისათვის ჯარიმაა დაწესებული, ხოლო ფული კი, სასაწინააღმდეგობა. ამანათის წინა 3 ფუთს არ უნდა აღესატებოდეს; ხოლო თუ ციმბირშია გასაგზავნი, მაშინ — 1 ფუთს. აგრეთვე ფასიან პაკეტზე დასაზღვევი ხარჯი მეათეუდი კაპევიკი უნდა გადაისადღოს ყოველთით მანეთზე და კიდევ 3 კაპ. ლაქისათვის. ყველა ამ ხარჯების საფასურის მარკები უნდა დაეკრას ბლანკს. ვისაცა ხურს, რომ ამანათის მიძღვება მიღების უმაღლეს სადირალი მადისადღოს, მაშინ ამანათის უნდა წაეწეროს ფას-დადებით (наложенным платежом), უნდა მოიხსენიოს თუ რამდენი ფულია საჭირო გადასახდელად. შემოხსენებულ ხარჯების გარდა, ამგვარ ამანათს კიდევ უნდა დაემატოს ფასდადებულ ყოველ თითი მანეთზე 2 კაპევიკი, ეს უნდა ამ მათთან ერთად გადასადღოს, რათა ვინიგობა მიძღვები არ აღმოჩნდა, ფოსტამ ამანათი უკანვე დააბრუნოს და გამგზავნს გადასცეს. ფასდადებით ამანათის დირებულება 500 მან. არ უნდა აღესატებოდეს.

ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი

სატელეგრაფო (სადებელო) ფასის მხრივ, რუსეთის იმპერია განიყოფება ორ-ნაწილად: ევროპის რუსეთი და აზიის რუსეთი. ევროპის რუსეთში ირიცხება ყველა კუნებრნიები რუსეთისა ფინლანდია, პოლონეთი და კავკასია. აზიის რუსეთში: ციმბირი, თურქესტანი და კასპიის მხარე. ფასი ტელეგრაფისათვის დადებულია: ა) საყოველთაოდ და ბ) თვითოველ სიტყვის მიხედვით. საყოველთაოდ ფასი დებებისა, 15 კაპ., ხოლო საყოველ სიტყვაოდ თითი შაური ყოველ სიტყვისათვის მანძილის მიხედვით; ასე რომ ათი სიტყვა დირს 50 კაპ. და დებების ფასი 15 კაპ. ხელ 65 კ. თუ ევროპის რუსეთიდან ტელეგრაფი იგზავნება აზიის ყველა რუსეთში, მაშინ ყოველი

სიტყვა დირს 10 კაპ. ტფილისსა და კოჯორს შუა სიტყვა დირს 1 კაპ. სიტყვები შეიძლება ათზე მეტიც იყოს.

თუ დებების გამგზავნისა მოიხურვა ბასუსის მიღება თავის ხარჯზე, მაშინ იგი აძლევა. გარდა თავის ტელეგრაფის ფასისა. კიდევ ათის სიტყვის და თუ უნდა მეტის ან ნაკლების ფასს საბასუსო ტელეგრაფისათვის უსათუოდ აღნიშნული უნდა იყოს დებემაზე, რომ ბასუსის ფასი გადახდილია (оплатить посылку) და ესეც ჩაითვლება სიტყვათა რიცხვში.

ტელეგრაფები ანუ დებებები მიიღება როგორც მთავრობის, აგრეთვე რკინის გზის სატელეგრაფო სადგურებზე ყოველ დღე, ხოლო უკვე დღეებში—დანისხულ დროს. რაც შეეხება ტელეგრაფის ანუ დებების შინაარსს, იგი საიდუმლოდ რჩება. დებების მიღებაში მოხელენი აძლევენ ბარათებს (კვიტანციებს), დებების სიტყვები გარკვევით, წაუშლელად და სუფთად უნდა იყოს დაწერილი (დებემაზე ყოველ შემთხვევაში უნდა ეწეროს გვარი გამგზავნისა). სიტყვები გრძელი არ უნდა იყოს, უდიდესი ზომა სიტყვისა არის 15 ასლიანი სიტყვა, თუ ამ რიცხვს აღემატა, მაშინ ორ სიტყვად ჩაითვლება.

ტელეგრაფის გაგზავნა ისეთ ალაგასაც შეიძლება, საცა ფოსტა არ არის. — სოფლად. ადრესზედ უნდა ეწეროს «напочтовый» (ამა და ამ სოფელში), ეს ტელეგრაფი ჩვეულებრივ გარდაეცემა იმ მახლობელ სადგურამდე, საითაც სოფელია; შემდეგ ის სადგური დაიჭირავებს კაცს და გაატანს დებემას იმ სოფელში, რომელიც მოხსენებულია ადრესში. ამისათვის სავარაუდოდ დაახლოვებითი ფასებია დაწესებული მანძილისა დაგვარად ვერსზე ორი შაური.

რკინის გზის სადგურებიდან სოფლად განსაკუთრებულის კაცით დებების გაგზავნა არ შეიძლება.

შეიძლება ტელეგრაფის შეჩერება იმ შემთხვევაში: 1) თუ რომ ტელეგრაფის გარდაცემა ჯერ არ დაუწყიათ; 2) თუ ტელეგრაფის გარდაცემა დაწყებულია, მაგრამ მოხალდენელია, რომ ჯერ სადგურიდან არ იქნება გაგზავნილი. ამ შემთხვევაში ტელეგრაფის გამგზავნს შეუძლიან შეჩერდნ დებემა; ამისათვის საჭიროა გადი-

ზადღს იმდენი, რამდენიც ამ ტელეგრაფის გაგზავნა ღირდა.

მიუტანელი ტელეგრაფმა სადგურსე ისახება 6 კვირას; თუ ამ ხნის განმავლობაში არ მოიკითხა იმან, ვისთანაც არის გამოგზავნილი, შემდეგ ტელეგრაფმა აღარ შეინახება.

ერთი და იგივე ტელეგრაფმა შეიძლება გაგზავნოს რამდენიმე კაცს, ერთ ადგილას მცხოვრებთ, ანუ ერთსა და იგივეს რამდენსამე სადგურსე; ამისათვის გარდა იმ ფასისა, რომელიც გადახდებოთ ტელეგრაფის კასაგზავნად, ისდიან თითო პირის (კობიოს) მისატანს ერთ აბაზს, თუ ტელეგრაფში 100-ზე მეტი სიტყვა არ არის და, თუ 100 სიტყვას აღემატება, ყოველ ასს სიტყვაზე (თუნდ რომ ნაკლებიც იყოს, მაინც ასათ ითვლება) იხდიან სამ შაურს. შეიძლება ტელეგრაფმა გაიგზავნოს მეორე ადგილამდე ფოტოთ. ამისათვის იხდიან 7 კაპ. მარკის ფასს.

ტელეგრაფის გამგზავნს გადახდილი ფასი დაუბრუნდება: 1) თუ ტელეგრაფმა გაგზავნამდის შეჩერებულია გამგზავნისაგან; ამ შემთხვევაში 20 კაპ. იტყვენ; 2) თუ ტელეგრაფმა სატელეგრაფო სადგურის დანაშაულობით არ არის მიღებული; 3) თუ ტელეგრაფმა საკმაოდ დაგვიანებულია, ესე იგი, თუ მიმდებთან მიტანილია იმ დროის განმავლობაში, რაც, ფოტოთაც მოუვიდოდა; 4) თუ ტელეგრაფის აზრი შეცვლით არის გარდაცემული და თუ შესამოწმებელი ფასი გადახდილი იყო. პასუხისათვისაც გადახდილი ფასი დაუბრუნდება, მხოლოდ ექვსი კვირის განმავლობაში უნდა განაცხადოს და წარუდგინოს საპასუხო ბლანკი სატელეგრაფო მმართველობას.

რაც შეეხება უცხო ქვეყნების ტელეგრაფებს, ამის შესახებ სხვა წესები არსებობს. უცხო ქვეყნების ტელეგრაფები შეიძლება დაიწეროს ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად, ესპანურად, იტალიურად, პოლონურად. შეიძლება ტელეგრაფის გაგზავნა ქართულ ენაზედაც თუ მიმღებს ესმის ქართული, მხოლოდ უნდა იყოს დაწერილი რუსულ ან ლათინურ ანბანით,

ფოსტის ეტლებით მიმოსვლა

ფოტოს ვის ფასები დადებულია ადგილის დაგვარად: ზოგჯერ თითო ვერსზე ცხენისათვის, ართმევენ სამ კაპეიკს და ზოგჯერ კიდევ ოთხ კაპეიკს.

ბორჯომს, ახალციხეს და აბასთუმანს შუა.

ფოტოს ეტლები*) დადიან ყოველ დღე 1 მაისიდან 1-ლ ოქტომბრამდე. დანარჩენ დროს კვირაში ორჯელ და შეთანხმებული არიან რკინის ვის მიმოსვლასთან. ბორჯომიდან ახალციხემდე (46 ვერსია), გზას უნდება 6 საათი. ახალციხიდან აბასთუმანამდე (24 ვერსია), გზას უნდება 2 1/2 საათი. სულ ბორჯომიდან აბასთუმანამდე 72 1/2 ვერსია. ფასი ბორჯომიდან ახალციხემდე 2 მ. 57 კ. აბასთუმანამდე—3 მ. 81 კ. კოფოზე —ნასეგარი ფასი.

ტფილისსა და სიღნაღს შუა.

ოზნიბუსები დადიან ყოველ დღე. ტფილისიდან (97 1/2 ვერსია) გადის დილის 7 საათზე, ჩადის სიღნაღში საღამოს 7 საათზე. სოლო სიღნაღიდან გამოდის დილით და ტფილისში საღამოს 7 საათზე ჩადის. ფასი შიგ ოზნიბუსში 5 მ. 1 კ., სოლო კოფოზე—3 მ. 1 კ.

ტფილისსა და თელავს შუა.

ოზნიბუსები ყოველ დღე დადიან. ტფილისიდან (96 ვერსია) გადის დილის 6 საათზე და თელავიდანაც ამავე დროს გამოდის. ფასი ოზნიბუსში 4 მან., კოფოზე—3 მან.

ოზურგეთსა და ნატანებს შუა.

ფოტოს ეტლები დადიან ყოველ დღე (18 ვერსია). უნდება 2 საათი, ფასი ოზნიბუსში 90 კ. თითო კაცზე, სოლო კოფოზე ნასეგარი ფასია. ერთი ფუთი ბარგი დირს 18 კაპ., ნახევარი ფუთი ბარგი შეიძლება უფასოდ წაიღოთ. ეტლი გადის დილაობით 8—9 საათიდან.

ახალსენაკსა და ზუგდიდს შუა.

ოზნიბუსები დადიან ყოველ დღე. ახალსენაკიდან (42 ვერსია) გადის დილის 8

*) ამ გზებზე ბევრი კერძო ეტლებიც ღადის და ამიტომ სწორად უფრო იაფადაც შეიძლება ადგილის მოგზა.

საათზე და ხეტას სადგურზე მიდის დილის 10 საათზე, ხოლო ზუგდიდში 12 საათზე და 45 წ. ზუგდიდიდან გადის 2 საათზე და მიდის ხეტას 4 საათზე; ახალხენაკში 6 საათზე და 15 წ. ახალხენაკიდან ხეტამდე და ზუგდიდიდან ხეტამდე ადგილი ერთი კაცისათვის დირს 1 მ. 10 კაბ., ხოლო ახალხენაკიდან ზუგდიდამდე 1 მ. 20 კ. ერთი ფუთი ბარგი დირს 12 კაბ. ბავშვებს, რომელნიც ხელით სატარებელნი არიან, ფასი არ გამოერთმევათ, ხოლო ათის წლის ბავშვს ნახევრ ფასს ართმევენ.

ტაბახმელიდან მანგლისამდე.

ეტილი გადის სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს დილის 9 საათზე. ფასი თითო კაბზე 2 მან. 16 კაბ.

ტფილისიდან კოჯორამდე.

ეტილი დადის ყოველ დღე (18/34 ვერსია). ფასი 1 მან. და 12 კაბ., კოჯორიდან მანგლისამდე— 2მან. 31 კაბ.

ტფილისიდან მანგლისამდე.

ეტილი დადის ყოველ დღე (51/4 ვერსია). ფასი 3 მან. 42 კაბ. ესევე დირს მანგლისიდან ტფილისამდე.

ტფილისსა და კავკასს შუა.

ტბილისიდან (1 მაისიდან ნოემბრამდე) ყოველ დღე: 1) 5 ადგილიანი ეტილი გადის დილის შვიდ საათზე, დამეს ათევეს ძღვეთში, მიდის კავკასში მეორე საღამოს 7 საათზე და 20 წ.; 2) ხუთ ადგილიანი ეტილი გადის დილის 9 საათზე, დამეს ათევეს ფასანაურში, მიდის კავკასში მეორე დღეს საღამოს 9 საათსა და 20 წ.; 3) ლინეიკა გადის ნაშუადღევს 3 საათზე, გზაშია მთელ დამეს, მიდის კავკასში მეორე დღეს 6 საათსა და 20 წ. საღამოს. (1 ნოემბრიდან 1 მაისამდე) 4) ეტილი გადის დილის 8 საათზე და დამეს ათევეს ძღვეთში, მიდის კავკასში მეორე დღეს საღამოს 7 საათზე.

კავკავიდან (1 მაისიდან 1 ნოემბრამდე) 1) ხუთ ადგილიანი ეტილი გადის დილის 7 საათზე, დამეს ათევეს ძღვეთში, ტფილისში მაგის მეორე დღეს საღამოს 6 საათზე და 30 წ.; 2) ხუთ ადგილიანი ეტილი გადის დილის 9 საათზე, დამეს

ათევეს გუდაურში, ჩადის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 7 საათსა და 5 წ.; 3) ლინეიკა გადის ნაშუადღევს 3 საათზე, გზაშია მთელ დამეს, ტფილისში ჩადის მეორე დღეს საღამოს 6 საათსა და 10 წ. (1 ნოემბრიდან 1 მაისამდე) 1) ეტილი გადის დილის 8 საათზე, დამეს ათევეს ძღვეთში, ტფილისში ჩადის მეორე დღეს საღამოს 6 საათსა და 40 წ.

ფასები ტფილისსა და კავკასს შუა (200¹/₂ ვერსია) 1-ლ კლასის ადგილი (ეტლიში) დირს 14 მან., მე-II კლასის ადგილი—9 მან., მე-III კლასის ადგილი (კოფოზე)—4 მან.; ლინეიკები: ერთი ხულის ადგილი სკამზე დირს 6 მან., კოფოზე—4 მან.

შენიშვნა. თუ ეტილში დნ ობიექტებში თავისუფალი ადგილი არის, შეიძლება იქ ბარგი დაიდვას 2—4 ფუთამდე. შეიძლება იქონიოს კაცმა ერთი ფუთი ბარგი, რაც მომეტეტილი იქნება, თითო ფუთზე ართმევენ 4/5 კაბ. თითო ვერსის მინიმუმზე ბილეთი ადრევე უნდა აიდოს. შემდეგ მოყვანილ სარჯის გარდა მგზავრებს გამოერთმევათ სახელმწიფო სარჯი, რომელიც განაწილდება ეტილის ადგილების რაოდენობის მიხედვით.

რკინის გზის ცნობები

ყოველ ბილეთს შესაფერო ვადა აქვს მანძილის დავარად; მაგალითად, 1 ვერსიდან 200-მდე 1 დღის ვადა, 201—500 2 დღის ვადა; 501—800 3 დღის ვადა, 801—1000 4 დღის ვადა და ასე. ვადიანი ბილეთების მგზავრს შეუძლიან, რომელ სადგურზედაც უნდა, იქ შეჩერდეს, ხოლო მაშინათვე სადგურის უფროსს ბილეთზე უნდა აღანიშნინოს გაჩერება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბილეთს ძალა ეკარგება.

ორჯულ მეტი ფასი გადახდება იმ მგზავრს, რომელსაც ბილეთი სრულებით არ ექნება, ან როცა ბილეთში აღნიშნულზე მეტი სადგური გაუვლია.

ბავშვები 10 წლამდე ისდიან ბილეთის მეოთხედ ფასს, ხოლო 5 წლამდე ბავშვებს არავითარი ბილეთი არ უნდა, მაგრამ ადგილი არ უნდა ეჭიროდ და ერთის

მეტი სხვა ბავში თან არ უნდა მყვანდეთ მშობლებს, თორემ სხვეებისათვის საბავშვო ბიჭუტების ფასი გადასდებათ.

მგზავრს გადასმენ მატარებელიდან, თუ იგი ხმაურებს და უწყხოდ ირჯება, ან კიდევ თუ რაიმე გადაძვებები ხეინთ არის აუად და თუ მისი დანახვა სხვეებს აწუხებს.

სახელდახელო ბარგის შეტანა ვაგონში აღკრძალული არ არის, თუ იგი სხვა მგზავრებს არ აწუხებს.

უფახო ბარგის გადატანა მგზავრს ერთის ფუთისა შეუძლია ბაგაყით. ბარგის კამბიტანა არ უნდა დაგვიანდეს 24 საათზე მეტი, თორემ ჯარბმა გადასდება ბარგის მატრონს. ბარგის დაკარგვისათვის მგზავრს

საფასურს აძლევს გზის გამგეობა, ხოლო შესაფერი კვიტანცია უნდა წარუდგინოს, ვისაც ჯერი არის. თუ ბარგი დაფახებული არ იყოს წინადაწინვე, მაშინ პირველ კლასის მგზავს ეძლევა 3 მან. მეორისას—2 მან. და მესმისას—1 მან. მგზავრმა ბარგი ჩაბარების დროსვე უნდა დააფახოს.

სახოგადოდ, ყოველგვარი საჩივარი უწყხრიგობაზე ანუ დაზიანებაზე უნდა მიეცეს რკინის გზის გამგეობას, ან იქვე უნდა შეადგენინოდ ყანდარმს ან კანტროლერს შესაფერი ოქმი და მერე ან გამგეობასთან იხივლოთ ან სასამარლოში.

რკინის გზით მიმოსვლის უასეპი

ბ ა თ უ მ ი დ ა ნ ბ ა ქ ო მ დ ე

მანძილი ვერსტით.	სადგურები	ფასი მგზავრობისათვის			10 გრ. ბარგით.	მანძილი ვერსტით.	სადგურები	ფასი მგზავრობისათვის			10 გრ. ბარგისათ.
		I კლ.	II კლ.	III კლ.				I კლ.	II კლ.	III კლ.	
		მ. კ.	მ. კ.	მ. კ.				მ. კ.	მ. კ.	მ. კ.	
—	ჩიქვამდე	0 45	0 27	0 18	00,75	327	ტფილისამდე	10 00	6 00	4 00	18,75
22	ქობულეთამდე . . .	0 80	0 48	0 32	01,27	347	აღა-თაქლამდე . . .	10 00	6 00	4 00	18,75
37	ნატანებამდე	1 35	0 80	0 53	02,13	362	ყარაიზამდე	10 50	6 50	4 20	20,25
52	სუფსამდე	1 88	1 13	0 75	02,92	388	სოგუტ-ბულახამდე	11 00	6 60	4 20	21,75
71	ლანჩხუთამდე	2 55	1 53	1 02	04,08	400	ფოილომდე	11 50	6 90	4 40	23,25
77	ნიაგეთამდე	2 75	1 65	1 10	04,43	413	აღსტაფამდე	11 50	6 90	4 60	23,25
81	საჯავახომდე	2 90	1 54	1 16	04,66	432	თაუზამდე	12 00	7 20	4 80	24,75
99	სამტრედიამდე	3 58	2 15	1 43	05,69	458	ძეგამამდე	12 50	7 50	5 00	26,25
111	კობიტნარამდე	4 00	2 40	1 60	06,39	—	დოლილიარამდე . . .	12 50	7 50	5 00	26,25
128	რიონამდე	4 60	2 76	1 84	07,36	480	შამზორამდე	13 00	7 80	5 20	27,75
135	აჯამეთამდე	4 85	2 91	1 94	07,76	502	განჯამდე	13 50	8 10	5 40	29,25
156	ყვირილამდე	5 66	3 36	2 24	08,97	518	დაღ-მაშეთამდე . . .	13 50	8 10	5 40	29,25
160	შორაპნამდე	5 73	3 45	2 30	09,20	541	გერანამდე	14 00	8 40	5 60	35,75
169	ბირულამდე	5 95	3 57	2 38	09,72	565	ეკლახამდე	14 50	8 70	5 80	32,25
178	ბელაგორამდე	6 15	3 69	2 46	10,24	588	ლიაკამდე	14 50	8 70	5 80	32,25
184	მარელისამდე	6 03	3 78	2 52	10,58	606	უჯარამდე	15 00	9 00	6 00	33,75
193	მოლითამდე	6 50	3 90	2 60	11,10	631	მუსუსლამდე	15 50	9 30	6 20	35,25
203	კარვარინამდე	6 70	4 04	2 69	11,67	650	ქურდამირამდე . . .	16 00	9 60	6 40	36,75
215	მისაილოვამდე	7 00	4 20	2 80	12,36	673	საგირამდე	16 00	9 60	6 40	36,75
225	გომამდე	7 23	4 34	2 89	12,94	697	კარა-სუმდე	16 50	9 90	6 60	38,25
240	ქარელამდე	7 55	4 53	3 02	13,80	739	აჯი-ქაბულამდე . . .	17 80	10 20	6 80	38,25
257	გორამდე	7 93	4 76	3 17	14,78	799	ნავაგამდე	17 00	10 20	6 80	39,75
270	გრაკალამდე	8 23	4 94	3 29	15,53	762	ალითამდე	17 50	10 50	7 00	41,25
282	ქასპამდე	8 50	5 10	3 40	16,22	784	სანგაჩულამდე	18 00	10 80	7 20	42,75
296	ქსანციმდე	8 80	5 28	3 52	17,02	808	პუტამდე	18 00	10 80	7 20	42,75
307	მცხეთამდე	9 50	5 70	3 80	17,25	827	ბლაჯარამდე	18 50	11 10	7 40	44,25
318	აგქალამდე	9 50	5 70	3 80	17,25	840	ბაქამდე	18 50	11 10	7 40	44,25

უცხოეთის სახელმწიფოთა ცნობები

ამერიკის შეერთებული შტატები

ინგლისი

კლიერი რესპუბლიკა ჩრდილოეთ ამერიკისა იყო 1726 წლამდე ინგლისის კოლონია (ასალმენი). ამ წლიდან ვი იგი შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. რომელიც განვითარდა და გაძლიერდა ხალხურის სისწრაფით თავისუფალ და დემოკრატიულ წესწყობილების წყალობით. დღეს ამერიკის დიდ რესპუბლიკის სივრცე უდრის 9,383,029 კვ. კილომეტრს, რომელსედაც ცხოვრობს 76,302,387 მცხოვრები; ამათგან თეთრ-კანიანები (ევროპელების ჩამომავალი) არიან 66,990,892, წიანები — 8,840,789, წითელ-კანიანი, ინდიელები — 266,760, ჩინელები — 119050 და იაპონელები 85,986. ამერიკის შეერთებული შტატები ფედერატიული რესპუბლიკაა; იგი შესდგება ორმოც-და-ხუთ შტატისაგან; თითოეული შტატი შეადგენს პარტა დემოკრატიულ სახელმწიფო-რესპუბლიკას, რომელიც თითონვე განაგებს თავის საქმეებს; ადგილობრივ კანონმდებლობას ხელს ვერ ახლებს ცენტრალური მთავრობა. ცენტრალურ მთავრობის ადმინისტრაციული ორგანო რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელსაც ოთხი წლის ვადით ირჩევენ ხალხის წარმომადგენელი. საკანონმდებლო დაწესებულება კონგრესია, რომელიც შესდგება სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან. სენატში 90 სენატორია (ორ-ორი თითოეულ შტატის საკანონმდებლო დაწესებულებისაგან, ექვსი წლით); პალატაში 357 დეპუტატია, რომელთაც თითონ ხალხი ირჩევს პირდაპირ. ამერიკის შეერთებული შტატები ძალიან მდიდარი სახელმწიფოა; აქვს მტად განვითარებული მრეწველობა და ვრცელი ვაჭრობა. ყოველ წელს ამერიკის რესპუბლიკა ჰყიდის 1,460,463,000 დოლარის (ორი მანეთი) საქონელს, ყიდულობს — 823,172,000 დოლარისას. სავაჭრო ფლოტი რესპუბლიკისა შესდგება 24,057 გემისაგან, რომელიც იტევს 5,524,218 ტონს. ამერიკას ჰყავს აგრეთვე კლიერი სამსხედრო ფლოტიც.

ინგლისი ანუ დიდი ბრიტანია ის უზარმაზარი იმპერიაა, რომელსაც მთელს ქვეყნის ყველა ნაწილებში აქვს სამფლობელოები. სივრცე დიდი ბრიტანიისა უდრის 29,044,000 კვ. კილომეტრს, მცხოვრებთა რიცხვი 400 მილიონამდეა. დღემდე ინგლისი გლობალური ქვეყანა მრეწველობისა. ისეთი კუთხე არ არის მთელს ქვეყანაზე, რომ ინგლისური საქონელი არ შედიოდეს, ვაჭრობა ინგლისისა ნამდვილი მსოფლიო ვაჭრობაა: 1900 წელს ინგლისს გაუყიდნია და უყიდნია რვა მილიარდს მტრის საქონელი. მუშის ქირა არსად არ არის, ისე მაღალი, როგორც ინგლისში და არც ერთი მუშა ისე კარგად არ სცხოვრობს, როგორც ინგლისელი მუშა. მდიდარ და ვრცელ სახელმწიფოს არსებულ საერთაშორისო პირობებში სჭირდება დიდი ძალა თავის ინტერესების დასაცავლად. მიუხედავად ამისა, ინგლისში არ არის ისეთი მილიტარიზმი, როგორც დანარჩენ ევროპაში ვხედავთ: იქ არ არსებობს საყოველთაო სამხედრო სეკარა; ჯარში შედის მხოლოდ და თუ რაიმე მიზეზით ეს მხოლოდ რიცხვი საკმარისი არ შეიქნა ჯარის შესავსებად, მხოლოდ მაშინ მიმართავენ სამხედრო რეგარას. ეს კია, რომ მხოლოდ უნდა შევიდეს ჯარში შვიდის ან თორმეტის წლით; აქედან ხამი წელიწადი იგი სწევს ნამდვილ საჯარისკაცო სამსახურს, დანარჩენი ცხრა თუ ოთხი წელიწადი სათადარიგო ჯარში ითვლება. ჯარის კაცს ჯამაგირი ეძლევა. ინგლისელის უფლებას შეადგენს — პირადი და ქონებრივი თავისუფლება, სიტყვისა და მწერლობის თავისუფლება ნაფიც მსახურთა მტარველობის ქვეშ, პეტრიციების უფლება, კერძო სასლის ხელმეუხებლობა და იარაღის ტარების უფლება თავის დაცვისათვის. კერძო პირს ვერ აუკრძალავენ მას, რაც საერთო კანონით არ არის აკრძალული ყველა სათვის, და ინგლისელი ქვეყნმგრობი იმდენად ემორჩილება მთავრობას, რამდე-

ჩადაც ეს უკანასკნელი კანონს არ გახვი-
 ლებია. მიუროკრატია, ძლხულებების ბატონ-
 ნობა ინგლისელისათვის გაუგებარია, რად-
 გან ინგლისში დიდად განვითარებულია
 ადგილობრივი თვითმართველობა. მთავ-
 რობა იქ იმას კი არ სცდილობს, რომ
 შეაფერხოს და მოხვოს თვით-მართველო-
 ბა და საზოგადოებრივი ინიციატივა, პირი-
 ქით, ყოველის ღონით იმას არის მოწა-
 დინებული, რომ ეს საზოგადოებრივი
 ინიციატივა რაც შეიძლება კაპლიერდეს
 და განვითარდეს. ყველაზედ უფრო ინ-
 გლისის პარლამენტისა და მთავრობის ეს
 ტენდენცია საახალშენო პოლიტიკაში ხჩანს.
 დაპყრობილ და დამორჩილებულ ხალხებს
 ყველა უსმართლოდ ეპყრობა და არც შეი-
 ძლება სხვა გვარად მოეწყოს საქმე, რად-
 გან თვით დაპყრობა და დამორჩილება
 მოკლებულია ყოველ სამართალს. მაგრამ
 ინგლისი კი ერთად-ერთი სახელმწიფოა,
 რომელიც ამ მხრივ შედარებით მეტის სა-
 მართლიანობით იქცევა. ბრიტანიის ახალ-
 შენები, მართვა-გამგეობის მხრივ, სამნა-
 ირია: ზოგი ახალშენი ნამდვილი ავტონო-
 მიური სახელმწიფოა, ე. ი. აქვს საკუთარ-
 თი სამინისტრო, თვითონ ინგლისის მთავ-
 რობა არავითარ მონაწილეობას არ იღებს
 ასეთ ახალშენის მინაურ მართვა-გამგეო-
 ბაში; ზოგ ახალშენში პარლამენტი არის,
 მაგრამ ცენტრალურ მთავრობასაც მონა-
 წილეობა აქვს მართვა-გამგეობაში,—მაგა-
 ლითად, უმთავრეს მცხელებების დანიშვნა
 მისი საქმეა; დანარჩენ ახალშენებს მარ-
 თავს დანიშნული გუბერნიტორი ადგი-
 ლობრივ მცხოვრებლების უმონაწილეო-
 ბოდ, მაგრამ ინგლისის მთავრობა მზად
 არის ამათაც მისცეს თვით-მართველობა,
 თუ დაინახავს, რომ ისინი მომზადებული
 არიან ასეთ ცვლილებებისათვის. ახალშენებს
 არა ჰყავთ წარმომადგენელი ინგლისის
 პარლამენტში, სამაგიეროდ ერთ გრომ-
 საც არ იხდიან ცენტრალურ მთავრობისა-
 თვის. პირიქით, ეს ცენტრალური მთავ-
 რობა ხარჯს იღებს ახალშენებისათვის
 საჭირო ჯარისა და ფლოტის და უმთავ-
 რეს მოხელეების შესანახად. ყოველ ახალ-
 შენს საკუთარი ხარჯთ-აღრიცხვა აქვს
 და მთელი შემოსავალი ისარჯება ადგი-
 ლობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილე-
 ლად.

გ ე რ მ ა ნ ი ა

გერმანიის იმპერია არის ფედერატიუ-
 ლი (ე. ი. მოკავშირეთაგან შემდგარი)
 სახელმწიფო. მოკავშირე სახელმწიფოთა
 რიცხვი 25-თია, ამათში უფრო დიდი და
 გავლენიანია: პრუსია, ბავარია, ვიურტემ-
 ბერგი, საქსონია, ბადენი და ჰესსენი.
 უმაღლესი გამგე-წარმომადგენელი იმპერი-
 ისა, რომელსაც, კონსტიტუციის თანახ-
 მად, განსაზღვრული უფლებები აქვს (მაგ.,
 სხვა სახელმწიფოებთან ხელ-შეკრულო-
 ბის დადება, ომის გამოცხადება, ელჩების
 დანიშვნა), არის გერმანიის იმპერატორი
 (ახლა ვილჰელმ II, დაიბ. 1859 წ., ტახ-
 ტზე ავიდა 1888 წ.). გერმანიის კონსტი-
 ტუცია დადგენილია 1871 წელს. უმაღლეს
 კანონმდებელ დაწესებულებას წარმოად-
 გენს მოკავშირეთა საბჭო და რეისხტაგი.
 კანონის გამოცხადებად უეჭველად საჭი-
 რია, რომ ეს ორივე დაწესებულება თანა-
 ხმა იყვნენ. ყოველგვარი საკადებულო
 დადგენილება, რომელიც შეეხება იმპე-
 რიის ფინანსებს, ვაჭრობას, მიმდევლის
 მოწყობილობას, სამართალს და საერთოდ
 საიმპერიო საქმეებს, უნდა შეიმუშავდეს
 და მიიღოს პარლამენტმა. ე. ი. მოკავში-
 რეთა საბჭოდ და რეისხტაგმა, — ერთმა-
 ნითან შეთანხმებით. ამ დადგენილებას
 იმპერატორი მხოლოდ ხელს აწერს; ამ
 სახით იგი არის მთავარი აღმასრულებე-
 ლი ორგანო პარლამენტის ზურვილისა.
 იმპერატორის მოქმედებისათვის საზოგა-
 დოდ პასუხის მკებელია იმპერიის კან-
 ცლერი, რომელსაც თვითონ იმპერატორი
 ნიშნავს ამ თანამდებობაზე. მოკავშირეთა
 საბჭო შესდგება მოკავშირე სახელმწიფოთა
 წარმომადგენლებისაგან (რიცხვით
 58). პრუსიას ჰყავს 17 წარმომადგენელი,
 ბავარიას 6, ოთხ-ოთხი საქსონიასა და ვი-
 ურტემბერგს, სამ-სამი ბადენსა და ჰესსენს,
 ორ-ორი მეკლენ-ბურგშვერისს და ბრაუნ-
 შვეიგს და თითო დანარჩენ წვრილმან
 სახელმწიფოებს. საბჭოს წევრებს ნიშნა-
 ვენ სახელმწიფოთა მეთაურები (მეფეები
 და რეგენტები). რეისხტაგი შესდგება 397
 დეპუტატისაგან, რომლებსაც 5 წლის ვა-
 დით ირჩევს გერმანიის ხალხი. დეპუტა-
 ტებს სასყიდელი ანუ ჯამაგირი არ ეძლე-
 ვათ. არჩევანია საზოგადო პირდაპირ და

იდუბალი. არჩევანის უფლება ყოველ გერმანულ შაქარს აქვს, რომელსაც 25 წელიწადი შესრულებია და სასაქონლოდ გადაწყვეტილებით ღირსება არ დაუკარგავს. სარწმუნოების მისევეთ გერმანიის იმპერიის მცხოვრებნი განიყოფებიან ასე: პროტესტანტი (ლიუტერანი) 35231104, კათოლიკე (რომის წესისა) 20321441. სხვა ქრისტიანნი 210150, ისრაელი (ებრაელი) 586948, სხვა სარწმუნოებისანი 17535. 1000 მცხოვრებზე მოდის 625 ლუტერანი და 361 კათოლიკე. ეროვნებით: გერმანელი (ნემეცი) 51296183, პოლონელი 3328751 ებრაელი 586948 და სხვა ეროვნებათა 902378. რკინის გზა 51850 კილომეტრის სიგრძეა. აქედან უდიდესი ნაწილი (46850 კილ.) სახელმწიფოს ეკუთვნის და მის გამგეობის ქვეშაა. ფოსტის კანტორათა რიცხვი 37242, ბარათების ყუთების 120059; საფოსტო უწყებაში მოსამსახურე პირთა რიცხვი ადმატემა 2281206 სულს; წლის განმავლობაში ფოსტით იგზავნება 6000 მილიონამდე სხვა და სხვა ბარათი თუ ფოსტის აშანათი. სატელეგრაფო ლიანდაგი 128316 კილომ., მავთულის სიგრძე 472867 კილომ., რიცხვი სატელეგრაფო დაწყებულებათა — 24471. წლიურად გერმანიის ტელეგრაფი 46 მილიონზე მეტ დებეშას ჰგზავნის.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი

საფრანგეთი ევროპის უმშვენიერესი და უმდიდრესი ქვეყანაა და ამ მშვენიერ და მდიდარ ქვეყანაში სცხოვრობს შენანიშნავი ხალხი. ისტორიის ისეთი ხანა არ ყოფილა, რომ საფრანგეთის ერთი სხვაზე წინ არ ყოფილიყო, განსაკუთრებით უგრძელ წოდებულ კანათლების ებოქიდან (15 — 16 საუკუნე). ხანამ თავად-აზნაურობას და მონარქიას ჰქონდა რეალური ნიადაგი, საფრანგეთის თავად-აზნაურობა და მონარქია ზამაგალითოდ ითვლებოდა. როცა ეს წესწყობილება გასდა ხალხის შემავიწროებელი და შჩაკვრელი, პირველად საფრანგეთის ერთი აღსდგა და ძირს დასხდა მონარქია და თავად-აზნაურობაც; საფრანგეთის დიდი რევოლუცია შეიქნა დასაწყისი სრულიად ახალ ისტორიულ ხანისა და ისტორიამ არ იცის ისეთი

ისტორიული მოვლენა, რომელიც თავის დიდის მნიშვნელობით შეედრებოდეს ამ რევოლუციას. მთელი მეცხრამეტე საუკუნე საფრანგეთის ერთი თავში უდგა ყოველ პროგრესულ მოძრაობას. ბევრი სისხლი დაღვარეს საფრანგეთის შვილებში თავისუფლებისა და თანასწორობის დასამყარებლად. დღეს საფრანგეთი ძლიერი დემოკრატიული რესპუბლიკაა; მან არ იცის არც მეფე, არც თავად-აზნაურობა: ყველა თავისუფალია, ყველა თანასწორია და ყოველ ფრანგს ერთი და იგივე უფლება აქვს. როგორც მთელი მეცხრამეტე საუკუნე, ისე ესლაც მთელი განათლებული ევროპა საფრანგეთის სატანტო ქალაქისაკენ — პარიზისაკენ იტყობება. სულ უმთლელ მოვლენაც კი საფრანგეთის ცხოვრებიდან საგანგებო ყურადღებას იწვევს ყველგან. არ ყოფილა ისეთი სერიოზული, გონებრივი, თუ პოლიტიკური მოძრაობა, რომ ჯერ საფრანგეთში არ დაწყებულყოფს და შემდეგ სხვაგან არ გადასულიყო. საფრანგეთის ლიტერატურა და ხელოვნება (განსაკუთრებით თეატრი) მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული დღემდე კანთქმულია და წინ უსწრობს სხვა ხალხების ლიტერატურას. სივრცით საფრანგეთი 536,408 ოთხკ. კილომეტრია, მცხოვრებთა რიცხვი უდრის 38.961.945 სულს, მაგრამ საფრანგეთს ვრცელი და მდიდარი ახალშენები აქვს (ალჟირი, ტუნისი, მადაგასკარი, ინდო-ჩინეთი და სხვა), სადაც ორმოც და შვიდ მილიონამდე მცხოვრებია. სიმდიდრით საფრანგეთის რესპუბლიკა ინგლისს არ ჩამოუვარდება: 1900 წმას გაუყიდნია ოთხ მილიარდზე მეტის საქონელი (პირველი ადგილი გაყიდულ საქონლებში უკავია ამრემუშეულობას და დვინოს) და უყიდნია ოთხ მილიარდნახევრისა. მართალია, საფრანგეთში არ არის ისეთი ვრცელი მრეწველობა, როგორც ინგლისშია, მაგრამ, სამაგიეროდ ისეთ საქონლის გაკეთებაში, სადაც გემოვნება და მნა საჭირო, ფრანგს ვერავინ შეედარება. გამგეობის საქმე უგრძელ წოდებულ «ეროვნულ კრების» ხელშია. ეს ეროვნული კრება შესდგება სენატისა და პალატი-საკან. სენატში 300 სენატორი, მანც უნდა იყოს; სენატორს რომელიც 40 წელზე ნაკლები ვერ იქნება, ირჩევს დეპარტამენტის საგა-

ნკებო საარჩევნო კომისია: პალატის წევრს ანუ დეპუტატს, რომელიც სრულ წლოვანი უნდა იყოს, ირჩევს ოთხის წლით ყოველი სრულ წლოვანი ფრანკი (70 ათას ამომრჩეველი ერთ დეპუტატს). რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს «ერთვნიული კრება» შვიდის წლით.

შვეიცარია

შვეიცარია ან ჰელვეტიის რესპუბლიკა მდებარეობს ალპის მთებზე. ბუნება შვეიცარიისა შეტად მშვენიერია, მაგრამ მასთან ღარიბი და ხალხს დიდი შრომა და გასჯილობა სჭირდება თავის გამოსაკვებად. ამიტომაც არის, რომ შვეიცარიასავით მოწყობილი და მოვლილი ქვეყანა იშვიათია მთელ დედამიწის ზურგზე. ერთ დროს შვეიცარიის მცხოვრებნი ავსტრიის იმპერატორის ქვეშევრდომნი იყვნენ, მაგრამ თავისუფლების მოყვარე ხალხმა ვერ აიტანა მეფის ძიძიე უღელი, იარაღს ხელი მოჭვიდა და თავი საშუალოდ განითავისუფლა. დღეს შვეიცარია დემოკრატიული და ფედერატიული რესპუბლიკაა, რომელიც შესდგება ოც და ორ თავისუფალ თემისაგან. ადგილობრივ საქმეებს განაკეზს თვითონ თემი. ყველა თემების საერთო საქმეების განმკებელია კავშირის კრებული, რომლის წევრებს ხალხი ირჩევს. ეს კრებული თავის მხრივ ირჩევს კავშირის საბჭოს (აღმასრულებელი ორგანო) და რესპუბლიკის პრეზიდენტს. სივრცით შვეიცარია 41.346 ოთხკ. კილომეტრია, მცხოვრებთა რიცხვი სამ მილიონამდეა. შვეიცარია განთქმულია საათისა და ყველის წარმოებით. შესანიშნავი შვეიცარიის ცხოვრებაში ის არის, რომ იქაული ხალხი შესდგება სამის სხვა და სხვა ტომისაგან (გერმანელები, ფრანკები და იტალიელები) და ეს სხვა და სხვა ტომი ისე დაუკავშირებია და შეუსისხლსორცებია ერთმანერთისათვის განკვილ ისტორიულ ცხოვრებას, რომ დღეს ერთ მტკიცე სახელმწიფოს წარმოადგენს, თუმცა არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს თავისი საკუთარი პიროვნება. სახალხო განათლება შვეიცარიაში ძალიან მაღლა დგას. არ არის ისეთი შვეიცარელი, რომ წერა-კითხვა არ აცოდეს. მუდმივი ჯარი იმ სახით, რა

სასითაც იგი სსკავან არის, შვიცარიას არა ჰყავს; სამაგიეროდ ყოველი შვეიცარელი ოცის წლიდან შედარია და ხალხრად ვაწვრთნილი.

იტალია

თავდადებულ და გმირულ ბრძოლის შემდეგ ადგილობრივ მთავრობისა და ავსტრიის მთავრობის წინააღმდეგ იტალია გაერთიანდა 1870 წელს. სივრცით იტალია 286.682 ოთხკ. კილომეტრია, მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 32.475.252 სულს. მართვა-გამკეების მხრივ იტალია კონსტიტუციონური მონარქია არის. არჩევის უფლება აქვს ყოველ სრულწლოვან იტალიელს, რომელმაც კი წერა-კითხვა იცის და შვიდ მანეთს პირდაპირს გადასახადს იხდის. მრეწველობა და ვაჭრობა საკმაოდ განვითარებულია იტალიაში, თუმცა დაწინაურებულ სახელმწიფოებს ვერ შეედრება. 1901 წელს იტალიას უყიდნია 1718,5 მილიონის საქონელი, გაუყიდნია 1374,5 მილიონისა, მეტი წილი გაყიდული საქონლისა ყოფილა აბრემების ნაწარმოები (498,5 მილიონის), სამბეჭელობა (53 მილ.), გვერები (47,9 მილ.) ღვინო (39 მილ.) და სხვა. იტალიის თანამედროვე გეონომიურ ცხოვრებაში ერთი შოვლენაა საგანგებოდ აღსანიშნავი: ეს ქვეყანა იყო და არის მხარე დიდ-მეშაბელებებისა, ამიტომაც გლეხობა შეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. რომ გაჭირვებულ მდგომარეობას თავი დაასწიონ, იტალიელი გლეხები შეერთდნენ და ამ შეერთებულის ძალით შეებრძოლნენ დიდ მეშაბელებს. არც ერთ ქვეყანაში ასე კარგად არ არის მოწყობილი გლეხების ორგანიზაცია, როგორც იტალიაში.

ავსტრო-ჰუნგეთი

ავსტრო-ჰუნგეთი შესდგება ორის ნაწილისაგან — ავსტრიის იმპერიისა და ჰუნგეთის სამეფოსაგან. სივრცე მთელის სახელმწიფოში უდრის 625.337 ოთხკ. კილომ. მცხოვრებლების რიცხვი (1890 წ. აღრიცხვით) 45.405,267. მართვა-გამკეობა: ავსტრიის იმპერიასა და ჰუნგეთის სამეფოს ჰყავთ ერთი მონარქი (ესლა

ფრანგ-იოსებია), რომელიც «ავსტრიის იმპერატორად და ჰუნგრეთის მეფედ» იხსენება. გარდა მონარქისა, ავსტრიასა და ჰუნგრეთს საერთო აქვთ — სადიპლომატო და სავაჭრო დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოებთან (გარეშე პოლიტიკა), სადამოქონო კანონმდებლობა, ფოსტატელეგრაფის უწყება, ფულისა და ზომის სისტემა, ჯარი (გარდა სამხედრო ბეგრის კანონისა) და ამ საერთო საქმეებისათვის საჭირო სარჯი (ჰუნგრეთი იხდის საერთო სარჯის 30 პროცენტს). საერთო კანონმდებლობისათვის იმპერიის რეისნრატი და ჰუნგრეთის პარლამენტი ირჩევენ ყოველ წელს თავიანთ წევრებ მორის სამცესამც წარმომადგენელს (დელეგატს); მონარქი ყოველ წელს იწვევს ამ დელეგატებს სან ვენაში და სან ბუდაპეშტში. ვაჭრობა: 1901 წელს მონარქიას გაუყიდნია — 1.652,643,000 კრონისა, უყიდნია — 1.885,458,000 კრონისა. ავსტრია-ჰუნგრეთის მონარქიაში ბევრი სხვა-დასხვა ერი ცხოვრობს. საკუთრად ავსტრიაში სულ 26.150,708 მცხოვრებია; აქედან 9 მილ. გერმანელია, ექვს მილიონამდე ჩეხი და სლოვაკი, ოთხ მილიონზე მეტი პოლონელი, სამ მილიონ ნახევარი რუსინი (მალდონისი), ერთ მილიონზე მეტი სლოვენები, ერთ მილიონამდე იტალიელები. ჰუნგრეთის სამეფოში სულ 19.254,559 მცხოვრებია: აქედან ჰუნგრელი 9 მილიონამდეა, გერმანელი 2 მილ., ამდენივე ჩეხი და სლოვაკი, 3 მილიონამდე კრატი, ამდენივე რუსინი და სხვ. მიუხედავად ასეთ გარემოებისა, მიუხედავად იმისა, რამ გამწვავებელი ბრძოლაა ამდენ ხალხებ შორის, არც ერთ ერს განსაცდელი არ მოეღის, პირ-იქით თითოეულ მათგანის ვინაობა და პიროვნება უფრო უზრუნველ-ყოფილი სდება, რადგან მეუძლიათ თავისუფლად იბრძოდნ თავიანთ არსებობისათვის.

ბ ე ლ გ ი ა

ბელგია ძალიან პატარა სახელმწიფოა სივრცით (29,456 კილომეტრი), მაგრამ სამაგიეროდ არც ერთი კუთხე ევროპისა არ არის ისე მჭიდროდ დასახლებული (სულ მცხოვრებთა რიცხვი 6.799,999).

ამ პატარა სახელმწიფოს მეტად მოსერნებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს (საზღვრები: ჰოლანდია, რეინის პროვინცია, ლიუქსემბურგი, საფრანგეთი და გერმანული ზღვა) და ამიტომ იმ თავიდავე აქ დიდად იყო და არის ესლავ განვითარებული ვაჭრობა, და რადგან ბელგიის ნიადაგი მდიდარია ქვა-ნახშირით, მრეწველობაც მაღალ სარისხსე დგას. თუ რამდენად განვითარებულია ეს პატარა სახელმწიფო გეოგრაფიულად, იქიდან ხჩანს, რომ ბილიონზე მეტი ხალხი სამთაქანდო საქმესა და მრეწველობას მისდევს და ვაჭრობას — სამას ათასზე მეტი. მისი დამუშავების საქმეს მისდევს მხოლოდ ერთი მესუთედი მცხოვრებლებისა. სასოფლო მეურნეობაც ძლიერ განვითარებულია. მართვა-გამგეობის მხრივ ბელგია კონსტიტუციონური მონარქია არის, ე. ი. ბელგიას ჰყავს მეფე, მაგრამ მას მხოლოდ აღმასრულებელი უფლება აქვს. არ მეუძლია არც ახალი კანონის გამოცემა და არც ძველის შეცვლა; კანონმდებელი არის თვითონ ხალხი, რომელიც ირჩევს თავის წარმომადგენლებს სენატისა და დეპუტატთა პალატისათვის. მხოლოდ საარჩევნო სასტემა ისეთია, რომ ახლანდელი პარლამენტი ვერ არის ნამდვილი გამომსახატკელი ხალხის ხურვილისა და მიმართულებისა; საარჩევნო უფლება აქვს ყოველ 25 წლის ბელგიელს (სენატის ამომრჩეველი 30-ზე ნაკლები ვერ იქნება), მაგრამ თუ ქონებრივი ცენზი აქვს, ორი ხმა აქვს და თუ განათლების ცენზიც აქვს, — სამი. 1840 წელს ბელგიაში შემოუტანიათ 205¹/₂ მილიონის საქონელი, გაუტანიათ 139¹/₂ მილიონისა, სოლო უკანასკნელ წლებში კი შემოუტანიათ — 2221 მილიონისა და გაუტანიათ—1828 მილიონისა.

კ ო რ ე ა

კორეა ხუბტი და გაუნათლებელი სახელმწიფოა. სივრცე მისი დაახლოებით 220 ათას ოთხკუთხი კილომეტრია; მცხოვრებთა რიცხვი რვა მილიონამდე უნდა იყოს, თუმცა ზოგის ანგარიშით 12 მილიონიც იქნება. 1876 წლამდე კორეა ჩინეთის საფლობელოდ ითვლებოდა. ამ წელს კი იაპონიამ დამოუკიდებელ სახელ-

მწიფოდ იზნო. იაბონიას გვრდობის სასელ-
მწიფოები და აპერიკა მიჰყვნენ. ბოლავს,
როცა 1895 წელს იაბონიამ ჩინეთი
დააპარგნა, ეს უკანასკნელიც იძულებუ-
ლი გახდა — ეწინააღმდეგებოდა კორეის დაპო-
ვას. 1897 წელს კორეამ თავის თავი
იმპერიად გამოაცხადა, მაგრამ ამით არა
მომხდარა — რუსეთ - იაბონიის ომის
დაწყების შემდეგ კორეა ფაქტობრივად ია-
ბონიის ხელშია. უმთავრესი საკანი კორეის
ვაჭრობისა არის ოქრო და ბრინჯი. კორეა
საზოგადოდ მდიდარია მანეთობით,
მაგრამ თვითონ კერძოდ სარგებლობს.

რ უ მ ი ნ ი ა

რუმინა 1829 წლამდე ოსმალეთის
სამფლობელოდ შეადგენდა. ამ წლიდან
კი იგი თავისუფალი სამთავრო გახდა,
თუმცა 1878 წლამდე სულთანიზმის დამო-
კიდებულად ითვლებოდა, როგორც ეს
ბოლგარია. რუმინია ორის სამთავროსა-
გან შესდგება; ეს სამთავროებია ვალა-
ხეთი და მოლდავია. ოსმალეთი და რუ-
სეთი წინააღმდეგი იყვნენ ამ ორის სამ-
თავროს ერთად შეერთებისა, რადგან გა-
ერთიანებული და გადინიერებული რუმი-
ნია არც ერთისათვის არ იყო ხელსაყრე-
ლი, მაგრამ ხალხი ერთის ტომისა (ხამო-
მავლობით რუმინიელი იტალიელების,
ესპანოიდების და ფრანგების მონათესა-
ვთა) და სარწმუნოებისა, წინააღმდეგა უკო-
ბოლო სასულმწიფოების განწმენკებს და
1859 წელს მოლდავიაშიც და ვალახეთშიც
ერთი მთავარი აირჩია. გადინიერებულმა
რუმინიამ 1879 წელს სრული დამოუკიდებ-
ლობა შეიძინა და 1881 წელს სამეფო
გახდა. რუმინიის სამეფოს, თავის მდებარე-
ობის წყალობით დიდი მნიშვნელობა
აქვს ბალკანეთის საქმეებში. ამიტომაც ამ
საქმეებში დაინტერესებული სასულმწიფოე-
ბი. განსაკუთრებით რუსეთი და ავსტრია,
ცდილობენ მეტი გავლენა მოიპოვონ რუმი-
ნიაში. მართვა-გამგეობის მხრივ რუმინია
კონსტიტუციონური სამეფოა. სივრცით
რუმინია 131.020 კვ. კილომეტრია,
მცხოვრებლების რიცხვი 5.912,520. ხალხი
მეტწილად ქრისტიანია მისდევს. ჯარი
პარგად გაწვრთნილი და შედარებით
მრავალრიცხოვანი ჰყავს.

შვეიცარია და ნორვეგია

ორივე ეს ქვეყანა პოლიტიკურად ერთად
დაა შეერთებული: ჰყავთ ერთი მეფე
რომელიც ორივეს წარმომადგენელია სხვა
სასულმწიფოებთან ერთიერთობის მოწყო-
ბაში. მაგრამ შინაურ მართვა-გამგეობის
საქმეში შვეიცარია და ნორვეგია ერთმანეთს
საკან დაძლევილები არიან. მეფის-
თვის ისეთ საქმეების მოხსნისებლად და
გადასაწყვეტად, რომლებიც ორივე მხარეს
შეეხება, დაწესებულია საერთო სასულ-
მწიფო საბჭო. შვეიცარია კონსტიტუციონური
სამეფოა. პარლამენტი შესდგება ორის
ბალტიზაციის. პირველ პალატაშია 150
წევრი, რომლებსაც პრეზიდენტების მმარ-
თველობა ირჩევს 9 წლის ვადით. ამ პალა-
ტის წევრებად მხოლოდ ისეთებს ირჩევენ,
რომლებიც მეტს გადასახადს იხდიან (ცენ-
ზი). მეორე პალატაში 230 დეპუტატია,
რომლებსაც ქალაქები და სოფლები ირჩე-
ვენ; დიდ ქალაქებში არჩევანი პირდაპირ
სწარმოებს. ხოლო პატარა ქალაქებისა და
სოფლებში კი არა-პირდაპირ (ე. ი. ხალხი
ირჩევს წარმომადგენლებს დეპუტატების
ასარჩევად). აქაც ცენზია დაწესებული.
დეპუტატების არჩევა 3 წლით ხდება.
პირველი არ შემოღებია იყო ნაკლები 21
წლისა, ხოლო არჩეული ნაკლები 25 წლისა.
შვეიცარია სივრცე შეადგენს 450 ათას კილო-
მეტრს, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი 5
მილიონს. ერთ კვ. კილომეტრზე მო-
დის საშუალო რიცხვით შვეიცარიაში 11 მცხოვ-
რები. შვეიცარია-ნორვეგიის მცხოვრებნი უფ-
რო ნავიგაციას და მეტეოლოგიას მისდე-
ვენ. 1900 წელს შვეიცარიაში შეუტანიათ 265
მილიონი. საქონელი, გაუტანიათ 200
მილიონის. ნორვეგიაც შვეიცარიაში კონს-
ტიტუციონური სამეფოა. პარლამენტი შეს-
დგება 114 წევრისაგან, რომლებსაც ირჩევს
ხალხი (ქალაქებში 38, სოფლებში 76) 3
წლის ვადით. არჩევანი პირდაპირი არაა
არამედ ხდება არჩეულ წარმომადგენლე-
ბის საშუალებით. არჩევის უფლება აქვს
ყოველ მამაკაცს, რომელიც 25 წლისაა და
5 წელიწადია ნორვეგიაში ცხოვრობს; ხო-
ლო არჩეული უნდა იყოს არა ნაკლებ 30
წლისა და 10 წელიწადი მაინც მკვიდრ
მოქალაქედ ითვლებოდეს. ნორვეგიაში,
ნორვეგია შეიცავს 322 ათას კვ. კილო-

მეტრს და 2 მილიონზე ცოტა მეტ მცხოვრებლებს. 1 ოთხკ. კილომეტრზე მოცდის საშუალო რიცხვით 7 მცხოვრები. 1901 წელს ნორვეგიაში შეუტანიათ 150 მილ. მან. საქონელი, ხოლო გამოუტანიათ 130 მილიონს.

დ ა ნ ი ა

დანია პატარა სამეფოა; სივრცე მისი უდრის 39,780 კვ. კილომეტრს, მცხოვრებთა რაოდენობა — 2.464,790 დანიის სამეფოსვე ეკუთვნის კუნძული ისლანდია და გრენლანდია. დანია კონსტიტუციონური სამეფოა, კანონმდებლობა ხალხის არჩეულ წარმომადგენლების ხელშია. დაახლოვებით ყოველ წელს დანიას გაუყიდნია 197 მილიონი მანეთის საქონელი, უმთავრესად ერბო, ხორცი და კვერცხი (ას-ოც მილიონისა) აქედან სჩანს, რომ ხალხი უმთავრესად საქონლისა და ფრინველების მოშენებას მისდევს. ეს საქმე უფრო განვითარდა და დიდად მომგებიანი შეიქნა მას შემდეგ, რაც მწარმოებლები შეერთდნენ, ამხანაგობები დაარსეს და პირდაპირ ბაზართან დაიჭირეს საქმე. წვრილ მწარმოებელთა ამხანაგობანი ძალიან კარგად არიან მოწყობილი დანიაში.

შ ო ლ ე ა რ ი ა

ბოლგარია განთავისუფლდა ოსმალეთის უღლისაგან 1878 წელს. დღეს სულთანი-საგან დამოკიდებულ სამთავროდ ითვლება, მაგრამ ეს დამოკიდებულობა მხოლოდ ქალაქდუბა დაწერილი, ნამდვილად კი ბოლგარია თავისუფალი და დამოუკიდებელი სამთავროა. ბერლინის ხელშეკრულების ძალით, აღმოსავლეთი რუმელია ბოლგარიას ჩამომორებული იყო; 1885 წელს ფილიპოპოლის რევოლიუცია მოახდინეს ბოლგარებმა და ეს პროვინცია შემოიერთეს, თუმცა ოსმალეთიცა და რუსეთიც დიდად წინააღმდეგი იყვნენ ბოლგარიის ასეთ ეროვნულ პოლიტიკისა. რუმელიის შემდეგ ჯერ მკვედრნიასე მიდგა: აქაც უმრავლესობა მცხოვრებლებისა ბოლგარებია ჩამომავლობით და ახალგაზდა სამთავრო მხნედ შეუდგა ოსმალთა უღლის ქვეშ დარჩენილ მშენებ

განთავისუფლების საქმეს, ძართალია, ჯერ მიზანს ვერ მიაღწიეს ბოლგარელ მამულიშვილებმა, მაგრამ მკვედრიის განთავისუფლებაც ჩქარა მოხდება. სივრცით ბოლგარია 96,345 კვ. კილომეტრია, მცხოვრებთა რიცხვი — 3.734,283. ხალხის დიდი უმრავლესობა სასოფლო მეურნეობას მისდევს. ბოლგარიაში თითქმის სულ წვრილი მესაკუთრე გლეხებია, თუმცა აქა-იქ მიწის მოიჯარადრეც მოიპოვება. ვაჭრობის საგანიც უმთავრესად (86%) საქონელი ნაწარმოებია. ბოლგარიას უყიდნია 1897 წელს 83.990,000-ის საქონელი, გაუყიდნია — 59.790,000-ისა. ბოლგარიის ჯარი კარგად გაწვრთნილი და განწყობილია; ომის დროს მას შეუძლია ფეხზე დააყენოს ორას ათასზე მეტი ჯარის კაცი. ბოლგარია კონსტიტუციონური სამთავროა. ყოველ სრულ წლოვან ბოლგარელს აქვს საარჩევნო უფლება. «სობრანიე» (პარლამენტი) შეესდგება 150 დეპუტატისაგან, რომელთაც ხალხი სუთის წლით ირჩევს. არის აგრეთვე ეგრედ წოდებული «დიდი სობრანიე», რომელსაც საგანგებო შემთხვევებისთვის მოიწვივენ ხოლმე (კონსტიტუციის რომელიმე მუხლის გამოხატვლად ან მთავრის ახარჩევად). განთავისუფლებამდე (1878 წლამდე) ბოლგარია მეტად განუვითარებელი და გაუნათლებელი მხარე იყო, ხალხი დაბეჩავებული და სრულიად უცივი იყო. დღეს კი ბოლგარელი ძალიან დაწინაურდა და მალე ევროპიელს ამოუდგება გვერდით. თავისუფლებამ და თავისუფალ სახელმწიფო წესწყობილებამ განვრთნა და განავითარა ხალხი.

ს ე რ მ ი ა

1878 წლამდის სერბია ოსმალეთისაგან დამოკიდებული იყო. ამ წელს განთავისუფლდა და 1882 წ. დამოუკიდებელი სამეფო შეადგინა. 1893 წლიდან 1903 წლამდის მეფედ იყო ალექსანდრე I. 1903 წ. სასახლეში აფიცრებმა რევოლიუცია მოახდინეს: მოჰკლეს მეფე და დედოფალი; მეფედ არჩეულ იქმნა პეტრე ყარა-გეორგიევიჩი, რომელიც მანამდის ევროპაში იყო განდევნილი. სერბია კონსტიტუციონური სამეფოა. ხალხის წარმომადგენელ-

თა დაწესებულება შესდგება სენატისა და სკუბშიჩინისაგან. სენატში 51 წევრია; ამათში ზოგს შეეფე ნიშნავს და ზოგსაც (18) ხალსი ირჩევს. სკუბშიჩინაში 130 წევრია, რომლებსაც ხალსი ირჩევს ოთხის წლით. სერბიის მცხოვრებთა რიცხვი 2 1/2 მილიონია. სახელმწიფოს წლიური შემოსავალი 25 მილ. მან., სახელმწიფოს ვალი 200 მილ. მან. 1901 წ. სერბიიდან ვაუტანიით 30 მილ. საქონელი; ხოლო შეუტანიით 20 მილიონისა. სერბიის ხალსი უმთავრესად მიწის მუშაობას და საზოგადოდ სახოფლო მეურნეობას მისდევს და მრეწველობა მათში ნაკლებ განვითარებულია. — სერბიის სატახტო ქალაქია ბელგრადი, რომელშიაც 70 ათასი მცხოვრები ითვლება.

ს ა ბ ე რ მ ნ ე თ ი

ძველ დროში საბერძნეთი განთქმული ქვეყანა იყო; იგი იყო კერა მეცნიერებისა, ფილოსოფიისა და ხელოვნებისა. ნამდვილი განათლება ძველმა საბერძნეთმა მოჭფინა ჯერ რომის იმპერიას და მერე მთელ ევროპასაც. დღესაც დიდი გავლენა აქვს ძველ ბერძნულ კულტურასა და ხელოვნებას. თვითონ ესლანდეელი საბერძნეთი კი ძველთან შედარებით არაფერი არ არის. სივრცით მაშინაც პატარა იყო ბერძენთა ქვეყანა, მაგრამ სამაგიეროდ, დიდი, ძლიერი იყო ხელი, ნიჭი ხალსისა. დღევანდელი საბერძნეთი პატარა სამეფოა. მხოლოდ ამ განსხვავებით, რომ დიდებული წარსული მოხვეწებას არ აძლევს და დიდებულ მომავალზე ეუჭუად ოცნებობს. მთელი სამეფო უდრის 64,679 ოთხკ. კილომეტრს, მცხოვრებთა რიცხვი ორ მილიონ ნახევრამდეა. წესწყობილებით საბერძნეთი კონსტიტუციონური სამეფოა. ძველი ბერძნების თუ რამ დარჩა ესლანდელებს, ისევე ვაჭრობის უნარი და ნიჭი. ამ მხრივ ბერძენს ტოლი არა ჰყავს მთელ ხმელთა მუა ზღვასე. ვაჭრობა და შეზღვაურობა ძალიან ეხერხება თანამედროვე ბერძენსაც.

ე ს პ ა ნ ი ა

ესპანია დღეს მერე ხარისხივანი სახელმწიფოა. სივრცით მთელი სამეფო უდრის 504,552 კვ. კილომეტრს, რომელსე-

დაც სცხოვრობს 18.618.086 ხელი. მართვა-გამგეობის მხრით, ესპანია კონსტიტუციონური სამეფოა; საკანონმდებლო დაწესებულება შესდგება სენატისა და «კონგრესისაგან» (პალატა): ორივე ერთად შეადგენს კორტესს. სენატის წევრები დიდი კვარისა და ქონების პატრონები არიან, ზოგი არჩეული, ზოგი დანიშნული. რაც შეეხება კორტესს, დებუტატს ირჩევს პირდაპირ ხალსი: ყოველ 25 წლის ესპანელს აქვს საარჩევნო უფლება. ვაჭრობა: 1900 წელს ესპანიას გაუყიდნია 836 მილ. ბეზეტის (36 კაბ.) საქონელი: უმთავრესად — რკინა, სპილენძი, დვინო, ხილეულობა და ოთხფენი საქონელი. საზოგადოდ ესპანია ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანაა შედარებით ევროპის დაწინაურებულ სახელმწიფოების მდგომარეობასთან. 1902 წლისათვის ესპანიას ჰყავდა 120 ათასი ჯარის კაცი და სამხედრო ფლოტი — 36 გემი ოთხასის ზარბაზნით.

ი ა მ ო ნ ი ა

იაპონია შესდგება ხუთის დიდის და მრავალის პატარა კუნძულისაგან, რომლებიც მდებარეობენ დიდ ოკეანეში. იაპონიის სივრცე 336 კვადრტი ვერსია, მცხოვრებთა რიცხვი 48 მილიონამდეა. იაპონიაში არის 2 უნივერსიტეტი, 10 უმაღლესი საქალბეო სასწავლებელი, 11 უმაღლესი ხელოვნებათა სკოლა, 1 სამუსიკო აკადემია, 102 სატეხნიკო სასწავლებელი, 166 გიმნაზია, 10 საკამერციო, 1 სამრეწველო, 7 სამიწათმკმედო სასწავლებელი, 100 სამასწავლებლო სემინარია, 300 პროფესიონალური სასწავლებელი და 28280 პირველდაწყებითი სკოლა. მთავრობა ეწევა ხარჯს, მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებსათვის სხვებს კი თვითონ მცხოვრებლები ინახავენ. იაპონიაში არსებობს მრავალი საქვემოქმედო საზოგადოება, რომლების მიზანია ხალსის კანათლების დახმარება. ამგვარადვე განვითარებულია მრეწველობა. 1878 წ. იაპონიაში გამოდიოდა 266 გაზეთი (29 მილ. ეგზემპლიარად), ამჟვე წელს დაიბეჭდა 5000 სხვა და სხვა თხზულება. 1892 წ. გამოდიოდა 800 დროკამოშვებით გამოცემა 250 მილ. ცალად. ერთი გაზეთი იბეჭდებ-

20 მილ. ცალად. ამ წელს გამოვიდა 7500 ახალი თხზულება. იაპონელები უმთავრესად მიწის მუშა ხალხია. ბოლოს დროს ვითარდება მრეწველობა, მაგრამ ფართოდება სოფლის მეურნეობაზე. იაპონელებს მოჰყავთ უფრო ბევრი ბრინჯი, რომელიც უმთავრესი საზრდოა მათი. ბური და ქერი შედარებით ცოტა მოდის, იაპონელები მისდევენ აგრეთვე მეთევზეობას. ძალიან გავრცელებულია ჩაის მოშენება და ძეაბრეშუპეობა. განვითარებულია აგრეთვე ბამბეჭელობის წარმოება. უკანასკნელ წლებში დიდი ადგილი დაიკავა იაპონიის ეკონომიურ ცხოვრებაში ვაჭრობამ. გამრავლდა ფაბრიკების და ქარხნების რიცხვი. 1889 წ. იაპონიაში იყო მხოლოდ 84 ფაბრიკა, ესლა კი ქარხნები და ფაბრიკები ათასობითაა. ყველაზე უფრო იაპონელები ცდილობენ რკინეულობის ქარხნების განვითარებას. იაპონია მდიდარია ქვა-ნახშირის, რკინის და სპილენძის მადნებით. ვაჭრობასთან და მრეწველობასთან ერთად, რასაკვირველია, უნდა განვითარებულიყო მისვლა-მოსვლის საშუალებაც. 1872 წ. იაპონიაში 25 ვერსის რკინის გზა იყო, 1895 წ. კი 3900 ვერსის.

ჩ ი ნ ე თ ი

ჩინეთი შესდგება საკუთრივ ჩინეთისა, ანჯურისა, მონგოლიისა და ტიბეტისაჲს. სივრცე ადგილისა 11.081.190 კვად. კილომეტრია; მცხოვრებთა რიცხვი 358 მილიონია, ყველანი თითქმის მონგოლთა რასის არიან. ქვეყანა მდიდარია ბუნებით. ჩინელები მეტად ძველებური ხალხია, ძველი, დიდი ხნის კულტურა აქვთ, მშვიდობის მოყვარე, ზრდილობიანი და მეტად მშრომელი არიან. მისდევენ მიწის მუშაობას, მკბობსტნეობას, მეთევზეობას, სხვა და სხვა სეფლხნობას (ჩინელების მიერ ლამაზად გაკეთებული ნივთები ყველგან განთქმულია). განსაკუთრებით გავრცელებულია ჩინეთში ჩაის მოყვანა. კარგად დახელოვნებულნი არიან ჩინელები ვაჭრობაშიც. ვაჭრობა ძალიან განვითარებულია. ჰუნოელებთან სავაჭროდ 1842 წლამდის მხოლოდ ერთი პორტი (კანტონი) იყო ღია, შემდეგ კი ღიად გამოაცხადა ჩინეთის მთავრობამ სხვა 28 პორტი. ჩინეთი-

დან გამოაქვთ უმთავრესად ჩაი (46 მილ. მან.), აბრეშუმეულობა (64 მილ.) და სხ. ხელ გააქვთ 200 მილ. მან. — ჩინეთში კი შეაქვთ 308 მილ. მან. საქონელი (ობიუში 43 მილ. მ., პამბეულობა 120 მ.). ჩინეთში აღიარებულია უმთავრესად სამი საწმენოება: ბუდდიზმი, კონფუციის მოძღვრება და დაოხიზმი. ეს უკანასკნელი დაარსებულია ლაოტსეს მიერ, რომელიც ცხოვრობდა კონფუციის დროს. ლაოტსემ შეიტანა თავის მოძღვრებაში ყველაფერი, რაც უარსყვეს კონფუციის მოძრე რაციონალიზმებმა: სხვა და სხვა სულების არსებობა, მკითხაობა, ასტროლოგია, ალხიმი და სხ. — დაოხიზმი მარტო ჩინეთში არსებობს. კარდა ამისა ჩინეთში არიან კათოლიკენი (1.000.000), პროტესტანტები (100.000) და მაჰმადიანები (20 მილ.). სახელმწიფო შემოსავალი 135 მილ. მან., ვალი 490 მილ., ჯარში ითვლება 1 მილ. კაცი, ნამდვილად კი 324000 მეტი არ არის. ფულტი 45 გემისაგან და 128 იარაღისაგან შესდგება. მთელი სახელმწიფო გაყვლილია 19 ოლქად, რომელთა მმართველნი თითქმის დამოუკიდებელნი არიან. უმთავრესი ქალაქია პეკინი, სადაც სცხოვრობს იმპერატორი. მმართველობა განუსაზღვრელი დებსპრტიაა. იმპერატორი განაგებს სახელმწიფო საქმეებს მინისტრების შემწეობით (ჩინების, ფინანსების, ცერემონიებს, სამხედრო, რეჯლის და სამუშაოთა სამინისტროები) 1861 წლიდან არსებობს კიდევ ცსუ-ლი-იამენი, რომელიც განაგებს უცხოეთის საქმეებს. ძალიან მდიდარია ჩინეთის მწერლობა, რომელიც შეიცავს მრავალ თხზულებას სიტყვაკაშმულ შინაარსისას (მოთხრობები, დრამები და სხ.), პოლიტიკურს, ისტორიულს, ფილოსოფიულს, გეოგრაფიულს, სტატისტიკურს და სხ. მე-19 საუკუნეში იწყება ევროპელების გამოიერება ჩინეთში. იმპერატორმა დაო-გუანმა (1821—50) განდევნა ჩინეთიდან კათოლიკე მისიონერები; მანვე მიიღო სასტიკი ზომები ოპიუმის კონდრბანდით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამ კარემოებამ გამოიწვია ომი ჩინეთისა და ინგლისს შორის, რომელშიაც ჩინეთი დამარცხდა (1840—42) და რომლის შემდეგ წინეთმა გაუღო ინგლისს სავაჭროდ კარები სუთის დიდის ქალაქისა. შესამოცგ

ჩლებში მოხდა შინაური არეულობა, რომლის დროსაც ბევრი ევროპელი ამოხყვიტეს შეამოხსნა. ამის გამო ორი ომი მოხდა კიდეც ჩინეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის (1857—58 და 1860 წ.).

ო ს მ ა ლ ე თ ი

მეთვრამეტე საუკუნემდე ოსმალეთს ძლიერებით ტოლი არ ჰყავდა მთელს ევროპაში. მთელი ბალკანეთი, დასავლეთი აზია, ეგვიპტე და აფრიკის ჩრდილოეთი ნაპირები ოსმალეთისა იყო. ესლა ოსმალეთი, ან ოტომანის იმპერია, შეიცავს 2.269.500 ოთხკ. კილომეტრ სივრცესა და 24.028.900 სულ მცხოვრებს. ეგვიპტე, ბოღარია და სამოხი სახელით იხვევ ოსმალეთის სულთანის ქვეშევრდომებად ითვლებიან, ნამდვილად კი ამ ქვეყნებში სულთანის არა არის რა და სულთანს ძალიანაც რომ სურდეს, ვერ ჩაერევა მათ საქმეებში. იმ დროს, როცა ევროპის სახელმწიფოები წინ-წინ მიდიან, განათლებას ეტანებიან და მიმდინარე ცვალებად ცხოვრებას უფერებენ თავიანთ პოლიტიკას, ოსმალეთი ერთ წერტილზე შეჩერებულია. სხვაგან ხალხი განვითარდა და თავს თვითონვე დაუჩყო პატრონობა, ოსმალეთში კი ხალხი ისევ მონად დარჩა და დღესაც მონურად იხრის ქედს სულთანის წინაშე. სულთანი და მისი მძებლენი გადაიქნენ ხალხის სისხლის მწველებად. ოსმალეთის სახელმწიფო წესწყობილება, დეპოტიური მთავრობაა მისესი, რომ წიჭიერი და მამაცი ერი ოსმალეთისა ასე დაგეგმული და დაკნინებულია. ქრისტიან ხალხთაგან ოსმალეთის ქვეშევრდომებად დარჩნენ სომხები ძვირე აზიაში და შაკედონელები ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. 90-იან წლებში სომხებმა სხადეს თავიანთ უკიდურეს მდგომარეობიდან გამომავლა და, რაკი მშვიდობიან გზით ვერას გახდნენ, იარაღს მოჰკიდეს ხელი, მაგრამ საუბედუროდ, საქმე წააკვს. შაკედონელები არა ერთხელ აუჯანყდნენ მტარვალ მთავრობას, მაგრამ უკანასკნელი აჯანყება უძლიერესია. მართალია, აქაც მეტად გამწვანებულია საქმე დაძინებულ ხალხის განთავისუფლებისა, მაგრამ შაკედონელები მაინც უკეთეს პირობებში

არიან, ვიდრე სომხები. ევროპაში სცხოვრობენ, მესობლად განთავისუფლებული ბოღგარია არის, რომელიც ყოველის გზით შველის მათ და თან უფრო გამოცდილი და დახელოვნებული მეთაურები ჰყავთ.

ა მ ი ს ი ნ ი ა

მდებარეობს აღმოსავლეთ აფრიკაში, ერეტრიისა (იტალიის ახალშენი) და ეგვიპტის სუდანის ქვეშედ. აბაშეთი წარმოადგენს აბსოლუტურ მონარქიას, რომელსაც განაგებს და ბრძანებლობს იმპერატორი — სეგუს ნეგესტი («მეფეთა მეფე»). ესლანდელ იმპერატორს შენელივი ჰქვია. მთელი სახელმწიფო შესდგება საკუთრივ აბაშეთისაგან და მისგან დამოკიდებულ სუთ საქთავროსაგან (გოჯამ, ბოა, ჯიმა, კაფა და ვოლო). სივრცე აბაშეთისა საქთავრობთან ერთად დაახლოვებით უნდა იყოს 2.500.000 ოთხკ. კილომ. მცხოვრებთა რიცხვი 15 მილ. სარწმუნოებით აბაშელები ქრისტიანები (მონოთეისტები) არიან, თუმცა ბევრი მაჰმადიანიც და კერძოთაყვანისმცემელიცაა. აბაშეთს ჰყავს ევროპიულად გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარი. აბაშელები უმთავრესად მწყემსობას, საქონლის მოშენებას მისდევენ, თუმცა მიწასაც ამუშავებენ. 1900 წელს აბაშეთში შეუტანიათ 6 მილ. მან. საქონელი. გამოუტანიათ 5 მილ. სატახტო ქალაქი აბაშეთისა ადისაბაბაა, სადაც 80 ათასი მცხოვრები ითვლება.

ა ე ლ ა ნ ი ს ო ა ნ ი

ავღანისტანი ირანის ჩრდილოეთ ადამსავლეთით არის, სპარსეთსა, ინდოეთსა და რუსეთის სამფლობელოს შუა. სივრცე მისი უდრის დაახლოვებით 558000 ოთხკ. კილომეტრს, მცხოვრებლების რიცხვი სუთ მილიონზე ნაკლები არ უნდა იყოს. მცხოვრებლები მისდევენ მკურნეობასა და საქონლის მოშენებას. ავღანისტანი ჯერ კიდევ უცოდვალური მონარქიაა, თუმცა ემირს, როგორც აღმოსავლეთის ყოველ მბრძანებელს, განუსაზღვრელი უფლებები აქვს. სამსუდრო არისტოკრატის სულთა ავღანისტანის ნაწილების მართვა-გამკეობა; ეს ნაწილები (ქაბული, კანდაჰარი, სეისტანი, ჰერატე და სხ.) უფრო საქთავრობებია, რომელთა შორის ერთობ სუსტი კავშირია. ჯარი (75 ათასამდეა), ესლანდელ კმირის ჰაბიბულის მამის წყალობით ევროპიულად არის გაწვრთნილი და შეიარაღებული.

პარტიების პროგრამები

პარტიები

ამ უმაღლეს რუსეთში რამდენიმეწიანი პარტიაა. ყველა ესენი სხვა და სხვა აზრისა და შეხედულებებისანი არიან. ამიტომ ურიგოდ არ იქნება ცელტათი განვმარტოთ ქვემო დაბეჭდილი პარტიების პროგრამები, თუ ვინ როგორი წესების მომხრეა.

ადამიანები უკავშირდებიან ერთმანეთს და ადგენენ პარტიებს, რომ დაიცვან სახელმწიფოში სასურველი წესწყობილება და ქვეყნის სიმდიდრე-ქონება გაანაწილონ თავიანთ სურვილისამებრ. პირველი — სახელმწიფოს სასურველად მოწყობა, არის პოლიტიკური საქმე, პოლიტიკური მიზნადება პარტიისა; მეორე — სიმდიდრის განაწილება, არის ეკონომიური, ქონებრივი საქმე, მიზნადება პარტიისა. ეს ორივე საგანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

წარმავიდეგინოთ ისეთი შემთხვევა, რომ სახელმწიფოში მთელი ქონება ეკუთვნოდეს ერთს კაცს. მაშინ ყველა მცხოვრებლები მისგან იქნებიან დაპოკიდებულნი. ყველა უნდა დაემორჩილოს მას, რადგან ვინც არ დაემორჩილება, იმას გააღატაკებს, დაუკმას მოუსპობს. ეს მდიდარი კაცი დაიქირავებს მცველებს, დარაჯებს, სალდასებს, სხვა და სხვა მსახურებს. ხელში ჩაიგდებს ყველა იარაღებს და როგორც განონი უნდა, ისეთს გაძლავებს, როგორც სამართალიც სურს, ისეთს დაადგენს. ცხადია, თვითონ არ იმუშავებს, თვითონ მარტო ქეიფსა და ღვინში გაატარებს დროს. მისი მცველები და მოსამსახურეებიც კარგათ იტვინებენ. ხოლო სალსმა დღე და დამე უნდა გაასწოროს, იმუშაოს და ისე შიწოდოს თავის ნაოფლარი მდიდარ ბატონს და მის ხელქვეითებს.

სჩანს რომ ძალაც იმის ხელშია, ვისაც სიმდიდრე აქვს. მთელი სიმდიდრე-ქონება ათასი კაცის ხელში რომ იყოს, მაშინ ძალაც ამ ათას კაცს ექმნება და სახელმწიფოს მოწესრიგებაც იმათზე იქმნება დაპოკიდებულნი,

ვთქვათ. სახელმწიფოში მთელი ქონება სალს თანსწორად აქვს გაყოფილი, ხო-

ლო ყველა გადასახადებს, მინაურ და კარგე საქმეებს აწარმოებს ერთი კაცი, მასვე ექვემდებარება მთელი ჯარი და მის ხელშია ყველა იარაღი. ამკარაა. რომ ასეთ შემთხვევაში იმ კაცს და მის მახლობლებს შეუძლიანთ, თუ ერთბაშით არა, თანდათან ჩამოართვან სალს ყოველივე სიმდიდრე და თვითონ დაისაკუთრონ.

ეს მაგალითი იმას გვეუბნება, რომ ვისაც ძალა-უფლება აქვს სახელმწიფოში, სიმდიდრესაც ის ჩაიგდებს ხელში.

ამ რიგად, პარტიის პოლიტიკური და ეკონომიური მიზნადება მჭიდროდ არის გადაბმული ერთმანეთზე. ყოველს პარტიას თავისი აზრი აქვს სახელმწიფოს წესწყობილებისა და სიმდიდრის განაწილების შესახებ, ყოველი პარტია საზოგადოების რომელსამე ნაწილს ემსახურება.

ყველა პარტია შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. ერთ მხარეზე არიან მთავრობის მომხრე მდიდრები, მემაბულები, მექარხნე-მეფაბრიკეები და ვაჭრები; მეორე მხარეზე — ღარიბები, მუშა სალსის პარტიები. მთავრობის პარტიის წევრებად არიან: დიდი მოხელეები, პოლიციელები, ჯამუშები და წვრილმანი ჩინოვნიკები. ამ პარტიის მიზანია, რომ რუსეთში უნდა არსებობდეს უსაზღვრო თვითმპყრობელობა, ხელმწიფე უნდა იყოს ერთადერთი კანონმდებელი, ერთადერთი უმაღლესი გამგე და მსაჯული მთელი რუსეთისა. მისი უფლება განუსაზღვრელია, ის არავის წინაშე პასუხს არ აკებს. ვერავინ მოსთხვავს აგრეთვე პასუხს ხელმწიფის მოსამსახურე ჩინოვნიკებს, მხოლოდ ხელმწიფის საქმეა ანგარიში ჩამოართვას მოხელეებს, მოიწონოს თუ დაიწუნოს მათი მოქმედება, დააჯილდოვოს თუ დასაჯოს ისინი. რასაც ხელმწიფე გააკეთებს და დააწესებს, ის კანონია და სამართალი, ამის წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერს იტყვის. რადგანაც ხელმწიფეს თავის მოსამსახურე ჩინოვნიკების შენახვა უნდათ. ამიტომ სახელმწიფოს მთელი შემოსავალი გასაგალი. ხელმწიფის ხელში უნდა იყოს, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ყველაფერი და როგორც უნდა ისე მოისმაროს, როგორც

უნდა ისე დაასაჩუქროს თავის ერთგული მოსამსახურენი, ჩინოვნიკები, თავდასხაურები, პოლიციელები და მღვდლები. ამგვარ პარტიას «რუსეთის ხალხის გაგშირი» ჰქვია. ამ პარტიას უნდა, რაც შეიძლება მთავრობამ ყოველნაირი სასტიკი დევნა დაუწყოს თავისუფლებისათვის მებრძოლ პარტიებს. ამგვარ საქმეში პარტიის წევრები მხურვალედ მუშაობენ და ხდება კიდევ, რომ მშვიდობიან მცხოვრებლებს იკლებენ და აწიოკებენ. «თავისუფლება არ უნდა მიეცეთ ხალხსა!» გაიძახიან პარტიოტები, რისთვისაც მთავრობა დიდ შემწევობას აძლევს ფულით თუ სხვაფრივ. პარტიოტები იმასაც ჰქადაგებენ, რომ ვინც რუსი არაა, ის რუსის ხალხის ყმა უნდა იყოს.

ამ პარტიის უფრო ასლო ნათესავათ ითვლებიან 17 ოკტომბრისტები. ოკტომბრისტებს თუცა ბიზადად თავისუფლება მოსწონთ, მაგრამ საქმით კი თავისუფლების წინააღმდეგ მოქმედობენ. ეს პარტია ეუბნება მთავრობას: მცირე თავისუფლებას თუ გვიწყალობენ კარგია, თუ არა, მაინც შენი ნება არის. ოკტომბრისტების პარტიამ ძლიერ მოიწონა, როცა მთავრობამ საშხედრო-საველე სასამართლოები შემოიღო და სიციფრე ჩაუქმარა ისედაც გამწარებულ ხალხს.

არის კიდევ ერთი ბურჟუასიული პარტია, რომელსაც კონსტიტუციონალ-დემოკრატები (კადეტები) ჰქვიათ. იგინი მოითხოვენ რომ რუსეთში თვით-მყრობელობა იყოს შესწდუდული კონსტიტუციით, ესე იგი დამყარდეს ხალხის წარმომდგენლობა და თავისუფლება. კადეტებს სურთ, რომ რუსეთში უმაღლესი მართველობა სელმწიფისა და ხალხის არჩეულ პირების სელში იყოს, რომ სელმწიფეს არ შეეძლოს არც კანონის გამოცემა და არც გადასახადის დაწესება ხალხის წარმომდგენლების ნება დაურთგვლად. როცა ამნაირი წესწყობილება იქნება შემოღებული, სელმწიფე დანიშნავს მინისტრებს, მაგრამ ისინი პასუხის მგებელნი იქნებიან ხალხის ამორჩეულ კაცების წინაშე. მინისტრმა პასუხი უნდა აკოს მაშინაც კი თუ სელმწიფემ რაიმე უკანონობა ჩაიდინა. ამ გვარად კადეტებს უნდათ, რომ მექვიდრეობითი სელმწიფობა დარჩეს, ხოლო სელმწიფე

იყოს შესწდუდული და ხალხის წარმომადგენლები დაუკითხავად ვერაფერს გააკეთოს.

კადეტების პარტიაში უფრო შეძლებულ პირები არიან: გეკილები, ეკიმები, მასწავლებლები, ვაჭრები, მემამულეები. კადეტები ყველაზე უწინარეს თავისუფლებას მოითხოვენ, მაგრამ მათ იცინა, რომ რუსეთში ას მილიონზე მეტი გლეხია, რომელსაც მიწა ესაჭიროებათ. ამიტომ კადეტების პარტია იმასაც მოითხოვს, რომ ხანინამ გამოისყიდოს მემამულეების მიწა. ეს მიწა და სახანინო და საეკლესიო სამინისტრო ადგილები იჯარით გადასცემს უმიწაწყლო გლეხობას. ამასთანავე მუშებისთვის სოციერთ სასარგებლო კანონების გამოცემასაც ფიქრობენ. ყოველ შემთხვევაში კადეტების პარტიას უნდა რომ მშვიდობიანის გზით, უნრძიოვლად მოაწყოს რუსეთში ახალი წესები.

სულ სხვაა სოციალისტურ პარტიებში მისანი. ეს პარტიები იცავენ დარბი, მუშა ხალხის ინტერესებს. უნდათ ისეთი კანონები გამოსცენ, ისეთი წესები შექმნა, რომ მუშა ხალხის, ქალაქის მუშების და მიწის მუშა გლეხების ცხოვრება გაუმჯობესდეს. ამ პარტიების უმთავრეს საქმეა სოციალიზმის, სრული ერთობის დამყარება, რადგან მხოლოდ მაშინ ედისება მუშა ხალხი სრულს განთავისუფლებას და ადამიურ ცხოვრებას; ხოლო მათ უნდათ, რომ სანამ სოციალიზმის განსორციელდებოდა, მანამდე დღესვე გაუკეთესდეს მუშების მდგომარეობა ამისათვის მოითხოვენ სრულს თავისუფლებას, მუშებისთვის ქირის მომატებას და სამუშაო დროს შემცირებას. სრული თავისუფლების დასამყარებლად სოციალისტური პარტიები მოითხოვენ არა თვითმპყრობელობის შესწდუდას; არამედ სრულიად მოსპობას. მათ უნდათ რომ რუსეთში დამყარდეს სრული ხალხური მმართველობა, ხალხური რესპუბლიკა, რომ სახელმწიფოს თავში იდგეს არჩეული კაცი და არა მეფე; ეს არჩეული კაცი იქნება პრეზიდენტი, რომელიც აასრულებს იმას, რასაც დაადგენენ ხალხის ამორჩეული პირები. ასე რომ ყოველი კანონი გამომცემელი და ხარჯის დამწესებელი იქნება მხოლოდ ხალხის მიერ, ამორჩეულ

კრებულო. სოციალისტებს სურთ ხალხის სრული ბატონების დამყარება, მაშინ ხალხი ისეთ წესს შექმნიდნენ ისე მოაწყობს ყოველ საქმეს, როგორც ძისთვის უფრო სჯობს.

სოციალისტური პარტიებიც განსხვავდებიან ერთი მხრივ სოციალ-დემოკრატებში; მაგალითად, სოციალ-დემოკრატები ამბობენ, რომ მუშა ხალხია და სოციალისმის მომხრეც მხოლოდ ქალაქის მუშა პროლეტარიატია. სოციალისტ-რევოლუციონერები კი ამბობენ, რომ ქალაქის მუშა და მძინის მუშა გლეხი ორივე მუშაა, ორივე სოციალისმისთვის იბრძვიან. ამასვე ამბობენ სოციალისტ-ფედერალისტები.

დღეს ჩვენში სამი სოციალისტური პარტიაა; სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები. მათი უმთავრესი მიზანია სოციალისმის, სრულ ერთობის დამყარება, ხოლო ახლო მომავალში კი მათ საჭიროთ მიაჩნიათ სრული თავისუფლების და ხალხური მმართველობის დაწესება. რათა ამით გაადვილდნ ბრძოლა სოციალისმისთვის.

ქართულ სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა

1. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიზანია განთავისუფლება მშრომელ ხალხისა ეკონომიურის, პოლიტიკურის და კულტურის დამონაწივებისაგან.

2. მშრომელ ხალხის სრული განთავისუფლება მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა მშრომელი ხალხი დაანგრევს თანამედროვე ბურჟუაზიულ და ჯერ კიდევ რამდენადმე ფეოდალურ საზოგადოებრივ სასელ-მწიფოებრივს ორგანიზაციებს და დაამყარებს სოციალისმს.

3. სოციალისმი იგულისხმებს საწარმოვო იარაღების — ქარხნების, ფაბრიკების, მიწის და სხვა სიმდიდრის განსაზოგადებას და გაუქმებას ამ სიმდიდრის დანაწილებისა კერძო საკუთრებად; სოციალისმი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია შრომისა და ძეგურნობისა.

4. სოციალისტური წესწყობილება აუცილებელი საჭიროებაა განსაკუთრებით

მშრომელ ხალხისთვის, რომელიც კერძო საკუთრების საძირკველზე დაყარებულ წესწყობილების მეშვეობით იხაგრება გაბატონებულ კლასებისაგან. მაგრამ სოციალისტური წესწყობილება სასარგებლოა მთელ საზოგადოებისათვის, ვინაიდან სოციალისმი წარმოშობით კლასიურია, იდეალი კი, რომელსაც ახორციელებს, ანტიკლასიურია.

5. სოციალისმის განსასარგებლოად საჭიროა მშრომელმა ხალხმა ჩამართვას გაბატონებულ კლასებს წარმოების იარაღები და აქციოს ეს იარაღები მთელის ხალხის ხაერთად საკუთრებად. ამით გაბატონებულ კლასებს ბატონობის იარაღი დაეკარგებათ. ეს აქტი სამართლიანი არის, რადგან სიმდიდრე ან ბუნების უსასყიდლო საჩუქარია ან შრომის ნაყოფი: გაბატონებული კლასები კი არა შრომობენ, მაგრამ მაინც მთელი სიმდიდრე, სულში აქვთ ჩაგდებული. საწარმოვო იარაღების ჩამორთმევა აუცილებლად უნდა მოხდეს რევოლუციონერების გზით, ე. ი. ძალით, რადგან საწარმოვო იარაღების ესლანდელი ბატონნი თავიანთ ნებით არასოდეს ხელს არ აიღებენ კლასურ ბატონობაზე.

6. სოციალისმის განსასარგებლოად საჭიროა აგრეთვე მშრომელ ხალხის ყველა წრეების სოლიდარობა შრომისა და თანასწორობის ნიადაგზე და მიხი ორგანიზაცია, ერთის მხრივ, პოლიტიკურ პარტიად, ხოლო მეორეს მხრივ, პროფესიონალურ კავშირებად და მომხმარებელთა კოოპერაციებად.

7. უმცირესი სოციალური წრე იქნება კომუნა (სოფელი ანუ ქალაქი), უდიდესი კონფედერაცია. თითოეული სოციალური წრე ავტონომიურად იმუქმედებს იმ სამეურნეო საქმეების ასასრულებლად, რომელიც თვით ამ სოციალურ წრის (კომუნის) წევრთა შრომით გაკეთდება. ერთისა და იმავე რიგის სოციალური წრეები ანუ კომუნები შეადგენენ ფედერაციას, რათა შეერთებულის ძალიანით დაიკმაყოფილდნ ისეთი საერთო საჭიროებანი, რომელსაც კერძოდ თითოეული სოციალური წრე (კომუნა) ვერ გაუმძვება. ყველაგან და ყველა კომუნებში, შესაძლებელია, არ მოხდეს სრული ინტეგრაცია წარმოებაში. ამ შემთხვევაში მიმოსვლა დამყარებული

იქმნება არა მოგვიანეს და მოხდება არა ფულის სამუალებით, არამედ დამყარებული იქნება კომუნათა. ფედერაციათა თუ კონფედერაციათა რეალურ საჭიროებაზედ და მოხდება ნაწარმოებთა პირდაპირის მიმოსვლით. თითოეული სოციალური წრე თავის სამეურნეო საქმეებთან ერთად ავტონომიურად იმოქმედებს თავის წრის ფარგალში საერთო კულტურულ საქმეთა გასამდიდრად.

8. სოციალური რევოლუცია სანგრძობი პროცესია და განსაზღვრავს მრავალსა და მეურნეობისა ყოველგან და წარმოების ყოველ დარგის შესახებ, შესაძლებელია, ერთად არ მოხდეს. უკვე დაწყებულ სოციალურ რევოლუციის სანაშობი, სოც.-ფედერალისტთა პარტიის შეხედულებით სოციალიზაციის პრინციპი შეიძლება განხორციელდეს ნაწილობით. ასეთი პერიოდობითი სოციალიზაცია სავსებით ვერ დაიძინებს ესლანდელს ბურჟუაზულ ერთობის წესებს, მაგრამ თვალსაჩინოდ მაინც არყვებს იმის სიძაგრეს და აადვილებს სოციალურ რევოლუციის საბოლოოდ გაშარჯვებას, ე. ი. მიწის და კაპიტალის ექსპროპრიაციას და ქმნის საჭირო პირობებს სოციალისტურ წარმოების დამყარებისათვის.

9. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, ვიდრე წარმოებასა და სიმდიდრის განაწილებაში ბურჟუაზული წესები მეფობენ, მშრებელ ხალხის კლასსურ ინტერესების ნიადაგზე სდგას.

10. სოციალიზმის სრულ განხორციელების მოსაშენებლად საჭიროა თვითმპყრობელობის მმართველობის მოხპობა და განხორციელება დეცენტრალიზაციის, ავტონომიის და ფედერაციის პრინციპებისა.

11. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია თავის იდეალებისათვის ბრძოლის იარაღად სთვლის: პარტიულ პრინციპებს პოპულარულად, კავშირების დაარსებას, ლეგალურს და არა ლეგალურს პოლიტიკურს მოღვაწეობას და ყოველგვარ სარევოლუციო აქტებს.

12. სოციალ.-ფედ. პარტია ყოველგვარ ეროვნულ დანაგვრის წინააღმდეგია და მოითხოვს ყოველ ერს მიეცეს ნება თავისი საქმეები მოაწილოს ისე, როგორც მას უნდა. სრული მოხპობა კი ეროვნულის

უთანასწორობისა მოხდება მაშინ, როდესაც დამყარდება სოციალიზმი.

მასლობელ დროისთვის სოც.-ფედერალისტების პირდაპირი მიზანი შემდეგია:

13. სრული თავისუფლება სიტყვისა, წერისა, სინდისისა, კრებებისა, კავშირებისა და ყრილობებისა, მიმოსვლისა (ნახ.-პორტების გაუქმება) და გაფიცვისა; ხელშეუხებლობა პიროვნებისა, ბინისა და მიწერ-მოწერის საიდუმლოების დაცვა; სრული თანასწორობა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებებისა ყველაშათვის განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, ეროვნებისა; გაუქმება წოდებისა.

14. შემოღება დემოკრატიულ წარმომადგენლობით მართველობისა, (რომელიც დამყარებული უნდა იყოს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარული საარჩევნო უფლებაზე. პრეზიდენციანალური წარმომადგენლობა, შემოღება პარლამენტარიზმისა (ნახუხის მგებელი სამინისტრო, რომელიც შესდგება პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელთაგან), დამყარება რესპუბლიკისა. პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა (რეფერენდუმი) და ხალხის საკანონმდებლო ინიციატივა.

15. ა) ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია; სახელმწიფოს ფედერატიულად მოწყობა.

ბ) ფედერაციის შემადგენელ ნაწილებს ან ავტონომიებს უფლება აქვთ შეადგინონ დროებითი ან სამუდამო კავშირები საერთო საქმეების გასამდიდრად.

გ) სრულიად რუსეთის ფედერაციის დამყარებამდე ს.-ფედერალისტთა პარტია მოითხოვს დღესვე საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას.

16. დემოკრატიისათვის ადგილობრივ სახელმწიფოებშიც სასწავლოებრივ დაწესებულებათა; ფართო ადგილობრივ საერო და სამხედრო (სოფლებისა და ქალაქების) თვითმართველობა; სახელმწიფო მოწყობების არჩევნები, ნაცვლად დანიშნისა მთავრობის მიერ. შემოღება ადგილობრივ დაწესებულებებში ადგილობრივ მცხოვრებთა ენის სმარებისა; ნაციონალურ უმცირესობის კულტურულ განმანათლებელ საჭიროებისთვის გადაღება სავსებით შემოსავლიდან, მცხოვრებთა რაოდენობის პრპორციით, განსაზღვრულ

ნაწილისა და ამ თანხის გადაცემა ნაციონალურ უმცირესობის განკარგულებაში.

17. სხვა რეფორმების განხორციელებასთან ერთად უნდა შეიცვალდეს ადგილობრივი მმართველობის წესებიც. საადმინისტრაციო მმართველობის ნაცვლად შემოღებულ უნდა იქმნას თვით-მართველობა; თვით-მართველობას უნდა ექვემდებარებოდეს ყველა ადგილობრივი საქმე, გარდა ამ საქმეებისა, რომელსაც მთელ სახელმწიფოსათვის საერთო მნიშვნელობა აქვს. ადგილობრივ თვით-მმართველობის მოქმედება მიმართული უნდა იყოს მცხოვრებთა კულტურულ განვითარებისაკენ და საზოგადო სამსახურის საქმეების მუნიციპალიზაციისაკენ.

18. გასამართლება ყველა მოხელისა უკონო მოქმედებისათვის საზოგადო წესობ; ინიციატივა მოხელის სამართალში მიტეხისა ყველა მოქალაქისათვის; გადაყენება მოხელეებისა სასამართლო დადგენილებით.

19. სწავლება ყველასათვის: უფასო საყოველთაო, სავალდებულო, საერთო საერთო გაათლება 16 წლამდის; სავალდებულო საჯავგელთაო პრფესიანალური განათლება ყველა მოსარდისათვის; ყველამ აუცილებლად ბავშვობაშივე უნდა შეისწავლოს ჯრის რომელისამე გვარის ხელის მუშაობა მიანიც. სკოლების საქმეს ადგილობრვით თვით-მართველობა უნდა აწარმოებოდეს.

20. კანცალაკვეება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან.

21. კაუქმება მუდმივის ჯარებისა და დაწესება სახალხო ანუ საერთო ლაშქრისა (მილიცია).

22. ირითადი რეორგანიზაცია ფინანსების სახისა:

ა) მტკობა არა პირდაპირის გადასასადებისა, განსაკუთრებით იმ გადასასადებისა, რომელიც უმთავრესად მშრომელ ხალხს აწება კისერზე; მოხობა მთავრელობით სეებისა.

ბ. შემოღება პროგრესიულ გადასასადებისა შემოსავალზე; გაძლიერება გადასასადებისა მკვიდრეობაზე და საჩქარეზე, გარდა ამ შეწირულებისა, რომელიც საზოგადო კულტურულ საქმეებს უნდა მოხმარდეს.

გ) გაუქმება მკვიდრეობისა არა პირდაპირ შთამომავლობის შტოზე და ანდერძით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მკვიდრეობა კულტურულ საქმეების მოსახმარებლად გადადის, შესწავლვა კანონით რაოდენობის მხრივ, მკვიდრეობისა, გადაცემა სახელმწიფოს ან ტერიტორიალურ ერთეულის ხელში იმ ქონებისა, რომელიც ამ მუხლის თანახმად მკვიდრეობით კერძო პირების ხელში ვეღარ გადავა.

დ) გაფართოვება ტერიტორიალურ ერთეულების საზოგადო საკუთრების.

ე) დაწესება ყველა მშრომლის დაზღვევისა უსაქმოდ დარჩენისაგან შრომისა უნრის დაკარგვისაგან (ავადმყოფობა, უცბედი უბედურება და სიბერე) და სიკვდილისაგან (ობლების და ქვრივად დარჩენილ ცოლის სასარგებლოდ).

23. გაუმჯობესება მუშათა მდგომარეობისა და განვითარება მუშათა კანონმდებლობისა.

ა) რეორგანიზაცია შრომის და მოხმარების სტატისტიკისა საზოგადო ხარჯით.

ბ) ქონებრივ დასპარების აღმოჩენა სახელმწიფოსაგან კოლპერატიულ ამხანაგობათათვის, განსაკუთრებით პირველად დაარსების დროს და ეკონომიურ კრიზისების ხანაში.

გ) დაწესება მსახიბუქად დღეში რვა საათის მუშაობისა; დაწესება უფრო ნაკლებების მუშაობისა წარმოების ისეთ დარგებში, სადაც მეცნიერულ ჰიგიენის თანახმა რვა საათის მუშაობაც საზიანოა ჯანსაღობისათვის. აკრძალვა ბავშვების მუშაობისა 16 წლამდე და დაწესება მსუბუქ მუშაობისა მცირე წლოვანთათვის 16-იდან 20 წლამდე. სრულიად აკრძალვა მცირე წლოვანების და ქალების მუშაობისა წარმოების განსაზღვრულ დარგებში, კანთავისუფლება ქალებისა მშობიარობის წინ სახის კვირით და შემდეგ ექვსის კვირით; ამ ხანის განმავლობაში მათ ჯამაგირი უნდა ეძლეოდეს. მუშუ-მწიფავარ ბავშვის ზრდის დროს ქალები განსაზღვრულ დროით კანთავისუფლებულ უნდა იქმნენ ყოველ დღე ბავშვის მხსავლელად და ფანრიკვითან და ქარხნებთან ბავშვების თავმსაფარი უნდა იყოს მოწყობილი; გაუმჯობესება შრომის ჰიგიენურ და სანიტარულ

პირობებისა. მეთვალყურეობა შრომის მფარველ კანონების ასრულებისა თვით მუშებისაგან არჩეულ შრომის ინსპექტორების მიერ. გავრცელება შრომის მფარველ კანონებისა მეურნეობის ყოველ დარგზე, სხვათა შორის სასოფლო მეურნეობაზე და წვრილ სახელოსნოებზე. გადაეცემა მშრომელ ხალხის პროფესიონალურ კავშირების ხელში მინაურ საადმინისტრაციო საქმეებისა ქარსნებში. ფაბრიკებსა და სხვა დაწესებულებაში. სადაც კი მომუშავენი ერთს პროფესიონალურს ორგანიზაციას შეადგენენ.

დ) საშუალო ფასის მინიმუმის განსაზღვრა ყოველ წლებში მუშათა სასტატისტიკო კომისიის მიერ, რომელიც ისელებღვანელებს სანაცვარე არსებულ ფასებით.

ე) ყოველ მუშას წლის განმავლობაში ერთის თვის თავისუფლება უნდა მიეცეს; კვირაში კი 42 საათი.

შენიშვნა. თავისუფლების დროს მუშას ჯამაგირი ენახება.

ვ) გაფიცვის დროს მუშებს ჯამაგირი უნდა ეძლეოდეს.

ზ) საწარმოდვ დარწხებულებების პატრონებმა მუშებს წინ და წინ უნდა შეატყობინონ, თუ უნდათ მათი (მუშების დათხოვნა, ამ შემთხვევაში მუშებს სამის თვის ჯამაგირი უნდა მიეცეს.

თ) დაარსება შრომის ბიუროებისა.

ი) თანასწორი შრომის ფასი თანასწორ მუშაობაში ზქების განურჩევლად.

სოფ. ფედ. პარტია თავის აგრარულ პროგრამას საფუძვლად უდებს პრინციპს მიწის კერძო საკუთრების გაუქმებისას, რათა იგი ხალხის საერთო სიმდიდრედ იქცეს:

ა) სახელმწიფოს, ეკლესიას, მონასტრებს, კაზინებს, უფლის წულებს და მსხვილ შემამულეებს მიწა რევოლიუციონურის გზით გამოუსყიდველად უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს წვრილ და მსხვილ ტერიტორიალურ ერთეულებს.

შენიშვნა. ქალაქის საზღვრებში მღებარე მიწა უნდა ჩამოერთვას კერძო მესაკუთრებს და გადაეცეს საქალაქო მუნიციპალიტეტებს.

ბ) სოფ. ფედ. პარტია ყოველის უწინარეს იმის ცდაში იქნება, რომ ამ მიწების დამუშავება კოლექტიურის შრომით სწარმოებ-

დეს და რომ ნაყოფი ამ საერთო შრომისა შრომის მიხედვით განაწილდეს.

კ) სადაც კოლექტიურ შრომის განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდება, მიწების აღიარებას სახალხო ფონდად და მის ნაჭერ-ნაჭერ გადაცემას დასაშუშავებლად, იმ პირობით კი, რომ არავის ხმაზედ მეტი მძწ არ მიეზომოს, რის დამუშავებასაც თავის საკუთარის ძალდებით გაუძღვება.

დ) იმ წვრილ მესაკუთრეებს, რომელნიც თითონ ან თავის ოჯახის შემწეობით აქუშავებენ თავის მიწას, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმევათ ეს მიწა საერთო მფლობელობაში გადასაცემად, თუ ეს მესაკუთრენი თანსძობას განაცხადებენ ამსუყოველ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია.

წვრილ მესაკუთრეებს ჩამოერთმევათ მიწა ძალით ამ შემთხვევაში თუ ისინი თავის მიწებს თავისივე ხელით არ ამუშავებენ.

საშუალო რაოდენობის ძაძულის პატრონებსაც უნდა ჩამოერთოთ მიწა — გარდა იმ ნაწილისა, რომელსაც ისინი თავის საკუთარის შრომით ამუშავებენ. ეს უკანასკნელი ნაწილი მიწისა მხოლოდ ისეთს შემთხვევაში შეიძლება ჩამოერთოს მათ რომელს შემთხვევაშიც წვრილ მესაკუთრებს, და გამოერთმევათ მიწა საერთო მფლობელობისთვის.

ე) ქალაქში რენტა უნდა იკრიფებოდეს განსაკუთრებითი გადასახადის დწესებით საერთო საჯიროებისათვის მსახმარებლად.

სოფელში შემოდებულ უნდა იქმნეს გამათანასწორებელი (уравнительный) გადასახადი.

როგორც ბოლიტიკური, ისე ენომიური ნაწილი სოფ. ფედერალისტ მახლობელ პროგრამისა მხოლოდ მაშინდადგება უზრუნველყოფილ განხორციელებს გსაზე, როდესაც ესლანდელი სარევიციო მოძრაობა საბოლოოდ გაიმარჯვებულს რეჟიმზე და როდესაც რევოლუციონურად მოწვეული დამფუძნებელი კრება სრულიად დამლის თვითმპყრობელობი და ცენტრალისმის ორგანიზაციებს. ჰიტომ ჩვენი პირველი დევიზია: რევოლუციონური ბრძოლა სრულიად რუსეის დამფუძნე-

ბელ კრების და ადგილობრივ დაძაბუნებულ კრებათა მოხაზვებამ.

სოციალისტ-რევოლუციონერების პროგრამა

სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია მათთვის:

1. დაწესება დემოკრატიულ რესპუბლიკისა, ოლქთა და თემების ფართე ავტონომიით, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც; რაც შეიძლება ფედერაციულ საფუძვლის უფრო ფართე შემოღება კერძო ერვინებათა ურთიერთობაში; მათ უნდა შეინიჭოს სამდივიო უფლებები თვითგამორკვევისათვის; პირდაპირი, დაფარული, თანასწორი, საყოველთაო სარჩევნო უფლება ყველა მოქალაქისათვის არა უმცირეს. იგი წლისა, — პრეზიდენტი წარმოადგენლობა; პირდაპირი კანონმდებლობა (რეფერენდუმი და ინიციატივი); ამორჩევა, გამოცვლა და პასუხის მგებლობა ყოველ დროს ყველა მოსახლე პირთა; სრული თავისუფლება სინდიკატისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, მუშათა გაფიცებისა და კავშირისა; სრული და საყოველთაო მოქალაქობრივი თავისუფლება, ხელ-შეუსლებლობა ბინისა და პიროვნებისა; სრული განცალკევება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან და სარწმუნოების კერძო საქმედ აღიარება თვითეულ მოქალაქისათვის; შემოღება საყოველთაო სავალდებულო, საერთო განათლების მიღების სახელმწიფო სარჯზე; ენების თანასწორება; სასამართლო წარმოება უფასოთ; მუდმივი ჯარის გაუქმება და სალხის შეარადება.

2. მუშათა კანონმდებლობის კითხვებში პარტია სოციალისტ-რევოლუციონერებისათვის მიზნად ისახავს: დაიცვას მუშათა კლასის სულიერი და ფიზიკური ძალები და გააძლიეროს მისი ნიჭი განმათავისუფლებელ ბრძოლაში, საერთო ინტერესებს უნდა დაემორჩილებს ყველა ვიწრო პრაქტიკული, დამოუკიდებელი, ადგილობრივი და პრეფესიონალური ინტერესები მუშათა კერძო ნაწილებისა; ამისათვის პარტია ეცდება მოიპოვოს: რაც შეიძლება მეტი შემცირება სამუშაო დროისა შრომის ზედმეტ ღირებულების ფარგალში; დაადგინოს სამუშაო დროს კანონ-

მდებლობითი მაქსიმუმი იმ ნორმებისა და მისეფდით, რომლებსაც გვიყვანებს მეცნიერული ჰიგიენა (უმახლოდლეს დროში რვა საათის საბუთაგო დღის ნორმა წარმოების დარგებთა უმრავლესობისათვის, და შედარებით უფრო მცირე ნორმა ჯანმთელობისთვის უფრო სამიმ მანეებელ დარგებში). მინიმალური სამუშაო ქირის დადგენა თვითმართველობის ორგანოთა და მუშათა პრეფესიონალურ კავშირებთან შეთანხმებით. სახელმწიფო დასდევვა უბედურ შემთხვევებსა და უმუშევრობისაგან, ავითყვინებისა და მოხუცებლობის დროს და სხვა სახელმწიფოსა და მწარმოებლების სარჯით დასდევვულთა თვითმართველობის ნიადაგზე, შრომის კანონმდებლობითი დაცვა წარმოება-გაჭრების ყველა დარგებში, მეცნიერულ ჰიგიენის თანახმად, რომელსაც თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს მუშების მერ ამორჩეული სატაბრიკო ინპექცია (შრომის ნორმალურად და ბინების ჰიგიენურად მოწყობას, მცირეწლოვანთა, 16 წლამდე, არასრულწლოვანთა მუშაობის განსაზღვრას, ქალებისა და ბავშვების შრომის აკრძალვას წარმოების ცნობილ დარგებსა და ცნობილ პერიოდში, საკმარის, განუწყვეტელ, ყოველ კვირეულ დასვენებასა და სხ). მუშათა პრეფესიონალურ ორგანიზაციების მოწყობას და მათ მიერ მონაწილეობის მიღების პრეგრესიულად გაფართოება შინაგან წესრიგის დადგენაში, სამრეწველო დაწესებულებებში.

3. აგრარულ პოლიტიკისა და საადგილობრივ ურთიერთობის კითხვებში სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია ისახავს თავის მიზნად გამოიყენოს სოციალისმის სასარგებლოდ და ბურჟუაზიულ საკუთრების საფუძველთა წინააღმდეგ, როგორც სათემო, ისე სასოციადო მშრომელთა შეხედულებანი, რუსის გლეხობის ცხოვრების ფორმები და ტრადიციები, განსაკუთრებით-კი შეხედულება მიწაზე, რომელიც მშრომელთა აწრით უნდა ეკუთვნოდეს მათ. ამისათვის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მათთვის ყველა კერძო მფლობელთა მიწების სოციალიზაციას, ე. ი. კერძო პირების საკუთრების ხფერიდან მათ აღმოხრვას და გადასვლას სასოციადო მფლობელობაში და

დემოკრატიულათ მოწყობილ თემების ტერიტორიალურ კავშირების განკარგულებაში თანასწორათ სარგებლობის საფუძვლებზე, იმ შემთხვევაში, თუ ვინც იტყობა ეს უმთავრესი და ძირითადი მოთხოვნილება აგრარულ ბრვარაჟა-მინიშუმისა არ იქნება ერთბაშით დაკმაყოფილებული, როგორც რევოლიუციონური წიგნი, ს.-რ. პარტია შემდეგ აგრარულ პოლიტიკაში შეუთანხმებს ამ ბრვარაჟის მოთხოვნილებას, იმ გარემოებას, რომელიც შესძლებს მის სრულიათ განხორციელებას; წამოაყენებს რა მასზე შესაძლებელ გადასახვლელ წიგნებს, როგორც მაგალითათ, თემებისა და მათი ტერიტორიალურ კავშირების უფლებების გაფართოებას კერძო მფლობელთა მიწების ექსპროპრიაციით: სამონასტრო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სხ. მიწების კონფისკაციას და მათ გადაქცევას სახელმწიფო ქონებათ; იმავე საქმისთვის, რომელიც თემებს უსრუნველ ყოფს საკმარისი მიწით, და აგრეთვე გადასახლების და დასახლების საჭიროებას. მიწით სარგებლობის ქირის განსაზღვრას მეურნეობის წმიდა შემოსავლის ხიდიდით, (რომლის საერთო შემოსავლიდან უნდა გამოირიცხოს წარმოების სარჯი და შრომის ნორმალური ჯილდო); დაჯილდოებას მიწასე დასარჯულ გაუმჯობესებათა ერთის სელიდან. მიწის სარგებლობის მეორე ხელში გადასვლის დროს; რენტის გადაქცევას სპეციალურ გადასახადების ვზით თემებისა და თვითმართველობის ორგანოთა შემოსავალ წყაროდ.

4. ფინანსიურ პოლიტიკის კითხვებში პარტია ეცდება პროგრესიულ გადასახადების შემოღებას შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე, მსოფლიო წვრილი შემოსავალი სრულათ განთავისუფლებულ უნდა იქნეს გადასახადებიდან განსაზღვრულ ნორმის ქვევით; არა პირდაპირ გადასახადების გაუქმებას (ფუფუნების საგნებზე გარდა), დამცველ სადამოყენო ბაჟების და საზოგადოთ ყველა გადასახადების, რომლებიც აწევს შრომას.

5. მუნიციპალურ და საერომა საბუღალთ კითხვებში პარტია ეცდება ყოველგვარ საზოგადო საჭირო საქმეთა განვითარებას (უფასო, საექიმო დასმარება,

საერომა-აგრარომაიული ორგანიზაცია — კომუნალიზაცია წყლით სარგებლობისა, განათებისა, გზათა და მიძღვლის საშვალებათა და სხვა); პარტია ეცდება მიენიჭოს სამოქალაქო და სასოფლო თემებს უფართესი უფლებები უმრავ ქონებათა ხარჯ-დადებისა და მათი ძალდატანებულ ჩამოშორების კითხვაში განსაკუთრებით-კი მუშათა კლასის ბინის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ: ეცდება გაატაროს კომუნალური, საერომა და აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერაციის განვითარებას სასტიკ დემოკრატიულ ნიადაგზე.

6. რაც შეეხება სხვა-და-სხვა წიგნების მიღებას, რომლებსაც მიზნათ ექნება ამა თუ იმ სახალხო მეურნეობის ნაციონალიზაცია ბურჟუაზიულ სახელმწიფოს საზღვრებში, პარტიას სოციალისტ-რევოლიუციონერებისა შეუძლია მიეგებოს მათ მსოფლიო მაშინ და მსოფლიო იმდენათ, რამდენათაც პოლიტიკური წყობილების დემოკრატიზაცია და საზოგადო ძალთა განწყობილება. აგრეთვე თვით სახიათიც, რომელიც შეეფერება სამვალეებებს, მისცემს საკმარის გარანტიებს, რომ ასეთი გზა მართველ ბიუროკრატიისაგან მუშათა კლასის დამოკიდებულებას არ გაადიდებს. საზოგადოთ პარტია ს.-რ.-სა იცავს მუშათა კლასს სახელმწიფო «სოციალისტურიდან», რომელიც ერთი მხრით არის ერთგვარო საშვალეა მუშათა კლასის დასაძინებლათ, მეორეთ კი — თავისებურთ სახელმწიფო კაპიტალიზში, რომელიც მისი ფისკალური და პოლიტიკური მიზნისათვის უყრის თავს სხვა-და-სხვა წარმდება-ვაჭრობის დარგებს მართველ ბიუროკრატიის სკლამი.

პარტია სოციალისტ-რევოლიუციონერებისა, იწყებს რა დამოუკიდებელ რევოლიუციონურ შრომას, თვითმპყრობელობასთან, წევს ავოტაციას საერომა კრების (დამფუძნებელი კრების) მოხაწევკათ, რომელიც იქნება თავისუფლათ ამორჩეული მთელი სალხის მიერ განურჩევლათ სქებისა, წოდებათა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. თვითმპყრობელობის რეჟიმის ლიკვიდაციისათვის და ყველა თანამედროვე წესების შესახვლელათ. ამ მგვკლის პროგრამას ის გაატარებს, როგორც

დაძლეუნიერად კრებაში, ისე დაძლეუნიერად-
ლათ რევოლუციონერ პერიოდში.

სოციალ-დემოკრატიის პროგრამა

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუ-
შათა პარტია თავის უახლესს პოლიტი-
კურ მიზნათ ისახავს დღევანდელ წეს-
წყობილების ნაცვლათ დემოკრატიულ რეს-
პუბლიკის შექმნებას, რომელიც კონსტი-
ტუციამ უნდა უზრუნველყავს.

1. ხალხის თვითმპყრობლობა, რომლის
ძალითაც მთელი უსწენავს სახელმწიფო
უფლება უნდა მიენიჭოს ხალხის წარმომ-
ადგენლებისაგან შემდგარ საკანონმდებ-
ლო კრებას, რომელიც ერთ პალატას უნ-
და შეადგენდეს.

2. საყოველთაო, თანასწორი, პირდა-
პირი და ფართული საარჩევნო უფლება,
როგორც საკანონმდებლო კრების, ისე
ყველა ადგილობრივ თვითმართველობათა
ორგანების ასარჩევად, ორივე სქესის
სრულ წლოვან (20 წ.) მოქალაქეთათვის;
თვითეული ამრჩევლის უფლებაა — არჩე-
ულ იქნას ყველა წარმომადგენლობით
დაწესებულებებში; პარლამენტი ორი წლის
ვადით; ჯაბაგირი ხალხის წარმომადგე-
ნელთ.

3. ფართო ადგილობრივი თვითმართვე-
ლობა; საოლქო თვითმართველობა იმ
ადგილებში, რომლებიც განსხვავდებიან
თავისებურ ყოფა-ცხოვრებით და გვარ-
ტომობით.

4. პირვნების და ბინის სელ-უსლე-
ლობა.

5. სრული თავისუფლება სინიდიხის,
სიტყვის, ბეჭდის, კრების, გაფიცების,
და კავშირების.

6. მისვლა-მოხვედის და ხელის თავი-
სუფლება.

7. წოდებათა გაუქმება და ყველა მოქა-
ლაქეთა სრული უფლებრივი თანასწორობ-
ა, განურჩევლათ სქესისა, სარწმუნოები-
სა, გვარ-ტომობისა და ეროვნებისა.

8. სამშობლო ენაზე სწავლა-განათლე-
ების მიღების უფლება ყველა მცხოვრებთა-
თვის, ამისთვის საჭირო შვილების დაარ-
სება სახელმწიფოს და თვითმართველ-
ობის ორგანოების ხარჯით. თითოეულ მოქა-
ლაქს უფლება აქვს ილაპარაკოს სამშო-

ბლო ენაზე ყველა კრებებზე; სამშობლო
ენის შემოღება, სახელმწიფო ენის თა-
ნასწორათ, ყველა ადგილობრივ, საზოგა-
დო სახელმწიფო დაწესებულებებში.

9. თვით-გამორკვევის უფლება ყველა
იმ ერებისათვის, რომლებიც სახელმწიფო-
ში შედიან.

10. თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს,
ბახუხის გებაში მიხვეს ჩვეულებრივი წე-
სით ყოველი მოხელე, ნაფიც მსახულების
წინაშე.

11. ხალხისაგან მსახულების არჩევა.

12. მუდმივი ჯარის მაგიერ ხალხის
საყოველთაო შეიარაღება.

13. განვალკვეება ეკლესიის სახელმწი-
ფოსაგან და სკოლისა ეკლესიისაგან.

14. საყოველთაო, უფასო, სავალდებუ-
ლო საზოგადო და პროფესიონალურ
სწავლა-განათლება ორივე სქესის ბავშვ-
ებისათვის, თქვესმეტ წლამდის; საზრდო,
ტანისამდის და სასწავლო ნივთები სახელ-
მწიფო ხარჯით ღირებ ბავშვებისათვის.

ჩვენ სახელმწიფო მეურნეობას რომ
სახალხო მეურნეობის სახით მიეცეს,
ამისთვის რუსეთის სოციალ-დემოკრატი-
ული მუშათა პარტია მოითხოვს: ყველა
არა-პირდაპირ გადასახადების გაუქმებას
და პროგრესიულ გადასახადის დაწესებას.
შემოსავალსა და შემკვიდრებაზე.

მუშათა კლასი რომ დაცულ იქნას ფიზი-
კური და ზნეობრივი გადაშენებისაგან და
რომ მასში განვითარდეს უნარი თავი-
სუფლების მოხაზოვრლათ, ამისათვის პარ-
ტია მოითხოვს:

1. განსაზღვრულ იქნას საშუალო დღე
8 საათით ყველა დაქირავებული მუშების-
ათვის.

2. დაგანონებულ იქნას ყოველ კვირეუ-
ლი; შეუწყვეტელი დასვენება არა ნაკლებ
48 საათისა, ორივე სქესის მუშებისათვის.
სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

3. სრულიათ აკრძალულ იქნას ზედმე-
ტი მუშაობა.

4. აკრძალულ იქნას დამე მუშაობა
(სადაც 9 საათიდან დილის 6 საათამ-
დე) ყველა მოწვევლობის დარგებში, გარ-
და ისეთებისა, სადაც ტექნიკური პირო-
ბების გამო შეუწყვეტელი მუშაობა აუცი-
ლებლათ საჭიროა, და სადაც ეს ნება
დართულია მუშათა ორგანიზაციების მიერ.

5. ადგომადღობთ მწარმოებელთ ბავშვების შრომით (16 წლ.) სარგებლობა და განისაზღვროს სამუშაო დრო მოზარდთათვის (16—18 წლ.) ექვსი საათით.

6. აიკრძალოს ქალების შრომა იმ სამრეწველო დარგში. სადაც მათი აგებულებისათვის მუშაობა მავნებელია; განთავისუფლებულ იქნან ორსული ქალები მუშაობიდან სრული სამუშაო ქირის შენახვით ღოვინობამდე ოთხი კვირით ადრე და ექვსი კვირით ღოვინობის შემდეგ.

7. გაძარტულ იქნას ყველა ფაბრიკებთან, ქარხნებთან და სხვაგან, სადაც კი ქალები მუშაობენ სადგომები, ზადაც უნდა მოეწყოს აკვნები მუშა-მწოვარ და პატარა ბავშვებისათვის. მიეცეთ დედებს საჭმლოდ წახვლის ნება, არა უგვიანეს — სამ-სამი საათის შემდეგ და არა ნაკლებ — ნახევარი საათით ბავშვების მოსაგლეჯათ.

8. დასდევდეს იქნან სახელმწიფო სარჯთ მუშები იმ შემთხვევისათვის, როცა ისინი, სიბერის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, მუშაობას სრულიათ ან რაიმე დენიშეთ ვერ შეიძლებენ. დასდევდა უნდა მოხდეს იმ სპეციალურ ფონდის ხარჯით, რომელიც უნდა შესდგეს კაპიტალისტებზე ცალკე გადასახადების დადებით.

9. აკრძალულ იქნას სამუშაო ქირის საქონლით მიცემა; უნდა დაწესდეს, რომ მუშებს ანგარიში ყოველ კვირაში გაუსწორონ და უსათუოდ სამუშაო დროს განმივლოდნენ.

10. აიკრძალოს კაპიტალისტებს სამუშაო ქირიდან ფულის გამორიცხვა, რა მიზეზითაც, ან რა დანიშნულებისათვისაც უნდა აგროვებდნენ ამას (ჯარიმა, დამსაძებულ საქონლის დაწუნება და სხვა).

11. დაინიშნოს საკმაო რიცხვი საფაბრიკო ინსპექტორებისა მრეწველობის ყველა დარგებში; გაგრძელდეს მათი ზედამხედველობა ყველა წარმოებში. სადაც კი დაქირავებულ შრომას ხმარობენ, სახანონო წარმოებათა გამოუკლებლივ (შინაურ მოსამსახურეთა შრომაც ამ ზედამხედველობას ექვემდებარება) მრეწველობის იმ დარგებში. სადაც უფრო ქალები მუშაობენ, ინსპექტორებათ ქალები უნდა დაინიშნოს; მუშებმა უნდა იყოლიონ თავიანთ დიერ არჩეული წარმომადგენლები სახელ-

მწიფო ჯამაგირით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საფაბრიკო კანონების შესრულების თვალ-ყურის დევნასა, მასალის მიღება დაწუნებასა და დაშაადებულ საქონლის ჩაბარებაში.

12. დაევალოს ადგილობრივ თვით-მართველობას, მუშების მიერ არჩეულ პირებთან ერთათ, თვალ-ყური ადევნონ იმ სადგომების სანიტარულ მდგომარეობას, რომლებსაც კაპიტალისტები ამღვევენ მუშებს საცხვრებლათ; იმათ უნდა დაევალოს, თვალ-ყური ადევნონ იმ სადგომებში შინაურ წესრიგს და მათი გაქირავების პირობებს, რომ მუშა, როგორც კერძო პირი და მოქალაქე, თავისუფალი იყოს თავის შინაურ ცხოვრებასა და მოქმედებაში კაპიტალისტების ჩარევისაგან.

1. თუ საქმე მომრიგებელ მოსამართლესთან იწყება მომჩივანმა უნდა წარადგინოს ეგრედ წოდებული სასამართლო ბაჟი (судебная пошлина) ყოველი მანეთიდან ერთი კაპეიკი, ე. ი. 10 სჩივრის დირენულების და ფურცლის გადასახადი (листовый сбор) ყოველ ფურცელზე ორი შაური (10 კ.) ფულათ. გარდა ამისა თუ მგოდნე კაცების (ქეზბერტების) გამოწვევა საჭიროდ, იმათი ჯილდოდ უნდა წარადგინოს ან იმან, ვინც თხოულობს მათ მოწვევას ან ორივე მხარემ თანახმათ მოსამართლის გადაწვეტილებებისა. ასეთი ხარჯები მართებს დაუსწრებლად განჩინებაზე შეტანილ პასუხსა და სააპელაციო საჩივარსაც, რასაკვირველია, მისედვით იმისა, თუ რამდენს ასჩივრებს ამ წესით. საკასაციო საჩივართან კი, თუ საქმე 100 მან. მეტის არ არის, სასამართლოს უნდა წარედგინოს 5 მან. საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის საწინდარი; სოლო თუ 100 მანეთზე მეტი არის 20 მან. 2. ოლქის სასამართლოში დაწყებული საქმეების ხარჯი კი სხვანაირია. აქ სასამართლო ბაჟი სდება მანეთზე (1/20) ნასევარი კაპეიკი, ე. ი. ყოველ 100 მან. 50 კაპ., თუ დარჩენილი ნაწილი არ აღემატება 50 მან.—25 კაპ., სოლო თუ მეტია — 50 კაპ., თუ ამ ხარჯის რაოდენობა არ აღემატება 25 მანეთს, მისი წარ-

დგენა შეიძლება ფულათაც და მარკები დაეკვრება, თუ მეტია, მაშინ ფული ხასინამი უნდა შეიტანოს და უკანასკნელის კვიტანცია უნდა წარუდგინოთ სასამართლოს. გარდა ამისა, ყოველ თორჯას (ოლქის სასამართლოში და პალატაში) განცხადებას, პასუხს და სხვა ამისთანას უნდა დაეკრას სამ აპასიანი (60 კაპ.) დერბის მარკა, სოლო ამათ პირებს (კოპილს) სამ შაურისანი (15 კაპ.). სამდვიოდ დეკუმენტებს ცალკე ხარჯები არ ადევს, თუ რასაკვირველია თავის დროზე გადასდილია და კანონიერათ არის შესრულებული. ამ რიგის (დიდი თანხის) საქმეებზე თუ სააპელაციოდ და საკასაციოდ საჩივარი იქნა შეტანილი. ამათ უნდა დაეკრას 1 მანეთიანი მარკა. გარდა ამისა, აქ თვით მომჩივან-მოპასუხეს შეაქვთ სასამართლოს ბოქაულის და გზირის (разыльный) დასახუქრებელი ხარჯი. ბოქაულისათვის უწყებისა და სხვათა ჩაბარებისა, თუ საჩივარი არ აღემატება 500 თუმანს (5000 მან.) 50 კაპ., თუ მეტისა — 1 მან., სოლო თუ საჩივრის ფასი არ არის განსაზღვრული — 50 კაპ., გზირისათვის კი — სამ-სამი მური ყოველი უწყების ჩაბარებისათვის. მაგ. თუ სთუი მოპასუხეა, მომჩივანმა უწყების ჩასაბარებელი უნდა წარადგინოს 75 კაპ.

სააპელაციო საჩივართაც იგივე ხარჯები მოსდევს. საკასაციოსთან კი უნდა წარადგინოთ 100 მან. საკასაციოდ საწინდარი. ყოველივე მოხსენებელი ხარჯები უნდა წარდგენილ იქნეს საჩივართან ერთათ. თუ პირადათ შეაქვს იგი მომჩივანსა თუ მოპასუხეს, სოლო თუ ფოტოთი გაგზავნა, მაშინ სასამართლო დაწესებულება, თუ ადრესი არის ნაჩვენები, უგზავნის განცხადებას და უნიშნავს გადას, რომლის განსავლობაშიც უნდა შეავსოს მთოვნელმა დანაკლისი, ჩინაადმდეგ შემთხვევაში სათხოვარი უფურადგებოთ რჩება და ასეთ ქადალდებს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვთ საქმისათვის და თუ ადრესი არ არის, მაშინ ასეთი განცხადება გამოიკვიდება იმ სასამართლოში. მგოდნე კაცების დაჯილდოვების წესი აქაც ისეთია, როგორც მომრიგებელ მოსამართლესთან. ყველა ამ ხარჯებისგან საქმისწარმოების დროს განთავისუფლებულია მხოლოდ თი, ვისაც სისაწყლის მოწმობამისცემს ოლქის სასამართლო. მომრიგებელ მოსამართლესთან დაწყებული საქმეებში ხარჯებისგან განთავისუფლება შეუძლია თვითონ მომრიგებელ მოსამართლეს და ასეთი თხოვრვა შეიძლება თვით საჩივრის ქადალდშიაც იქნეს განცხადებული.

გამოსადეგი ცნობები

საკლესო საადგილ-მამულო ბანკი.

გლესთა საადგილ-მამულო ბანკის დასმარებით მამული შეუძლიანთ შეიძინონ გლესთა და აგრეთვე იმ დაბალ მოქალაქეთ, რომელნიც მუდამ მისდევენ ზნა-თესვას. მამულებს შესაძინათ ბანკი აძლევს სესხს: 1) მთელ სოფლის საზოგადოებებს, 2) კერძოთ სოფლებს და რამდენიმე მეკომპურთ ერთად, 3) სხვა და სხვა გლესთა ამხანაგოებს, და 4) თითოულ მყიდავთ. სოფლის საზოგადოებებით მამულის სყიდვის დროს ნასყიდობის ქაღალდში ნასყიდი მამული ინიშნება საკუთრებათ მთელ საზოგადოების. უჩვენებლად მისი ვინ ან რამდენი პირი ყიდულობს აღნიშნულ მამულს. ამხანაგობით ყიდვის დროს კი იწერება, საამხანაგო ხელშეკრულობისამებრ, ან საკუთრებად მთელ ამხანაგობის, ან სახელდობრ ვის რამდენი ეკუთვნის. ამხანაგობაში შესვლა შეუძლიანთ: 1) გლესთ სხვა და სხვა საზოგადოებებს და კუბერნიებისაგ კი და აგრეთვე დაბალ მოქალაქეთ, რომელნიც, გლესებთან ერთად, მისდევენ ზნა თესვას, 2) სამამასახლისოების ნაწილს, მხოლოდ არა უმეტესთ საზოგადოების ერთი მესამედის და 3) მთლიანად სამამასახლისოებს, თუ ივინი ისურვებენ, რომ ნასყიდობის ქაღალდში იყოს მონახებული ნაწილი ყოველი წევრისა. სყიდვის შემდეგ ამხანაგებს. ბანკის ნებართვით, ეძლევათ ნება ამხანაგობაში შეიყვანონ ახალი წევრნი, დართონ ამხანაგებს თავისი ნაწილების ურთ-ერთში გააძივლა და მსურველთათვის თავის ნაწილის გამოყოფის.

იმ გლესთ, რომელთაც ზურთ ისარკებლენ გლესთა საადგილ-მამულო ბანკის სესხით მამულის შესაძინად, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები, როდესაც მამულს ყიდულობს მთელი საზოგადოება, სოფელი და ან რამდენიმე მეკომპური: 1) თხოვნა შესახებ სესხისა, 2) სყიდვის პირობა შემამულესთან, 3) საზოგადოების განაჩენი შესახებ მამულის შემენის და საქმის გასაძღვლად არჩეულ პირთათვის საქმის დავალებისა, 4) საოჯახო სიები მთელი საზოგადოებისა, რომ

მელშიაც უნდა იყოს მოხსენებული შემდეგა ყოველი წევრის ცალცალკე.

როდესაც ყიდულობს გლესთა ამხანაგობა: 1) თხოვნა შესახებ სესხისა, 2) სყიდვის პირობა შემამულესთან, 3) სამხანაგო ხელშეკრულება საურთიერთო პასუხის მკებლობით, სია როგორ უნდა დაიყოს ნასყიდი მამული და არჩეულ პირთათვის საქმის მინდობის ქაღალდი, 4) ამხანაგთა საოჯახო სიები, რომელშიაც უნდა იყოს მოხსენებული შემდეგა ყოველი ამხანაგის და აგრეთვე რაოდენობა ნადელების იმ საზოგადოებაში, რომელსაც ესენი ეკუთვნიან.

როდესაც ყიდულობს თვითეული მსყიდავი: 1) თხოვნა შესახებ სესხისა, 2) სყიდვის პირობა შემამულესთან, 3) საოჯახო სიები მსყიდველის და მის შემდეგის რაოდენობა და 5) ბარათი შემამულის მსყიდველთაგან ბეს მიღების შესახებ.

ეს ვინიცობა ამხანაგობაში აღმოჩნდა ვინმე მცირეწლოვანი, ე. ი. ვინც ჯერ არ არის 21 წლის, მამინ გარდა ჩამოთვლილ დოკუმენტებისა საჭიროა წარმოადგენილი იყოს აგრეთვე საზოგადოების მიერ მათთვის ამორჩეულ მწრუნველთა მიერ თანხმობა მათ ამხანაგობაში შესვლის შესახებ. თხოვნასთან ერთად უნდა იქმნას წარმოდგენილი 7 მან. და 50 კაპ. გაზეთებში მამულის სყიდვის გამოსაცხადებლად. ეს ფული, თუ ვინიცობა არ შესდგა სყიდვა, შემომტანთ უბრუნდებათ უკან. საზოგადოების განაჩენები და ამხანაგობების ხელშეკრულებანი ხელმოწერილნი უნდა იქმნენ ყველა მონაწილეთა მიერ და უნდა იქმნენ შემოწმებულნი სამამასახლისოს განცელარის მიერ, რომელმაც ყოველი განაჩენი უნდა ჩანიშნოს განაჩენების წიგნში და ან ხელშეკრულებათა წიგნში. თხოვნას სესხის შესახებ მარტო ერთმა ამორჩეულმა უნდა მოაწეროს ხელი; პირობას კი მსყიდავების ამორჩეულთ და შემამულემ.

საქმის წარმოებისა, დაგვიანების ასანდენათ საჭიროა სოფლის მონსკელებმა ადვინონ თვალ-ყური, რომ ხელის მომწერთ უჩვევლად მოაწერონ: 1) თავისი და მამის

სასული, გვარი და მეტი სახელი, რომელნიც უეჭველად უნდა ეთანხმებოდნენ სა-
 ჯანო სიებს, რომ არავინ მონაწილეთა-
 განი არ იყოს გამოტყვებულნი და მცირე
 წლოვანთ, ე. ი. მათ, ვინც ჯერ არ არიან
 21 წლის, არ მოაწერონ ხელი თავის მზრუ-
 ნველთა უნებართვით. ამასთანავე უნდა
 მათ მზრუნველობის ქაღალდი წარმოადგი-
 ნონ; 2) რომ სასული, ზომა და სამძღვრები
 მორიგებულ მამულის თხოვნაში უეჭველად
 ეთანხმებოდნენ პლანს, რისთვისაც სა-
 ჭიროა მისი წინადგვი მომზადება; 3) რადე-
 ნობა სესხისა და ნასყიდობა, ნასყიდობის
 პირობაში არ უნდა აღემატებოდნენ ერთი
 მეორეს; 4) დოკუმენტები აუცილებლად
 უნდა იყვნენ შემოწმებულნი სოფლის მო-
 ხელეთა მიერ სახელმწიფო ბეჭედის და-
 კვრით. თხოვნაში უნდა იყოს ნაჩვენები
 წელიწადი, თვე, რიცხვი და ნომერი წი-
 გისა, რომელშიაც იქმნა შეტანილი განაჩე-
 ნი შესახებ მამულის სყიდვისა. თუ ვინი-
 ცობაა რომელიმე დოკუმენტი ვერ დაეცია
 ერთს თაბახ ქაღალდზე, მაშინ ამ თაბახს
 ემატება სხვა და სხვებთან ერთად ეწერე-
 ბა ნომრები ფურცლებზე და შიგ გატა-
 რებული ძაფი ზედ ლაქით დაიბეჭდება.

მემამულეთ, რომელთაც სურთ მამული
 მიჰყიდონ გლეხებს, მყიდველებთან ერთად
 უნდა შექმნიდნენ დოკუმენტები წარადგი-
 ნონ:

1) იმ მამულის პლანი, რომლის გასყი-
 დვასაც აპირებს მემამულე და ამასთანავე
 ერთად შემოწმებული მისი პირი, გეგმა
 მიწების გამოჯანელ კომისიის მიერ უნდა
 იყოს შემოწმებული. გასასყიდ მამულს უნ-
 და უეჭველად ნამდვილი და უდავო სამ-
 ძღვრები ჰქონდეს. შეუძლებელია იმ მამუ-
 ლების გასყიდვა, რომელნიც საერთო
 მფლობელობაში არიან, იგინი უეჭველად
 კანონიერად უნდა იყვნენ გამოყოფილი
 საერთო მფლობელობიდან. იმ შემთხვე-
 ვაში, როდესაც იყიდება ტყე, მამულის
 პატრონმა სხვა დოკუმენტებთან ერთად უნ-
 და წარმოადგინოს ნებართვა ტყის მგველ
 კომიტეტისაგან მათ გაკავებაზე.

2) დოკუმენტები მამულის მფლობელო-
 ბის, ნასყიდობის ქაღალდი (გუპჩა), მფლო-
 ბელობაში შესვლის (ვოდნი ლისტ) და
 სხვა და ან მიწის გამოჯანელ სამმართვე-
 ლოს შემოწმებული პლანი.

3) გადასახადის ფურცელი (ოკლადნი
 ლისტ) შესახებ სახელმწიფო, სათავად-აწნა-
 ურო და სხვა და სხვა გადასახადების.

4) მემამულეს სელწერილი, რომ მამუ-
 ლი არ არის გაცემული იჯარით და თუ
 არის, პირი ამ იჯარის ქაღალდისა.

5) ნდობის ქაღალდი (დოვერენსლსტი),
 თუ მემამულე თვით არ ივლის საქმესად
 და სხვას მიანდობს. შიგ უეჭველად უნ-
 და იყოს ნაჩვენები, ბანკთან ანგარიშების
 გასწორებასაც ანდობს მემამულე იმ პირს
 თუ არა.

თუ გასასყიდი მამული არის დაგირავე-
 ბული რომელიმე ბანკში, ან დაწესებულე-
 ბაში, მაშინ მემამულემ უნდა წარმოადგი-
 ნოს იმ დაწესებულების ნებართვა და აკ-
 რეოვე ცნობა ვალის რაოდენობაზედ, რე-
 მლებიც უნდა გადაეცეს უმდროს ნატა-
 რიუს დაწვრილებითი ცნობების შესაკრვე-
 ბლად, ვინაიდან ყოველი ვალი ნაჩვენები
 ნოტარიუსის მიერ მემამულეს დაუჭირონ
 ბანკის მიერ ანგარიშის გასწორების დროს.
 სააქციონერო და სახემწიფო ბანკების
 ვალს და აგრეთვე ამ დაწესებულებათა გა-
 ნყოფილების ვალებს ბანკი იღებს თავის-
 წედ, თანახმად უმაღლესად დამტკიცებუ-
 ლის 26 აპრილის 1906 წლის სახემწიფო
 საბჭოს აზრის.

ტყე თუმცა დაფასებაში არ შედის, მა-
 გრამ მიუხედავათ ამის აქვს გავლენა და-
 ფასების აწევაზედ.

რაკი ბანკი მიიღებს ჩამოთვლილ დო-
 კუმენტებს, გადაშინჯავს მათ და მაშინვე
 გაგზავნის თავის წევრს მამულის დასაფა-
 სებლად. აქტი მამულის დაფასებისა იგზა-
 ვნება პეტერბურგში გლენტა ბანკის სა-
 ბჭოში სესხის ნებართვისათვის და რე-
 დესაც ნებართვა საბჭოდგან დაბრუნდება,
 მაშინ ეცნობებათ სესხის რაოდენობა
 ორსავე მხარეს და აძლევა მოწმობას,
 რის ძალითაც ნასყიდობას უმტკიცებს უმ-
 ცროსი ნოტარიუსი. ამ დროისთვის მყიდვე-
 ლთ უნდა იზრუნონ რათა იმოვნონ მემამუ-
 ლესთვის ზედ მეტი ფული, თუ მყიდველე-
 ბმა დროზედ ეს ფული ვერ შეაგროვებს, მემამ-
 ულეს ეძლევა ნება ნაწილ-ნაწილად გა-
 დაანდევინოს. ამ მორიგებაზედ ორთავე
 მხარე აყენებს აქტს, რომელსაც ეძლევა
 მეორე გირავნობის ქაღალდის ძალა. ამას-
 თან უნდა იქონიონ მსხედველობაში, რომ

რაოდენობა სესხისა და შედ-მეტი ფული-სა არ უნდა აღემატებოდეს დაფასების რაოდენობას. უმცროსი ნოტარიუსი ამტკიცებს ნასყიდობის ქაღალდს და უკვე თვით უგზავნის უმცროს ნოტარიუსს. როდესაც ბანკის განყოფილება მიიღებს დამტკიცებულ დოკუმენტებს და ცნობებს ნოტარიუსიდგან, რამდენი უნდა დაეჭიროს შემამულეს ვალებში, იბარებს შემამულეებს და უსწორებს მათ ანგარიშს—მსყიდველებს კი ატყობინებს პირველ სარგებლის რაოდენობას.

გლესთა ბანკის დასპარებით მამულის მსყიდვა-გამყიდველნი არ ისდიან დერბის ხარჯს.

ნასყიდობის ქაღალდში (კუპონში) ყოველ თითო თაბას ქაღალდზედ იხდიან 1 მან. და 25 კაპიკს და დანარჩენ. გადასახადებისაგან თავისუფალნი არიან.

ყოველგვარ სარჯებს მამულის დასათვალიერებლად თავის წევრის მოგსაურობაში ბანკი იღებს თავის თავზედ.

გარდა შემოსენებულ შემთხვევებისა, ბანკი სესხს იძლევა აგრეთვე იმ მამულეებში, როცა ბანკისავე დაუხმარებლად არის შექმნილი. თუ ვინც იბრუნა მათ ამკვეთ ვისცემ ვალი „საკლადნოით“, აქაც საჭიროა წარმოდგენა იმავე დოკუმენტების, რაიც უკვედ სხენებულ შემთხვევებში, გარდა პირობის, რომლის ნაცვლად უნდა იქნას წარმოდგენილი გირავნობის ქაღალდი (საკლადნო), რომელიც უმცროსის ნოტარიუსის მიერ უნდა იყოს შემოწმებული და აგრეთვე პლანი და ნასყიდობის ქაღალდი (კუპონი).

ყოველგვარ ბლანკებს დოკუმენტების შესაყენებლად გლესთა საადგილ-მამულე ბანკის კავკასიის განყოფილება უფასოდ ამკვეთ ქ. თბილისში და ეგზავნებათ ძსურველთ ზოფლის მმართველობის მუამავლობით უფასოდვე, მხოლოდ მთხოვნელთ აუფილებლათ უნდა მოიწერონ: ვისგან ყიდულაბენ მამულს, რამდენს დესეტინას და რა ფასში. იმ შემთხვევაში, თუ მსყიდველი თვით ვერ მოასწერებს რომელიმე ბლანკის დაწერას, მათ შეუძლიანთ მიმართონ ბანკის მმართველს, რომლის ბრძანებით მათ ამ ბლანკებს დაუწერენ ბანკშივე უფასოდ. ყოველ ექვს თვეში თითო დესეტინა მიწაზე უნდა გადაიხადონ შემდეგი:

ვა დ ი თ	20 მან.		50 მან.		80 მან.		100 მან.	
	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
13 წლით	1	85	4	63	7	40	9	25
18 ..	1	50	3	75	6	—	7	50
28 ..	1	16	2	90	4	64	5	80
41 ..	—	99	2	48	3	96	4	95
55 1/2 ..	—	90	2	25	3	60	4	50

ცფილისის სათავად-ანაურო საადგილ-მამულე ბანკი.

ბანკი ამდევს ლოკლე და გრძელ ვადიან სესხს ყველა შემამულეთ როგორც ტფილისის, ისე კავკასიის სხვა გუბერნიებშიც. მინიჭებული აქვს უფლება გირავნობის ფურცლების გამოცემისა 1000 მან., 5000 მან. და 100 მანეთიანებისა. ბანკი სესხში იგირავებს სოფლის და ქალაქის მანულებს.

არ შეიძლება ერთსა და იმავე მანულზე მდკლე და დიდის ვადის ვალი ცყოს. თუ ბანკში დაგირავებულ მამულის პატრონმა მანულის დირეწლება შეაწყვიტა, მაშინ ბანკს უფლება აქვს ნებით თუ ძალით მანულის პატრონს უკან განდართვას იმდენი ფული, რამდენსედაც მანულის ფასი დამცირებული იქნა. ბანკი ამდევს სესხად დანათასების ფულიდამ 50 პროც., სესხს ამდევს სრულ ას-ასი მანეთობით; თუ მამული 200 მანეთზედ ნაკლებად არის დაფასებული, ბანკი გირაოდ არ იღებს.

მამულის დამგირავებულმა უნდა წარადგინოს ბანკში გირავნობის მოწმობა უმცროსის ნოტარიუსისა, ნასყიდობის ან შემკვიდრობის ბარათი, პლანი, „ბოლევოი ყურნალი“, დაწვრილებით აღწერილობა მამულისა, სოლო ქალაქის მანულსე ამას გარდა დაწდვევის ბდლისი (ბარათი). თუ დაგირავებულ მამულს პატრონი დროსე ვერ შეიტანს ფულს, ბანკი ამდევს ვადას კიდევ ორ თვეს და ამ შედავათისთვის ართმევს თითო პროცენტს ყოველ თვეში, ხოლო თუ ორი თვის შედდევგაც არ შეიტანა ჯეროვანი ფული, ბანკი ანხადებს სამჯერ გასეთებში მანულის გაყიდვის შესახებ. თუ დროსედ შეტანილ იქნა ფული და ჯარიმა, მაშინ მამული არ გაიყიდება; წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი მამულს საჯაროდ ჰყიდის. ვაჭრობაზედ მყოფ-

დგელმა უნდა შეიტანოს ყველა დროსეად შეუტანელი ფული (ნედლიძეები), ჩამულის მყიდველმა 14 დღის ვადაში უნდა დაიმტკიცოს მამული თავის სასჯელბაზს. წინააღმდეგ შემთხვევაში მამული ისევ პირველს, ძველს პატრონს უბრუნდება. თუ მამული არ გაიყიდა პირველს საჯარო ვაჭრობაზე, ხელმეორედ ინიშნება გასასყიდად; თუ მამინაგ არ გაიყიდა მამული, ბანკს შეუძლიან კერძოდ გაჰყიდოს.

ყოველ ნახევარ წელიწადში, ესე იგი 31 დეკემბერს და 30 ივნისს მსესსებელმა უნდა შემოიტანოს სესხის გასაბათილებლად ყოველ ას თუმანზე (თუ სესხი 71/20) — 371/2 მან. ან (თუ 61/20) — 321/2 მან.

გრძელ ვადიანს სესხს ბანკი აძლევს სოფლის მამულებში 63⁸/12, 54¹/2, 48⁸/12, 43¹/2 წლით. სოფლ ქალაქის მამულებში 37¹/12, 29⁹/12, 27¹/2, 19¹¹/12 და 18¹/12 წლით. ბანკი იღებს ამგვარ სესხზე სულ 6¹/2 და 6 პროცენტს, რომელიც სარგებელსაგ შეადგენს და აგრეთვე ვალის გასასატუმრებელ ფულსაგ. დაგირავების დროს მამულის პატრონმა უნდა წარადგინოს დაფასების ხარჯად 1/40 იმ ფულიდან, რასაც თხოულობს, ანუ ყოველ 1000 მანეთზე 2 მან. 50 კ. ან კიდევ ყოველ ათ თუმანზე 25 კაპ. დიდის ვადის სესხზე ბანკი აძლევს გირავნობის ფურცლებს, რომელსაც ან თვითონ დაპირავებული ჰყიდის, სადაც უნდა, ან ბანკი უყიდის, სოფლ ამ შემთხვევაში ბანკი ართმევს ჯეროვან პროცენტისათვის. მსესსებელთ შეუძლიანთ, გარდა ჯეროვანის შესატანის ფულისა, მეტიც შეიტანონ თუ უნდათ რომ მალე განათავისუფლონ თავის მამული ვალისაგან. მოკლე ვადის სესხს ბანკი აძლევს ერთის წლიდან სამის წლის ვადით, სოფლ შეიძლება ვადის გაგრძელება რვა წელიწადსაგ. მოკლე ვადის სესხში ბანკი იძლევა ნაღდ ფულს. სოფლ ვენახებსა და ხეხილების ნაღებში სესხი არ შეიძლება ადამატებოდეს 2000 მანეთს. მოკლე ვადიან სესხის გატანა მხოლოდ ტფილისის გუბ. შეიძლება

ქალაქის ყოველ გვარი მამული, რომელიც ბანკში დაგირავდება, უეჭველად რომელსამე საზოგადოებაში დაზღვეული უნდა იყავს. თუ შენობა დაიწვა, ფული ბანკის სასარგებლოდ მიდის. შეიძლება

დაძწვარ მამულის პატრონს ფული ნაწილ-ნაწილად დაუბრუნდეს ბანკიდან და როცა ხელ-ახლად ააშენებს შენობას, მამინ მთლად მიდოს საზღვევო ფული და ისევ ბანკის მოვალედ დარჩეს.

შეიძლება ხელ ახლად დაფასება და ამ რიგად ხელ-მეორედ მიღება სესხისა. თუ კი სუთი წელიწადი იქმნება გასული პირველ დაფასებიდან და მამულიც ისევ იმ მდგომარეობაში იქნება, როგორც პირველად იყო და თუ შესუთადი ნაწილი ვალისა გაბათილებული იქმნა. აგრეთვე თუ ქალაქის მამულს ახალი რამ შენობა მიემატა, მამინაგ შეიძლება დამატებითი სესხის მიღება, შემოსავალის ვადიდებისა და შენობის ღირებულობის დაგვარად.

ამგვარი საკრედიტო დაწესებულება არსებობს ქუთაისშიაც, რომელსაც «ქუთაისის სათავად-აზნაურთ საადგილ-მამულთ ბანკი» ეწოდება.

ტფილისის განყოფილება სახელმწიფო სათავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკისა.

ეს ბანკი სესხს აძლევს ყოველს თავად-აზნაურს სოფლის მამულების დაგირავებით. სესხის მისაღებათ საჭიროა წარედგინოს ბანკის მმართველობას 1) მოწმობა თავად-აზნაურობისა, 2) გირავნობის მოწმობა, 3) დაწვრილებით სია მამულის დაფასებისა, ხელ-მოწერილი თვითონ დამგირავებლებისაგან ან მისი ვეჭქლისაგან, 4) ყოველ გვარი დოკუმენტები, პლანები და საზოგადოთ ყოველ-გვარი ცნობები, რაც დასაგირავებელ მამულს შეეხება, სესხს აძლევენ გრძელის ვადით 66¹/2, 54¹/2, 48¹/2, და 36¹/2 წლიდით. სესხად აძლევენ 60 პროცენტს დაფასების ჯიმიდან, სანდაზან შეიძლება 7500-გ მიეგებული იქნეს და დაფასებას აფუძნებენ თითონ მამულის ავკარგიანობაზე, შემოსავალზე. თუ მამული 1000 მანეთზე ნაკლებად ღირს, სესხს არ აძლევენ; ბანკის სესხი წელიწადში ორჯელ უნდა ვადინადოს მამულის პატრონმა ერთი არა უგვიანეს 1 მაისისა და მეორე 1 ნოემბრისა. სესხისათვის მოვალეს აზღვევინებენ 4¹/20, სოფლ ამაში შედის სარგებელიც და ვალის გასასატუმრებელი თანსაგ. თუ ფული დროსეად არ იქმნა შეტანილი, პირველ ორ თვეში ჯარიმად აზღვევინებენ ნახევარ პროცენტს, სოფლ შე-

„დროების კალენდარი“ 1908 წ.

მდეგ—სრულს ერთ პროცენტს იმ ფულზე, რაც ნახევარ—წლიური შემოსატანი იყო. თუ დამკვირვებელს რამე უბედურება შეემთხვა ან სექციისაგან, ან სხვა რამესაგან, მმართველობას შეუძლიან ფულის შეტანაში შეღავათი მისცეს, ხოლო მსესხებელს ამ შემთხვევაში ახდევინებენ ჯეროვან 4 1/2 პროცენტს გარდა კიდევ კაცს პროცენტს იმ ფულიდან, რაც ღრწოდ უნდა შემოეტანა და კერ-ვი შემოიტანა.

ტფილისის სამეურნეო საურთიერო კრედიტის საზოგადოება.

ვისაც ამ ბანკში წევრად შესვლა უნდა, იგი ბანკის გამგეობას თხოვრას აძლევს, რომელშიაც აღნიშნავს, რამდენი სურს ხესნი ჭქონდეს ამ ბანკში. თან შეაკვს ნაღდათ მქათედი იმ კრედიტის, რომელსაც თხოვლობს. უმცირესი ხესნი შეიძლება ხუთი თუმიანიც იყოს—უდიდესი ჯერჯერობით დაწესებულია ორი ათას სუთასი. საქმის წარმოება : დისკონტი სავაჭრო თამასუქებისა, ხოლო თამასუქზე წევრის ხელმოწერილობის გარდა უნდა იყოს სხვისი ხელმოწერილობაც, რომელსაც ბანკის გამგეობა ხანდა ბირად იცნობს ; აძლევს ხესსს ექვსი თვის ვადით ყოველ გვარ გირაოზე და ობლიგაციებზედ. გირავნობის ფურცელზე. ყოველ გვარ საქონელზედ, კონოსამენტებზე, ხატრანსპორტო კანტორების კვიტანციებზე, რეინის გზის და ზღვის გემების კვიტანციებზე, ყოველ მკორფასს ნივთებზედ; ასრულებს ყოველ გვარ სავაჭრო საქმეებს თავის წევრებისა. ყიდულობს და თვითონაც ჰყიდის ყოველ გვარ სარგებლიან და ფასიან ქაღალდებს, კისრულდებს ფულის «მეკონფაქტებს» ყველა ადგილებში. ღებულობს კუბონებს, ტირაჟში გამოსულს ბილეტებს, ინახავს ყოველ გვარ სარგებლიან ქაღალდებს და სხვა-დ-სხვა საბუთების ბარათებს და მკორფასს ნივთებს. ღებულობს ყოველ გვარ თანხებს სასარგებლოდ მოკლეს ხნის ვადით და უვადოთაც. ბანკი აძლევს ხესსს ყოველ გვარ სასოფლო და სამეურნეო ჰინ-ნასულზედ და სხვა მოძრავ თუ უძრავ ქონებაზედ, როგორც მაგალითად პურზედ, სიმინდზედ, ქერზედ, ღვინოზედ. თამბაქოზედ, ბრინჯზედ, ბამბაზედ და სხვა. ხოლო ყველა ამაგონე იძლევა ნახევარ ფასს

მათის ღირებულობისას, საზოგადოების საქმეებს განაგებენ : საზოგადო კრება წევრთა, საზოგადოების საბჭო, გამგეობა და მიმღები კომიტეტი. ხმა ყოველ წევრს აქვს, ხოლო კენჭი ეძლევა იმას, ვისაც ოცი თუმიანი აქვს შემოტანილი. ყოველ წლის ბოლოს მკვებიდან გამოირიცხება ათი პროცენტი სათადარიგო თანხისათვის, დანარჩენი გაიყოფა შეტანილ ფულის შესაფერად ყველა წევრთა შორის.

ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოება.

აკ იღებენ გირაოდ ქალაქ ტფილისის მამულებს. ამ საზოგადოების წევრებს შეადგენენ დაგირავებულ მამულების პატრონები. საზოგადოება გირაოდ იღებს ხის შენობებს 14 წლის ვადით. (სარგებელი 10% ყოველ წლივ) და კვითვირის შენობებს 26 წლისა და 5 თვის ვადით (სარგებელი 6 1/4 %). ხესზად აძლევს დაფასების 3/4 ნაწილს ; ხესხის ვაგემის დრწ მიმღებს ურცხავს 1/3 პროც. ერთბაშად და ამას გარდა ყოველ წლივ გირავლს დასხნამდე 1/2 პროც. და კიდევ გამგეობის სასარგებლოდ 1/2 პროც.

ტფილისის საურთიერო საკრედიტო საზოგადოება.

ვისაც ამ ბანკში წევრად შესვლა უნდა, იგი აძლევს ბანკის გამგეობას თხოვრას, რომელშიაც უნდა აღნიშნოს მის მიერ ნახურვების კრედიტის რაოდენობა. ხოლო შევა წევრთ თუ არა, მაშინვე უნდა შეიტანოს 20 პროცენტი ნაღდად ამ ჯამისა. უმცირესი კრედიტი ანუ ხესნი ერთი კასისათვის დაწესებულია 300 მანეთი. უდიდესი — დასოკიდებულია საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებასე. საქმის წარმოება : ა) დისკონტი სავაჭრო ვექსილეებისა ; ბ) აძლევს ხესსს თავის წევრებს ექვსი თვის ვადით, თუ წევრნი გირავს წარმოდგენენ, ან უძრავ მამულებს, როგორც ქალაქს ტფილისში, აგრეთვე ტფილისის გუმბრნიაში, ანუ სარგებლიან და ფასიან ქაღალდებს, აქციებს, ობლიგაციებს, საქონელს, კონოსამენტებს და კვიტანციების სარტანსპორტო კანტორისა ; გ) ასრულებს თავის წევრების და კერძო ბირთა ყოველ გვარს სავაჭრო საქმეს ;

დ) ყიდულაღბს და თვითონაც ჰყიდის ყოველ გვარს სარგებლიან და ფასიან ქადაღებს, კუბანებს, ტირაუმი გამოსულ ბიღეთებს, უცხოეთის გეჰსიღებს და ფასიან ქადაღებს; ე) იღებს ყოველ გვარს ნივთს, დღეუმენტებს და ფასიან ქადაღებს, რომელიც ტირაუმი გამოსულა და კუბანებს; ზ) აზღენს «ბერვეღდებს» ყვეღგან რუსეთში, სადაც ბანკები ან კანტორები ან საგაჭრო სახლები არსებობს და აგრეთვე უცხოეთშიაც.

ამ გვარივე და ამ წესისაკვე საზოგადოებანი საურთიერთო კრედიტისა არსებობენ შემდეგ ადგილებშიაც: ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, ზღნში, ზუგდიღში, ყვირიღლაში, სღხუმში, ჭიათურაში და სხვ.

ტფიღლისის საკომერციო ბანკი.

ამ ბანკს აქვს თავისი 200 მანეთიანი აქციები. ყოველს აქციონერს აქვს მონაწიღეობა, როგორც მღგებამი, აგრეთვე წაგებამი, ბანკი აწარმოებს დისკონტს ვეჰსიღებისას, როგორც რუსეთის, აგრეთვე უცხოეთისას. ბანკი იძღევა სესხს 9 თვის ვადით: ა) სასეღმწიფო სარგებლიან ქადაღებში, აქციებში, ობღიგაციებში და გირავნობის ფურცლებში 70—90 პროცენტზე ანა მღმეტებულს მათის დირებულებისა და ბ) ამღევეს სესხს კონოსამენტებსა და კვიტანციებში, რუსეთის სატრანზორტო კანტორებსა, რკინის გზებსა და ნაღხნობის საზოგადოებათა, მათის საშვღლებით გაგზავნიღ საქონლებში 1/2 ფასს მათის დირებულებისაჰ. ამას გარდა საკომერცრო ბანკი ასრულებს ყოველს გვარს «ბერვეღდებს», როგორც რუსეთის, აგრეთვე უცხოეთის ქაღაქებში, ყიდულაღბს და თვითონაც ჰყიდის საკომისიოდ ყოველ გვარს სარგებლიანს და ფასიან ქადაღებს და საქონელს, რომელიც ბანკში დაგირაგებულა. იღებს ყვეღსაკან ფულს სხვა-და-სხვა სნობით 100 მანეთსე ანა ნაკლებს, იღებს აგრეთვე შესანახავად ყოველ გვარს ნივთს და ფასიან და სარგებლიან ქადაღებსაც. ამ ბანკის განყოფიღება არის ქ. ბათუმსა და ბაქღში.

უმთავრესი წონა, ზომა და საწყაო საქართველოში.

აბაზი უდრის რუსულ 20 კაბ. (მთელს საქართველოში).

ადღი	—	რუსულ არშინს და 2 ვერმღვს (კახეთში და ზოგან ქართლშიაც).
აღაბი	—	არშინს (იმერეთში, გურია-სამეგრელოში და მესხეთში).
ბათმანი	—	ნახევარ ფუთს ანუ 20 გირვანქას (იმერეთ-გურია-სამეგრელოში და მესხეთში).
ბარღაკი	—	მეღთხედს ფუთს ანუ 10 გირვანქა (რაჭაში).
გღჯი	—	ერთ მეღთხედ არშინს.
გორღ	—	ფუთს (ღეგხუმში).
ღანგა	—	1/5 მისხღლს (მესხეთში.)
ღღიურღ	—	ნახევარ დღესიატინას(მთელ ქართლ-კახეთში).
ღღამში	—	ერთ მესამედ მისხღლს (იმერეთში და გურიაში).
ღღქი	—	5 ბოთლს (იმერეთში).
ღღრი	—	ნახევარ ფუთს (რაჭაში და ქუთაისში).
თღმანი	—	10 მანეთს (მთელს საქართველოში).
თღნგი	—	5 ბოთლს (ქართლ-კახეთში).
თღფი	—	20 არშინს (ყვეღგან).
კახრი	—	ერთს ფუთს (ქართლში).
კვეტრხი	—	ოთხ მისხღლს (ღეგხუმ, შორსაჰ. და დღუმეთში).
კღდი	—	2 1/2 ფუთს, ხან ნაკლებს (ქართლ-კახეთში), ზღღღ ღეგხუმის ერთ ნახევარ ფუთს; კღდში 10 ლიტრაა.
კღკა	—	ნახევარ ფუთს (სამეგრელოში), 75 ბოთლს (კახეთში,) 30 ბოთლს (ჭურღია და ქუთაისში), კღკაში სამი ზაღია, 100 ბოთღი (ქართლში).
კღთხღ	—	10 გირვანქას (სამეგრელოში).
ღღმკაცღს კღდი	—	2 ფუთს (რაჭაში).
ღღღარიკი	—	ერთ-ნახევარ გირვანქას (გურღიაში).
ღღიტრა	—	9 გირ. ქართლში, 12 კახეთში 10 იმერეთში.
მანიკა	—	ღრ-ნახევარ ბოთლს (იმერეთში და გურღიაში).
მანათი	—	ახ კაბეიკს (ყვეღგან საქართველოში).

მისხალი — რუსულ ერთ მისხალს (მთელ საქართველოში).
 მუხუნდღ — ერთ - მეთექვსმეტე მისხალს (კასეთში).
 ნაღთხალი — 33 გირვანქას (რაჭაში).
 ოყა — 3 გირვანქას (იმერეთში და გურია-სამეგრელოში).
 ორთვალი — ნახევარ დებსეტინას (სამეგრელოში).
 ორგია — ერთ საყენს (სამეგრელოში).
 ოსალი — 15 გირვანქას (იმერეთ-სამეგრელოში).
 რუნი — 10 მისხალს (ქართლში).
 საპაღნე — 10 ფუთს (იმერეთ-გურიაში), ხოლო 31 ფუთი ანუ მესამედი ურემისა, ან კიდევ 775 ბოთლი (კასეთში);
 საწყავი — 30 ბოთლს (იმერეთ-გურიაში).
 სტილი — 1 გირვანქას (ქართლ-კასეთში), ხოლო ნახევარ გირვანქას (იმერეთში).
 ტკუ — 5 ვერშოვს ანუ ერთ ჩარექს (სამეგრელოში).
 ურემი — 75 ფუთს თუ ღვინოა (კასეთში), ხოლო 75 ფუთს თუ პურია (ქართლ-კასეთში).
 უზალთუნი — 10 კაპიკს (მთელ საქართველოში).
 ფინა — ერთ-ნახევარ ფუთს (საჯავახოში).
 ფოსალი — 17 გირვანქას (იმერეთ-რაჭაში).
 ფხარი — ერთ საყენს (იმერეთში).
 ქევა — 900 ოთხ-კუთხედ საყენს (იმერეთში).
 ქსანი — 80 მისხალს (იმერეთში და გურია-სამეგრელოში).
 ჩანახი — ნახევარ ფუთს (ქართლში).
 ჩაფი — 25 ბოთლს (კასეთში), 15 (იმერეთში), ჩაფში ოთხ-ნახევარი თუნგია.
 ჩარეჭი — ორ - ნახევარ გირვანქას (იმერეთში), ერთს და მეოთხედს ბოთლისას ქვემო-ქართლში და მეოთხედ არშინს ყველგან.

ცალი — თხუთმეტ-ნახევარ ფუთს (ზემო ქართლში) და 300 ბოთლს (ქვემო ქართლში).
 ცინდა — ერთ მეოთხედ არშინს (სამეგრელოში).

რუსული ზომა, წონა და საწყაო.

სივრძის ზომები

1 კერსი=500 საყ.=1,500 არშ.=3500 ფუტს.
 1 საყენი=3 არშინს=7 ფუტს=48 ვერშოვს=84 დიუმს=840 ლინიას.
 1 არშინი 2¹/₃ ფუტს=16 ვერშოვს=28 დიუმს.
 1 ფუტი=12 დიუმს=120 ლინიას=3¹/₇ არშინს=6⁶/₇ ვერშოვს.
 1 ვერშოვი 2³/₄=დიუმს=17¹/₂ ლინიას.
 1 დიუმი=4¹/₇ ვერშოვს=10 ლინიას=100 ტოჩკას.

სივრძე-სივანის ზომები

1 კვ. ვერსტი=104 დებსეტინა=25000 კვ. საყ.
 1 დებსეტინა=2,400 კვადრატი საყენს=117,900 კვ. ფუტს.
 1 კვ. საყენი=9 კვ. არშინს=49 კვ. ფუტს=2304 კვ. ვერშოვს.
 1 კვ. ფუტი=144 კვ. დიუმს.
 1 კვ. დიუმი=100 კვ. ლინიას.
 1 კვ. არშინი=256 კვ. ვერშოვს=784 კვ. დიუმს.
 1 კუბიკური საყ.=27 კვ. არშ.=343 კუბ. ფუტს=110592 კვ. ვერ.
 1 კუბიკური არშინი=4096 კუბ. ვერშოვს=12⁷/₁₀ კუბ. ფუტს.
 1 კუბ. ფუტი=323²/₅ კუბ. ვერშოვს=6¹/₅ კუბ. არშინს.

ღვინის საწყაო

1 ბოჩკა=40 ვედრას=360 შტოვს=400 კრუეკას=800 ბოთლს.
 1 ვედრო=8 შტოვს=10 კრუეკას=20 ბოთლს=100 ჩარკას.

უჩის საწყაო

1 ლასტი=12 ჩეტვერტს=96 ჩეტვერიკს.
 1 ჩეტვერტი=8 ჩეტვერიკს=64 გარნსა.

წ ო ნ ა

1 ბერკოვცი=10 ფუთს=400 გირვანქას.
 1 ფუთი=40 გირვანქას=1280 ლოტს=3640 მისხალს.
 1 გირვანქა=32 ლოტს=96 მისხალს=9216 დოლიას.

- 1 ლტოი—3 მისხალს—286 დღლიას; 1 მისხალი—96 დღლიას.
- 1 სააღთიქედ გირვანქა—12 უნციას—96 დრანძას ანუ 85 მისხალს.
- 1 უნცია—8 დრანძას—24 სკრუბოლდს—480 გრანს.
- 1 დრანძა—3 სკრუბოლდს—60 გრანს; 1 სკრუბოლდს—20 გრანს.

საზოგადოდ სავაჭრო გირვანქა ქეტია სააღთიქედსე 1/3-ით ანუ 12 მისხლით.

ძალადი ზომა

- 1 კიბა (ცალი)—7 ოზმა. 1 ოზმა—20 დესტას—480 თაბანსა (500 ბექტდური თაბანსი); 1 დესტი—24 თაბანს, (ანუ 25 ბექტდურ თაბანსა) და 1 კობა—5 დიუჟინს—60 ცალს.

უცხო ქვეყნების ფულების ანგარიში და ამათი შედარება რუსულ ფულთან.

	მან.	კაპ.
ავსტრია 1 კრონა—100 გელერია	"	39 ³ / ₄
ბელგია 1 ფრანკი—100 სანტიმოა	"	37 ¹ / ₂
ბრაზილია 1 მილრეისი—100 რესია	1	06 ¹ / ₂
ბრიტანის ინლოეთი 1 რუბი—16 ანასია	"	88 ¹ / ₂
გერმანია 1 მარკა—100 ფგენინგია	"	46 ¹ / ₂
გოლანდია 1 გულდენი—100 ცენცია	"	78
ღანია 1 კრონა—100 ჰორაა	"	52
ეგვიპტე 1 პიასტრი—40 ფარაა—100 ასფარა	"	9 ¹ / ₂
ინგლისი 1 გირ. სტერლ. 20 შილინგ.—240 ჰენს.	9	45
ისპანია 1 პესეტა—100 ცენტავიშოა	"	37 ¹ / ₂
იაპონიი 1 იენი—100 სენია	1	93
იტალია 1 ლირა—100 ცენტავიშოა	"	37 ¹ / ₂
ლისტენშტეინ 1 გულდენი—100 კრეიციერია	"	79
ლიუქსენბურგი 1 ფრანკი—100 სანტიმოა	"	37 ¹ / ₂
მექსიკო 1 პესო—100 ცენტავოა	2	05 ¹ / ₂
ნორვეგეთი 1 კრონა—100 ჰორია	—	78
ოსმალეთი 1 პიასტრი—40 ფარაა	—	7 ³ / ₄
პორტუგალია 1 მილრეისი—100 რეისია	2	10
რუსეთი 1 მანეთი—100 კაპეიკია	1	—
რუმინია 1 ლეუ—100 ბანია	—	37 ¹ / ₂
სერბია 1 დინარი—100 ფარაა	—	37 ¹ / ₂
საფრანგეთი 1 ფრანკი—100 სანტიმოა	—	37 ¹ / ₂
საბერძნეთი 1 დრანძა—100 ლენტია	—	37 ¹ / ₂
სპარსეთი 1 თუმანი—100 ქრანაა	3	75
შვეცია 1 კრონა—100 ჰორაა	—	52 ¹ / ₂
შვეიცარია 1 ფრანკი—100 რაპეინია	—	37 ¹ / ₂
ამერიკ. შეერთებ. შტატ. 1 დოლარი—100 ცენტია	1	95

ზომა, წონა და საწყაო უცხოეთში.

სიგბძის ზომები

ინგლისში: 1 ფუტი—22 დიუმს—120 ლინიას—1/6 ფორტმს—1/2 იარდს; (ხლოდ მანძილისათვის 1 მილია უდრის 2.760 იარდსა).

1 ფორტმი—2 იარდს—9 ფუტსა.

1 იარდი—3 ფუტს—36 დიუმს—35 ლინიას.

საფრანგეთში, ავსტრო-უნგრეთში გერმანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ისპანიაში, იტალიაში, შვეიციაში, ბოლგარიაში, სერბიაში, რუმინიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ოსმალეთში, პორტუგალიაში, ბრაზილიაში, ბოლივიაში, მექსიკაში შიდა და დასავლეთ ამერიკაში საზოგადოდ დასაბამ ზომად მიღებული აქვთ მეტრი, რომელიც უდრის დეკამეტრის მეტრედიანის 1/1000000 ნაწილს (და აღნიშნავს ათეულ სისტემას ზომისას). ამ ქვეყნებში, როგორც შემოდ ვსთქვით დასაბამ ზომად მიღებულია მეტრი, ხლოდ ალაგობრივ სხვა-და-სხვა სახელით ხმარობენ ამ მეტრს.

1 მეტრი—10 დესიმეტრს—100 სანტიმეტრს—1000 მილიმეტრს, 10 მეტრი—1 გეკტომეტრს; 100 მეტრი—1 კილომეტრს. 1000 მეტრი უდრის 1 მილიამეტრს; (ხლოდ მანძილისათვის 1 კილომეტრი უდრის 1000 მეტრს).

სიგბძე-სივანის ზომები

ინგლისში: 1 აკრი—4.840 კვად. იარდს.

1 კვ. იარდი—9 კვ. ფუტს.

საფრანგეთში: 1 გეკტარი—100 არია—10,000 მეტრსა.

გერმანიაში: 1 მორგენი—180 რუტსა.

ავსტრიაში: 1 იოხნი—1,600 კლავტერსა.

ღვინის საწყაო

ინგლისში: 1 გალონი—4 კვადრატს—8 პინტსა.

საფრანგეთში და გერმანიაში: დასაბამ ზომად მიღებული აქვთ ღვინის თუ პურის საწყაოში ლიტრი, ამ გვარად ამ ქვეყნებში შემდეგი ზომებია:

1 ლიტრი—1/10 დეკალიტრს—1/200 გეკტოლსა.

პუჭის საწყაო

ინგლ. კვარტერი—8 ბუშელს—64 გალონს; 1 ბუშელი—8 გალონს.

საფრანგეთში და გერმანიაში: დასაბამ


ზომად მიღებულია, როგორც ზემოთ იყვ ნათქვამი ლიტრი, ამ გვარად:
 1 ლიტრი= $\frac{1}{100}$ გეგტოლიტრს ანუ 100 ლიტრი=1 გეგტოლიტრს, ხოლო 100 ლიტრი=კილოლიტრსა.

წ ა 6 ა

ინგლისში: 1 ტონი=20 ცენტნერს; 1 ცენტნერი=124 გირ.
 დანარჩენ ვერობის სახელმწიფოებში და-

საბამ ზომად მიღებული აქვთ გრამი.
 1 გრამი= $\frac{1}{1000}$ კილოგრამს, ანუ 1000 გრამი უდრის 1 კილოგრამს.
 შენიშვნა: ძვირფასი ქვების, აღმასის და თვალ-მარგალიტების ასაწონავად უცხოეთში და რუსეთშიც შემოდებულია დასაზომად, ეგრედ წოდებული, კარატის, რომელიც უდრის $20\frac{3}{25}$ ხანტიკრამს (1 ხანტიკრამი უდრის რუსულ $\frac{9}{40}$ დილას)

შედარებითი ნიმუშები ნამდვილ ზომებისა.



ს ა ა ნ ვ ა რ ი შ მ ც ხ რ ი ლ ი

დღიურად გასანაწილებელი მუშების თვიური ჯამაგირი 1 მანეთიდან 30 მანეთამდე

თვიური ჯამაგირი	1 დღეში	2 დღეში	3 დღეში	4 დღეში	5 დღეში	6 დღეში	7 დღეში	8 დღეში	9 დღეში	10 დღეში	11 დღეში	12 დღეში	13 დღეში	14 დღეში	15 დღეში
1 მანეთი	3	7	10	13	17	20	23	27	30	33	37	40	43	47	50
2 "	7	13	20	27	33	40	47	53	60	67	73	80	87	93	100
3 "	10	20	30	40	50	60	70	80	90	100	110	120	130	140	150
4 "	13	27	40	53	67	80	93	107	120	133	147	160	173	187	200
5 "	17	33	50	67	83	100	117	133	150	167	183	200	217	233	250
6 "	20	40	60	80	100	120	140	160	180	200	220	240	260	280	300
7 "	23	47	70	98	117	140	163	187	210	233	257	280	303	327	350
8 "	27	53	80	107	133	160	187	213	240	267	293	320	347	373	400
9 "	30	60	90	120	150	180	210	240	270	300	330	360	390	420	450
10 "	33	67	100	133	167	200	233	267	300	333	367	400	433	467	500
11 "	37	73	110	147	183	220	257	293	330	367	403	440	477	513	550
12 "	40	80	120	160	200	240	280	320	360	400	440	480	520	560	600
13 "	43	87	130	173	217	260	303	347	390	433	477	520	563	607	650
14 "	47	93	140	187	233	280	327	373	420	467	513	560	607	653	700
15 "	50	100	150	200	250	300	350	400	450	500	550	600	650	700	750
16 "	53	107	160	213	267	320	373	427	480	533	587	640	693	747	800
17 "	57	113	170	227	283	340	397	453	510	567	623	680	737	793	850
18 "	60	120	180	240	300	360	420	480	540	600	660	720	780	840	900
19 "	63	127	190	253	317	380	443	507	570	633	697	760	823	887	950
20 "	67	133	200	267	333	400	467	533	600	667	733	800	867	933	1000
21 "	70	140	210	280	350	420	490	560	630	700	770	840	910	980	1050
22 "	73	147	220	293	367	440	513	587	660	733	807	880	953	1027	1100
23 "	77	153	230	307	383	460	537	613	690	767	843	920	997	1073	1150
24 "	80	160	240	320	400	480	560	640	720	800	880	960	1040	1120	1200
25 "	83	167	250	333	417	500	583	667	750	833	917	1000	1083	1167	1250
26 "	87	173	260	347	433	520	607	693	780	867	953	1040	1127	1213	1300
27 "	90	180	270	360	450	540	630	720	810	900	990	1080	1170	1260	1350
28 "	93	187	280	373	467	560	653	747	840	933	1027	1120	1213	1307	1400
29 "	97	193	290	387	483	580	677	773	870	967	1063	1160	1257	1353	1450
30 "	100	200	300	400	500	600	700	800	900	1000	1100	1200	1300	1400	1500

სამხედრო ბეგარის წესები.

სამხედრო ბეგარა შემოდგომულა რუსეთში 1874 წლიდან, ხოლო ჩვენში 1887 წლიდან. ჯარის კაცთა გაიწვევენ ყველას, ვინც კი ჯანსაღია და სნეულობა არაფერს ხელს არ შეუშლის. კენჭს ამოიღებენ იმ წელიწადს, როდესაც ბირველ დვინობისთვემდე შეუსრულდებათ ოცდაერთი წელიწადი, ა) ვისაც თავის ნებით უნდა ჯარში შესვლა, ის კენჭს აღარ ამოიღებს, უკენჭოდ წავა ჯარში, ბ) ვინც არ იცის თავის წლოვანება, იმან თვითონვე უნდა გამოუცხადოს სამხედრო ბეგარის საკრებულოს, რომ შეიტყოს თავის ნამდვილი წლოვანება, რათა მანაც ამოიღოს კენჭი, გ) ვინც თავის ნებით არ გამოცხადდება კენჭის ამოღების დროს, იმას ძალით წაიყვანენ და დასჯიან კიდევ. თუ ჯარში შესვლა იანვარს გადაადგინა, მაშინ ბირველ თებერვალსაც რომ გამოცხადდეს, მაინც ამ დროიდან არ ჩაეთვლება სამსახური, მხოლოდ მომავალ მარიაშობისთვის 15-დან ჩაეთვლება და ამნაირად რამდენიმე თვეს უფრო მეტს იმსახურებს, დ) ვისაც აქვს უფლება შეღავათისა, იმან თვითონვე უნდა გამოეცხადოს საკრებულოს, ე) ვინც გმაცოფილი არ იქნება ამ სამხედრო საკრებულოს რომელიმე გადაწყვეტილებსა, ის მაინც ვალდებულია დაემორჩილოს ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ამასთანავე ნება აქვს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი აღძრას იმავე საკრებულოს სახელობაზე. საჭიროთა მხოლოდ, რომ ამ საჩივრის შეტანა არ გადასცილდეს ოთხ კვირას იმ დროიდან, როდესაც გამოცხადდა გადაწყვეტილება.

ოჯახის მდგომარეობის გამო კანონით დადგენილია სამნაირი შეღავათი. ვისაც ბირველ-ნაირი შეღავათი მიეცემა, ისინი განთავისუფლდებიან ჯარში გაყვანისაკენ. ბირველ ნაირი შეღავათი ეძლევათ შემდეგ ბირებს: 1) ერთად-ერთ მშრომელ შვილს, რომელსა ჰყავს ქვრივი დედა, ანუ მამა, რომელსაც, სხვადასხვა მიზეზებისა გამო შრომა არ შეუძლიან, 2) ერთად-ერთ მშრომელ ძმას, რომელსაც ჰყავს ერთი, ანუ რამდენიმე გამოსაზრდელი დედ-მამით ობოლი და-ძმანი, 3) ერთად-ერთ მშრო-

მელ შვილი-შვილს. რომელსაც ჰყავს პაპა ანუ დიდა-დედა, უკეთუ ესენი არიან უშვილნი, ანუ ჰყავთ შვილი მრომისათვის გამოუსადეგარი, 4) დედას-ერთა შვილს, თუნდაც რომ ცოცხალი ჰყვანდეს მშრომელი მამა. მეორენაირი შეღავათი ეძლევა ერთად-ერთ მშრომელს შვილს, რომელსაც ჰყავს ერთი, ანუ მრომისათვის გამოუსადეგარი რამდენიმე ძმა, თუნდაც რომ ცოცხალი ჰყავდეს მშრომელი მამა. მესამენაირი შეღავათი ეძლევა იმ შვილს, რომელიც წლოვანებით მომდევნოა ჯარში მყოფის, ან ჯარში მოქვედარის, ანუ ომიანობის დროს დაკარგულის ძმისა.

ვისაც მეორენაირი და მესამენაირი შეღავათი მიეცემა. ისინი ჩაითვლებიან «ობოლჩინებში». ვინც მრომისთვის გამოუსადეგარნი კანონით ცნობილი არიან ყმაწვილი ბიჭები, ხინამ ივრამეტი წლისანი არ გასდებიან და აგრეთვე ისინი, რომელნიც ორმოცდა-იხუთმეტ წელს გადაცილებულან. სხეულნი და მახინჯებიც აგრეთვე მრომისათვის გამოუსადეგართ არიან კანონით აღიარებულნი. თუ განზრახ დაიძახინჯა თავი, იმას კი უხათუოდ წაიყვანენ ჯარში.

მოსწავლე ასალგასდებიც ვალდებულნი არიან, ამოიღონ კენჭი, როდესაც კანონით დადებულ წლოვანება შეუსრულდებათ. მაგრამ, უკეთუ ამის სურვილი განაცხადეს—ჯარში სამსახურისათვის მხოლოდ მაშინ გაიყვანენ, როდესაც დაასრულებენ სწავლა-განათლებას.

სამხედრო სამსახურში მიღებულმა უნდა იმსახურდეს ორ წელიწადს—და რვა თვეს. შემდეგ ცამეტი წელიწადი ირიცხება «ზაბასში»; ცამეტი წლის შემდეგ ჩარიცხულ იქნება «ობოლჩინებში» და იქნება ასე სანამ ორმოცდა-სამი წლისა არ შესრულდება.

ყოველი «ზაბასში» მყოფი, რომ მან იარაღის ზმარება არ დაივიწყოს, ვალდებულია იმსახურდეს ჯარში არა უმეტეს ექვსი კვირისა. ამისთანა სამსახური მოუხდებათ მხოლოდ ცამეტი წლის განმავლობაში ორჯელ. სად და როდის უნდა შეგროვდნენ ამ სამსახურისათვის, გამოცხადებულ იქნება ყოველთვის ნასევარი წლის წინად.

ბაქონ-ყმობა ჩვენში

ყმების-გლეხების მესაკუთრეებად შეიძლება ყოფილიყვნენ თავადები, აზნაურები, მონასტრები და ეკლესიები. ბატონ-ყმურის წესით ჭიფლიბდენენ აზნაურებს და სასულიერო წოდების პირებს მეფეები და თავადები. გლეხების ყმად ყიდვა შეეძლოთ აგრეთვე ტფილისის მთქალაქით და გლეხებსაც. ყმად ჰხდებოდა: 1) მეფის ნაჩუქარი კაცი, 2) როდესაც გლეხი მიდიოდა სხვის მამულში და ყმობოდა ბატონს, 3) ტყვედ წამოყვანილი უცხო ტომის სხვა რჯულის კაცი, 4) ნაყიდი კაცი, 5) შემოგდებული ან შვილად აყვანილი და გაზრდილი, 6) შეუძლებელი მოვალე, 7) ქურდი, რომელსაც არ შეეძლო დაკმაყოფილება ბატონისა, 8) გლეხი, რომელმაც შეითო ყმის ქალი, 9) თავისუფალი გლეხის ქალი, რომელიც გაჰყვა ცოლად ყმას. 10) კაცი, რომელსაც ჰქონდა უკანონო დამოკიდებულება ყმის ქალთან (ჰხდებოდა ამ ქალის ბატონის ყმა), 11) გლეხის ოჯახი რომელსაც დაარჩენდა სიმშობის დროს მემამულე, ჰხდებოდა ამისი ყმა, 12) ტყვეობიდან გამოყიდული, 13) გლეხი ოჯახობით ჰხდებოდა ყმა იძისა, ვინც გადაიხდიდა მის ვალს ან მისცემდა მის ქალს მშითვეს, 14) ბატონის მკვლელი და 15) ვინც თავის ნებით გაყიდა თავისი თავი.

ყმობა იხზებოდა: 1) როდესაც ბატონი გაანთავისუფლებდა ყმას თავის სულის საჩივრებლად, 2) ყმა გამოეყიდა თავს ფულის გადახდით, 3) როდესაც ბატონის მიერ დაგირავებული ყმა იხდიდა ბატონის ვალს, 4) თავისუფალი ჰხდებოდა ოჯახობით ბატონის მიერ დაჭრილი გლეხი, 5) თავისუფლდებოდა ბატონის მიერ მოკლულის ყმის ოჯახობა, 6) თავისუფლდებოდა გლეხის ოჯახობა, რომლის ქალი გააუბატოურა ბატონმა. იყო სხვა საშუალება განთავისუფლებისათვის, მაგ. თავისუფალი იყო ყმა, რომელიც 30 წელიწადს იხსოვრებოდა საქართველოს საზღვრებს. თავისუფალი იყო ისიც, ვინც 12 წელიწადს იხსოვრებოდა თრიალეთში. (საქართველოს მტერი ყოველთვის თრიალეთსე გადმოვილიდა და ამ ბროვინციის მცხოვრებნი ყოველთვის პირველნი შეებრძობებოდნენ მტერს: ამიტომ ეძლეოდათ შეღავათი).

რასაკვირველია, გლეხი—ყმა თითქმის ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო, ბატონს შეეძლო მისი გაყიდვა გასაჩუქრება; ყოველივე მისი საკუთრება იყო ბატონის, ბატონი იყო მისი მსახული, რომელსაც შეეძლო კიდევ მოეკლა ყმა. ვლესს არ შეეძლო არაფრის ყიდვა, არც გაყიდვა ბატონის დაუჯიბთხავად; როდესაც გლეხი კვდებოდა უშვილოდ, მისი ქონება გადადიოდა ბატონის საკუთრებად. ძლიერ ბევრი იყო ბეგარა, რომელიც ვალად ედვა ყმას. აკადემ. ბროსსეს გამაწარმებებით გლეხს ჰქონდა 120 სხვა და სხვა ბეგარა. ბატონების მეურნეობას აწარმოებდნენ მხოლოდ ყმები—მიწის დამუშავება, ძორწყვა, მძმა, მთობვა, ვენახის გაშენება, ყურძნის მოკრეფა და ღვინის გაკეთება და სხვ., ყველაფერი ყმის საქმე იყო. გლეხები ეწევიან ფულით ბატონის ოჯახს. როდესაც ბატონი კვდება, ან ქორწილი ან სხვა რაიმე ღხის; როდესაც ბატონს ეწვევა სტუმარი, ყმები უნდა გაუმასპინძლდნენ მას; როდესაც ბატონი მიდის ომში, ყმებმა უნდა მისცენ მას ფული. ცხენები, ურმები და თვითონაც ემსახურონ და სხ., ერთის სიტყვით, ყოველთვის, როდესაც რამე სამწუხარო ან სამხიარულო მოხდებოდა ბატონის ოჯახში, ყმები ვალდებული იყვნენ დასმარება ადამიქინათ მისთვის.

ბატონსაც ჰქონდა ზოგიერთი მოვალეობა ყმებისადმი. როდესაც ყმა სასლდებოდა ახალ ადგილზე, ბატონი ანთავისუფლებდა მას ყოველისავე ბეგარისა და გადასახადისაგან 6 წლის განმავლობაში; ბატონს უნდა ერჩინა ყმა სიმშობის დროს; როდესაც მტერი ააოხრებდა სოფელს ან სერცვა ანადგურებდა ნათესს, ყმები თავისუფალნი იყვნენ ბეგარისაგან რამდენიმე წელს; ბატონს არ შეეძლო ძალით გაეთხოვებინა ყმის ქვრივი; ყმას უფლება ჰქონდა მოეკლა ბატონი, თუ მას შეესწროდა თავის ცოლთან და სხ. როგორც ზევით ვსოქვით, ყმები იყვნენ თავად-აზნაურებისა, ეკლესია-მონასტრებისა და მეფეებისა. მათში უფრო იოლი ცხოვრება ჰქონდა ეკლესია-მონასტრების ყმებს და უფრო მძიმე—თავად-აზნაურებისას. გლეხის განთავისუფლების მანიფესტი რუსეთში 1861 წ. 19 თებერ., გამოიგა ჩვენში კი ბატონ-ყმობის მოხპობა გამოცხადდა ტფილისის გუბ. 1864 წ. 13 ოკტ. და ქუთაისში 1865 წ. 8 ნოემბ.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ც ნ ო ბ ე ბ ი

ვაზის ნაცრის წამლობა. საუკეთესო და თითქმის ერთადერთი სასარი ნაცრისაგან ავადმყოფ და დაზარალებულ ვენახების მოსარჩენად, ამ უაზად ყველასაგან მიღებულია. დაფხვნილი გოგირდი (ფქვილად ქცეული გოგირდი). სასყიდლად შეგვხვდებოთ ორი რიგი გოგირდი: ერთი, ეგრედ წოდებული, მარსელის გოგირდი და მეორე რიგი—სიცილიის გოგირდი, რომელსაც ხშირად ადენის გოგირდს ეძახიან. მარსელის გოგირდი თუქმა ძვირია სიცილიის გოგირდსეედ, მაგრამ იმითი წამლობა უფრო-კი სასარგებლოა, ამიტომ რომ, როგორც გამოცდილებიდან ხსანს, თუ გვინდა რომ სიცილიის გოგირდმა ისეთივე სარგებლობა მოგვიტანოს, როგორც მარსელისამ. მაშინ სიცილიის გოგირდი ერთ-ნახევრად მეტი უნდა შევყაროთ ვაზებს. გოგირდში, უხინდისო მღვაჭრენი, ხშირად ურევეს სიძინიდის ფქვილს. ასეთი გოგირდი კი არ ვარგა საწაძლებლად, ამიტომ საჭიროა გოგირდი ვიყიდოთ იმისთანა ალაგებში (ფირმებში), სადაც სანდო პირნი ჰყიდიან და არ მოგვატყუებენ, არც წინაში და არც დინებავში. გოგირდის შესაყრულად ხმარობენ სხვა და სხვა ჯურის (სისტემის) მანქანებს ანუ (მაშინებს). პატარა ხელის მანქანებში (მაშინებს) საუკეთესოდ ითვლება უესოეთიდან მოტანილი სამეურველი, რომელსაც ლიაგლესის ჯურისას (სისტემის) ეძახიან. ეს ლიაგლესის საბერველი ისეა მოწყობილი, რომ გოგირდი მანქანის (მაშინის) ტყავს არ სვდება. ამიტომ ეს საბერველი სხვა ჯურის საბერველებსეედ მტრსანსა სძლებს. აგრეთვე ამ ლიაგლესის ჯურის საბერველით გოგირდი თანასწორად და შეუწყვეტლად ყურება ვაზს. გოგირდი უნდა შეყაროს სულ მთლად მიუღს ვაზს და არა მარტო მტვერებს, ანუ რქებს, რადგან ნაცარი ერთბაშად ედება, როგორც მტევანს, აგრეთვე თვით ვაზს, იმის რქას, ფოთოლს და ვაზის სხვა ნაწილებს. გოგირდის შეყრის დროს, ჩვენ უნდა ვვდილოდეთ, რომ გოგირდის მტვერი ერთნაირად მოჭხდვებს ვაზის ყველა ნაწილებს.

ცოტა დღის და ვარჯილობის შეძლევა, ეს მლიერ ადვილად შესასრულებელია ლიაგლესის საბერველის საშუალებით. პირველად გოგირდი იმ დროს უნდა შეყაროს, როდესაც ვაზის პატარა ლერწოების (ყლორტების) სიგძე ორ გოჯზედ მეტი არ არის, უმეტესად საჭიროა და სასარგებლოც მეორედ შეყრა. რომელიც უნდა მოხდეს ყურმის ყვავილის დროს. მეხამეთ კი უნდა შეყაროს სანამ ყურმენი აიძვრევა ანუ სანამ ყურმენში თვალი შევა. საწოგადოთ სამჯერ გოგირდის შეყრა ვაზისოვის საკმარისია, რომ იგი ნაცარს გადავანარჩუნოთ, მაგრამ სოგოკრთ წლებში, როდესაც ნამეტნავად გვალვანი წელიწადია, რომელიც ხელს უწყობს ნაცარის გავრცელებას-გამლიერებას, საჭიროა ვიდევ დამატებით წამლობა ერთხელ ანუ ორჯერ. თუ რომ გოგირდის შეყრის მეტე მალე წვიმა მოახწოდოს და ახლად შეყრილი გოგირდი ვაზიდგან ჩამოივრება, მაშინ გოგირდი ხელმეორედ უნდა შეყაროს. გოგირდი უნდა შეყაროს კარგს და წყნარ. უქარო ამინდში.

დიდ სიხსებებში გოგირდი უნდა შეყაროს დილით ადრე. საათის თერთმეტამდის, ესე იგი გლენის სადილობამდის და ამ დროდგან საათის ოთხამდის, ესე იგი შხის ვარგად გადასრამდის აღარ უნდა შეყაროს. შემდეგ კი ისევე შეიძლება წამლობა. ძალიან სიხსებში მაყრილი გოგირდი ვაზს სწვავს და თუ, როგორც სვეითა ვსთქვით. ისე მოვიქვით, მაშინ აღარაფერი შიში არ არის ვაზის დაწვისა. ვიდრე გოგირდს შეაყრიდეთ, იგი უნდა წამოყაროს რაზედმე, გამოამსუნოთ, გამოამროთ და კოლტ-კოლტად ქცეული დაიფხვნას ხელით.

ვაზის ობის (მილდიუს) წამლობა. ვაზის ობისაგან (მილდიუსაგან) მოსარჩენად არის რამდენიმე სერნი. მხოლოდ ჩვენ ვაკვასიაში ყველგან მიღებულია და სმარობენ ბორდოს წყალს (ბორდოს სითხე), რომელიც მშვენიერს შედეგს იძლევა, ესე იგი ძალიან რგებს ვაზებს და არჩენს. ბორდოს

წყლის (ბორდღს ხითის) მოსამზადებლად სხვა და სხვა ალაგებში სხვა და სხვა წინას იღებენ სპილენძის შაბიამანის და კვაკირისას. საფილექსერო დასის გამოცდილებით, ბორდღს წყალი (ბორდღს ხითეს), მომზადებული ქვემო აღნიშნულ წესით, იძლევა ფრიად სახისარულად შედეგს, ესე იგი კახურ ვაშებს ძალიანა რგებს. ჩაახსით ბორღაში ანუ სხვა ჭურჭელში (მხოლოდ ბორდღს წყლის მომზადებაში რკინის ჭურჭელი არ უნდა იხმარეთ) განსაზღვრული რიცხვი წყლისა, მაგალითად, ექვსი ჩაფი წყალი (ერთი ჩაფი წყალი—კედრ-ნასეკარია, ერთი ვედრ—საძი თუნგია). ყველა ორ ჩაფს წყალზედ აიღეთ ერთი გირვანქა სპილენძის შაბიამანი; ისე რომ, თუ ბორღაში ექვსი ჩაფი წყალია, მაშინ უნდა აიღოთ და ახლონოთ საძი გირვანქა სპილენძის შაბიამანი. ჩაყარეთ რძემელსამე ჭურჭელში (თიხისა იყო, თუნდა სისა ანუ სპილენძისა); შემდეგ ბორღაში მომზადებულ წელიდგან ამოიღეთ ორი ჩელადა წყალი (გირვანქა-ნასეკარ შაბიამანზედ ერთი სელადა წყალი): ეს წყალი გააგზელეთ და იგი დაახსით მომზადებულ შაბიამანს და იქნობამდის ურთეთ ჯღზით, ვიდრე შაბიამანი სულ მთლად დაიშლებოდა და დადრება; შემდეგ ამავე წესით და რიგით ყოველ ბორღაში მომზადებულ ორ-ორ ჩაფს წყალზედ აიღეთ ერთი გირვანქა კარგი ქვაკირი (ცირი დასველებული არ უნდა იყო), მაგალითად, თუ ბორღაში ვიდრე ექვსი ჩაფი წყალი, მაშინ უნდა აიღოთ საძი გირვანქა კირი. ჩაყარეთ კირი ცალკე ჭურჭელში. იმავე მომზადებულ ბორღის წელიდან ამოიღეთ საძი ჩელადა წყალი (თითო გირვანქა კირზედ თითო ჩელადა წყალი) და დაახსით მომზადებულ კირს და თანავე აურთეთ იმ დრომდის, სანამ კირი სულ მთლად დაიშლებოდეს. ამის შემდეგ, ჩაახსით ბორღაში ჯერ პირველათ სპილენძის შაბიამანის წყალი (წვენი) და ურთეთ, მერე ცოტ-ცოტაობით ერთმა ჩაახსით კირის წვენი ბორღაში და მეორემ კი ჩახსების დროს მრთელ ურთოს წყალი დიდის ხის ჯღზით. ამასთანვე უნდა გახსოვდეთ და იცოდეთ, თუ ქვა-კირი კარგია, ცივ წყლის დახსნით იგი ძალიან ხურდება და ეს გახურებული კირის წყალი კი ბორღაში არ უნდა ჩაახსნათ; უნდა და-

აგადოთ რომ გაცივდეს. ესე შესავებულ მომზადებულ წამალს ჭკვიან ბორდღს ხითეს, ანუ ბორდღს წყალი. ბორღს წყალ უნდა მომზადდეს უთულოთ ექვსი საათი მაინც ადრე შესხურებადის (წამლობამდინ). უკეთესი კი იქნება ყოველთვის ბორდღს წყალი წინა ხადამოწმედ მომზადდეს ხოლმე და მეორე დღით კიდევ შესხსნათ ანუ ავკურთო. წამალი თუნდ რომ რამდენსამე დღე დარჩეს მომზადებული არა ფუჭდება. საჭიროა მხოლოდ ბორღას პირზე დააფაროდ რაშე, რომ წვიმის დროს წვიმის წყალი არ ჩავიდეს შიგ. შესხურებადის (შეკვეთებადის) ეს მომზადებული ბორდღს წყალი ბორღაში გარკვედ უნდა დაურთოთ, რადგან ბორღის ძირში წამალი ჩაილექებს ხოლმე ყოველთვის, როდესაც-კი წამალს მანქანაში (მაშინაში) ჩაახსნათ, საჭიროა წამალს დაურთოთ, ხოლმე შესავებულ წამალს ვაშლებს ახსურებენ სხვა და სხვა ჯურამანქანებით (მაშინებით), საუკეთესოდ შესახსურებელი კი არის მანქანა (მაშინა) ვერძელისა; მესხურების დროს უნდა ცდილობდეთ, რომ წამალი, რაც შეიძლება, წვრილის წვეთებით, ნაძვით, ყველგან ერთნაირად დაედვას ვაშლზედ. ბორდღს წყალი უნდა უწამლოთ კარგს და წყნარ-უქაროდ დღეს. უნდა ეწამლოს, ვიდრე ავადმყოფობა ვაპოაჩნდებოდეს ვაშსა. თუ გასაფხული ადრე დადგა, მაშინ წინამხარში პირველი წამლობა უნდა მოხდეს ძაისის პირველ დღეებში; გასაფხული თუ გვიან დადგა, მაშინ კი უნდა ეწამლოს ძაისის ნახევრამდის. უკანა მხარში კი ცოტა გვიან უნდა წამლობა, ვიდრე წინამხარში. მერე წამლობა უნდა გაიმეორებოთ სუთი ან ექვსი კვირი შემდეგ პირველი წამლობისა; მესამე კი ექვსი კვირის შემდეგ მეორე წამლობისა. თუ ნოტიო და წვიმიანი წელიწადი შესვდა და წვიმამ წამალი მალ-მალე ჩაქორცნა ფოთლებიდან, მაშინ, მიუხედავად წინად წამლობისა, წამლობა კიდევ უნდა განიმეორებოთ და ხელ-მეორედ უწამლოთ; გვალვიან წელიწადში კი შეიძლება მარტო ორჯერ უწამლოთ. მნელია ვაგმა გარდაწყვეტით სთქვას, თუ თითო დღიურზედ რამდენი წამალი უნდა, რადგანაც ერთ დღიურს ხშირად

გამენებულ ვენახს მკეტი წამალი დასჭირდება, ვიდრე თხლად გამენებულ ვენახს და ამასთან ვინც კარგად და ზომიერად ახსურებს ის ცოტას მოახმარებს. პირველ წამლობაზედ ცოტა წამალი უნდა, ვიდრე მეორესა და მესამესზედ. სასწავლოდ რომ ვთქვათ გი, კასიეთის ვენახებს თითოჯერ შესსურებაზედ უნდა ზუთმეტი ვირვანქა შაბიამანი და ამდენივე ქვა-ვირი დდიურ-სეად.

ახლად გამოგონილი მცნობა ვაზისა. მღსჭერით ვაზი, რომელზედაც გენავთ ამყნოთ სხვა ჯიშის ვაზი, გვერდელათ (45 გრადუსიანი გუთხით). სწორეთ აგრეთვე მღსჭერით იმავე სისქის რქა; შემდეგ აიდეო წვრილი მართული, სიგრძით ვაზის და რქის მუსლიდან მუსლაძდის, ჩაურჭევით ვაზის გულში მუსლაძდის. ასე რომ ზესე მართულის ნახევარი დაინებს და ამასაც რქის ნაჭერი ჩაურჭევით (ჩამოადვიოთ). ისე-გი, რომ რქისა და ხამყნე ვაზის ნახვირები ერთმანეთს მიგკვრენ. ასე მყნობას არც შესვავა უნდა და არც სხვა რამე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთი მყნობით ზუთჯერ მეტი შევიძლიანო ამყნოთ ერთ და იმავე დროს, ვიდრე ჩვეულებრივი მყნობით და ნამყნობი იშვიათად სედეება—ასში ათხმოდ-და-ათი უთუოთ ხარბებს.

გუთხის მნიშვნელობა. მეგნიერება და ცოდნა, დენე და ხერხი კარგი რამ არის, მაგრამ გამოცდილებაგ წაჭირთა ყოველ საქმეში. მეურნეობაში ხომ გამოცდილებაგ განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე ჩვენში, სადაც ყოველს გუთხეში, ყოველს ნაბიჯსე ბუნებრივი ცვლილება და ერთი ადგილი მეორეს, იქვე მყნობლად მყფეს, არა ჭგავს.

ისიგ კარგად ვიციოთ, რომ ერთი მცენარე მეორეს არა ჭგავს: პური სიმინდს, მკრია—ქვიშნას, კართოფლი—მარწყვს და ვაზი—გაწასურს. ყოველ მცენარეს საკუთარი თვისებები აქვს და ამიტომაც განსაკუთრებითი მღვლაც უნდა. აგრეთვე ერთი მიწა მეორეს არა ჭგავს, მაგალითად: თიხნარი—ვირნარს და შავი მიწა—ქვიშნარს. ერთს მიწაზე ერთი მცენარე უკეთ ჭხარბებს, მეორესე მეორე, ერთს მცენარეს მეტი წყალი უნდა, მეორეს ნაკლები; ზოგჯერ მიწა უფრო დრამდ უნდა მო-

ვნახს, ვიდრე მეორე. ყოველივე ეს კარგად ვიციოთ, მაგრამ ჩვენში ჯერაც არა-გვაქვს კარგად გამოცდილებული, რომელ მცენარეს სელი როგორ უნდა შეუწყობს მეურნეში, რომ უკეთ ახიროს და მკეტი ნაყოფიც მიიღოს.

დიდი ხანია, რაც სასდვარ-გარეთ დარუხეთშიაც დააარსეს გამოსაცდელი მინდვრები, სადაც ბეჯითად იკვლევენ ყოველგვარ სამრეწველო მცენარის თვისებებს და იმათი მღვლა-მღმენების წესებს, რომლების შექნეობით შეიძლება უკეთესი ნაყოფის მიღება. ამგვარი გამოსაცდელი მინდვრების გაშენება ყველგან ძალიან საჭიროდ და სახარგებლოდ მიაჩნიათ, მაგრამ, სამსუსნაროდ, ჩვენში-გი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ყარაიაზშია ერთი გამოსაცდელი მინდვრი და ერთიც კიდევ სამაგალითო ვენახია ზესტაფლის ასლეს, სადაც ამერიკის ვაზია გამენებული.

რამდენადაც საჭიროა ზრუნვა უკეთესი ნაყოფის მიღებაზე, იმდენადვე საჭიროა ზრუნვა იმაზედაც, რომ ამ კარგის ნაყოფის მიღება რამდენადაც შეიძლება იაფად დაჯდეს, ე. ი. რომ მღვლა-მღმენების სარჯი რომელიმე მცენარისა ნაკლები იყოს. მრეწველობაში ხარჯის შემცირება, ისე-გი, რომ ნაწარმების დირსება ამით არ დამცირდეს, შეიძლება მაშინ, როდესაც საჭირო სამუშაო იარაღი გაუმჯობესებული იქნება და რომელიც ნაკლებს დროს და შრომას მოითხოვს.

თუ ჩვენის ქართული გუთხის მაგიერ, რომელშიაც 7—8 უღელ საქონელს ვაბამთ,—გენესი, სუისა, ან სხვა რომელიმე გუთანს რომ ვისმაროთ, რომელიც ისევე დრამდ და კარგად მოკვიხნავს მიწას, როგორც ჩვენი მამა-პაპური გუთანს, მაგრამ 8 უღელის მაგიერ სულ 3—4 დაგვიკირდება, რაღა თქმა უნდა, რომ ხარჯიც ერთი-ორად ნაკლები გვექნება და ნაწარმობებიც უფრო იაფად დაგვიჯდება.

ამიტომაც არის, რომ ბევრგან მკვლისე და მძიმე გუთხის მაგიერ ახალს ამუშავებენ და ჩვენშიაც თან-და-თან, უკვე ხმარებაშია, რაც გლეხისათვის დიდოსხარგებლობა მიაქვს და შრომასაც მამა-პაპურ გუთანთან შედარებით ბევრად აადვილებს.

ბოსტნეულ მცენარეების გაშენება და მოვლა. ყოველივე ოჯახში საჭირო მწვანელი, გარდა ორიოდუხი, შენდება თესლით. ამისთვის რომ გუქონდეს წარმოდგენა, თუ რა გვარად ღვივდება, იზრდება მცენარედ მიწაში ჩაფლული პაწაწა თესლი, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა არის თვით სათესლე მარცვალი. ამის კახაგებაც ავიღოთ რომელიმე მარცვალი და ჩავთესოთ მასში. როგორც ყუთში, რომელშიაც ჩაკეტილია მძაგალი სიცოცხლე იმ მცენარის მოდგმისა, რომელის მარცვალაც ის არის.

პირველ შეხვედრისთანავე, მარცვლის გაშემოღებულ ხვედრებს ვუბრუნებ კანს; ამ პირველ კანს მივინთ ჩვენ ვხედავთ მეორე უფრო სუბტს უფროს კანს, ხოლო იმის მივინთ ნახასს. ნახასი არის ყოველივე მცენარის სიცოცხლის დასაწყისი; კარგ და მოწყობილ კვების დროს ეს ნახასი გადიდდება დიდ მცენარედ.

ნახასის სიცოცხლის შემდრამში მცვენიხათვის მარცვალს ფლავენ მიწაში ან დაინახავნ ნოტიო ალაგს. თითოეულ თესლს შეუძლია შეწოვოს სისხველე, ამით იგი იბერება, ნახასიც ღვივდება და იწყებს ზრდას.

მცენარის წესიერი ზრდისათვის საჭიროა უპირველეს მიწის სინესტე, შემდეგ სითბო და სინათლე. ახლად ამოხუთ მცენარეს რომ სინესტე მთავლო, იგი ჰკარგავს ზრდის ნიჭს, ჰკნდება და ხდება საშუალოდ. ყოველივე მცენარე იკვებება პირველად თვისივე თესლის ცილისაგან, ხოლო ფესვებს გამოიღებს, შემდეგ იზრდება მიწის სინესტის ნოყივრებისაგან, ხოლო ბოლო, როდესაც ფოთლებს გამოიღებს, მაშინ მცენარისათვის პირველად საჭიროა სინათლე, და შემდეგში ფოთლების საშუალებით მცენარე საზრდოობს ჰაერითდანაც. ნორჩი ახლად ამოხუთი მცენარე უფრო ზევრს მოვლას თხოვლობს ვინემ მოზრდილი. ახლად ამოხუთ მცენარის ახლო ბალასი არ უნდა დასტოვოთ. რათა არ დაჩრდილოს და არ მოაკლდეს მზის სითბო-სინათლეს, რომელიც მცენარის ზრდაში განსაკუთრებით მონაწილეობას იღებს; შემდეგ ხშირი მორწყვით მიწა უნდა მუდამ ნესტიანი ჰქონდეს, რათა ნორჩი მცენარე, რომელსაც ჯერ ფესვები მიწაში ღრმად არ აქვს გადგმული,

არ გასმეს. ხანამ ძირს გაიმავრებდეს, ხოლო, როდესაც მცენარე ცოტად თუ ბევრად მოიზრდება, მას შეუძლიან საზრდოობის გოლგა და წვიმებიც აიტანოს.

აი დღეს, აი სვალ, გადიოდა დრო. ან რა უნდა მეზრუნა? ზვრის დობე ჯერ ისევ ზამთარში ავამდე, გაზაფხულსე შემოვლობავ-მეთქი, მაგრამ გავებო, ჩემი ხარ ბატონი, რა ვიცი, ეს ესაო, ეს ისაო, იმდენი ვეღარ მოვიტყვე, ფიხი მომეჭრევიებინა და შე-

მეღობა... .ზამთარში გამომადგებოდა, სხვა არა იყოს-რა.

აღარც ფეხილი გვქონდა. ტომარა კარედ ეკლა სწორქვილოდ შამშადებუელი.

არცა მჯეროდა, ღვთის წინაშე, გლესკატების გაფიცვა. ბიჭ-ბუჭები იყვნენ, რადსაც მიჰქარავდნენ, მაგნავი. რა მომავლენებდა, რომ ჩვენ დარბაისელ გლესებსაც აიყოლებდნენ. ვიყავ ვიწმინდის არხიანად და წარბსაც არ ვიხრდი.

ავდებოდით, შეს სარ ჩემი ბატონი, შირს დავიბანდით, ღმერთს ვასსენებდით, შურს გავტუნდით და ჩვენებიანთკენ ჩავისეირნებდით. თუ სამოვარი ედგა ვისში, ძალიან კარგი; თუ არა და უხაიოდნენ არა გვიშავდა-რა. მწკერი-ერი დარი იდგა, მოსავალს კარგი შირი უჩანდა, დავსწავებოდით... ქალები ქორებს განვეუბოდნენ. ჩვენ კიდევ გავაბამდით სანუბარს, ზოგს ასალს ვიტყოდით, ზოგს ძველს, ზოგს ქალაქის არეულბას, ზოგს მართებლობის ძვირს, აქეთურს, იქითურს... ერთობრს მადიანად დავამთქნარებდით და კურთხეული შუადღევ დავდებოდა.

სადილის საჭმელად დავიშლებოდით. შივიდოდით შინ... რა დავითესია, რასა ში?

არც ჩემი ქალბატონი ბიანდება შინ, არც ბავშვები. კარო ღია გახლავთ, სახლი დაუღვებელი, უზო დაუბველი, ცეცხლი ჩამქრალი, კიდობანი ცარიელი!

დავიწებდი დამშეული კაცი უზოში სიარულს.

— ბიჭო, ტუჩ-მურავ! ჩვენებიანთკენ ჩიარე, ეგრემც ღმერთი გავზრდის, და ქალბატონს მოახსენე, — ამობრძანდი-თქო.

— სადა ბრძანდება?

— რა ვიცი? კაცი არა ხარ, მონახე — მიღვი და იმოგნე.

— ბატონი ბრძანდება.

ბოლოს ქალბატონიც გამოჩნდებოდა მშირი ბავშვებით.

— რა არის, ქალო, დაჰკრავ ფეხსა და დიდიდანვე კარედ გავარდები! თითქო არც ქმარ-შვილი გვაგდეს, არც ოჯახი გქონდეს!

— ოჯახი, დის და გადმოდის, თქვენმა მსემი თქვენ შინ მეგულებოდით, ჩემო ბატონო!

— შე რა?.. საქმე მქონდა, ჩავიარე და გავგერთე. სადილად არა გვაქვს-რა?

— ბლემანუებს მოგართმევთ ესლავე.

— რა გავაზრებს, ადამიანო? ეველი და შურიო, კეთილი გულიო, ნათქვამია. შექამადს მინიც ჩასდგამდი.

— შემარ იბრუნებდი რა!

— რადა თავი შეგაწვიხნოთ. გაათრებულ დედა-კაცის რაშვით, შატარა გიგლას ჯამით გავგზავნიდით, შატარა სოლას შურის სსესსებლად. დადიოდნენ, დაწილებდნენ, ჯერ ჩვენებიანთსა და მერმე სოფელში, გლესკატებში:

— დედამა, ერთ ჯამ შექამადს ნუ დამიკერთო...

— არ გვიდვას თქო...

— დედამა, თრი შური გვასესსეთ და ხვალ მოგართმევთო.

— სამსედ გახლავთ! იმ კვირია რომ წაიდეთ, ჯერ ისიც არ ჩამოგიტანიათ-თქო...

რაკი მსამსარეულს ვერას ვიშოვნიდით, ისევ მსადებას შევუდებოდით: შატარა გიგლას ზურის ღობეში ფიჩხს ამტვრევდა, შატარა სოლო მხადსა ჰკრეფდა, მე-და ჩემი გენიან ერთმანეთს ვამკობდით; ის უზრუნველობას მისავედულებდა; მიმტკიცებდა, თუ კაცი ხარ და ქუდი გზურავს, მოსამსახურე იყოლიე და იმას გაკეთებინე... შე კი ჩემსას არ ვიშლიდი: თუ შეუდლე ხარ, კიდევ უნდა გასწიო... კარგი დიასახლისი ნაცარს მოთუთქვს და ქმარ-შვილს კი არ დაამშვენს-მეთქი... თუ არა და, ერთი დღის გაშარტანებული ვენახი და თექვისმეტის დღის სახნავი... წადი შენა და მოჯამაგირეები დაიჭირე.

და აირია უტბად ქვეყნა...

ზღვასავით წამოვიდა შვიდი სოფლის ხალხი, ქართველი და ოსი.

— შენ, ეი აქ გამოდი!

— რა გინდათ, ხალხო!

— ერთობას გაუმარჯოს! — შეკვდივალა ხალხმა.

— მე რა, თქვე კურთხეულის შვილებო?

— დაიფიქრე, ერთობას გაუმარჯოს-თქო.

— ერთობას გაუმარჯოს!

— მადლა, თორემ იმისთანებს წავითაქებ...

— ერთობას გაუმარჯოს!

გადავხედე, ერთი არსად იყო ჩვენებური: უკან მიმალულიყვნენ, ბატონმა არ დაგვიჩინა ხოსო. ხალხს ოსი ბრძანებლობდა:

— აზნაურობა აღარ არის! გაიკე?

— ნუღარ იქნება რა! შივ კი აღარა ურია-რა და!

— ნადელი ცლეხისა!

— აგრე იყოს.

— ტუეც გლეხისა, ქალაქ, საძოვარიც, წყალიც, რიეც!

— აგრე იყოს.

— მესამედი აღარ არის! მესათედი! ტაი-ტე, მესათედი!

— და ბარემ სულ ჩამომართვათ, შვილო, ის არა სჯობიან! მესათედი რა... ხომ სიმი-შილით მოგკვდი!

— ხელი მოაწერე!

— რაზე? ე ფარატინზე?

— ფარატინზე კი არა, ერთობაზე!..

... გაიფიცა ხალხი. აღარც წყალი მოგვიტანეს, აღარც ჰური გამოგვიტანეს, აღარც მუშად წამოგვიყვანეს, მოჯამატირებები გაიფიც-ნეს, მეზობლობა მოგვისშეს და უმძრანად დაგვადგენ.

ჩემი მტერიც ნუ ჩავარდნილა იმ ეოფაში! მეორე დღეს გამომცხვარი ჰური აღარავის ჰქონდა.

მაგრამ გაჭირება მიხვეწეო... წამოვიკიდე, შენ ხარ ჩემი ბატონი, კოკა, რომ დადამდა, სოფელს გარს მოუვარე, არავინ დამინახოს-მეთქი, და შინ წყალი მივიტანე.

— თქვენ, ეი, ამ წყალს გაუფთხილდით, უბრალოდ არ დადვაროთ, თორემ ცოცხალი ჯერ გადამჩხებით!

დაიღ, იმ დღეს დამე კადმოვიტანე; მეორე დღესაც, თუმიცა სოფელში კადმოვიარე,

და მესამე დღეს კი აღარ დავირცხვინე და მშვენიერად გავიარ-გამოვიარე სოფელში. შუა-დღისას, კოკა-აკიდებულმა.

მივდიოდი და ოან ვნატრობდი.

— სად არის ახლა ერთი კაი ქიზიყური-სასეღარი-მეთქი!

არც ჩემი ქალბატონი ბრძანებოდა გულ-სულდაკრეფილი. რაკი მაგდასისა იმედი აღარ ჰქონდა, დატრიალდა, ბატონო, სახლი და-ლაგა, ბავშვებს ეზო დაგვეყვინა, ცუცსლი გა-ახინა, ქოთნით შექსამადი მისდგა, კიღობან-შიც კი ჩაისყდა.

— გოგლი! სოლო! ჩაიბინეთ, დედა გუნა-ცვალთ, და, სიტა იყოს და არ იყოს, ჰური ისესხეთ.

რამდენი, დედა?

— რამდენიც იყოს, შვილო! ორი-სამი... ბევრი! ბევრი!

— სოფელშიც კადავიდეთ!

— ნუ, შვილო, ნუ! იქ არას მოგცემენ.

მაგრამ ეზოს არ კანცილდებოდნენ ბავ-შვები, რომ ჩვენებისთ მართ ამოვიდა:

— ჩვენი სესნი ჰურიოთ!

— არ გვიდგეს-თქო!

და დამიშა აზნაურობა.

იმისითანა ნახორხლებს კანსლებოდთ, იმისთანა ნათავარებს, რომ შეეფარს არ გა-დაუგდებს კაცი. იმ დამეს თვალი არ შომი-ხეჭავს. საშინელი ეოფილა სიმიშილი! ისე გაურბის ძილი, როგორც ჩვენს სულისა ს-მართალი!

მესამე დღეს კი დამიანად წამომავლა ჩემ-მა ქალბატონმა:

— ადე, ადექსანდრე, ვარცლი ამიწე-

— ვარცლი რად ცინდა?

— მინდა ცომი მოვზილო.

— მერე ვინ ჩააკრავს.

— ვნასოთ.

ცომიც მოზილა, ჩემი ხარ ბატონი, თორ-ნეც გაახურა, გუნდაც ამოიღო და მშვენიერ-რადაც ჩააკრა. გაწითლდა, თვალი გაუბრწყინ-და, ახალი ჰატარძალი გვეტანებოდათ. იმის-თანა კაკალა ჰურები ამოყარა, რომ უკეთეს-

არ იქნება: სესხებიც კი დაარცხა, რაკი მადანის სამუდამო აღარა. ჭქონდა-რა.

ვაჟიანნი კიდევ კარვდ ვიუაეთ; ერთად გუმუშაობდით ეველას ახნაურები და ერთ კვირასე ისეთი დობე შემოვარულეთ ჩემს ზვანს, ისე მოვუარეთ ვასს, რომ შამიხემის ღუარსების დროსაც ახლად ეოფილას ისე კანწიად. ქალებიც მხარში გვიდგნენ, დვთის წინაშე; და, ასე განსიჯეთ, ჩვენი კანტანტილეტ-კი არ ჩამოგვრჩა, — მეწისქვილედ დავუყენეთ:

— დღანდ შამიროფს ნუ გამოვიდევთ და ფეხს არ მოვიტყვო აქედანა!

გავჩარხეთ ჩვენი საქმეები, შინ და გარედ განაკეთებელი არა დაგვრჩენია-რა და გული დავიშვიდედეთ. ეველეს რიგი განდა, სიტუბოება ჩამოგვრდა. გვაკვირდა, ასე ადვილი ეოფილას შრომა და ცოცხალი აღამაინი ასე შტონანედ როგორ ვუვარებით!

ახლა ჩვენვე დავტინოდით გვესკატებს და ჩიშნს ვუკლებდით: — რა გაიტანეთ, შვილო, რომ შემოგვწევროთ? ეგობნათ, უთქვენოდ სიმშლით ამოვწვილებდით, განა? ხომ ნახეთ, რომ უთქვენოდაც კარვად შეგვძლებია ცხოვრება! ახლა ჩვენ აღარ გვინდინათ, ახლა არ მიგიკარებთ, კიდევ რომ შემოგვწვიწით! კიდევ მოვხნავ და კიდევ მოვშიეთ! ზურსაც გამოვაცხობთ! თუ ერთი რუსული ფეხი ავიშენეთ!.. მანამ კი თანეშიც კარვად ჩავაკრავთ! მეთოდსე მეტს აღარ მოგცემით?! წლეულს კი რადა იქნება, და მერმის ჩვენვე დავხნავთ ჩვენს მწებს, სხვას ანაფის მოვხენვენიკით. ესასოთ, მამინ რაღას იტყვიო!

ერთს შიშვენიერ სადამოს ღადო მოგუად-გა ცხენით. კაი ახნაურშვილია, ხომ მოგეხსენებათ, და ცხენიც უკეთესი ჭეჟვს: ასე, დიხს ორმოცი თუმანი, როგორც ორმოცი მანათი. კაი ორ-სართულიანი სახლი აქვს, კაი ზვარე და სახნავი, რამდენიც გნებავთ.

მოვიდა, მოგვიგითხა, მერმე შემოგვწვივდა: — მოჯამატრეები გაიფანეს, იმოდენი საქონელი მოუვლელი შესიტება, ვენახი შობრდება. თქვენი გარჯა და ერთმანეთის და-

ხმარება გავიგე... მეც ხომ თქვენი ძმა-ახნაური ვარ... დამეხმარეთ და კისერზე დაშავდითო.

მეორე დღეს ქედზე კანი ჩავედით დადოსს. ორმოციოდე ახნაურიშვილი. საქონელს ვუპატრონეთ, ვენახს შევესიენით და ისე ვიმუშავეთ, რომ სული არ მოგვიბრუნებია. მანინილიც კარვად დავვიხვდა, დვთის წინაშე, და, როგორც, გორს ჩადიოდა ჩვენი სიმდეტა.

სადამოსე კარვას შეენაურდით იქვე ზვარში, დახათიანად გადავკარიო ახლ-ახლად დვინო და შინისკენ გავწიეთ.

ჩვენს სოფელში რომ შევედით, იქვე ორდობეში ტეტე შეგვსდა, ონოფრეს ბიჭი.

მოდის და მოიმდერის, ვითომც ანც კი გვწვდავს.

— ჩამოდექ! შე, ბრეეო, შენა!

— რად უნდა ჩამოვდექ რა?!

— იმიტომ, რომ უმფროსნი მოუდივართ!

— უმფროს-უმცროსობა აღარ არის! აღარც ახნაურობა არის, ეი! ახლა ჩვენა ვართ ახნაურები! ახლა თქვენ ჩამოდექით!

— ვერ უყურებთ, ამ... შეზარსისებული განდლით და... ერთი-ორი იმისათანა სილა ვატამე, რომ თქვენი მოწინებელი. ხანჯალს იტაცა ხელი, მაცრამ შედგა, ციბრუტივით უკან გაბრუნდა და სოფლისკენ დაეშვა:

იმავ დამეს ბიჭი მომივიდა, სოფელს საქმე აქვს შენთან და სვალ ნურსად წაბრძანდე-ბიო.

რა საქმე უნდა ჭქონოდათ? მაინც შინ დავრჩი. გათუნდა. სამხრობა იყო, რომ გარედ გამიხმეს. საში შატოისანი, ჩემი ხნის კაცი, გამოგეზავნა სოფელს.

— ოჰ, გამარჯვება თქვენნი! როგორა ხართ, ჩემო დემეტრე?

— კახლავართ შენი ჭირიმი..

— როგორ მოხდა, მომიგონეთ? იქნება გული მოიბრუნეთ...

— ბიჭი გატვიხავს, შენი ჭირიმი.

— ტეტე! ის ბრეევი ისა.

— თუ გაბრეევიდა და დას შავა რამე, ჩვენ-

თვის უნდა გებრძანებინა, შენი ჭირიმი, ცუ-
მა რა საკადრისია!

— კარგია, თქვენმა მისემ! მისე ზირი და-
შეკონცა იმ...

— ჩვენთვის უნდა გებრძანებინა და ჩვენ
ვიცოდით და ტეტემ. შენ კი მისდგომინარ
და...

— მამ, ახლა რა გინდათ? ბოდიში მოფი-
ხადო? წადით, მოიყვანეთ ი ბიჭი და ბოდიშს
მოგიხდით. დაგუბრქებ და მოგახსენებ: უკაც-
რავად გახლავარ, ჩემო ტეტე, გაგბრიყვად
და ერთი თბი ავიწკაპუნე. ბოდიშს ვიხდი
და საბრიყო, რაც გნებავს, გადამხდევინე.

— თხუთმეტი მანათი, შენი ჭირიმი.

— რაო, თხუთმეტი მანათიო? ხუმრობთ,
თუ...

— ხუმრობას როგორ გაკადრებთ? სოფე-
ლთან იხივლას ი ბიჭმა. სოფელმა გიდეე თხუ-
თმეტი მანათი შემოგაწერა.

— ტეტეს გადახვისთვის?

— ტეტეც კაცია, შენი ჭირიმი, ზირუტევი
კი არ არის. ერთობა ესდა.

ტეტეს გადახვისთვის თხუთმეტი მანათი?
აჰ, დემერთ! აირია, სწორედ ქვეყანა! მე-
რედ მოსვლას დადგა! თხუთმეტი მანათს კი
არა, უირავლას რომ დამკიდოთ, თხუთმეტი
კაპუეს ვერ დამაკვებინებთ, საიდან რას
იშოყნიო? აბა?

— საიდანაც გინებოს, შენი ჭირიმი.

— რომ არ გადავიხადო?

— დავარბეეთ, შენი ჭირიმი, სოფელი
დავარბეეს.

კიდევ კარგი, რომ საში დღის ვადა მომ-
ცეს. ქვეყანა შევადრ იმ საში დღეს და ფული
ვერსად ვიშოვნე. ბოლოს, რა გაეწებოდა,
დადოსთან გავედი. ვუამბე ჩემი უბედურება
და შევეკვდრე:

— ხელი გამომარეთ, შენი ცოლშვილის
სადღერგებლოდ, და, როგორც გინდა, ისე
მიმსახურე. ოდონდ ამ განსაცდელისაგან და-
მისხენ...

კარგა ღამისად შემტურეს და ამ ხნის კა-
ბო და ისე გამომისტურეს:

— რა არის, დალოცვილო, საცა დეინოსა
ნახავთ, ისე ჩაიხრჩობთ შიგ თავს, რომ ავი
და კარგი აღარ გატეკებათ! დათვრებით და
ასე გტონიათ... შოგტემდი, მავრამ გამიგებს
სოფელი და... მეც რომ დამარბოის... არა,
ძმაგ, არა, მე შენი გულისთვის სოფელს ვერ
შევეჭულდებო.

უნდა მოკახსენოთ, ვენახი უკვე შემუშა-
ვებული ჰქონდა.

რა გაეწებოდა, წამოყვადი, შენ ხარ ჩემი
ბატონი, და ისევე ჩვენს მდგელის დავე-
ღრიყე.

— თხუთმეტი მანათი მჭირდება, მამაო,
ხელი უნდა გამომარეთ.

— არა მაქვს, დემერთან იცის.

— იქნება ფოფოდასა ჰქონდეს?

დიდი უარისა და ფიცის შემთვგ ფოფო-
დას გამოსახდა ფული. თხუთმეტი მანათი
მომცეს, სატეკებელი თუქანზე საში აბაზი
დამინიშნეს, ისიც მარტო ჩემი ზატეიანცე-
მით, თორემ, სხვა რომ ვოფედიყო, ოთხ
აბაზ ნაკლებ არ მისცემდნენ... ეჭვ გავედი
მთაშენებს ასე სწრაფად წაწალებს, როგორც
ეს თხუთმეტი მანათი იბარტუებს. მავრამ
მოგიკვდეთ ჩემი თავი, მე ამას არ ვნახობ.
იმდენი რამ შემძინა ერთობამ, რომ მაც და-
ნაკლისად აღვიღად გავუძღებ.

სხვისი იმედი ნულარ გექნებაო, ჩამატონა,
გაისარაჟე და აღამანუნდა იცხოვრებო.

უარჭყავ ახნაურობაო: დარბი იქნება,—
არას გამოგადგება, მდიდარი იქნები და—
ძმის განკითხვას არ გეტდინებაო.

ნ. მაჭავარიანი.

სურათი [ფოტო] 2020
საქართველო
1943
თბილისი

არსად ფრინველი, არსად სიცოცხლე,
შეფარებიან ყველანი ჩრდილს
და თვითონ წყაროც აშურებს ტყისკენ,
რომ იქ, ხის ძირში, გული იგრილოს.
მხოლოდ ქედანი, კაეშიანი
შორს, შორს ქალაში ტირის, დუღუნებს
და შარა გზაზე მოჩანს ვილაცა,
ჩქარი ნაბიჯით მოდის აშურებს.

ტრიალ მინდორზე, ყანების შუა,
დგას დიდი მუხა, ტოტებ გაშლილი,
და ქოლგასავით გადაუშლია
შორით-შორამდე თავისი ჩრდილი.
მის ქვეშ მომკელი წამოწოლილა
აქ დაუღვია ბინა მუშასა,
ტყვილად არ თვლინ წმინდა ადვილად
ამ მიდამოს და თვითონ მუხასა,
ლესავს ნამგალსა, ლესავს ჩუმთა,
ჩაფიქრებული, დაღონებული,
და თავის ქონმას თავს დასტრიალებს
მისი ნაღველი, იმისი გული!
გაშავებულა მისი გულ-მკერდი,
დაღარულია იმისი სახე
და მის თვალებში აღბეჭდილია
მწარე ცხოვრება და სივალახე!

— „გამარჯობა ძმა!“ — მოესვა მომკელს,
— „შენც გაგიმარჯოს!“ — ახედა მოსულს
და ერთხანს თვალი აავლ-ჩაავლო
ტანწამოსადეგს და მხრებში მოსულს.

— „სად ყოფილხარ? მოდი გრილოში,
გემცნევა შენც კი, რო დაგცხომია;
შენ დარაჯი ხარ, იქ ხო არ იყავ,
სადაც სისხლის ღვრა, მწარე ომია?“

ახლად მოსულმა მოიხსნა თოფი,
მოიხსნა გუდა, დააგდო ძირსა,
ჩამოწმინდა სახეზე ოფლი
და გამოეწევა ისიც ხის ძირსა.

— „არა, იქ არა, აქ გამოგზავნეს
შენთან, უფროსთან უნდა მოხვიდე
და იცოდე რო, გაფრთხილებ ესლავ,
არ გაჯიუტდე, არ ამიხირდე!“

ეოცა მომკელს. — „რათაო, რისთვის,
მე აქ ყანას ვმკი, არა მცალია,
წასვლა და მოსვლა ჩემი ნებაა,
ვის შეუძლიან, განა ძალია?!“

— „როგორ თუ ვისა! მე გამოგზავნეს,
ის არის ხალხის მეთაურიო
და ის აჯანყებს სოფლის გლეხობას,
არ სურს ბატონის სამსახურიო!“

— „ეგ მართალია, თვითონ გასინჯე,
გვეყოფა ტანჯვა, აიგოსა კიქა,
ველა შეგვაბენ ვერა უღელში,
გვეყო, რაც წელი მათთვის იზნიქა!
გცხვენოდეს ვაქცაცს, რომ იარალით
ნამგლის ამარა მოხელო მომკელზე,
გცხვენოდეს თვითონ, ოდესღაც მუშას,
რო მცელი ბატონზე, რომ მცელი მე
სხვაზე.“

— „მე ეგ არ ვიცი, ადე გამომყე,
მე მათ ბრძანებს მტკიცეთ ვასრულებ,
და მაგ შენს სიტყვას ახირებულსა
ყურს არ ვათხოვებ, ყურს არ დავეუღებ!“

— „რა გინდა, ძმაო, რას წამომადექ?
თუ ჩრდილი გინდა, ე მანდ იჩრდილე,
თუ პური გზიან, შენც კი გაგაძლობ,
მერე თუნდ წადი, თუნდ დიიძინე“.

— „რას ბოდავ ერთი! გუდა-ნაბადი
წამოიკიდე, გასწიე წინა,
ვიდრე მათრახმა არ შეგახურა
და ამ ჩემ თოფმაც არ დაიგმინა“.

— „შენ ცდები, ძმაო, მოდი, თუ გინდა
გავინაწილოთ ოფლი, ნაშრომი;
მითხარ, შენ რაში გამოგადგება
შენსავე ძმასთან ძალა და ომი!

ეგ თოფიც, რკინა, ვხედავ, კარგია,
ნამგლათ ან ცელათ გამოგვადგება;
სამაჯურები და საცერელი,—
ბიკი კარგი ხარ,—და მოგიხდება!“

— „გვეყოფა მეთქი ჩემი ურჩობა!
თვითონ უფროსმა მიბრძანა ასე;
გაძალინდეს—არ დაერიდო,
როგორც ძალიო, მოკალი გზაზე!“
სთქვა ეს თუ არა, თოფი აიღო,
ფეხზე წამოდგა, წამოიჭიმა:

— „ადექი ჩქარა, გამომყევი!“ —
წიხლი წაუგვა და დაუყვირა.

— „გამომყევიო?! განა ძალი ვარ!“
და გაიელვა უცებ ნამგალმა,
დაიგრილა ჰაერში თოფმა,
ხმა მისცა ტყემა, ხმა მისცა ბარმა!

—
ცა მოწმენდილა, ლურჯ კამარაზე
აქა-იქ მოჩანს ათვითი ღრუბელი,
ცხელა, ჰაერი შეხუთულია,
გაყურებულია ძირს მთა და ველი.
ტრიალ მინდორზე ობოლი მუხა,
ტოტებ-გაშლილი მოჩანს თამამი
და იმის ჩრდილში მისვენებულა

ორი დაჭრილი, უსულა გვაში.
 ნიაფი არ ჰბერს, ტყე არ ინძრევა,
 ყანას თავთავი დაუხრია ძირს;
 მხოლოდ ყორანი თავს დასტრიალებთ,
 ჩხავის და ყორნებს აქეთ ეძახის!

ი. ევლოშვალი.

...„მამრამ გულზე დაიჭლიბ“...

(ნაწყვეტი მოთხრობისა ბატონ-ყმობის ცხოვრებიდან)

სოფელ წყაროსთავში ნიშანწყალი მარტო თავად ბარძიმის სახლს ეტყობოდა. ის ამაყად ამართულებოდა ჰატარა ბექობზე და არწივივით გადმოჰყურებდა არა მარტო ბარძიმის საყმო სოფელსა, არამედ შაქლს შიდაქართლსაც.

ამბობენ, თავად ბარძიმს ისეთი მადლი, რისიანი და მსკეპარი სმა ჰქონდა, რომ თავის სასახლიდან ორ-სამ ვერსზე აწვდებდა. იმის გაგონებაზე ყმებს შიშის ჟრუნტული უფლიდათ.

თავადი ბარძიმი ერთობ ბრკე და შედგმული ტანის ვაჟკაცი იყო. ეს დევერსანა კაცი, როცა შუბლსა და წარბს შეიჭმუნებოდა, საზარელი სახანავი იყო. ვაი იმ ყმის ბრალი, რომელიც შესვლდებოდა იმის ბრწინვალბას იმ დროს, როცა ავ გუნებაზე ბძანდებოდა. თუ რომელსამე ემას ბარძიმთან საქმე გაუხნობოდა, ჯერ მოურავისაგან უნდა შეეტყო, დრუბელი ხომ არ დაუსხავს ბატონის შუბლსაო. და თუ ოდნავდაც იყო მოდრუბული ბარძიმის შუბლი, ისე გაურბოდნენ. როგორც ჭინკა. ან კი ამ დროს როგორ დადენსხვებოდა ყმა ბარძიმსა! ის მამინვე იმაზე გასტენდა ბრახსა: ან ჩიბუხის ტარს გადასტერვდა თავზე, ან მოჰკიდებდა თამში ხელს და აივნიდან ძირს კადისროდა. თუ ბარძიმის მსხვერპლი იმის წინ დასათიანად გაიშლართებოდა მიწასე და ტკივილებისგან საზარლად დაიკმინებდა, მაშინ ბარძიმს შუბლიდან დრუბელი გადაეყრებოდა, გამოიღარებდა და ერთს გუჟღავნდა, ტაშის მამოკვრით, კადისარსარებდა სოფლმე.

იმას კი ნუ იფიქრებთ, რომ მათი ბრწინვალბა გულკეთილი არ ყოფილიყოს; ბარძიმს თავისებური გულკეთილობა ახლდა: როცა ცპმით გულს მოაჯერებდა. ბიჭს გასძახებდა:

— ბიჭო, კოჭობა!—არც ერთს ბიჭს ნათლობის სახელს არ ეძახდა,—აიყვანე ეკ ძაღლი, ერთი ჟამი ღვინო გადაცტეცსლე და უთხარო: როცა ბატონი ავ გუენბაზე იყოს, თვალთ ნუ დაენსხვები-თქო

ბარძიმის კარ-მიდამოს უშველებელი ადგილი ეჭირა; აღმოსავლეთით კაღო-სახბელი ჰქონდა მოდგმული, კაღოს პირას რამდენიმე ძირი ძნა ედგა; ჯერ კიდევ წინა წლის დარჩენილი, გაულეწელი. სახლკარის მიდამოზე ბარძიმის ორგვენი თუ ოთხგვენი პირუტყვი თავისუფლად იყო გაშვებული და ახრებდა შთელს სოფელსა. თვით სოფელი იმ ბექობის კარშემო იყო გაშენებული, რომელზედაც ბარძიმის სასახლე იდგა. სოფელი წყაროსთავი ნაკვისა და საქონლის პატვიის გროვას უფრო ჰგავდა ვინემ ადამიანთა სცხოვრებელსა. ამ სოფელში მოსახლეობდნენ ბარძიმის გლეხები; იმათი სახლები ისე დიკვლებული, მინგრეულ-მონგრეულ იყო, თითქო ეს-ეს არის მტერს დაურბევია, იქაურობა მიუნგრ-მოუნგრევია და ჯერ კიდევ ვერ მოუსწვრიათ შეკეთება და შესწორებაო.

სოფლის ჩაოსრებს შორის ერთი ქოხი აფრობდა ადამიანის ყურადღებას თავის უბადრუკი ყოფა-მდგომარეობითა. ეს იყო ქოხი ნინია ციცაგისა. ამ ქოხს, ჰაწია დაბაზს, ბანი ჩაქციული ჰქონდა, ჩატეხილი ტერები და კოჭები თავდაფორა იყო ჩაკიდებული. შიგ წვიმის გუბე აშორებულიყო და მოშხამულს სუხს ჰფენდა მიდამოს. რაკი დაბაზში არ იდგომინებოდა, ამიტომ ნინიამ დაბაზის ერთს შთელს გვერდს წკნელის ოთახი მიასლართა და გარედამ საქონლის პატვიით შელესა. აი, ამ სასლართულს ფაცსაში ცხოვრობდა ნინია თავის ჟვალბითა და ორის ქალიშვილითა. ჟამთა ვითარების გამო ქოხს პატვიი ჩამოსცვიდა; ხანდისხან ნენე აქა-იქ

ფაცხას გამხმარ წინელს გამამტურედა ხელმე ცეცხლის ასაფუებლად, ამიტომ წინელის ფაცხა სულ ჭურჭრუტანებად გადაიტყა. ზამთრობით ნინია ციცაცის სახლობა ში-ჭურჭრებოდა ერთს კუთხეში, ღორებივით მიკვროდნენ ერთმანეთს და ასე პირუტყვულად ატარებდნენ დღე-ღამესა.

— უღვთოდ სული არ ამოკა,—ხშირად იტყოდა ხელმე ცხოვრებისაგან გამწარებუული ნენე;—რა სასიცოცხლოები ვართ; მოდი, შე დალოცვილო დიქრთო, მოდი და ამოგვხადე შენგან ბოძებული სული!—წამდაუწუმ ხელე-გაპურობიდი შესისხოვდა ხელმე ნენე დიქრთსა.

ნინია ციცაცას ორი ქალიშვილი მთელი დღე უბან-უბან დაძრწოდა, ქვეყანას პირზე ტყავს აძრობდა მათხოვრობითა; ავსელობასაც შეახვია ოხემა: წუთი-სოფელმა: აქ ძარიდან სიმინდის ტაროებს ჩამოჭყრიდნენ, იქ სადმე ქათმის საბუდრიდან კვერცხს ამოატაცებდნენ. უფრო კი მიდარაჭებულნი იყვნენ ბარძიმის აივანთან: სადილისა და ვახშმის შემდეგ გადმობეჭრტავდნენ თუ არა აივანიდან სუფრასა, ძაღლებივით ეცემოდნენ ნასუფრასა და უბეში იტყინდნენ ძვლებს, პურის ნახორხლებს და სიხარულით მიარბენიებდნენ შინა.

ბევრჯერ დაკლიჯეს, დადრდნეს ბავშვები ბარძიმის ქოთაგებმა, მაგრამ,—საშინელი გრძობას სიმშვილისა მორიდება არაფრისა ჭქონია,—ლუკმა-პურის საშოვნელად ნინიას ბავშვები თავს არ იზოგავდნენ.

ზაფხულობით უფრო იოლად მიდიოდა ციცაცის ოჯახი: ნინიას ერთად-ერთი კვალი სიმინდი ეთესა ხელმე; ჭქონდა ერთი ბოსხა ვენახიც, რომელშიაც ორი ნივზის ხე იდგა და ერთი ბორბალა-მისხალი. შეუვიდოდა თუ არა ბორბალას თვალი, ბავშვები მიჭყოფდნენ ამის ქამს ხელსა. სხვების ხილებსაც ჩამოუვლიდნენ, აგროვებდნენ ნაქარს ხილსა, მიჭქონდათ შინ, ხარშავდნენ და თითქმის მთელს ზაფხულს მოხარშულის ხილითა და ნედლის ჩიბინდით გამოდიოდნენ.

II

ერთ დღეს თაგადმა ბარძიმმა ჩვეულებრივზე უფრო მხარულად გამოიღვიძა. იმის თანამემცნედრეს, კნებან ქეთევანს ბარძიმის წარბის უბრალო შესრაც არ გამოეპარებოდა ხელმე და, აბა ამისთანა დიადს მოვლენას ბარძიმის ცხოვრებაში როგორ არ შეამჩნევდა.

— დღეს მარჯვენა ფეხზე ამდგარხარ, სიცოცხლეუ ჩემო,—უთხრა ქმარს ქეთევანმა, რომელიც თან კავებს იკულებულბა და თან ქმარს ეაღვრებოდა.

ბარძიმს ქეთევანის დანახვაცხე პირს ნერწყვი მოადგა, პირი ააწკლავუნა, ხელები მოჭხვია და ალერსით უთხრა:

— აბა ქეთევან ჩემო, თუ ჭკვიანი ადამიანი, ხარ ჩემი სიზმარი ამისენ.

— თუმცა იოსები არა ვარ, მაგრამ სიზმარს კი ავხსნი, იმის ახსნას დიდი არა უნდა—რა: უკუდამა სასხსნელი უნდა წადმა ახსნა, წადმა სასხსნელი კიდევ—უკუდამა. მორჩა და გათვდა!.. აბა, ბიძა!

ერთმა კობტად ჩამოუღმა ბიჭმა ორი მტრული მომიჯანა, ისეთი ღამაზები, ისეთი ღამაზები, რომ კინაღამ სულში ჩაგოძვრიე. ერთი ერთ ხელში დაეკაპე; მეორე—მერრეში. ისე მალე შემეჩხურენ, რომ ზარში ნისკარტების უფოა და კრუტუნი დამიწყეს. ქეთევან, შენ მეხვეწებოდა, ერთი მე დამითმეო, მაგრამ ვერ შეველეი... მე უშენოდაც ავხსნი ამ სიზმარს: რაღაც შემემატება; ან გაცრუვდება ის ხმა, ვითომ მერმისს უსათუოდ ბატონ-ყმობა გადავარდებო.

— ბატონ-ყმობისა რა მოკასსენო, ის არც გადავარდება, არც ერთი და არც მეორე... მამა უცხონდეთ მამკანებლებს!.. მერე მამამხეს არა ჭკითსამენ*), უიმისოდ როგორ გადავარდება...

— ჭო, სიზმართან ვარ... მტრედების ნახვა კარგია; შეგემატება რამე, შეგემატება ის, რაც უფრო გულისთ გიყვარს: ძაღლებს მოტტობის

*) მამა-მზე მეტი, სახელია ერთის ქართველ თავადისა.

ვანმე. იქნება ჩემმა ძმა ზურაბმა გამოვიგ-
ზავნოს, წაბლა მწვეარი დასაყრელი ჰქავდა.

— უჭ, უჭ! შენს ზირს შაქარი, შენს ზირს
შაქარი!.. ოდონდ ზურაბმა თავის წვერის ლეკ-
ვები გამომიგზავნოს და, ვინ შერცხვენელი...
აბა, რა ვთქვა... ვინ შესვენებული და თავ-
დაფდასსმული, ორ-სამ კომლ გლეხს არ ახუ-
ქებს მომტანსა...

— დღეს რა დღეა?... ჭო, ხუთისაბათი. და-
ხსომე: აბა, ეს დღე ნიშანი იყოს, თუა არ
ავისდეს.

— ვინ შერცხვენელი, ძვირფას მარგალი-
ტის თავსაკრავს არ გიყიდის თამაზა ოქრო-
მჭედელთან, ჩემო მარგალიტო, გენაცვალე
მაც მარჯან ტუნებში, — ამოუსვა ბარძიმმა
კნეინას ფაფუკს დაბაბში ხელი და შარჯანი
ტუნები ჩაუკოცნა.

III

სწორედ იმ დამსჯე ნინია ციტაცმაც ნახს
სიზმარი. როგორც ბარძიმს და ნინიას შუა
იღო დიდი ზღვარი — ერთი თავის კანში გე-
ღარ ეტეოდა არ იტოდა, რითი და როგორ
მოექვდა ღრო-ყამი, ხოლო მეორე ძვალტვა-
ვად იყო ქტუული; გაშირუტუვებული და ამის
ფიქრსა და ზრუნვაში იყო, რომ შიმშილით
არ ამოსძრობოდა სული, — ისე იმათ სიზ-
მრებს შუა იღო იგივე ზღვარი.

ნინია ერთს დიღას რეტიანივით წამოვარ-
და, ენა ჩავარდნოდა, ოდნავ-და ლუღლუღებ-
და. საწვალმა ნენემ კუტლით ცივი წვალი გა-
დაყვანა და ცოტად მოაცნობილა.

— ჩემი ორი ნიგვზის ხე და ბორბალა-
მსხალი ქარიშხალმა დაგლეჯა, მერე მოედო
ცეცხლი ამ ჩემს საცოდავ წნულსა და შიგ
გამოიწვენიო შენ და ეგ ორი ცოდვის შვი-
ლები; მე უბედური კი გადავრჩი... მოვიდა
ერთი ტარტაროზივით შავი კაცი, სასქე
რულ აღმური ასდიოდა, სახე შავად ჰქონდა
გაფისელი, ზირიდან ცეცხლის ნახერკვლებს ის-
როდა; იმ წვეულმა ცხვირში რგოლი გამო-
ურა, გაქევა ნაღვერდალი, აქეგნი ნახევრად
დაფერფელილი ძვლები გუდაში ჩაყარა, ზურ-

გზე ამკიდა და ბატონიანთ აივანშიღო თრევიო
მიმიტანს.

ნინიამ გაათავა სიზმარი; მსეცივით მი-
ავლ-მოავლო თავის წნულს თვალში, კბილები
დაკრატუნა და ფრჩხილებით დედამიწას და-
აფრინდა.

— არც ცხადდოვ, არც სიზმრად მოსვენე-
ვა არ არის, — გაითიქვა მწარედ ნინიამ და
თავი ჩაჰკიდა.

— რა ვქნათ, ჩემო სიცოცხლე! იტუვიან —
უღვთოდ სული არ ამოვარ, — ანუ გემა ჩვეუ-
ლებრივად ნენემ. იქნება სისიკეთოდ აგვიხ-
დეს... მაგრამ რას ვროტავ, — სთქვა თავის-
თვის ნენემ, — სიკეთე ხომ ჩვენთვის არ ვა-
უჩენია. დმერსისა.

IV

— ბატონო, ბატონო! ზურაბის კაცი გას-
ლაფთ და...

— და ძაღლები მოიყვანა, არა, — გააწვევ-
ტინა ბარძიმმა ლაშარაკი ქაქანიო შემოვარ-
დნილს ბიჭსა.

— დიად, ბატონო, მოიყვანა ძაღლები,
მაგრამ რა ძაღლები, შენ რე მომიკვდები და
მამათქვენს დაადგა ნაყოლი, რომ ერთ სოფ-
ლად დიქს.

ბარძიმი სწრაფად ადგა, სიჩქარით ცაღი
ფეხი ფლოსტში გაჰყო, ცაღზე წადა წამო-
იცვა და ახალუხის სწორებით აივანზე გა-
ვარდა; თან ქეთევანიც დაეღვნა კავების
სწორებითა.

— ამინდა სიზმარი, ამინდა ქეთევანი! — ეგი-
როდა სიხარულისაგან ბარძიმი. — ამოიყვანე
ძმობილო, აივანზე ძაღლები.

კოხტად ჩაცმულმა იმერელმა სწრაფად
აიყვანა აივანზე ორი მწვეარი.

— ძმობილო, რა ჰქვიან აი ამას?

— მაგას, ბატონო ჩემო, ჰქვიან მშველას,
რაკი მშველის ფერი. მასავით მარდი და
დაბუნელი, მეორეს კი წარბა, რაკი წარბი
შავი ჰქვს.

— უი, კენაცვა, ეს წარბა რა ოიგ ჰქვას
დედასა! — სთქვა ქეთევანმა.

— კი ბატონო, შირწავარდნილი დედა გახლავთ! — შვეიცრულად უხასუხა კნენას იმერულმა.

— ამათი მამა რკოთრი-ღაა ძიობილო? — ჭკითსა პარძიმიძა.

— სწორედ დირსეუაი, თქვენ ნუ მოუკვდეთ ჩემს თავს: დიდის ზურაბ მარეშიძის ძაღლის ჯიშისა, თურმე გახლავთ. ასე მოგახსენებენ ხოლმე ზურაბი.

— ვაჟ, ვაჟი დიდებულის სისხლისა ეოფილას, შენმა მსემ! — ტუჩების წველატუნით წარმოსთქვა პარძიმიძა.

ხან მიშველას დაუწყოწყუნა პარძიმიძა, ხან წარბას; საჭმელი გამოეცანა. თავის ხელით თავის ვაღთაშივე აჭამა, შვილებისათვის დაუწყო აღერსო: უხვამდა თავებზე ხელსა, სწმენდა და ეელში ისუტებდა. იმ დროს პარძიმი დიდზე დიდი კაცი იყო. ეეისსა და ხორაქარს ერთად თავსაც არ დაუკრავდა.

— უგატრავად, სულ არ დამაფიწოდ: ვინ ხარ შენ, ძიობილო! — ჭკითსა ღმობიერად პარძიმიძა.

— რას მიბრძანებ, შენი ჭირნივე რავა გუკადრებათ უგატრახობა: შე გახლავართ, შენი ჭირნივე, ზურაბის აზნაური, ჭიჭიკო ქინქლადი... ამა, ჭიჭიკოფო. — მიბრძანა ბატონმა, — მიახრთვა ჩემს სიძეს ეს ერთი უდელო მწვეგრო... ბევრს ეჭირა თვალი ამ მწვეგროებზე, თქვენ ნუ მომიკვდეთ, მარა ვერავინ ვერ დასძლია...

— ვაი შენ, ჩემო თავო!.. ბიჭო გოჭობა! ჩქარა სკაში, სკაში მოახრთვი! — დაიღრიალა პარძიმიძა ისე რისიანად, რომ აზნაური ქინქლადი ერთ ადღზე უკან გასტა, მაგრამ ისე მალე დაიჭირა თავისი ჰოზინია, რომ პარძიმიძა ვერც კი შენიშნა... ქეთევანი აბა რთიო დავსახურქოთ ეს ჩვენი ჭიჭიკო?.. მოიგნა!.. შენ ემები გუავს? უტებ ჩვეითსა ჭიჭიხოს პარძიმი.

— ვინ მომცა ბატონო! შე თვითონ საბატონო აზნაური გახლავარ, — უელ-გადაგდებით წარმოსთქვა ჭიჭიკომ.

— განა თქვენში საბატონო აზნაურს ემები არა ჭევაუს?

— იშვიათად, ჩემო ბატონო!

— მას შე, თუ კაცი, ვარ მაგ თ წვეარში ერთს გომღს კაცს მასუქებ შვილიან-ძიონანად.

— იმე, ბატონო! არ ვდირსევარ თქვენს მოწვალეებს, — სთქვა ჭიჭიკომ და ისე გაიხინიქა წელში პარძიმიძის წინაშე, თითქო, ეს არის, უნდა გადაიმტვრესო.

— ბიჭო, შეთა! წადი ეხლავე, სად იყოს და სად არა, მონახე ნინია ციცავი და სულ ერთიანად აქ მომგვარე წიწილ-კრუხიანად: დმერთო მომვალ! წიწილ-კრუხს ვიდა ახრუხს, — გაიფიქრა გულში ჭიჭიკომ.

ბრძანება ფიცხლავ შესრულდა: მოიქანეს ბატონის წინაშე ციცავის სახლობა.

ნინიას ტიტეკლას, უპერანგო ტანზე დაფხავებული და ფაზა-ფაზად ნაქცევი მასხარა კცვა, თავზე ნარმის ნაჭერი ჭქანდა წაკრული, რომელშიაც ჭუჭუიანი, გაჭადნარებული ამხ ჭქანდა აქა-იქ ამოყოფილი; წვერ-უღვანში ბარდავით გაჭბიოდა და თმას გადჭბიოდა. ნინია ჯერ სულაც არ იქნებოდა ასე ოცდაათის წლის კაცი, მისი ნენეც ოცდა ექვსი წლისა თუ იყო, მაგრამ ორივენი ძაღზე გეტუხილნი და გამოდამებულნი იყვნენ. იმათი ორი ქალიშვილები ჭუჭუისაგან — წუმუქოს ამოფლებულს გოჭებს უფრო ჭკვანდინენ, მინამ ადამიანის შვილებსა.

აი, ეს საცოდავი ოჯახი თავდასრთოთ გაჩეკდა აივნის წინ და განახეს ელოდა.

— გესმის შენ, ნინია!... აი, შენი თავო ოჯახობით. ამ აზნაურიშვილს ვუწვალობო!.. ჭიჭიკო გაიჭიმა და უღვანის ხელი გადაიხვია... — უნდა დასტოვო აქაურობა და ოჯახობით თან იახლო... — ამ დროს თავადი პარძიმი თან კრძელ ჩიბუხს ატრიალებდა, თან შველას და წარბას ეაღერებოდა... — მცენ ამ დილით სიზმარი ამხდინა: აი, ორი აბითანა სუეხოფო კალით ნახსტი მწვეგრო მომარტვა. ორი კომლის დიხის იყო, მავ-

რამ ორში ხელს ოთხს ხელს ცადდე... ეს ციტატი, — მოუბრუნდა ჭიკტიკოს და უთხრა, — დორის ჯიშისა, იმდენს დაჭერის, რამ, ვინ იტის, თავის დროზე სამი კომლიც გასდეს.

ჭიკტიკომ მდაბლად დაუკრა თავი და მადლო გადაუხადა.

ნინასაც აუხდა სიზმარი... ნინას დახატულს, მონათბისაგან გამოფითულს გულში სისხლში ჩუქჩუქის დაუწყო. ნინას გულშიც გაიფიქრა მოუფრთხილმა ნატალიამ და მინათბისაში, უკმაყოფილები ჭიკტიკოსი გაიფიქრა, ერთხანს გაუფიქრა ახრისა, გაიქცეს, გადაიხვეწოს სადმე, მაგრამ საბრძოლო ნიჭი, სინდობა და ბედობა? ვის დაუტოვოს, ელი გამოხატოს?!. დახმარა თრხილიებით და კბილებით სტეპობდა ბატონს, გული ამოეტილია სიკუდილად და სისხლი ამოეწოვა, მაგრამ ნინას ბუნებაში გამჭვირავი მონათბი თავისი გაიტანა, დახმარა ერთხანად აფეთქებული, მინათბილი სურვილი: დაემო ბატონის წინაშე, კარგა ხანს ურუდ იქითაინა და თესებო დაუღტო მის ბრწყინვალეებს ნინას თვალთაგან მინადენმა ტრემლის ცხელმა ნაკადულმა. ქვასაც კი გასწვრივდა, თუთ სიხს ქვას, ეს ცხელი ტრემლი ნინასი, მაგრამ ბარძივის გული უფრო გაბოროტდა და განისკდა.

— აქე, შე წუწო მინაუ! რა გველივით მესდებები თვისა წინაშე!... მძლავრად ამოჭკრა თვისი ნინას ცხვირში და, რცხა ნინამ ვირო გადად და წამოიძინა: „რად მელავ, შე უღმერთო“ — მშინ ბარძივმა ჩიბუხის მოიშველია და კბილებში უთავაზა.

აქნამდე მონათბიე მსე, რომელიც ბატონს და ემას ერთხანად შესტინდა და ჭიჭინდა ნათელის და სიბობსა, შეძრწუნდა; თავი დრუბელს მიავაზრა და აქადან უმსერდა ბატონის გულჭკობასა და ემას სიბუნებეს.

შველა და წაბნე შეიშეშენ, გამოემფინენ ბარძივის სელადან, ურუ დრეს მორთეს და ჭიკტიკოსი კენ გაიწიეს. თითქო ვირუტუეკი-

მაც იგონეს გულჭკობა ბატონისა. ბატონის შეამბონენ წრეწუნთა და თავზე ხელის ცადასით დაამშვიდა.

ამ დროს ნინას ნიქემაც წამოიხატა ბატონის წინაშე; ბავშვები აქეთ-იქით ნაწინავებზე დაეკიდნენ დედას; სამნივე დედაშვილი მწარედ აქეთიანდნენ და სმის სმისე მომთეს ტირილ-ჯუბა. თან შესტკეროდნენ ბატონს შემავედრებელის თვალთა; ეგონათ, გულს მოუღობდნენ; მაგრამ ვერც ამ სურათმა შეატოვა ბარძივის გაჭყვავებული გული.

ნინა ებრძოდა თავს, რამ სიმამრით მიუხდო ბატონისათვის. ცხვირბინის ჩამტრეკვამ, კბილების ჩაურკენებამ ნინა ისე მძლავრად ვერ შეაწყნა, როგორც ცოლშვილის აწიოკებამ, იმამამ ქეთიანმა. ამ სურათის ზედ დაერთო და წიალად ჩაქსლარათ სამშობლო კერას მომართვა: ნინას თვალწინ გადაქმდა დაცხრილიული წხელის ფაცხა, სისხლის თფლით დამუშავებული ერთი გვალი სიმინდის ფხა, ერთი ბოხსა ვენასი!. ჯოჯონითის ღლი დაუტრიალდა გულ-მუცელში, გულმა წიწასა და წვა დაუწყო, თითქო შიკ დეკლფი ჩაურთათო.

დაკუბებულმა ნადგულმა მონათბის ჯაჭვი მოაღბო, მოადუნა, იქცა მძლავრ ნაკადულად და ცაღმოსეთსა ნინას ბატონთაგან. ნინას თითქო ღობის ძადა მიეცა, ვეფხის სიმამრე, ანწივის თვლი. შემოტრიალდა ბატონისკენ და ცოფ-მორთულოვით, კბილების დრჭეითითოსრა ბარძივისა.

— ერთი დრო ანავის შეჩებობა, ნათქვამია; ცუდ-კარგობას წოლთს გამოუყენავს და შენ მისხის მისხს მოჭკითხამს დემრთი სამამრით მასუსს... მწიჭი — დაბადებიდანვე დამე დღეს უთქებია. ჩემი დამე ძიელ; ძიელ ერძელია; მაგრამ დემრთი ჩემს დამესც დღეს დაუყენებს და, გათქებინებს... იქნება ჩემისთანა გასახსირებულსაც ჩამადგეს შექი... ჭი, შენში დემრთია!?. ძაღლში მცვლი, ძაღლში!. მამორებ ჩემს სოფელსა; ჩემს სელცაგებს, მამამამათა სულავებს, ჩემს კერას!.

— შეხედეთ ერთი ამ წუწკას, ამას! ბიჭებო, დაჭკათ ამ წუწკას, მე ნუღარ გამასვრევიანებთ ხელს მაგის ბინძურს სისხლში!.. არ გქმნია, თქვე თავსედებო! დაჭკათ-მეთქი!..

ბიჭებს რეტი დასის ნინიას სიტყვებმა, მისმა უთვამ, ამ საშინელმა სურათმა ისინი გაურეშუნჯდნენ და ბატონის რინიანი ბრძანება, რომელიც კვლავ თავზახს სცემდა, ესლადარ ესმდათ.

— შეხეთ ამათა და!.. მაშ მე თვით ამოვადეკე მაგ პილწუნასა, რომელთაც ჩემო შეკინება გაბედა: — დაიდრიალა ბაჩდიმმა და მოკლმა: არე-მარკე ზრიალი მორათა.

— აბა, ჩემო სიტყვებო! როგორ უუადრებთ თავსა შენს მონასა, როგორ კადრულაბ მონას სისხლში ხელს გასვრასა, — უთხრა ბაჩდიმს ცალმა ქეთევანმა ნუგეშისა და დაუბავებთ კი-ლოთა და სელები შემოჭვიათ კისერსე გა-ათორებულს თავდასა.

— წავალ, ბატონო ჩემო, წავალ! მაგრამ გულზე დაიჭდიე: როდისმე ტივს ტივს რა ნაწვარში წყვილმა რომ გაკბინოს, ის მე, — ეს სწულადი ნინია ტიტავა, — ვიქნები...

ს. მაგალობლიშვილი

ბ რ ძ მ ლ ა

(სერბიელ პოეტის დროაშვიჩისა)

ბრძოლა ძმანო, ბრძოლა მამა-პაპური, თორემ მტრისგან ილუგება მამული; ბრძოლა, ბრძოლა! ნუ დაგიგდია ყური! ჩვენდა წყლულად მიგვაჩნდეს ერის წყლული ბრძოლა, სერბნო, ბრძოლა მტერთან მედგარი, სისხლით მოვრწყეთ სამშობლოს მთა და ბარი!

თხ ნეტავი მოვესწრობი იმ დროსა, რომ სერბიას კვალად გადვიძებოდეს; აღმართოს თავისუფლების დროშა და თავის მტერს მამაკურად ებრძოდეს? ადვსდგეთ და მსწრაფლ დაიმხობა მონება! გვეყ, გვეყ, ამდენი მოთმინება.

ბრძოლა, ძმანო! მონობაში ცხოვრებას სჯობს შევწიროთ თავი თავისუფლებას. ბრძოლა! ბრძოლა! დაე დარწმუნდეს მტერი, რის მქნელია გადვიძებული ერის!..

ბრძოლა, სერბნო, ბრძოლა მამა-პაპური, ნადარის ხმა ისმის, დაუდგეთ ყური!..
ოხსებ ბაქრაძე.

ქვათა ლაღლი

(ბულგარულიდან)

... ალაღდენ ქვებიც!...

ცივი, უსულგულო, უძრავი ქვები დე-ღა-მიწის გულში ღრმად იყვნენ ჩაფლუ-ლი...

მზის ცხოველ-ყოფელი სხივები ვერ სწვდებოდნენ ამ ქვების სიღრმეს, მხო-ლოდ ხანდახან გაჟონავდა ოდნავ დეღა-მიწას ციური წვიმა...

უმწეოდ, უჭაეროდ, უცინამოდ რჩე-ბოდნენ ქვები მიწაში, მაგრამ იქიდანაც ჰხედავდნენ ყველაფერს, — ესმოდათ, რო-გორ ასველებდა და აღნობდა შხაპუნა წვიმა მათზე გადაფარებულს მძიმე ყამირს, ჰგრძნობდნენ იმასაც, რომ ზევით მზე სწვავდა და ანელებდა ბელტებსაც...

და ქვები, — ეს უგრძნობელი ქვები, — რაღაცა იღუმალი სიხარულითა და იმე-დით მოელოდნენ იმ ნეტარებას, რომე-ლიც აუცილებელი ეგონათ, რადგანაც იცოდნენ, რომ მათთვისაც დადგება სი-ცოცხლის ხანა, რომ მალე ისინიც ამო-მავალ მზეს შეჭხედავენ პირდაპირ...

მაგრამ ჯერ აღრე იყო და ქვებიც სლუმდნენ...

მიწის სიღრმეში ჩაფლული ქვები გულ-გრილად უყურებდნენ ადამიანის ტანჯვას და ვაებას, იცავდნენ, რომ ზევით დეღა-მიწაზე ადამიანი მოშხაპულს ჰაერს სუნ-თქავდა და ყოველსავე უფლებას მოკოე-ბული ღოღავდა და აქეთ-იქით საზიდა-ვად და უაროდ... ესმოდათ ადამიანის გულ-შემზარავი კვნესა, სევდიანი ჩივილი, მუდარა შებრალებისა...

ჰხედავდნენ, როგორ აშორებდა ბო-როტი ხელი ცოლ-ქმარს, მშობლებს... სისხლ შერეული ჭირის-ოფლი მსხვილ-

მსხვილ ცვარებად ჩამოდიოდა ამ უბედურთა მრავალ-ტანჯულ სახეზე..

ესმოდათ ჯაჭვის ბორკილების სახარელი ჩხარუნი, უგულო ჯალათების სიმღერა და ტანჯულთა საშინელი კვნესა, წყევლა და კრულვა!..

რალაც ჯოჯოხეთური ღრიანცელი ისმოდა, და ამ ღრიანცელში შეერთებული იყო კრულვა და ვედრება, შვება და კვნესა, სიცილი და ცხარე, გულსაკლავი ტრემლები, ტანჯვა!..

მაგრამ ჯერ აღრე იყო და მღუმარებდნენ უძრავი ქვები..

უცებ შესწყდა ტანჯულთა კვნესა... შეჩერდა ადამიანი... საუკუნოების განმავლობაში ძირიანად მოისპო მის გულში უკმაყოფილების, პროტესტის გრძობა, — მუდმივმა შიშმა მოუსპო ადამიანს ადამიანური თავმოყვარეობა და მანად აქცია თავისუფალი არსება!

დადუმებულა ადამიანი!..

ჭეიქრობს იმაზე, რომ დაბეჩავებულსა და უმწყოს, — არ შეუძლია წააგლიჯოს ბორკილი...

ჭეიქრობს იმაზე, რომ ამაო იქმნება მისი კვნესა და ძახილი... მის კვნესას არ ისმენს არავინ... შიშობს, რომ ჩივილს, ხვეწნას, მუდარას და უკმაყოფილების გამოცხადებას შეუძლიან განრისხოს ბატონი, უარეს სატანჯველის მიზეზი შეიქმნეს...

დადუმებულა!

მხდლად ჩაუკლავს გულში შეურაცხყოფა, იღიმება და სცილილობს მაჩვენის ყველას, ვითარც კმაყოფილი... .

კაცთა შორის მღუმარება გამეფდა...

და თუ გაჰბედავდა რომელიმე ადამიანი, — პირს მზისაკენ მიობრუნებდა, — იმ წაშვევ ჯალათის რკინის ბოჭალი მოხვედებოდა სახეში და პირქვე ემხოზოდა მზის დანახვის მსურველი, სინათლის შოტრფილაღე „სულელი“.

დადუმებულა ადამიანი.

სიკვდილის ნიშნად ეს მღუმარება ეფინება დედა-მიწას, როგორც სუდარა.

და ჰგრძნობდნენ ქვები, როგორ იზრდება ზევით ტყე, — უზარმაზარი, ხშირი და დაბურული... ხეებმა ფოთლებით დაჩრდილეს მზის მწვავე სხივები და მხოლოდ აქა-იქ გამოიყურება ფოთლების სქელ საფარში ობოლი და სხივი...

ამოვიდ, ბალახ ბულახი და დაიხშო სრულებით ნაზი ყვავილები, საუცხოვო, სუნნელოვანი, — გამხმარი ნიადაგი ვერ ასაზრდოვებდა უკეთეს მცენარეს.

ტყეში თავისუფლად თარეშობდნენ მხეცები და თავიანთ ველურ ღრიალით ამბობდნენ ადამიანის ლაპარაკს, სდევდნენ ვაჟკაცებს და ესენიც მოჩაჩულად იმალებოდნენ აქა-იქ მხეცების შიშით. იმალებოდნენ და ფიქრობდნენ მოვიშორებთ ამითი თავიდან საფრთხესო...

ტყეში გაბატონებულან მხეცები, შეშინებული ადამი ნი გაურბოდა იქათ შეხვედრას და ვერ ხედავდა, რომ იქვე ტყეში, ეყარა ბლომად დანა-ცულები და ჯოხები და რომ შეიძლებოდა ამის მოხმარება მხეცებთან ბრძოლაში..

ვერ ხედავდა ამას, — სქელი ნისლი გაგაეკრა ადამიანის სიცოცხლეს და მის გულში მოიკიდა ღვარძლმა და შიშმა.

მაშინ-კი ალაღადნენ უძრავი ქვები!..

უსიცოცხლო, მძიმე, გულ გრილი და მუდამ უტყვი ქვები ალაღადნენ ხმა-მალლა...

მათი ღალადი მოეფინა მთელ არე-მარეს.

ქვა ღალადებდა და მხოლოდ სდუმდა კიდევ ადამიანი...

ქვა ღალადებდა:

„აღსდევგი, წელში გაიმართე, ადამიანი! არ დაივიწყო, რომ შენ ხარ ადამიანი, გახსოვს, რომ არა ხარ პირუტყვი, უქუო მხეცი...“

აღსდევგი, ვაჟკაცო! აღსდევგი, კაცო და ქალო, ყველანი აღსდევით საერთოდ!

ცოტანი ხართ, მაგრამ რის გეშინიანთ! აღსდევით და თქვენ ვაჟკაცობას ველარ გაუძლებს ვერაფერს!..

ნუ შეგაშინებენ ამ ტყეში მხეცეები, თქვენთან ბრძოლაში დამარცხდებიან უთუოდ!.. დაიწყეთ ბრძოლა და ეცით ამ მხეცეებს... გაჰკაფეთ ტყე!.. ძირიან-ფესვიანად ამოაგდეთ ხეები და მთის ლაქვარდში მოციმციმე მზე მხიარულად განათებს თქვენს გამარჯვებას...

გაკაფულ ტყეში ველარ გაჩერდებიან მხეცეები,—სინბნელე უყვართ და ეშინიანთ სინათლისა, არ უყვართ ვაჟკაცთან ბრძოლა და ამიტომ გაიქცევიან მხდალად, რაკი დაინახავენ თქვენ ხელში იარაღს.

მოიხმარეთ შვილებიც... დიდი და პატარა იყავით ერთად, თქვენ რომ ხეს მოსჭრით, ბავშვებმა ხელებით ამოაგდონ მანე ბალახი, რომელიც ახშობს ყვავილებს ზრდას, და ეს ბალახი ჩაჰყარონ ცეცხლში!

აღსდევით, ადამიანო,—არ შეგეშინდეს მხეცეებისა. მალე, ძალიან, მალე გაიკაფება ტყე და სინათლე მოეფინება მთელ არე-მარსს...

„აღსდევით“!.. ღალადებდნენ ქვეები, გაბრაზებული.

ცივი, გულ-გრილი ქვეები სხვის ტანჯვის დანახვაზე... ალაღადნენ!

„რად გინდათ სახლები, სადაც მხეცეები არ განებებენ თავისუფლად ცხოვრებას? დაივიწყეთ დროებით თქვენი ჰირადი საქმეები, დაივიწყეთ ბრძოლა, გაჰკაფეთ საშინელი ტყე და ცხოვრების მიზნად დაისახეთ ეს საქმე, დიადი საქმე, ახალი, ნამდვილი საქმე თქვენ სულის ასამაღლებლად!...“

საქმეს მოჰკიდეთ ხელი ყველამ,—დიდმა და პატარამ, მოხუცმა და ახალგაზრდამ, ქმარმა და ცოლმა, მამამ და შვილებმა! კმარა, რაც აგიტანიათ უბედურება, კმარა ამდენი ხნის მღუმარება და შიში, სულ მუდამ შიში!

ვინც დღესაც მღუმარებს და შეშინებული გაურბის საქმეს,—იყოს წყეული, შეჩვენებული!

დამნაშავე, ბოროტმოქმედი! მკვლელია, მზის სინათლის მტერი და მოძმის ჯალათი!

ცხოვრების წინაშე ავაზაკია!

მოვიდა ახალი ხანა...

დრო არის!“

ასე ღალადებენ გულგრილი ქვეები, მაგრამ ეხლა შეძრწუნებული, გულმოსული, ცეცხლის მფრქვეველი!

ინძრევა დედა-მიწა, იბერება, აქა-იქ სკდება მისი ზედაპირი და იქიდან საშინელის სიმძლავრით ამოდის ალი,—ხმაურობაა, ცეცხლს აფრქვევს მიწა და მის გულიდან წყრომის ნიშნად ამოდის დაღუღებული ლითონი, ქვეები, ურიცხვი ქვეები...

დიადი, საშინელი სანახავია!..

შეიშმეშნა ადამიანი, შეკრთა ბნელ კუთხეში გადამაღული, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ახერხებს წელში გამართავს, წარმოდგომასაც ვერ ჰბედავს... აქეთ-იქით იყურება და მხოლოდ გულში იკრავს საცოდავ ცოლ-შვილს.

აგერ ტყიდან გამოვარდნენ შეშინებული მხეცეები, დაინახეს ადამიანი და გაჰქრნენ მისკენ. ეს ცეცხლის ფრქვევა, მიწის ძვრა: ახალი ხმები სულ ადამიანის საქმე ეგონათ, საშინლადაც უპირებდნენ დასჯას ამისთვის.

შეშინდა ადამიანი...

მაგრამ კიდევ ცეცხლს აფრქვევს მიწა და ქვეები აღარ ღალადებენ, ჰყვირიან, ჰყვირიან ხმა-მალლა:

„ნუ შეშინდები, ადამიანო! გაიმართე წელში! გულადობას მოჰყვება გამარჯვება და სინათლე!“

და შეჩერდა ამის გავონებაზე ადამიანი შეჩერდა ძალა-უნებურად... ჰგრძნობდა, რომ სირცხვილი, საშინელება, უდიდესი

ავაზაკობა იქნებოდა გაქცევა მაშინ, როდესაც ქვებიცი კი ლალადებდნენ...

დ. ჭოღვეელი.

* *

(ღიმილი)

ჩუ, დაუგდეთ ამ ხმას ყური, ხმას გაბედულს, ხმას გვირგულსა, ტანჯულ ხალხის გუ-იდანა, ამონახეთს, ამაროულსა!

ხალხი გრგვინავს და ბობოქრობს, მძლავრად უცემს მკერდ ქვეშ გული. იერიშით მიდის მტერზე... ხედავთ, დადგა გაზაფხული!..

მეგობრებო, ამ მებრძოლ ხალხს შევეურთდეთ, მივცეთ მხარი, მათი ხვედრი ჩვენც ვიბედოთ, ტკბილი იყოს, თუ გინდ მწარი!..

მ. კორძელი.

მშვილდის საფლავზე

(ამბავი)

ზადრი შაკარე თავის სიიფებს უსვდა ჭიკეზა და სიფეულ ჯეკიის ეკლესიას. კლდეზე ასე-ნეკეული, ციხის მსგავსი საყდარი მთლად განაღებული იყო. ეკლესიის სიმცირისა გამო, აყარებული ხალხი გაღვანში იდგა და მათ შიარულად მოდიმარ სახეს წმინდა სანთლები ასუქებდა. ირგვლივ შემომწკრივებული იყო „ზანკები“ და წითელი კვერცხები. ქალი, კაცი, მოხუცი თუ ემაწვილი, ევლანო შექლებინდა გვარად მორთულ-მოკასხული იდგნენ და ღოტყულობდნენ. ევლანს სახეზე მიიარულება და მომავლის იმედი აღბეჭდოდა.

მხოლოდ დადონებული იყო მარტო ფილიბე. იგი თვალტრემლიანი მიჰდროდა თავის ზატარა ფანოს საფლავს, რომელიც ეკლესიის გადასწვრივ დედაში იყო, და მარკლავდა, ასოფთავებდა. საბრძლო მამა თავის კარშემო ვერანს ხედავდა. დასწერებოდა მხოლოდ შვილას საშინეს და მოთქმით ტირიდა, ეს იყო მისი საყრდენი—ქი იყო დამარხული მისი წარსული და მომავალი ბედნიერება.

ფანოს ზატარა სასაფლავო შეშვობილი იყო სხვადსხვა ხეებითა და ევლავებით. მამის მთელი უურადდება ამხე იყო მიქცეული და, საცა ღამაზ მტენარეს ნახავდა—მოუტანდა, შემოურგავდა კარშემო და ტირილით იტყოდა:

„აი, შვილო, საკუთარ ღვანს გიკუთბ... ფილიბე არ კრეოდა სხვების ფერსულში. მისი შიარულება და დღესასწაული მამის იყო, როცა შვილის საფლავს გააღამაწყებდა და ტირილით გულს იჭკერებდა ხოლმე.

— შვილო, ხეშო იმედო, ხეშო ვაჟკაცო... აღდგომის მოსალოცად მოგვიდი... ნუ გეშინია, შენი ხვედრი ევლავფერი მოგიტანე...

აკანკალებულის ხელით ანთებული წმინდა სანთელი მიწაში, საფლავის თავით ჩაურჭო და კალათიდან სანთავაგე ამოაღა.

— ეს, შვილო, წითელი კვერცხები... ეს „ზანკა“... ეს შენი ზატარა ქათამი... ესეც შენი ბატანი, რომელსაც ეამაშებოდი... გულამოსკვნილი ტირილად საბრძლო მამა და საფლავის კარშემო რიგზე აწყობდა. ბოლოს ამოიღო ძველი ბოხის და განსნა „აი, შვილო, ტანისამოიც მოგიტანე... ეს შენი სევვარელი საფლავი... ეს შენი ზატარა შარვალი... ესეც წითელი წულა-მესტები... ხომ განსოვის, შარშან დღევანდელ დღეს, სწორედ ამ ადგილს როგორ მხიარულად დახტოდი?.. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ადგილი სამარედ გადაგკეტოდა?!..

ტანისამოსი რიგზე გადააფარა. საფლავს, საფლავს ხელები დაუკრთოდა, დაუკრთა სუდ და გულშემზანავი დრიალი მართათ... ხოლო მისი ტირილი საფლავის ურამულში და სიცილხანსანში ეკარგებოდა; მისი მესობლები ქრისტეს აღდგომის შიარულად ეგებებოდნენ.

ვინ იცის, რამდენ ხანს იქნებოდა ფილიბე ამ იდგომარეობაში, რომ ქალის ტირილი არ გაეკონა.

ფილიბე ერთ წუთს მწუხარებიდან გამოერგვა, მოსივდა და კველ-ხაკბენიფთა ფესზე წამოავრდა.

მის გვერდით, საფლავის ბოლოში დაჩოქილი დედა მწარედ ტირიდა.

— კატო!.. შენ, აქ?! დაიფიქრა ფილიპემ. გასწი!.. გასწი აქედან!..

— ფილიპე, გვევდრები...

— გასწი-მეთქი... შენის გარეუნილი სელაგებთა ნუ წაბილწავ უმანკო საფლავს. მომშორდი...

უწინ კატო და ფილიპე შეხოვლები იყვნენ. ერთად აღზრდილთ შეუყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მათ შეუღლებს, კატოს აზროთა, ხელს უშლიდა ერთი მიზეზი, რომლის თავიდან მოშორება შეუძლებელი იყო. ეს იყო ისეთი უფსრუელი, რომლის ავსება არაფერს არ შეეძლო — კატო იყო ახსნურის ქალი და ფილიპე კი გლეხი. მაგრამ გრძობამ ბოლოს მანც დასძლია კატოს ამაუ გულს და ჰვანდც გადაიწერეს. ხუთი წლის მშვიდმას და სიუყვარულზე დაყვარებულმა ცნობრებამ ვერ დააგმარაფილას კატოს გული. რჯახსე ფიქრი და შვილისთვის ზრუნვა მოულოდნელ ტვირთად დააწვა კისერზე და ცარეკანი ფრინველივით სულ ტვისაკენ იფრებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, კატოს ფართო ბუნებაც ცოლ-ქმრობის კალაშოტში ვეღარ მოთავსდა და ერთ გამოჩენილ შიდადრ თავდას საყვარლად დაუჯდა. ფილიპე დაჩხა მარტოდა-მარტო. მტერ მოფვარე, გადასახადი, ბატონი სამსახური, რჯახი და ევკლასე უმთავრესი — შვილი ახლას ევკლას მისი საზრუნავი შეიქმნა. ხშირად დიდიდან დადაშებამდე, სიტხე-შამანს-ქებამი შატრას ვანო მამის გვერდით გუთანს მისდევდა და შერცხალივით ექიკვიებოდა. სამთარში ხშირად, როდესაც ფილიპე სადმე საქმესე წავიდოდა, ცოვსა და უტრცხლო სახლში საბრლო ბავშვი უმატრობოდ ეკდო... სამი წლის ტანჯვა-წვალების შემდეგ, საბრლო მამამ ანთებით მკვდარი თავისი შვილი წლის ვანო შავ სამარეს შიბარდა. ამ უბედურების მიზეზი, რა თქმა უნდა, კატო იყო და ღომივით ჭაატურებელი მამა ახლას მზად იყო

მივარდნოდა და სამუს-ახლილი, შვილის მკვლეელი დედა შუა გაეგლიჯა...

— მომშორდი! ნუ ბილწავ ამ წმიდასა წმიდას! — დიდი ხნის დუმილის შემდეგ წამოიძახა ფილიპემ.

— გვევდრები, ფილიპე! ნუ მომამობ ამ უკანასკნელ ნუგეშსაც!.. მე ხომ ევკლასეფერი დავკარგე; იმ უსინიდასომაც ხომ გამომავდო, — ტირილით ევკდრებოდა კატო, — შენ კი ადამიანი ხარ! გული და გრძობა გაქვს... მე დედა ვარ...

— ჭმ... მწარედ ჩაიციხა ფილიპემ. რომელმა დემთამა ჩაკავონა, რომ მე ადამიანი ვარ?... გული და გრძობა მაქვს?... სამი წლის წინად ამას არ ამბობდი!... დიდა, დედა ხარ, მაგრამ შენი უფლება შენვე ფეხით გასთელი, უარჭევა... ბუნებამ დაგძლია — შეგოევარდი, გრძობამ შენს ამაუ გულს ცადაცხარდა — ცოლად წამომეგვ, მაგრამ, როდესაც ფინი შოიკალ და კონს მოხველ — შესწუნდი, ჩემი ცოლობისა შეგტრცხვა... შობი შტრცხვად მაფედრიდი, რომ ვითამი შენის ცოლობით გამაბედნიერე. შენის მშობლებიდან განავონ სისრულიეს იმეორებდი: გლეხის სისრლი შავია, კეთილშობილისა-კი — წითელიო... დიასაც! მე ვამეოვ ამით!.. ჩემი სისრლი შავია, მაგრამ შატროსანი, შენი-კი — წითელი, მაგრამ... ეჭ, შენც იცი, რაც არის... კარვად გაითავლისწინე შენი ცნობრება და შეიძლება დირსეული სასელი გამოუტებო... ტრცხვანოდა, რომ შენ, ახსნური კატო, დავაისი ქალი, ფილიპე ქალამიშვილის ცოლი იყავო... გუთავილებოდა ჩემი გვარი... აკი გამოსიძებნე ჩემსე მადალი წოდებისა... წარჩინებელი. შიდადრი თავადი, რომელმაც ეკრე კარვად შეკითვისა მისი წოდების ქალი... ფეხით გასთელი ჩემი გრძობა, და მხოლოდ ესდა დაგრჩენოდა სამწუხაროდ, რომ ბუნებით შემავრთებელი არიება — ჩვენი ერთად ერთი შვილი, ცოცხალი იყო... აი, რომ მიახწიე საწადელს!.. არც შენ, არც — შეამან თავისი ბინა თითონ მოსძებნა... ეს იტო

დე—საფლავს ვერ დაგანებებ, ახლოს ვერ მივიშვებ... მე დავიხსენე, ეს მიწაც გულზე მე დავაყარე... შენ—გი იმ დროს შენს საყვარელთან კარეფინილებში დროს ატარებდი... აგლა—გი, როდესაც ეს სახე დაგეჭვან და შენმა საყვარელმა კარედ გამოაგლო—ჩემთან მოდიხარ?... მოდიხარ შენგნით მოკლულ შვილის საფლავზე? ადექ!... შენი გზა ნახე!...

დასაქალი კატო მწარედ ტირიდა;

— ფილიპე, მამატიე დამნაშავე ვარ... ივედრებოდა ცოლი.

— მე ამერთი აზრ ვარ... კიდეც რომ განატიო, შენ მე ვერ შემითვისებ—შენ სისვხარ, მე—სისვა... სოქვა ფილიპემ და მწარედ ამოიხსრა.

ფილიპეს ცრემლები ასრინებდა. დაეკრა შვილის საფლავს და მოთქმა დაიწყო: „აჰ, შვილო, სივედილის დროს ეძახდი დედას... ვერ გელიხსა მისი ნახვა... სამაგიეროდ ახლას მოვიდა... უნდა ქრისტეს ადღვომას მოგილოცოს... ხმა-დაბლას ტირიდა ფილიპე და ცივს მიწას ჰკოცნიდა.

„ქრისტე აღსდგა!“ მოისმა ამ დროს საღვთის გრგვინვა.

ფილიპემ წამოიწია და აკანკალებულის ხელით წითელი კვერცხი აიღო.

— ქრისტე აღსდგა, შვილო!... გულ-ამოკენით დაიძახა და საფლავზე კვერცხი გადააგორა.

მასულის მაგივრად სასწარელი ღუმელი გაშეფდა.

— ქრისტე აღსდგა!—გამიერთა ფილიპემ და სელმეორედ კვერცხი გადააგორა.—შარშან ამ დროს, გაკოცე, შვილო, გულს არ დაგაკლდე, —წელსაც გაკოცებ... და გამაგებთ დაეწავა ცივს მიწას.

მთვარემ დასუქა ვანას საფლავს. ცივმა ნიაგმა დაჭებრა და ფილიპეს კახურებული შუბლი გაატრიადა, როცა გული იჭერა შავი მიწის კოცნით, მწუხარე მამა წამოდგა და ხალხისაკენ გაიხედა: დიდი, მატარა, ქალი თუ კაცი ერთმანეთს მხიარულად ულოცავდნენ.

საერთო მხიარულებით გამსჭვალულნი — მტრები ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. ფილიპე კარინდებელი იდგა და კატოს დასტერებოდა. დაკარგული ბედნიერება თითქოს ისევ უბრუნდებოდა. შვილის სამარე და კატო—ეს იყო მის ბედნიერება და უბედურება...

— ადექ!... მიდი, მიულოცე... როდის-როდის წამოიძახა ფილიპემ. განარებული დედა დაეკრა შვილის საფლავს და კოცნა დაუწყო.

როცა კატომ ტირილით გული მოიჭერა, ამოიღო უბიდან მატარა თეთრი ჰერანგი, ხაიკრა გულში და გამაგებით დაუწყო კოცნა.

— ეს იყო, შვილო, შენი სახსოვარი... მოსტყავიდა კატო.

ამის დამნაშავე ფილიპეს ხასიათის სიმტკიცე დაეკარა, თვალში ცრემლი მოადგა და კატოსადმი რაღაც სიბრაღული! ძველებური გულის თქმა იგონდა...

გრილმა ნიაგმა კვლავ დაჭებრა. მთვარე გამოესალმა სოფელს და მთას მოეყარა. განთიადის ვარსკვლავს ამაყად გამოჭხედა ქვეყნას და თავისი მკრთალი სინათლე ბუნებას სტუორცნა. ბუღბუღმა მხიარულად სტუკენა მორთა.

ბუნების დადღმა ძალმა დასრლია ადამიანის მავი გული!

— ქრისტე აღსდგა! შეგრიგეთ!—თავდავიწყოებით შესძახა ფილიპემ და მთვრალივით წაბარბაცდა. კატო გასტერებული იდგა თავის უურებს არ უჭერებდა.

— ქრისტე აღსდგა!—გამიერთა ქმარმა და სივლები გაშალა.

— ჰეშმაროტად!—ძლივს გაბედა კატომ და მუხსლებზე დავარდა.

ვანას საფლავზე სწოელი ჩამქრალიყო. მისე ამოვიდა და თავისი ცელქი სხივები მოჭოფინა ორ ადამიანს, რომელნიც დღემდე დაშორებულნი, ახლას ერთმანეთს გულში ჩაჭკროდნენ და კოცნიდნენ. ვანას მამა თეთრი ჰერანგი ორივეს სასეს ნოელას ჰუმნდა...

ვალიკო გურული.

13. შვილი

ძ ლ ი ვ ს

(ვეფხვიანი ლეოს)

ძლივს გაისმა ხმა სიმართლის...
ძლივს შეისხა ფრთები რწმენამ...
და უკეთეს სიცოცხლეზე
ძლივს სიტყვა სთქვა მუნჯმა ენამ.

მუნჯმა ენამ, მონურ-ყოფის
გუშინ გულ-ქვა მოციქულმა,
დღეს სულ სხვა სთქვა, უცხო გრძნობით
და იმედით გამსჭვალულმა:

„კმარა... ტანჯვას საზღვარი აქვს—
უნდა დაშრეს ცრემლის ღვარი...
არ შეშვენის ადამიანს
სულ მონობა საზიზღარი...“

არ შეშვენის მას ლაგამი,
სულს და გულზე დადებული,
ფიქრი გრძნობა, სინიღისი
გარყვნილი და წამებული.

შორს ბორკილი შემხუთავი...
შორს ლაჩრული გულის ძგერა...
შორს... შორს კრული, უსამართლო,
საზიზღარი ბედის წერა...“

ეს სთქვა ენამ... მასვე ამბობს,
იმასვე გრძნობს სული, გული,
მომავლისკენ გამყურე და
იმედებით გამსჭვალული...

—ნი.

ბუაზი მოიხატა...

(საშობაო სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

I

შობის წინა დღე იყო. როგორც სხვაგან, სოფ-
ს—შიაც დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, მო-
ხუცი თუ ჰაბუკი, ყველა დიდს ფაცა-ფუსა და
სამზადისში იყო; ყველა იმასა სცილობდა, რომ
მეორე ჯდღისათვის სამხსნელა საქმელ-სასუსნავი
საკმარისად შეემზადებინა, რათა მით თავის თა-
ვიც დაემყარებინა და სტუმართანაც პირ-
ნათლად გამოსულიყო.

ზოგან ქათამი იკლავდა, ზოგან ბატი, ზო-
გან ინდური, ზოგან ცხვარი და უფრო-კი ღო-
რი. შიგა-და-შიგ „ჰე-ე-ე, ალილო, ოცდა. ხუთ-
სა ამ თვისასა ქრისტე დაბადებულა“—ს სიმღერის
ხმაც გაისმოდა და ეს უფრო ერთი-ორად, ერთი-

ათად ალაზათიანებდა შინ შეყრილ გლეხთა სიმ-
ხიარულეს.

ყველას უხაროდა მომავალი შობა, გარდა
ქვრივ-ოხვრის თეკლესი, რომელიც შემოსჯდომო-
და პატარა ობლებით ცოტად შედებულ ბუ-
ხარს და დამაღონებელ ფიქრებს მისცემოდა,
და რამდენიც უფრო ხშირად ესმოდა სხვისი სიმ-
ხიარულე, იმდენად უფრო ძრიელად ნაღვლიან-
დარდიანობდა. ამ გვარად დანაღვლიანებულიყო
თეკლე, რომ იმისმა უფროსმა ექვისის წლის ქალმა
მიაძახა:

— დედილო, წივილაანთ იმდენი ღორი და-
ჰკლეს რა!

— ეგ რა, პეტრიანთ უფრო ცხვარიც დაჰკლეს
და ღორიც!—ჩამოართვა სიტყვა შუათანა დამ.

— ცვენა დედილო, ცვენ-კი ალ დავკლავთ
გოლსა?—შეეკითხა სულ უმცროსი ვაჟი.

— დავკლავთ, გენაცვალოს დედა, დავკლავთ,
მაშ!...

— როდისა, დედილო!—ერთხმად შეეკითხნენ
ყველანი.

— თეკლეს გაახსენდა, რომ იმისი უფროსი
შვილი, ლევანი, რომელიც სხვასთან იდგა მო-
ჯამაგირედ, დღეს უეჭველად გამოჰგვრიდა ღორს
და მისთვისაც იყო, რომ შვილებს მხიარულად
უპასუხა:

— ამდამ, გენაცვალეთ დედა, ამდამ. თქვე-
ნი ძმაულა ლევანა გამოვა და ის გამოგვგვრით
ღორსა.

— დილილიმე, დილილიმე! ჩიჩიას ეკამთ, დი-
ლილიმე!—სისხარულით გაიძახოდნენ ამ ამბის გა-
გონებაზე თეკლეს პატარა ობლები.

ამ გვარ სისხარულში იყვნენ დედა-შვილნი, რომ
მოესმათ ღორის ღრუტუნ-ჰყვივლი.

— უთუოდ ლევანი იქნება!—წაუოიძახა თეკ-
ლემ და გარედ გაიჭრა, რომელსაც შვილებიც
თან გაედევნენ. არც თუ მოტყუებდნენ: მართლაც,
ლევანს მხრებზე შეეგდო ბურვავი და, რა დასვა-
იგი დედა-მიწაზე, დედას უთხრა ღიმილით:

— აბა უყურე, დედი, რა ჩატროყვებული ბურ-
ვავი მოვიყვანე!—ამ სიტყვებთან ერთად თავის პა-
ტარა ძმა-დებსაც გადაჰხვდა მხიარულად.

— აფსუსი-კი არის, აი, ამის დაკვლა! მოდი
შევიანხოთ?!—უთხრა დედამ შვილს.

— არა, დედილო, უნდა დავკლავთ! რაღათ მინ-
და თავი ცოცხალი, რომ ხვალ პირი არ გავიმ-
სხნილოდ! სიცოცხლეს გავიმწარებ და თქვენ-კი
არას მოგაკლებთ, მინამ პირში სული მიდგია!—
ეუბნება ლევანი დედას, რომელსაც გასასყიდად

უფრო ემეტებოდა ღორი, ვიდრე დასაკლავად და აღებულის ფულით შიშველ-ტიტველ შვილების შემოსვა უფრო ძლიერ უნდოდა, ვიდრე პირის გამსწნილება.

— დავკლათ, დედილო, დავკლათ! — პატარებ-
მაც მიაძახეს.

— დავკლათ, გენაცვალოთ დედა, დავკლათ!
კვლავ შეექმნათ ბაღლებს დედის თანხმობაზე აღტაცებული ჩოჩქალი და სულ ხელებში-და მისჩერებულნენ თავიანთ უფროს ძმას ლევანს, — აბა, როდის წამოასაკლავებს ღორსაო.

— დედი ი-ი! ჩიჩია მინდა-ა-ა! — ტირილის ხმით ეუბნებოდა უმცროსი ვაჟი.

— არა, შვილო, ესლა როგორ იქნება ჩიჩიას კამა!?

— ლატო, დედილო!

— მარხვაა, შვილო, მარხვა!

— მალხვ-ა-ა!

— ჰო, გენაცვალოს დედა!

ამ სიტყვების გაგონებაზე ტირილი შესწყვიტა პატარამ, თუმცა მარხვისა-კი არა გაეგებოდა-რა. ხელმეორედ შეეკითხა დედას:

— მაშ ღორისა?

— ხვალ, შვილო, ხვალ! ესლა-კი დაიძინეთ, ხვალ, გათენდება თუ არა, ჩიჩიას გაჭმენთ.

გახარებულმა ბაღლებმაც მსწრაფლ ლოგინს მიაშურეს დასაძინებლად იმ იმედით, რომ ხვალ ჩიჩიას სჭამდნენ.

II

— მამასახლისო, ისეთი ჩასუქებული ბურვაკი-
კი შეატარა წედან ი ლევანმა, რომა, სწორედ გითხრა და, მის დინახვაზე პირში ნერწყვი მაღი-
ვიდა! — ეუბნებოდა ერთგული გზირი მამასახლისს, რომელიც სადღაც მიეჩქარებოდა.

— ვინ ლევანმა? — შეეკითხა მამასახლისი.

— აი, იგუშარაანთ ბიჭმა!

— თეკლე, შვილმა?

— დიახ, შენი ჭირიმე!

— ბურვაკი!!.. აბა მეც ეგ მინდოდა, აი! —
კმაყოფილებით წამოსთქვა მამასახლისმა. — მაშ
იცო, რა გითხრა, — კვლავ მიმართა გზირსა: —
ესლავე წადი და ის ბურვაკი აქ ჩამოგვარე. შენ
კარგ სამსახურისათვის ხვალ ისეთ თურთუმელა
ღორის ხორცს გაჭმევ, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ
იმისი გემო მთელ წლამდის გაგყვეს!..

ამ გვარ ლაპარაკში იყვნენ მამასახლისი და
გზირი, რომ ვიღაცამ მიაძახა უკანიდან მამასახ-
ლისს:

— გებრალბოდეთ საწყალი, ვინ იცის, იმ ღო-
რის მეტი არაფერი გააჩნიათ! — ის იყო ახალ-
გაზდა გლხნი, რომელიც ხშირად მამასახლისსა-
კი უბრუნებდა სიტყვას.

— არა მკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიგ-
დეო! — მკახედ შესძახა მამასახლისმა და თანაც
გზირს უბრძანა, რომ მალე წასულიყო და ბურ-
ვაკი ჩამოეყვანა. გზირი, რასაკვირველია, მაშინ-
ათვე გაქანდა ლევანისაკენ.

— ეს მეორე რიგობაზე ვარ მამასახლისად და
ჯერ არ ახსოვს, რომ ლევანის დედას ჩემთვის
ს კომლო ფული მოეცეს, ან კიდევ მის შვილს
ეშველოს მუშაობაში. შენ კი იძახი, გებრალ-
ბოდეთ საწყალიო. არა, შვილო ჩიჩიასა, ჩვენ გლხეს
თუ ძალით არ გამოვართვით, ნებით არას გაი-
ლებს. სწორედ ამისთანა დღეს უნდა მაგნაირ კა-
ცის მიტანება, თორემ მეც გვიან-და იქნება.
კაცმა თუ არ შეაწუხა, გათამამდება და მე-კი
არა, ნაჩაღნიკსაც აღარაფრად ჩააგდებს! — ეუბნე-
ბოდა მამასახლისი და ბოლოს დაუმატა. — შენ ის
გირჩევნია, ხალხს არ მიბუნტებდე!

— დაცა ლევანავ, ნუ დაჭკაო!

— რატომ, ეე, რა ამბავია? — გაკვირვებით
ჭკითხა ლევანმა.

— ის ამბავია, რომ მამასახლისს უნდა ჩავგვა-
რო ე ბურვაკი შენს საკომლო ფულში.

— თავს მოვიკლავე და ბურვაკს-კი არ დაგა-
ნებებ!

— როგორ თუ არ დამანებებ! — უთხრა გზირმა
წყრომის კილოთი და ბურვაკს ხელი სტაცა; ერ-
თის მხრივ გზირი ეწეოდა თავისაკენ, მეორეს
მხრივ კიდევ დედა და შვილი თავიანთკენ. ამ
ჯაჯგურში იყო ორივე მხარე, რომ მამასახლი-
ჩიც წამოეშველა გზირსა და გამარჯვება ამ უკა-
ნასკნელთ დარჩათ.

— ჩემი წვრილ-შვილის ცოდოც შენა და ეგ
ბურვაკიცა! — გაადევნა ეს სიტყვები თვკლემ მა-
მასახლისს.

III

გათენდა შობა დღე და სოფლის ხალხიც ჩვე-
ულებრივზე უფრო ადრე წამოიშალა. ორი-სამი.
საათის შემდეგ ზარების რეკვაც გაისმა აქა-იქ.
სოფლებში. ყველა ეკლესიისაკენ მიეშურებოდა,
რომ იქ სასოებით მოესმინა სახარების საამო
სიტყვები ქრისტეს შობის შესახებ და უფრო გა-
ბედვით, უფრო წმინდის გულით, სულიერად და
ტკბობის შემდეგ, ხორციელად დამტკბარიყო.

წამოიჭრა ლოგინიდან თეკლემ და ჩვეულებ-
რივ დაღონებას მიეცა, რადგან იმისთვის შობა

დღე სიმწარის მეტს არას შეადგენდა. ვერას გზით ვერ გადავგოვო გულიდან მამასახლისისა და გზირის უდიერის საქციელი.

ჯერ კარგად არც-კი იყო გათენებული, რომ იმისმა ობლებმაც თავი წამოაწყვეს ლოგინიდან დამშუულ ჩიტის ბლარტებივით და დედას შესძახეს ერთბაშად.

— ჩიჩია გენდა-ა-ა-ა!

ებლა უფრო მეტად დაღონდა თეკლე, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ბალების დაყენებულ თხოვნას ვერაფრით ვერ დააკმაყოფილებდა, ამისათვის ამ სიტყვებით მიჰმართა შვილებს:

— ბუამ მოიტაცა, შვილო, ბუამ! და მოჰყვა მღვივით ქვითინს.

როგორც უწინ, როდესაც კი შვილები მეტის ტირილით საქმეს გაუტირებდნენ ხოლმე და ისიც „ბუას“ მოგონებით აწუმებდა, ისე დღეს ამგვარსავე ხერხს მიჰმართა თეკლემ იმათ გასაჩერებლად.

ამ სიტყვის გაგონებაზე ობლები კვლავ ლოგინში მიიმაღნენ, თევზებივით მიყუჩდნენ და თავზედაც მსწრაფლ წაიფარეს დაგლეჯილ-დაფლეითილი საბანი, იმ შიშით, რომ ბუას თვით ისინიც არ მოეტაცნა.

სულ დაავიწყდათ ჩიჩიაცა და იმისი ნატვრაცა.

ვ. მათურელი.

გაუმაჯგოს თავისუფლებას!

(ჩემის დღიურიდან)

ეს მოხდა გუშინ-წინ.

ჯერ ისეკ მონა ვიყავ, მონა უუფლებო, მონა სანყარი.

თვალს ვასკლდი, მაგრამ ანაფრის დანახვის ნება არა მიქონდა.

ვფიქრობდი, მაგრამი თქმას-კი ანასი შეშეძლო.

ვგრძნობდი, მაგრამ ჩემი გრძნობა ჩემ გულშივე უნდა ჩაშეკლას.

ადამიანი შერჩვა, მაგრამ მონათა შორის მცნოვრები უსინარულოდ ვლევდი დეკებს, უსიამოვნოდ ვატარებდი დროს.

სიკვდილი სირცხვილიეული, სიკვდილი უსახელო და განანადგურებელი, ამოდებულის ხმლით დანაჯად დანდგომიდა ჩემის ბინის კარებს და შეშინებული ლოკოკიანსავით ერთადგილას მობღუნძული ვეკვდე.

მზე გამკაშებდა. ცაბრწინებელი ბუნება დიმილით სასერიროდ მიწვევდა, მაგრამ ვერსად წავსულავიყუე.

ჩემის ბატონების მეოხებით მზე და მთვარე, ჭკერი და წყალი, ტრემლი და სიცილი, გრძნობა და გონება, მეგობარი და ნაცნობი— ჩემთვის მარტოოდენ მოჩვენებანი იყვნენ, მარტოოდენ ჩემსავე საქვეწმად განიხილიყვნენ.

— ფეხი არსად გასდგა, — დაგატუსადებო! — მაგრძნობინებდა ქუჩის კუთხეში ჩასათურებული ჰოლიციელი.

— არა სთქვა რა. დაგაბეზდებო! — შეუბნებოდნენ ჯამუშის თვალები.

— ჩემსას ნუ მოხვალ, შენის გულისათვის არ მინდა ჰოლიციის ზედამსეკდეკობის ქვეშ ჩავვარდე! — მიმორებდა ნაცნობი.

— მეც შენ ტათაში ვიწვიო! — მიუბნებოდა მეგობარი, თან შეშინებული-დამფრთხნალი აქეთ-იქით იყურებოდა.

მეტ ვეკვდე ერთ ადგილას და, დამცირებული, ჩემსავე თავს ვეჩხუბებოდი.

ვით ფრთებ მომტვრეული ჭილევაფი, ვით სორბი გამომწვევეული კურდღლის ბაჭია, ვით ნაცემ-ნაცვეში ვეკლიბანია კატა, — ერთ ადგილას მოკალათებული ვსახუხავებოდი!

ერთი თანამიგრძნობდა, ბევრი თვალს მარიდებდა, ბევრზე ბევრი-კი მიდარჯვებდა. ხმა-მადლას არ დაჭვმოს შეშქნელი აუტანელის ცხოვრებისაო.

ზრისტავი და გორდოვოი, ჯამუში და დვორნიკი, კახაკი და ჯარის კაცივით გესეკქორნი დობის ძირას განახულ ნიბლიას — თავს დამტრიალებდნენ და შიშის ზარსა მტემდნენ.

გული ბოღმიათა მიქონდა სავსე, თუმცა ვიღვიმებოდი, ვით ბევერი, ვითამ ვისიანულობდი კიდევ, ვით მყროინი, ვწკრდი კიდევ, ვით შეკავსეთე, სლამს ვადლეკდი მეორეს, ვით წვერი საზოკადობისა, მაგრამ ვეკლას ეს ნაძალადევი, ნაძალევი იყო.

ტოცხალი მონა მკვდრებზე უბედურია. ვინც მოკვდა თავს მაინც მოუკვდა. მე-კი ტოცხალი ტოცხალთა შორის სიკვდილსაც გაფურბოდი და ვერც სულის სიმშვიდეს ვზოულობდი.

ვიჯექ გულმოკლეული და გავეურებდი ქუჩას. აქა იქ ფეხ-აკრებით მიმოდით და მფრთხალი, დაშინებული, ჩაფრთხილი, დაღვრემილი, ადამიანის ნიშან-წყალ მოკლებული ხლანო.

ქუჩის თავსა და ბოლოს გამოჰიმულებენ
შეიარაღებული კაზაკები. თოფები მსარზე
გაედოთ, თითქოს ტყეში არიანო, ხანჯალი
მოკმარეებიანო, ხმალი გაუღესო. სახეზე
მსეტური გამომეტყველება აღბეჭვდოდათ. იგი-
ნი ხალხს, მის წმენა-მისწრებებს დასტო-
ნოდნენ.

სასარელი სანახავნი იყვნენ! თვალები
მტკიოდა და, გული მიკენესდა სული მესუ-
თებოდა.

— დმერთო, ამოგვიარდეს სამართალი-მე-
თქი! გამწარებით წამოვიძახე უილაჯომ და
ტასტზე პირქვე დაკემსე.

აუწყრელია, გამოფხიზლებულ მონის ტან-
ჯვია!

დიდხანს მოვსთქვამდი ხალხის მტარვალთა
უსინიდილობას.

უცხად სიმღერა შემომესმა. იგი ჩვეულ-
ბრივი სიმღერა არ იყო, არც ეოგველდოიერ
სიმღერასა ჰგავდა. ზავითანი და დიდებული
შავარდენივით აზობდა ჰუერს.

— დავამხოთ ძველი წესები — არაკრ-
კებდა ვიდაცას მშეკნიერი ხმა.

— დავლეწოთ ოქროს კერპები — ბანს
აძლევადა შეორე.

— ხალხი ადსდგა, ხალხი წელში გაიმა-
რთა — გუგუნებდა, ვით იერიქონის საყვირი
ათასი გულიდან ამოხეთქილი ბანიც. უერი
წაგუგდე. ეს ხმა მომეჩვენა ერთის ჩემის ამ-
ხანაგის ხმად. იმას უეკარდა ასეთი სიმღერა
და მოჰკვლეს სწორედ იმ დროს, როდესაც
ცისის გამხეტებულ მტველებს თავისუფლების
სიმღერას უგალობდა.

ეტეობა თვით სიმღერა ვერ მოყვალავთ!
თვალები მოვიფშენიტე, გარედ გამოფი-
ხედე.

კაზაკები თავის ადგილას აღარ იდგნენ,
მათ მაგიერ ქუჩაზე მოგორავდა ხალხის ტალ-
და. ათასი, ათი ათასი ქალი და კაცი, შეკ-
რებილიყო, აფერიალებინათ წითელი დრო-
შები და ეს ამოდონა ხალხი მღეროდა თავ-
დავიწყებით, მღეროდა მთელის თავის დახ-
კრულის ასრებით, მღეროდა გატაცებით და
მთელის წლობით დაკუბებულ ბოდმას იქ-
რებდა.

ჩემი თავი სიზმარში შეკონა. — ბიჭო, ია,
თავისუფლება! თავისუფლება! ხალხი ადსდგა,
დამსხვრია ბორკილი მონობისა... გამოდი
გარედ! — დამძახ ერთმა ჩემმა ამხანაგთაგანმა
და გადამკონა. თვალთაგან ცრემლი ჩამო-
დიოდა, მეტისსიხანულია მნოლოდ-და ლუდ-
ლულებდა.

ზირველმა ამბომა თავისუფალის აღმია-
ნისამ მეტ ფრთები შემასხა, ჯადონურის ძა-
ლით გადამხალისა და შეტყნალივით გარედ
გამოფურინდი.

ოხ, რა კარგი უოფილა თავისუფლება ჩემ
გონებს, ჩემ ცნებებს თურმე ნახევრადაც
ვერ წარმოედგინა მისი სიდიადე!

როგორც შველის ნუკრი, ისე დაფსტოდი
ქუჩაზე, როგორც განკურნებული სნეული,
ისე ვისუნთქავდი თავისუფლების ჰუერს, რო-
გორც საგოეთიდან განთავისუფლებული გო-
ნიერი აღმიანი განცვიფრებული ვიფავ და
ხლად ენა ადგიულ ბავშვივით ვტატიკებდი
ძლივს არ ვვლირსეთ თავისუფლებას! ხამ
თავისუფლები ვართ, ჰა — ვეკითხებოდი ქალ-
სა და კაცს, ნაცნობს და უცნობს. ჩემს დლე-
ში სიმღერისა არა ვიცი რა, მაგრამ ვმღე-
როდი კიდევ.

— სად არიან ჯაშუშები, პოლიციელები,
უანდარები, კაზაკები, დგორნიკები! სად
არიან სად, ჩვენი გამოათხსირებელნი, ჩვენი
დამამტირებელნი, ჩვენი გამტყველები, ჩვე-
ნი გამხრწნელები, ჩვენი სულთამსუთავები,
ჩვენი გამამხეტებელნი, ჩვენი დამმონავებელ-
ნი?! — ვეკითხებოდი უველას.

— განთავისუფლებულმა ხალხმა სული შე-
უბერა მათ და ადგავა პირისაგან ქვეყნისა.
ხალხის გმირულმა და უკანასკნელმა ამოკრე-
სამ განადგურა ისინი! — ამჟავდ მამასუხა ერ-
თმა და ამჟავდე შემოსძახს.

— დავამხოთ ოქროს კერპები! —

— დავამხოთ! დაიგრიალა ხალხმაც და ეს
გუგუნე თავისუფალის ხალხისა მრავალ დრო-
ების მოწმე მამადავითის მთაზე ახარხარდა.

ეს იყო გუშინ!..

ორი დღე გონებაზე არ მოკსულებარ. ორი
დღე ვცნოვრობდი უანგარიშოდ, უდარ-

დელად, უსრუნველად. გარეო ბუმიბუღივით დაჯერდოდი, შან კი დაუსრულებლად ვკატინი-დი ჩვენ ბავშვებს. ვაღუენსებოდი, ვეტიკეტიკებოდი. ისინი გაისარდნენ ჩემს თვალში, ფასი ერთი ათად და ოცათ მთავრატო. ხუმრობას!.. თავისუფალი ბავშვი, მომავალი თავისუფალი მოქალაქე თავისუფალის ერისა!..

სიმღერა კვლავ გუგუნებდა ქუჩებში, ხალხი კვლავ ერთად იკრიბებოდა და ბედნიერ ცნობებების კარებს აღებდა. მსუც იცინოდა. ჩემ დედას სე არ მომწუხრებია სიტყვებზე დაუსრულებელი, თავისუფალი. მაგრამ ბოლოს კვლავ კარგა დამაწყო.

„დიდ სისარულს, დიდი მწუსარებაც ხშირად მოხდევს“. რაღაც ექსპრესივად განისხრდა ხალხის ნათქვამი და შავი ფიქრები ნისლივით შეიმოქმედდა.

— სუ თუ საუკუნეებით მიწობაში მყოფი ქვეყნის შვილი ისე უცბად გადასვლადნენ, სუ თუ გუშინდელი პოლიციელი, გუშინდელი ჯაშუში, გუშინდელი კაზაკი, გუშინდელი ბატონი, გუშინდელი ხალხის დამბრძოლებელი დღეს გულგრილად უმსერს ხალხის დიდებსა შეთქი? ვკითხულობდი ჩემ თავს და ნაშინი მიწობისა ნელ-ნელა თვალ-წინ შემდებოდა.

პირველ ყოვლისა ჩემ თავს ჩაუკვირდი, ჩემი მოვალეობა ვაფისუნე და სავაზეთო წერილის დასაწერად კალამი მოგიმარჯვე.

— ახლა ხომ თავისუფალი ვარ. ცენზორი აღარ ააჭრელებს მეთქი ჩვენ ნაწილებს... ისმ ვწერდ თავისუფლად! მაგრამ, თავისუფლად წერს შეუძლია მოლოდ იმას, ვინც თავისუფლებას ალბრდილა, ვინც შესწავლია ამ თავისუფლებას. მე კი გუშინ წინ გავნთავისუფლდი. ვერა უხით ვერ მოვიშორე თავიდან ცენზორი. ასე მეტონა ტვინში ჩამჯდომია და ჩემი ტვინის ძაფები ასევე სელში უჭინავს მეთქი. — გული მომივიდა კალამი გადავიწერდე.

ვიჭექე მავადსთან და ახლა ჩემის ნაწილების წარსულს და მომავალს დავუკვირდი... არა ვერ დიდ ხანს შეგუენება ძველებური, მიწობაში შექმნილი, თავისებანი: უკმეხობა, პატარობის მოყვარება, მბრძანებლობა, უსრულეობა და თუ გნებავთ დესპოტობაც-კი. ტუილად რთვი გვწვთადნენ ჩვენი გუშინდელი პატარობები. მაგრამ რადესაც ჩვენ გულს გაათბობს თავისუფლების მარტო ერთი სიხვი

კი არა, არამედ მთელი სიხვი-კრებული, მასინ ჩვენც სრული აღმავალი ვიქნებით შეთქი! — დავამიდე ჩემი თავი, მსე ფიქრებს წამოვუდექე, გული გავიმისიარულე და ქუჩაში მიმავალ უცნობს ფანჯრიდან აღტაცებით გადავსახე.

გაუმარჯოს თავისუფლებას!
უცნობის შემომიბღვირს, ფესი ააჩქარა.

მეწინა. გამოიხდა. რაღაც განისხნდა, მასინათვე ქუჩის სელი წამოვავლე, კარად გამოვარდი და მიმავალ კაცს ვუთხლე. დავაჩქარდი და ვიცინი! ის იყო ჩემი ჯაშუში... მთელის წლობით მისწინებს არ მადლევა და უკანასკნელი სიამოვნებაც ჩამამწარა.

ჯაშუშმა კიდევ შემომიბღვირს და ქუჩასვე მღვარს ორ საეჭვო კაცს მიაშურა.

გული გადამიქანდა. მართალია ქუჩაში გუშინდელივით მისარულად ირეგოდა ხალხი, დიდებული გუგუნე კიდევ მოსმოდა, მაგრამ თითქოს რაღაც საიდუმლოება გადაჭყვინდა მთელ ქალაქს — გულსკლავი, უსილაგი საიდუმლოება! ხალხის მტრებს თავი მოეყარათ. გაღვიძებულ ხალხის განადგურებას აზიარებდნენ.

უცბად იარადის ჟღარუნი და ცხენების თქარა-თქური მოსმა. ამის მოჭევა ხალხის ფიქინა, რაღაც გამოურკვეველი გზინა და...

— თავისუფალ ხალხსა უფეტენ... თავს უშველე! — დამძახ ვიდაცამ და სემ წინ გაიშლარათ.

აღარა მასროგს-რა. მოლოდ ვურებში გამწივის თოფების დაუსრულებელი თქათა-თქუფი, წველა-გრულვა და გზინა მომავლავთა, ჯოჯოხეთური სარხარ-კიეინი ბნელ-ძალათა...

ხალხი, მოწაფენი, ქალი და კაცი, ხალხი თავისუფალი, მოდიმარი და მოცინარი გაუღიტეს ბნელმა ძალებმა. ფეს ქვეშ გათავეს სულმწიფის პატაროსანი სიტუვა, თავისი ნათქვამი გ-დასთქვეს, კიდევ ინადირეს ხალხზე.

ეს მოხდა დღეს, 22 ოქტომბერს. ქალაქი მგლოვანდა. ქალაქი, გზინავს, ვენისის, სხლებში ჩაიკეტა და ტირის.

იტორე ქალაქი! სწორედ ევ ცრემლები წაღეკავს მტარვლებს. უგელს გაწვევტა ხომ არ შეუძლიანთ.

გასკდით გულზე, ხალხის მტრებო, სედამხლო მომიკის ნაყოფს, სოლო თქვენის უკანასკნელის ტუფით განზმირული თავისუფალი დამიანი ერთსელ მასიც დაიფვირეს: გაუმარჯოს თავისუფლებას!

ია ეკალიძე

საზი სათათბირო

1905 წლის 17 ოქტომბერს რუსეთის სახელმწიფო წესწყობილებამ ღრმა ძირითადი რეფორმა განიცადა და იგი უფლებრივ სახელმწიფოთა ოჯახს მიემატა, როგორც იმისი ახალი წევრი. ამ დღეს გამოცხადდა მანიფესტი, რომელმაც უკანასკნელი წერტილი დაუსვა სახელმწიფო მოხელეების ბრძანებლობას, განაცალკევა ერთი მეორისაგან კანონმდებლობა და ადმინისტრაცია, კანონმდებლობის საქმე ხალხის წარმომადგენლებს ჩააბარა და მათვე მიანდო, თვალყური დაეკვირათ, რათა ადმინისტრაციის მოხელეებს ყოველთვის უკლებლივ ესრულებინათ კანონის დედგენილებანი. რუსეთი საკონსტიტუციო სახელმწიფოდ იქმნა აღიარებული. ამ დღიდან იწყება ახალი ისტორია რუსეთის სახელმწიფოსი. ხალხის წარმომადგენელთა კრებული, სახელმწიფო სათათბირო, რუსეთის ახალი ისტორიის მთავარ ძარღვად გადაიქცა. სათათბირო შეიქმნა იმ ფუკუსად, სადაც უშველებელ რუსეთის სახელმწიფოს მცხოვრებთა სულის კვეთება, მისწრაფება და მოთხოვნილება გროვდება ერთად, იწონება და ბოლოს გამიხატება განსაზღვრულ შინაარსის კანონმდებლობით. 1905 წლის 17 ოქტომბრიდან სახელმწიფო სათათბიროს ისტორია მთელი რუსეთის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის სარკეა.

ოქტომბრის ძირითადი რეფორმა არც უმტკივნეულო იყო და არც უკანასკნელი აქტი უფლებრივ წესწყობილების მოტრფიალეთა და მტერთა ბრძოლისა. საკონსტიტუციო ანუ უფლებრივ წესწყობილების დასამყარებლად ბრძოლა რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე დაიწყო. ეს ბრძოლა თითქმის მთელი ასი წლის განმავლობაში სწარმოებდა, ხან დროებით ნელდებოდა იგი, ხან მედგრად ბობოქრობდა, ხან უფრო მშვიდობიანურ სახეს იღებდა. ხან უფრო სასტიკს, ხან რუსეთის მცხოვრებთა მეტი ნაწილი იყო მონაწილე ამ ბრძოლისა, ხან ნაკლები, ვიდრე მეოცე საუკუნის დასაწყისში მშრომელ ფართო წრეები არ ჩაებნენ ბრძოლაში და საბოლოო გამარჯვება არ მოუპოვეს უფლებრივ წესწყობილების პრინციპს. 17 ოქტომბრის მანიფესტი სწორედ ასეთი პრინციპიალური გამოხატულებაა საკონსტიტუციო რეჟიმის გამარჯვებისა. **პრინციპიალურ** გამოხატულებას ბუნებრივის აუცილებლობით უნდა მოჰყოლოდა საკონსტიტუციო რეჟიმის **პრაქტიკული** განხორციელება. 17 ოქტომბრის შემდეგ პოლიტკური ბრძოლის დამახასიათებლად შეიქმნა ბრძოლა უფლებრივი

წესწყობილების პრაქტიკული განხორციელებისთვის. პირველი და აუცილებელი პირობა უფლებრივი წესწყობილებისა არის ხალხის წარმომადგენელთა კრებული. ამიტომ მთელი რუსეთის პროგრესიული ნაწილი 17 ოქტომბრის შემდეგ დაუყოვნებლივ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევას თხოულობდა. ხალხს უნდა აერჩია წარმომადგენლები, უნდა შემდგარიყო მათგან სახელმწიფო სათათბირო და ამ გვარად უნდა დაწყებულიყო ძველი ბრძანებლ აბითი რეჟიმის ლიკვიდაცია. პირველი საქმე წარმომადგენელთა არჩევა იყო, მაგრამ ვის და რა წესით უნდა მოეხდინა ეს არჩევა? სხვა ნაირად რომ ვთქვათ, უპირველეს პრაქტიკულს ინტერესს 17 ოქტომბრის შემდეგ საარჩევნო კანონი წარმოადგენდა.

რუსეთის დემოკრატიულ ელემენტებს მხოლოდ ისეთი საარჩევნო კანონი დააკმაყოფილებდა, რომელიც ყველა მოქალაქეს სხვებთან თანასწორ გავლენას მიანიჭებდა სახალხო წარმომადგენლების არჩევაზე და მაშასადამე სახელმწიფოს კანონმდებლობაზედაც. დემოკრატიული რუსეთი მომხრე იყო საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფართის საარჩევნო სისტემისა. ამ ოთხ წყვილან ფორმულას ზოგჯერ კიდევ ორ სხვა განმარტებას უმატებდნენ: განუზრვლად ეროვნებისა და განუზრვლად სქესისაო. ამ სისტემაზე არჩეული სახალხო წარმომადგენელნი მომეტებულ ნაწილად მშრომელ ხალხის ინტერესების ერთგული დამცველები იქნებოდნენ და სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობას აუცილებლივ ნათლად გამოთქმულ დემოკრატიულ ელფერს მისცემდნენ. აი სწორედ ამისი შუში ჰქონდათ რუსეთის ბიუროკრატებს ერთის მხრივ და შეძლებულ კლასებს მეორის მხრივ. ისინი მეცადინეობდნენ, რაც შეიძლება შევიწროვებინათ მდაბიო ხალხის საარჩევნო ელემენტები და რაც შეიძლება გაეფართოვებინათ საარჩევნო გავლენა რუსეთის მცხოვრებთა იმ ელემენტებისა, რომელნიც მაგრე რიგად საზიფათოდ არ ეჩვენებოდათ არც ბიუროკრატიისთვის და არც შეძლებულ კლასებისთვის. ამ ტენდენციის გავლენით შემუშავდა და 11 დეკემბერს 1905 წლისა გამოცხადდა კიდევ სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნების წესები.

თეთომეტ დეკემბრის კანონი არც არჩევნების ყოველთაობას აწესებდა, არც პირდაპირობას და არც თანასწორობას, მაგრამ იგი მაინც საკმაოდ ფართო იყო. კანონის შემდგენელთ განსაკუთრებითი იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის გლეხობა თვითმპყრობელ სამეფო უზენაესობის შეურყვე-

ლი ბურჯი იყო და ამიტომ რუსულ გუბერნიებში კანონი გლახებს დიდს სარჩევნო გავლენას ანიჭებდა, გარდა იმისი, რომ გლახები საერთო არჩევნებში იღებდნენ მონაწილეობას, ისინი ცალკე წრიდანაც ირჩევდნენ თითო გუბერნიაზე თითო წარმომადგენელს. უპირატესობა მიეცათ მხოლოდ რუსეთის ძირეულ გუბერნიებს; კავკასიაში, პოლონეთში და ციმბირში გლახობის იმედი არა ჰქონდათ და ამიტომ არც ეს უპირატესობა მიუნიჭებიათ ამ ადგილების გლახობისთვის ქსელაქის მცხოვრებთა შორისაც საკმაოდ დიდი გავლენა მიეცათ 11 დეკემბრის კანონით დემოკრატიულ ელემენტებს: არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველას, ვისაც კი საკუთარი ბინა ჰქონდა. ამისდა მიუხედავად არჩევნები, როგორც ვთქვით, არც საყოველთაო იყო და არც თანასწორი. ამ ნიადაგზე აღმოცენდა უკიდურეს მემარცხენე პარტიებში აზრი არჩევნებში მონაწილეობის სრული უარყოფისა, თვით არჩევნების ჩაშლისა და სარეგულიაციო ბრძოლის გაძლიერებისა სრული დემოკრატიული საარჩევნო წესის დასამყარებლად.

სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღედ, უმაღლესის ბრძანებით 1906 წლის 27 აპრილი დანიშნა. არჩევნებიც იმ ანგარიშით ღნდა მომხდარიყო, რომ 27 აპრილისთვის სახელმწიფო სათათბიროში წევრებად არჩეულნი უკვე პეტერბურგს ჩასულიყვნენ. რა უნდობლად უტკივოდა არჩევნებს რუსეთის დემოკრატია, ეს იქიდანაც შეგვიძლიან დავინახოთ, რომ არჩევნების წინ ერთხანად ისეთი ზომიერ პარტიის ზოგიერთი წევრიც კი, როგორც არის კონსტიტუციონალ-დემოკრატების (კადეტების) პარტია, ყოყმანში იყო, მივიღოთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთი ფრაქცია, „მეურავლესნი“, გადაჭრით წინააღმდეგნენ არჩევნებს, ასევე მოაქცა სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია და პოლონეთის უძლიერესი სოციალისტური პარტია „P. P. S.“

არჩევნების ნაყოფმა გამოამჟღავნა ერთის მხრივ საარჩევნო ბოიკოტის უნიდაგობა, ხოლო მეორის მხრივ კი საარჩევნო კანონის შემდგენელთა იმედის უსაფუძვლობა. დემოკრატია ხარბად მიაწყდა საარჩევნო ყუთებს, ხოლო რუსეთის გლახობამ არჩევნებით თავისი პოლიტიკური სიმპატია გამოუცხადა არა თვითმპყრობელის მოტრფიალებს, არამედ ოპოზიციას. დიდი უმრავლესობა სათათბიროს წევრებისა კონსტიტუციონალ-დემოკრატების (კადეტების) პარტიის წევრები აღმოჩნდნენ, თვალსაჩინო რიცხვი დეპუტატები-

სა კადეტებზე უფრო სასტიკი ოპოზიციონერები გამოდგნენ. სულ რამდენიმე დეპუტატი მშვიდობიან განახლების და სხვა მემარჯვენე პარტიებს ეკუთვნოდა, ჯერ სათათბირო არ გახსნილიყო, რომ უკვე ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რა დიდს როლს ითამაშებდნენ პირველ-რუსულ პარლამენტში კადეტები. მთავრობა მეტად თუ ნაკლებად, მაგრამ მაინც კი ყოველთვის სდევნიდა კადეტებს. იმათი პარტია დღევანდლამდე არა-ლევალური პარტიაა. კადეტების პარტიულ პროგრამას ყველა კარგად იცნობს. კადეტები პრინციპილურად უარყოფენ სარეგულიაციო ბრძოლის ტაქტიკას, კანონიერ ბრძოლის ნიადაგზე დგანან, მაგრამ ყოველ კანონიერ ღონისძიებას ხმარობენ, რათა რუსეთში დემოკრატიულ ნიადაგზე დაამყარდეს სრული კონსტიტუციონური მონარქია. კადეტების რწმენით, კონსტიტუციონური რეჟიმი ლოდიკურის აუცილებლობით იგულისხმება საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე პასუხის მგებელ სამინისტროს. ამიტომ პირველ სათათბიროს ტაქტიკა განისაზღვრა ისეთ სამინისტროს მოთხოვნით, რომელიც სათათბიროს უძლიერეს პარტიის წევრთაგან უნდა შემდგარიყო და პირდაპირ სათათბიროს წინაშე ყოფილიყო პასუხის მგებელი. თუ ასეთი სამინისტრო იქნებოდა კადეტებს და მათთან ერთად პირველ სათათბიროს დიდ უმრავლესობას იმედი ჰქონდა მრავალი პოლიტიკური, საადმინისტრაციო, საფინანსო, სოციალური, აგრარული და სხვა რეფორმა გაეტარებინა და მით რუსეთის ცხოვრება ძირიანად აელორძინებინა.

პირველ სათათბიროს წევრები 27 აპრილს პეტერბურგში საზ.მთრო (ზინნი) სასახლეში იქმნენ მიწვეული, სადაც მათ იმპერატორმა მისალოცი სეფე სიტყვით მიმართა. ამ სიტყვაში სათათბიროს წევრებს იმპერატორმა „საუკეთესო აღამიანები“ უწოდა. სათათბირომ საჭიროდ სცნო სეფე სიტყვის პასუხად უქვეშევრდომესი ადრესი მიერთობა ხელმწიფისთვის და ამ ადრესში გამოეთქვა ყველა თავისი განზრახვა და მისწრაფება. უქვეშევრდომეს ადრესის შინაარსმა ოფიციალურად გამოხატა ის, რაც უიმისოდაც ყველასათვის ცხადი იყო: სრული შეურიგებლობა ახალ საკანონმდებლო დაწესებულებისა მაშინდელ სამინისტროსთან. მინისტრთა საბჭოს თევჯდომარედ იმ დროს გორემიკინი იყო. ძირითადი მუხლები უქვეშევრდომესი ადრესისა შემდეგი იყო: საყოველთაო საარჩევნო უფლება, დამყარება მშვიდობიანობისა სამოქალაქო თავისუფლების ნიადაგზე, პასუხისმგებლობა მინისტრებისა სა-

ხალხს წარმომადგენლების წინაშე, მოსპობა საგანგებო დაცვის წესებისა, გაფართოვება სათათბიროს საკანონმდებლო უფლებათა, რეფორმა სახელმწიფო საბჭოსი, პირუტყვის ხელშეუხებლობა, სინდისის თავისუფლება, სიტყვის და წერის თავისუფლება, კავშირების, კრებების და ფიციის თავისუფლება, თანასწორობა ყველა მოქალაქისა კანონის წინაშე, გაუქმება წოდებრივ, ეროვნულ, რელიგიურ და სქესებრივ პრივილეგიების და შევიწროვება, მოსპობა სიკვდილით დასჯისა, დაკმაყოფილება მშრომელ გლეხობის, სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეთო, სამინისტრო, საეკლესიო და კერძო მემამულეთაგან იძულებითი გამოუსყიდვით ჩამორთმეულ მიწებით, უფლებრივი გათანასწორება გლეხების მდგომარეობისა სახელმწიფოს სხვა მოქალაქეებთან, მფარველობა კანონის მიერ დაქირავებულ შრომისა, გაძლიერება სახალხო განათლებისა და ყოვლის უწინარეს შემოღება საყოველთაო პირველ დაწებთის განათლებისა, რეფორმა სახელმწიფო გადასახადებისა და შემსუბუქება ღარიბ ხალხის ტვირთისა, ძირითადი რეფორმა ადგილობრივი თვითმმართველობისა საყოველთაო არჩევნების ნიადაგზე, დაკმაყოფილება სხვა და სხვა ერის სამართლიან მოთხოვნათა, ხოლო ყოვლის უწინარეს-საყოველთაო ამნისტია იმათთვის, ვინც სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და აგრარული ურთიერთობის ნიადაგზე დანაშაულობა რამ ჩაიდინა.

უქვეშევრდომეს ადრესში გამოხატულმა რადიკალურმა პროგრამამ ორი სხვა და სხვა სახის ნაყოფი გამოიღო: ერთის მხრივ მან ხელი შეუწყო ხალხის და სახელმწიფო სათათბიროს დაახლოვებას, მეორის მხრივ-კი გამოიწვია სასტიკი კონფლიქტი მთავრობასა და ხალხის წარმომადგენელთა შორის. ადრესის საპასუხოდ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ 13 მაისს სათათბიროს სხდომაზე თავისი დეკლარაცია წაიკითხა. დეკლარაცია ერთის მხრივ განმარტავდა, რომ მრავალი სურვილი, სათათბიროს წევრების მიერ ადრესში გამოთქმული, აღმეტებითან სათათბიროს კომპეტენციას, ხოლო მეორის მხრივ-კი ზოგიერთ რეფორმათა განხორციელების საჭიროებას აღიარებდა, თუმცა მრავალი რეფორმა და მათ შორის ყოვლის უწინარეს საადგილმამულო რეფორმა, მთავრობის აზრით, იმ საფუძველზე არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო, რაც სათათბიროს ჰქონდა ნაჩვენები თავის ადრესში. მთავრობის დეკლარაციამ ნამდვილი ქარტახილი ასტეხა სათათბიროში. 13 მაისის სხდომას ისტორიული უწოდეს. დეპუტატები ერთი მეორეზე მეტს

სიმკაცრით და პირდაპირობით ამხელდნენ მთავრობის პოლიტიკის სრულ შეურიგებლობას ხალხის მომწიფებულ საჭიროებებთან და მედგრად მოითხოვდნენ მინისტრებისაგან, ვადამდგარიყვნენ თანამდებობიდან და დაეთმოთ ადგილი იმათთვის, ვინც თავის დანიშნულებად ხალხის წარმომადგენლების წინააღმდეგობას კი არა, მათი სურვილის მიხედვით მართვა-გამგეობის წარმოებას ჩასთვლიდა. ეს ისტორიული სხდომა დასრულდა მშრომელ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის მიერ შეტანილი რეზოლიუციის მიღებით. რეზოლიუცია უნდობლობას უტყდადებდა მთავრობას და მშვიდობიანობის დასამყარებლად აუცილებელ პირობად აღიარებდა მაშინველ მთავრობის გადადგომას და ისეთ სამინისტროს შედგენას, რომლის წევრებიც სათათბიროს წევრთა უმრავლესობის ნდობით იქნებოდნენ შეკუთრული.

უიმისოდაც არა მეგობრული განწყობილება მთავრობისა და სათათბიროსი ამ ისტორიულ სხდომის შემდეგ უფრო გამწვავდა. დეპუტატები ამის შემდეგ, ხშირად უკივლებდნენ ხალხში მინისტრებს „ძირსო“, ხოლო მთავრობა-კი დროებით ითმენდა ასეთს რადიკალურს სათათბიროს და მარჯვე შემთხვევას ეძებდა იმის დასაშლელად. დიდს ხანს მთავრობას თითქმის არავითარი კანონ-პროექტიც კი არ შეჰქონდა სათათბიროში, რაც შესამჩნევად აფერხებდა სათათბიროს მიერ საკანონმდებლო მოღვაწეობის განვითარებას. საკანონმდებლო ინიციატივა სათათბიროს წევრებს მთლად თავის ზურგით უნდა ეხიდნენ. გარდა ამისა, სათათბირო იმუშავებდა წესებს შინაური წესრიგისას, რაზედაც ცოტა ენერგია არ იხარჯებოდა. სათათბირო ჰგროხობდა თავის ზნეობრივ კავშირს ხალხთან, ჰგროხობდა, რომ მთელი იმისი ძალა ამ კავშირში იყო და ამიტომ უხვად სარგებლობდა შეკითხვის უფლებით. უმეტესი ნაწილი თავის სხდომებისა პირველმა სათათბირომ შეკითხვებს მიაწვდინა სხვა და სხვა უკანონობის შესახებ. წარდგენილ იქმნა თითქმის 150-მდე შეკითხვა. თან და თან ირკვეოდა სახელმწიფოს წევრთა განაწილება პარტიულ ფრაქციებად. კონსტიტუციონალ-დემოკრატების გარდა, თვალსაჩინო ადგილი დაიკავა პირველ სათათბიროში მძრომელთა ჯგუფმა. შედგა აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. გლეხები სათათბიროს მოქმედების დასაწყისში უფრო მარჯვნივ გაიყურებოდნენ, მაგრამ თანდათან მარცხნივ დაიწიეს და ბოლოს თითქმის ყველანი მშრომელთა ჯგუფს მიეკედლნენ.

პირველ სათათბიროს საკანონმდებლო განზრახულებათა შორის უპირველესი მნიშვნელობა სა-

ადგილ-მამულა რეფორმას ჰქონდა. სათათბირომ შეიმუშავა ძირითადი მუხლები აგრარული რეფორმისა და განსაკუთრებით კოპისიას დაავალა სათანადო კანონ-პროექტის შედგენა. ამ რეფორმის ერთ-ერთი ძირითად მუხლად ცნობილი იყო მემამულეებისაგან იძულებით მიწის განსხვიდვა სამართლიან ფასებში. ამ საკანონმდებლო განზრახვლებამ სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია მთავრობის მიერ. 20 ივნისს მთავრობამ „პრავიტელსტვ. ვესტნიკში“ დაბეჭდა განცხადება, რომლითაც განმარტავდა კერძო საკუთრება ხელ-შეუხებელია, მიწების იძულებითი გამოსყიდვა არ განხორციელდება, იგი საზარალა თვით გლეხობისთვისაცო. სათათბირომ ამ განცხადებაში დანიხა მთავრობის მეცადინეობა სათათბიროს ავტორიტეტის შესარყევად და გადასწყვიტა თავის მხრივ მიემართა ხალხისთვის. ამ განცხადებით კადეტებს უნდოდათ ეუწყებინათ გლეხებისთვის, რომ მთავრობის განცხადება სიმართლეს მოკლებული იყო და რომ სათათბირო მტკიცედ იცავდა იძულებითი გამოსყიდვის პრინციპს. მშრომელთა ჯგუფს და სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას მარტო ეს არ აკმაყოფილებდა, მათი სურვილი იყო არა გლეხობის დაშოშმინება, არამედ განმარტება, რომ „მიწაც“ და „თავისუფლებაც“ განსაცდელში იმყოფებიან და რომ, თუ არ ბრძოლით, სხვაფრივ მათი გადაარჩენა საეკველე მიანდათ ხალხის წარმომადგენლებს. მთავრობამ იმდენი დრო აღარ მისცა სათათბიროს, რომ მას ეს მიმართვა განეხორციელებინა. 5 ივლისს, ვიდრე სათათბირო ამ საქმეს დაგვირგვინებდა, უმაღლესის ბრძანებით პირველი სათათბირო დათხოვნილ იქმნა.

ამასთანავე ერთად გამოცხადებულ იყო მეორე სათათბიროს გახსნის დღე, 1907 წლის 20 თებერვალი. მაშასადამე სახალხო წარმომადგენლების მოქმედება რვა თვით იყო შეჩერებული. პირველმა სათათბირომ ვერც ერთი ახალი კანონის გამოცემა ვერ მოასწრო. ვერც ერთი მხარე რუსეთის ცხოვრებისა ვერ განაახლა, თუმცა ყველაფერი განახლებას ითხოვდა. ეხლა კიდევ რვა თვით უნდა დარჩენილიყო ქვეყანა ძველი კანონების ტვირთ ქვეშ, პირველ სათათბიროს დათხოვნასთან ერთად შეიცვალა სამინისტროს შედგენილება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა სტოლიპინი. თანდათან გამოირკვა, რომ ასეთი გრძელი ვადა მეორე სათათბიროს მოწვევამდე შემთხვევით არ იყო დადებული. მთავრობის ახალს მეთაურს განზრახული ჰქონოდა ამ რვა თავის განმავლობაში სასტიკი რეპრესიებით ჩაეჭრა ფართო რადიკალური იდეალები პოლიტი-

კურის და სოციალურის ხასიათიან და ფაქტიურად განეხორციელებინა მთავრობის სოციალურა პოლიტიკას აგრარული რეფორმა. მთავრობის დეკლარაციებიდან, რომელთაც უხვად და ხშირად აქვეყნებდა ამ დროს სტოლიპინი, ეს ცხადად სჩანდა. ყოვლის უწინარეს სტოლიპინის პოლიტიკა გამოიხატა სამხედრო-საველე სასამართლოების დაწესებით და ჯარში პროპაგანდისთვის სასჯელის გაძლიერებით. ეს ორივე რეპრესიული ზომა ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით იქმნენ გატარებული. ამ რეპრესიულ კანონებს მოჰყვა ზედ მთელი რიგი დროებითი კანონები გლეხობისა, გლეხთა მიწადმფლობელობის და საგლეხო ბანკის შესახებ. ყველა ეს კანონებიც მე-87 მუხლის ძალით იქმნენ გატარებული. ამ საგლეხო კანონების მიზანი იყო დარღვევა თემის წესობისა, გამრავლება მიწის მ საკუთრე გლეხებისა, გაყოფა გლეხობისა ორ მოწინააღმდეგე ნაწილად, რომელთაგან ერთი, შედარებით შეძლებული ნაწილი, ბურჟუა უნდა გადაჰქცეოდა კერძო საკუთრების პრინციპს.

მოახლოვდა მეორე სათათბიროს გახსნის დღე და დაიწყო საარჩევნო მზადება. პირველ არჩევნების დროს მთავრობა საარჩევნო აგიტაციის გაორეუ იდგა. მეორე არჩევნებში-კი იგი მეტის-მეტად მკვანედ შეიჭრა. ამ ყაბა მთავრობამ საოპოზიციო პარტიების კანდიდატთა დევნა არ იკმარა, მან გინიზრახა თვით საარჩევნო უფლებათა შევიწროება და კიდევ განაწორციელო ეს განზრახვა სენატის განმარტებათა დანმარებით. ეს განმარტებანი ერთი-ერთმანეთს ართმევდნენ დემოკრატიულ ამრჩევლების მთელ კატეგორიებს საარჩევნო ხმას. ამ განმარტებათა საშუალებით სრულიად გაქარწყლებულ იქმნა, მაგ., მნიშვნელობა მუშათა მონაწილეობისა არჩევნებში: სენატის განმარტებით მუშებს მხოლოდ მუშათა კურიაში შეჭრით საარჩევნო უფლება, საერთო არჩევნებში-კი მონაწილეობა სრულიად აკრძალათ. ასეთი საშუალებებით ლამობდა მთავრობა ოპოზიციის დამარცხებას არჩევნებზე და ყურმოჭრილ მორჩილ დემუტატებისაგან ახალ სათათბიროს შედგენას. მაგრამ სტოლიპინის სამინისტროს ანგარიში არ გაუმართლდა. როდესაც პეტერბურგში ახლად არჩეული დემუტატები შეიკრიბნენ, გამოირკვა, რომ უკიდურეს მემარცხენებს ეხლა წინააღმდეგე გაცილებით მეტი ძალა ჰქონდათ. თუმცა კადეტები ეხლა ისეთს მრავალრიცხოვან საპარლამენტო ჯგუფს აღარ წარმოადგენდნენ, როგორც პირველ სათათბიროში, მაგრამ მინც საკმაოდ ბლომად იყვნენ და ხელმძღვანელობა ისევ იმათ ხელში რჩებოდა. მემარჯვენეები პირველ სათათბიროში სულ არა სჩანდნენ, ეხლა-კი მათ რამდენიმე წარმომადგენელი ჰყვანდათ. ზომიერი კონსტიტუციონალისტებიც, ე. ი. მშველბიან განახლების პარტიის და ოქტომბრისტების კავშირის წარმომადგენელიც

მეორე სათათბიროში უფრო მეტად იყვნენ, ვიდრე პირველში.

საერთოდ მეორე სათათბირო უფრო ჭრელი შედეგნილებსა იყო, ვიდრე პირველი. სტალინის საარჩევნო პოლიტიკის წყალობით ისარალა ცენტრმა და ისარგებლეს მემარჯვენე და მემარცხენე უკიდურესმა პასტივებმა.

როგორც ვთქვით, მეორე სათათბიროს ხელმძღვანელობა წინანდელივით კონსტიტუციონულ-დემოკრატებს ერგათ: ყველაზე ძლიერი მეორე სათათბიროშიაც ისევ ესენი იყვნენ. ამიტომ მეორე სათათბიროს ტაქტიკაც უმთავრესად კადეტების ტაქტიკა იყო, თუმცა ესლა იგი თვალსაჩინოდ განსხვავდება იმ ტაქტიკისაგან, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ პირვლ სათათბიროში, კადეტების აზრით პირველ სათათბიროს ისტორიამ დაამტკიცა, რომ პიდაპირი კონფლიქტი მთავრობასთან სსსარკებლად არ არის საკონსტიტუციო რეჟიმის განხორციელებისთვის. ამტკიცებდა მათის აზრით, სათათბიროს არაერთი საბაბი არ უნდა მიეცა მთავრობისთვის კონფლიქტის ჩამოსაგდებად. ყოველი ღონე უნდა ეხმარათ, რომ ეს პირდაპირი კონფლიქტი არ მომხდარიყო, მაგრამ კადეტებს თავისი პროგრამა მაჯვენე მანც არ უნდა გადაეწვიათ, იგი უცვლელად უნდა დარჩენილიყო. ისინი ისევ თავის წინანდელ პროგრამის განხორციელების ცდაში უნდა ყოფილაყვნენ. მაგრამ ერთად ერთი ფორმად ამ მეცადინეობისა მათ ესლა პირდაპირი ანუ „ორგანიული“ საკანონმდებლო მუშაობა მიჩინდა. მყოფრო საკანონმდებლო მუშაობით „ალყა უნდა შემოვარტყთ“ მთავრობასო, ამბობდა დეპუტატი პ. სტრუვე, და ამ „ალყის შემოვარტყმას“ უპირებდა იგი პირველ სათათბიროს „იერიშებს.“

საერთოდ კადეტების ტაქტიკა მართლა მეორე სათათბიროს დამახასიათებელი შეიქნა, თუმცა უკიდურესი მემარცხენენი ისევ პირველ სათათბიროს ტაქტიკის ამჟღავნებდნენ, წინანდელივით კრიჭაში უდგებოდნენ მთავრობას, ქარ-ცეცხლის კრიტიკაში ატარებდნენ მთავრობის პოლიტიკას და ხშირად კადეტებსაც აიძულებდნენ ხოლმე მონაწილეობა მიეღონ ამ „იერიშებში.“ კადეტების ტაქტიკის პირველი გამოხსლა ის სიჩუმი, ის შემახარავი სიჩუმი იყო, რომელიც მათ დაუხვედრეს სტალინის დეკლარაციას. ეს სიჩუმი მაშინ მხოლოდ სოციალდემოკრატებმა დაარღვიეს, რომელთაც საჭიროდ მიიჩნიეს კრიტიკულის თვლით გაემიჯნათ სტალინის სამინისტროს პოლიტიკა და დაენახებნათ ქვეყნისთვის თავისი მისდამი უნდობლობა. საბოლოოდ მაინც ისევ კადეტების ტაქტიკამ დასძლია ამ შემთხვევაშიაც დეკლარაციის შესახებ კამათის გათავებას შემდეგ სათათბიროს უმრავლესობამ დაადგინა უმეტყო რეზოლიუციით გადასულიყო მაროვ საქმებზე, ასე რომ სტალინის სამინისტროს არც ნდობა გამოუცხადებია და არც უნდობლობა. სტალინის სამინისტრომ აუარებელი კანონპროექტები შეიტანა სათათბიროში. ხალხის წარმომადგენელ-

თა უმრავლესობა სწორედ ახალ კანონების შემუშავებით აპირობდა მთავრობის დამარცხებას და ამიტომ უმთავრესი ყურადღება ჯერ-ჯერობით კანონპროექტებს განსახილველად დაარსებულ საპარლამენტო კომისიებში მუშაობაზე იყო მიქცეული. მეორე სათათბირომ დაასრულა საპარლამენტო ინსტრუქციის (საპარლამენტო მუშაობის შინაური წესების) შემუშავება. თანახმად ამ ინსტრუქციისა ყოველ ახალ კანონპროექტის შესახებ, რომელიც-კი წარედგინებოდა სათათბიროს მთავრობისაგან თუ დეპუტატებისაგან, ჯერ წინასწარი მსჯელობა იმარტებოდა. შემდეგ ან პირდაპირ უარჰყავდნენ კანონპროექტს და ან სათანადო კომისიას გადასცემდნენ ხოლმე დაწერილებით განსახელებლად, შესამუშავებლად და ხელახლა სათათბიროს საერთო კრებაზე წარსადგენად. მეორე სათათბიროში თვე და ცამეტადღე გასძლო. ამ შედარებით ცოტა ხნის განმავლობაში ხალხის წარმომადგენლებმა დიდი შრომა გასწიეს კამისიებში. მრავალ საჭირო მასალა მოამზადეს და მრავალი კანონპროექტი განამზადეს სათათბიროს საერთო სხდომებზე განსახილველად. რაც უფრო წინ მიდილა საპარლამენტო კომისიების მუშაობა, მით უფრო ნთლად გრძობდა სტალინის სამინისტრო მძიმედ დანამზადვე საფრთხის მოახლოვებას და მით უფრო მეტს მეცადინეობას იჩენდა იგი, უკდურეს მემარჯვენე დეპუტატების ერთგული თანამშრომლობით, როგორმე საკმაო რამ საბაბი ეშოვნა ხელის ჩასაქიდად და რუსეთის პარლამენტის ხელმეორედ დასაშლელად. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ყრუ მეცადინეობა მთავრობის მხრივ სათათბიროს მუშაობის წყაფვიერების შესაფერხებლად. ამ მოსახზრებით აუკრძალა მთავრობამ პარლამენტო კომისიებს თავის სხდომებზე მცოდნე პირების მოწვევა, აუკრძალა მათ პირდაპირ წერილობითი ურთიერთობა—გაეჩინათ ადგილობრივ თეიმორთველობის დაწესებულებებთან, წინააღმდეგა საპარლამენტო კომისიის წევრების გაგზავნას რუსეთის სხვა და სხვა ადგილას ადგილობრივ სხვა და სხვა საქმის მდგომარეობის შესწავლად და სხვა. მართალია, ყველა ეს თვალსაჩინოდ აფერხებდა სათათბიროს მოღვაწეობას, მაგრამ იგი მაინც შეუჩრბლივ წინ მიდილა. სათათბირო მთავრობასთან პირდაპირ კნფლიქტს ერიდებოდა, უამისოდ კი იმისი დათხოვნა მოუხერხებელი იყო. მემარჯვენე დეპუტატებმა რამდენჯერმე სკანდალის გამოწვევა განიზრახეს სათათბიროს სხდომებზე, მაგრამ ვერც ამ ხერხმა გასჭრა. კონფლიქტი, ისეთი კონფლიქტი, რომლის თავიდან აცილებაც ყოველად შეუძლებელი იყო, გამოიწვია მთავრობის მოთხოვნამ, რომ სათათბიროს 55 თავისი წევრა სოციალდემოკრატიული ფრაქციისა თავის წრედან დროებით გარეთ გაეხიზნა, რადგან მთავრობის განცხადებით მათ მძიმე პოლიტიკური დანაშაულობის ჩადენა ედებოდათ ბრალად და სამართალში უნდა ყოფილაყვნენ მიცემული. სათათბირომ მთავრობის ეს უმაგალითო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ამჟს

შედგად მოჰყვა 3 ივნისის 1907 წლის უმაღლესი ბრძანება, რომლითაც მეორე სათათბირო დათხოვნად იქმნა და ამასთანავე ერთად რადიკალურად შეცვლილ იქმნა საარჩევნო კანონი.

სარჩევნო კანონის შეცვლა არც მოულოდნელი იყო და არც შემთხვევითი მოვლენა. 11 დეკემბრის საარჩევნო კანონის წესზე არჩეული სხალხო წარმომადგენლები ყოველთვის ოპოზიციონერ სათათბიროს შეადგენდნენ, ისეთ ოპოზიციონერ სათათბიროს, რომელსაც თითქმის არავითარი პრინციპული და ზნეობრივი კავშირი არ შეიძლებოდა ჰქონოდა მთავრობის პოლიტიკასთან. ასეთ პირობებში კი აღრე თუ გვიან ყოველთვის აუცილებლად მოხდებოდა მთავრობის და სათათბიროს კონფლიქტი, რაც საკანონმდებლო მუშაობის შეჩერებას იგულისხმებდა. რმედი, რომ ხელახალი არჩევნები მთავრობის თანამოაზრე სხალხო წარმომადგენლობას შეჰქმნიდა, სულერთიან გაქარწყლებული იყო მეორე არჩევნების გამოცდრლობით. ამ პირობებში ორში ერთი აუცილებლად უნდა მომხდარიყო: ან მთავრობის თავისი პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეეცვალა, და ან ახალი საარჩევნო კანონი უნდა გამოეცა. პირველი გზა იგულისხმებდა მთავრობის მიერ თავის ბატონობაზე ხელის აღებას, მეორე-კი ხელახალ ცდას ამ ბატონობის გასამაგრებლად. მთავრობამ ეს მეორე გზა არჩია, ეს უფრო ხელსაყრელი იმისთვის.

ახალი საარჩევნო კანონი, როგორც ვთქვით, რადიკალურად განსხვავე ეზა 11 დეკემბრის კანონისაგან. ახალი კანონით ქალაქებში, რომელთაც ცალკე წარმომადგენლობა აქვთ მინიჭებული, არჩევნები ესლა გაყოფილ პირთ ორ ნაწილად; პირველ ნაწილს შეადგენს მსხვილი ბურჟუაზია, ხოლო მეორეს დანარჩენნი; დეპუტატებს ცალკე ირჩევენ, მაშასადამე უზრუნველყოფილია ქალაქების მხრივ რამდენიმე მსხვილ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი წარმომადგენელი. საგუბერნიო არჩევნებისთვის დაკანონებულია ახალი ცხრილი მსხვილ და წვრილ მემამულეებისაგან არჩეულ ამრჩეველებისა იმ ანგარიშით, რომ მომეტებულ ნაწილად აქაც მსხვილ მემამულეების გამარჯვება უზრუნველყოფილი. რუსეთის ძირეულ გუბერნიებში თითო გლეხი დეპუტატის არჩევა ისევე დარჩენილია, მაგრამ წინად ამ დეპუტატს მარტო გლეხი ამომრჩეველები ირჩევდნენ, ესლა-კი იმის არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ყველა ამომრჩეველები. მაშასადამე აქაც უზრუნველყოფილია თელსაჩინო გავლენა შეძლებულ კლასებისა არჩევნებზე. გარდა ამისა, შემცირებულია საერთოდ დეპუტატების რიცხვი, ხოლო განსაკუთრებით-კი შემცირებულია განაპირა ქვეყნების წარმომადგენელთა რიცხვი. ზოგიერთი განაპირა ქვეყანა სათუთლად აღარ ჰგზავნის სათათბიროში თავის წარმომადგენელს.

ასეთია საერთოდ ახალი საარჩევნო კანონი და აი, ამ წესით არიან არჩეული ის დეპუტატები, რომელნიც 20 ოქტომბერს შეიკრიბნენ პეტერბურგში და რომელთაც განსხვავდნენ მესამე სათათბი-

როს მოღვაწეობა. მიუხედავად ახალი საარჩევნო კანონის რეაქციონური სიმპატიებისა მთავრობის მომხრე პარტიებმა მაინც ვერ გამოარჯვეს. მართალია უკიდურეს მემარჯვენეების და ზომიერ მემარჯვენეების რიცხვი ესლა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე წინად, მაგრამ სათათბიროს უძლიერეს პარტიას ისინი მაინც არ წარმოადგენენ. კადეტებმა დაქარგვე, წინანდელი ძალა. ესლა მათ 70-ზე მეტი დეპუტატი არა ჰყავთ, მაგრამ ისინი მაინც-კი ი.ე. თვალსაჩინო კვალს აწნევენ სათათბიროს მოღვაწეობას. მესამე სათათბიროს უძლიერეს პარტიას ოქტომბრისტიები შეადგენენ. ოქტომბრისტიების სოციალური იდეალები ბევრად თუ ცოლად, მაგრამ მაინც გამოარჯვეულია: ისინი მტკიცედ სდგანან კერძო საკუთრების პრინციპზე და წს ვილ ბურჟუაზიის და მემამულეების ინტერესებს იცავენ. მაგრამ ჯერ კიდევ ხშირი ნისლი აქვს გადაფარებული მათს პოლიტიკურ მისწრაფებებს. ეოფის მხრივ ოქტომბრისტიები მთავრობის პოლიტიკის ნხურვალე დამცველნი არიან, ხოლო მეორის მხრივ-კი თავი თავს კონსტიტუციონალისტებად აღიარებენ, თუმცა მთავრობის აზრით, რუსეთში საკონსტიტუციო რეჟიმი არ არსებობს. პარლამენტის უდიდესი პარტია ჩვეულებრივ თავის ხასიათს აძლევს მთელს კრებულს. ესლა მიზეზა, რომ მესამე სათათბიროს პოლიტიკური ფიზიონომია ჯერ-ჯერობით საკმაოდ გამოარჯვეული არ არის. 16 ნოემბერს სტოლიპინმა მესამე სათათბიროში მთავრობის სახელით დეკლარაცია წაიკითხა. დეკლარაციის გამოკამათმა სათათბიროში რამდენიმე დღე გასტანა, იგრამ როცა სხვა და სხვა საპარლამენტო ფრაქციის მიერ წამოყენებულ რეზოლუციებს უყარეს კენჭი, ყველა უარყოფით იქმნა. ოქტომბრისტიების ფრაქცია ჯერ-ჯერობით ე-ის პოლიტიკურ ორგანიზმად შედუღებულს სხეულს არ წარმოადგენს. ამ ფრაქციის წევრები მომეტებულ ნაწილად თავის სახელით ლაპარაკობენ, ფრაქციის სახელით გამოვლავა კი ძალიან ემწელებათ. ეს აუცილებელი ნაყოფია პარტიული გამოურკვევლობისა. ასეთი გამოურკვეველობა დიდს ხანს ვერ გაგრძელდება, ოქტომბრისტიების ფრაქცია ან დამოუკიდებელ პაწია ჯკუფად უნდა დანაწილდეს და ან ერთ განსაზღვრულ პოლიტიკურ ორგანიზმად უნდა გადაიქცეს, რომელსაც სრულიად გამოარჯვეული პოლიტიკური, სოციალური და ტაქტიკური ფიზიონომია ექნება. მხოლოდ ამის შემდეგ გამოარჯვევა მესამე სათათბიროს ფიზიონომია. ჯერ კი ცხადია მხოლოდ ის, რომ მესამე სათათბირო მშრომელ ხალხის ინტერესების ნიადგზე არ დადგება და რომ იგი აუცილებლად შეძლებულ კლასების ინტერესების მოსარჩლე იქნება; ცხადია აგრეთვე, რომ საკმაოდ დიდი უმრავლესობა მესამე სათათბიროს წევრებისა სახაზინო პარტიოტისმით არის გამკვალული და არა რუსნი ამ სათათბიროსაგან უფრო დვენას და შევიწროვებს უნდა მოელოდნენ, ვიდრე უამისოდაც სასტიკეროვნულ მჩაგვრელობის პოლიტიკის შემსუბუქებას.

Н О В О С Т Ъ !

ГРОМАДНАЯ . . . ЭКОНОМИЯ

ИЗВѢЩЕНІЕ

ОТЪ ЕДИНСТВЕННОГО
ПРЕДСТАВИТЕЛЯ

— Д Л Я —

БАКУ, ТИФЛИСА

и его окрестностей

ШВЕДСКАГО КОМПОЗИЦІОННАГО БѢЛЫЯ.

имѣется колоссальный выборъ мужскихъ и дамскихъ

ВОРОТНИКОВЪ, МОНЖЕТЪ и МАНИШЕКЪ.

Не требующихъ абсолютно никакого расхода на стирку и глаженье и по внѣшнему виду не уступающихъ бѣлью изъ самаго дорогаго полотна.

при ежедневномъ употребленіи

носится не менѣе двухъ лѣтъ

ЦѢНЫ ФАБРИЧНЫЯ

Въ Бану, магазинъ „КОМПОЗИЦІЯ“ на Кривой улицѣ, противъ фотографіи Зелинскаго
ВЪ ТИФЛИСѢ, ПУШКИНСКІЙ ПАССАЖЪ № 8.

*Передѣлка въ любой фасонъ
бесплатно.*

Безпрерывное полученіе товара прямо изъ Швеціи, Прейсъ-куранты
выдаются и виселяются **БЕЗПЛАТНО.**

Н О В О С Т Ъ !

ПРОСЯТЬ НЕ СМѢШИВАТЬ ПОЯВИВШЕЯСЯ ВЪ ПРОДАЖѢ БѢЛЫЯ ИЗЪ ПОДѢЛЬНОЙ КОМПОЗИЦІИ.

ПРОСЯТЬ НЕ СМѢШИВАТЬ ПОЯВИВШЕЯСЯ ВЪ ПРОДАЖѢ БѢЛЫЯ ИЗЪ ПОДѢЛЬНОЙ КОМПОЗИЦІИ.

მაქის ზატვი ვაცნობო ზატვიცემულ საზოგადოებას, რომ მე ქ.
თბილისში მე-9 უბანში, მისილის ქუჩაზედ, № 51, ახლად
გავაღე

სახელოსნო-ქარხანა

სადაც ვიღებ შემდეგ საქმეებს: საეკლესიო კანკელებს, ხატებს ჩეკანით
(ყოველგარ ქანდაკებით), ემალით და ოქროს ალაგით, ვაოქრობე კანკე-
ლებს, სარკეების და სურათების ჩარჩოებს; ვიღებ აგრეთვე ყოველგვარ
სხვადასხვა სტილზე კედლებ-ჭერების დასურათებას, კარეკატურებს ეურნა-
ლებისათვის და სამაგალითო ლამაზ „ვივესკების“ გაკეთებას.

დავალებას ვასრულებ სუფთად და ჩაბარა.

მხატვარი გრიგოლ ივანეს ძე ზაზიაშვილი.

Имѣю честь довести до свѣдѣнiя почтеннѣйшей
публики, что мною вновь открыта на Михай-
ловскомъ проспектѣ, въ домѣ № 51

ЖИВОПИСНО-ХУДОЖЕСТВЕННО-

ИКОНОСТАСНАЯ МАСТЕРСКАЯ,

гдѣ принимаю заказы разныхъ родовъ, какъ-то: церковныя иконы
для иконостаса, иконостасы, иконы подъ чекань-эмалированныя и
въ гладкихъ фонахъ, росписи церквей въ разныхъ стиляхъ, ПОЗО-
ЛОТЫ какъ иконостасовъ, такъ и картинъ и зеркальныхъ рамъ,
росписи всевозможныхъ комнатныхъ анфрельныхъ работъ; выполняю
ИЗЯЩНЫЯ ХУДОЖЕСТВЕННЫЯ ВЫВѢСОЧНЫЯ РАБОТЫ,
въ стиляхъ современныхъ и старыхъ, по требованiю г. г. заказчиковъ.

ИСПОЛН. ЗАКАЗ. ИДЕАЛЬНОЕ АККУРАТ. и БЕЗУСЛОВНО ВЪ СРОКЪ.

Живописецъ Григорiй Ивановъ **ЗАЗІЕВЪ.**

ამ წლის იანვრიდან გამოდის სამეცნიერო-სალიცერატურო და პედაგოგიური
ყოველთვიური ჟურნალისა, სახელწოდებით

„განათლება“

ჟურნალში დაიბეჭდება შემდეგი შინაარსის წერილები:

მთავრობის განკარგულებანი, სტატიები, შენიშვნები და რეფერატები სწავლა-განათლების შესახებ, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე; ორიგინალური და ნათარგმნი სტატიები სამეცნიერო პოპულიარულ ხასიათისა პედაგოგიიდან, სასკოლო ჰიგიენიდან, სანიტარიიდან, ბუნების-მეტყველებიდან და საზოგადო შეცნიერებიდან; საქმენიერო პოპულიარული ლექციები სურათებით სახალხო კითხვებისა და სახალხო უნივერსიტეტებისათვის; სამაგალითო გაკვეთილები დასაწყის და საშუალო სკოლების სასწავლო საგნებიდან; პროგრამების შემუშავება ყველა ტიპის სკოლებისათვის. პედაგოგიურ იდეების განვითარება საქართველოში, რუსეთში და საზღვარ-გარეშე; მნიშვნელობა მასწავლებელთა კავშირისა საზოგადოდ და დანხილვა არსებულ კავშირებისა და მასწავლებელთა საზოგადოების წესდებებისა; სახალხო თეატრი და ბიბლიოთეკები; გამოცემა და გავრცელება სახალხო წიგნებისა; შინაურ და უცხოეთის ქრწიკა; სიტყვა-გაზმული მწერლობა: მათხრობები, ლექსები, ბიოგრაფები; პუბლიცისტიკა, კორესპონდენციები, ბეჭვდითი სიტყვის მიძხილვა, სამეცნიერო მიძხილვა; კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, განცხადება.

ხელის მომწერთათვის წლიური ფასი 5 მანეთი, ნახევარის წლით 3 მან.,
სამის თვით 1 მ. 60 კ., საზღვარ-გარედ 7 მანეთი, ცალკე № 50 კ.

წერილების აღრესი: ქართულ გიმნაზია, ან ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოება
რედაქტორ-გამომცემელი დ. გ. ბოცვაძე.

ყოველდღიური საპოლიციკო და სალიცერატურო გაბთი

წ ყ ა რ ლ

გამოდის ტფილისში 1907 წლის 28 ოქტომბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით
ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ
გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მკირე წერილებს და
კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი
წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ
მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 სა-
ათამდე. კვირა-უქმობით დილის 11-დან 12 საათამდე.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ, Великокняжеская, № 35 (во дворѣ).

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მალაზიაში იუილება შემდეგი წიგნები:

საზოგადოების გამოცემანი

I. ისტორიული წიგნები:	თსულებანი პუშკინისა	50
ასალი ვარიახტი წმ. ნინოს ცხოვრებისა	„ ვაჟა-ფშაველასი	1 —
ქართული სიტყვიერების ისტორია, ალ. ხანაშვილისა	„ თავდადებულნი ქართველნი, ი. გოგებაშვილისა	40 7
II. ბუნების მეტყველება:	1 25 იავნანამ რა ჭქმნა? მეოთხე გამოცემა მიხივე	5
ამბაკი ცხოვალთა საქმეფაჲსი, რუბაკინისა	„ კრილავის არაკები, აკაკისა	30
ბუნების ცოდნა, პოლ ბერისა	„ ლექსები, ნ. ნარათაშვილისა	40
ყვავილთა შორის, თარგმანი ს. შუბათელისა	„ მარიამი, ანუ ყვავილების კალათი, შმიდტისა, თარგმანი ს. შუბათელისა	25 45
ცა და დედამიწა, ივანოვისა, თარგ. დ. გიორგობიანისა	„ მტრედი, მიხივე	10 10
III. სახელმძღვანელოები:	„ შაშის ერთეული. მიხივე	15
ბუნების კარი, ყდათ	„ მთიხრობანი დ. კლდიაშვილისა	30
გეომეტრია, მ. ყიფიანისა	„ ოქროს მცყვარულები გმომცეხი, თარგ. ე. წერეთლისა	25 15
დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა	„ რუხი მკელი, გ. წერეთლისა	40 15
კვკვრთი, მიხივე	„ რბინისონ კრუზე, დანიელ დეფოხი, თარგმანი ან. თუმანიშვილისა, გამომცემა მეორე	10 40 30
კრებულნი არითმეტიკულის ამოცანებისა რ. ჯაჯანაშვილისა	„ საყმაწვილო მთიხრობანი, კვ. გამაშვილისა	25 30
წყარო, II წიგნი არ. ქუთათელაძისა	„ სვიის გვირგვინი შმიდტისა, თარგმანი ს. შუბათელისა	50 15
IV. კაზმული სიტყვიერება:	„ ქაჯანა, ნიკო ლომაურისა. მესამე გამომცემა	5 5
ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი	„ ყვავილის მხრიდან არბოელისა	7 10
ასპინძის ომი, მესამე გამომცემა, ი. გოგებაშვილისა	„ ჩარლზ ბარნელი, ნარკვევი ინგლისის ისტორიიდან თარგმანი გ. ლ—ძისა	10 25
ალი, ნ. ლომაურისა, მეორე გამოცემა	„ წითელი ფრანი, თარგმანი გ. ანდრონიკაშვილისა	10 15
ბარტეკ მღვეა მდხილი, მოიხრობა ზეინრიკ სენკვიჩისა	„ წიგნისა ისტორია, შედგენილი დ. კარიკაშვილისა	20 20
გულიერის მღვანურობა სკიფიისა სურათებით თარგმ. ცისკარაშვილისა, გამომცემა მეორე	V. ლექსიკოგრაფია:	30
ერეკლე მკფე და ინგილა ქალი, თ. გოგებაშვილისა	„ რუხელ-ქართული ლექსიკანი, დ. ჩუბინაშვილისა	5 2 40
ვეფხვის-ტყალხანი ყრმათათვის ნაამბობი. გ. იოხელიანისა	VI. მუსიკა:	25
ვეფხვის-ტყალხანი 4 პორტრეტით და 21 სურათით. მკცხრაშეტე გამომცემა	„ ხალაშური, წ. ჩხიკვაძისა	25
თსულებანი რ. ერისთავისა II ტომი	„ სიმღერები, ქარიძისა, 8 ნომერი, თითო 20—30 გ. სულ	60 1 95
	„ სიმღერები, არაყიშვისა	60
	„ ქართული სახალხლო სიმღერები, ი. კარგარეიელისა	20 50

ცუცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება

„პოლბა“

გამგეობა საზოგადოებისა იმყოფება მოსკოვში.

მიიღებს დასაზღვრვად: უოველ-გვარ შენობას, სა-
ქონელს და უოველ-გვარ შინაურ ზვეჯეულობას.

ტფილისის სააგენტო საზოგადოებისა იმყოფება: **დვორ-
ცოვი ჭუჩაზე, სარაჯიშვილის სახ-
ლის ეზოში.**—კანტორა ღიაა დღის 10 საათიდან ნაშუადღევს 3
საათამდე.

ყველასათვის ხელ-მისაწდომი იაფი სამშარეულო
შედგებული სპირტი

დ ე ნ ა გ უ რ ა გ ი

რომელიც ვესტის ღამაზ ყუთებშია მოთავსებული; თავისს ზედადგრითა.
მეტად კარგია სახმარებლად **მარტო-ხელისათვის**, სამხედრო მოსამსახურე-
თათვის, მოგზაურობაში და სხვა. **ხელად-სახმარებელია:** რძისა, ყავისა,
თუ სხვა რაიმეს ასადულებლად; კვერცხისა, თუ სხვა რაიმეს ხელად მოსა-
ხრაკავად. **არც სუნი და არც ბოლი სრულიად არ იცის**, ამიტომ დენა-
ტურატი ავადმყოფის ოთახშიაც იხმარება.

იუიდება ყველა საათუთიაქო მაღაზიაში

უმთავრესი საწყობი ტფილისშია: დვორცოვი
ქუჩა, სარაჯიშვილის სახლის ეზოში—**Бюро „Сотрудникъ“.**

№ 842
1908

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

ყოველ დღიური საბოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

ი ს ა რ ი

გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს :

ერთის წლით:		ნახევარის წლით:		ერთის თვით:	
ტფილისში	6 მ. 50 კ.	ტფილისში	4 მ. — კ.	ტფილისში	— მ. 75 კ.
ტფილისს გარედ	7 " — "	ტფილისს გარედ	4 " 50 "	ტფილისს გარედ	— " 80 "
საზღვარ-გარედ	12 " — "	საზღვარ-გარედ	6 " — "	საზღვარ-გარედ	1 " 50 "

ცალკე ნომერი უველგან ერთი შაური.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უგანახეულზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამღს 5 ხაათამდე ღირს 3 მან., ხუთი ხაათის შემდეგ—მეტ. ხელს მძაწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისარის» რედაქციასა და კორექტორში ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, დილის 9 ხაათიდან ნაშუადღევს 4 ხაათამდე.

მ ლ ი ს მ ო წ ე რ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა :

ტფილისში: «ისარი» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ. კ.-გ. საზღვ.» ჟიგნი მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). **ქუთაისში:** იაიღორე კვიციანიძესთან (სამარტის) ამხანაგობაში). **ჭიათურაში:** სოფრამ ტარიელოვთან, ჭიათურის ბანკში. **ბაქოში:** გიორგი ჩხეიძესთან (კინკარაის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფონის ადრეხი: **Тифльсь, редакция газ. „ИСАРИ“.**

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა

„იღუაღი“

(მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩაზე, № 6.)

სტამბა საუკეთესოდ არის მოწყობილი. სტამბაში მიიღება ყოველგვარი სასტამბო საქმეები: ვაზეთები, ეურნალები, წიგნები, ვეველა დაწესებულებებში სახმარი ბლანკები და წიგნები, განცხადებები, სადარბაზო ბარათები და სხვა.

საქმეები მიიღება რუსულ, ქართულ, ფრანგულ და სომხურ ენაზე. სტამბა ასრულებს სუფთად და თავის დროზე.

საუკეთესოდ მოწყობილი საკაზმავი

მიხეილ შუაქრიშვილისა

ელისაბედის ქუჩაზე, საკუთარი სახლი, № 8.

მიიღება ყოველგვარი წიგნების აკინძვა, „კაუჩუკების“ ჩარჩოების გაკეთება, სკან-ცელარო დავრთების და სხვა წიგნების დაკაზმვა.